Клянусь тобой, увлекаться красотой я могу только такъ какъ розой въ чужомъ саду, какъ розой, которая прекрасна, но цвѣтеть не для меня. И если я теперь люблю все цвѣты, то въ каждомъ изъ нихъ я нахожу часть того цвѣтка, что распустился въ моей душѣ для тебя, Принцесса моя!

Если я увлекся той дѣвушкой, то это объясняется лишь тѣмъ, что черезъ нее я увидѣлъ тебя. А тебя я могу видѣть только черезъ прекрасныя существа.

* დაცულია გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში, პატარძელში.

Въ ту нощь я чувствовалъ, что моя спутница желала моего прикосновенія, но я этого не хотѣлъ. Вѣдь это роза цвѣла не для меня...

Ellі, красоту намъ нужно любить, но постолько, поскольку эта красота отражаетъ насъ самихъ. О! Кажется я не сказалъ всего, чего хотѣлъ. Я въ хаосъ, я въ кошмаръ, Ellі.

Скажи, довольна ли ты моимъ письмомъ, поняла ли ты меня, какъ слѣдуетъ?

Ужасны минуты моихъ ощущеній. Я не знаю, какъ тебя поцѣловать, я не знаю, какъ до тебя дотронуться, ты горящій лучъ моей жизни, Ellі моя, моя, моя!..

[Гюго, 1915]

1916

ტიციან ტაბიძე – სიმონ ტაბიძეს

ძვირფასო სიმონიკა,
როგორ ხარ? როგორ ცხოვრობ! მომწერე ყველაფერი შენ
საქმეებზე. სახლში რა ამბებია, ან ჩემი წერილი თუ მიიღეთ
შობებზე? ბავშვები რას შვრებიან. როგორ ცხოვრობენ. ან
სოფელში რა ამბებია. აგრეთვე, თუ გჭირია რამე, მომწე-
რე, თებერვლიდან მე მგონია, შეძლება მექნება, როგორმე
დაგეხმარო. წერილი „სახალხო ფურცლის“ საახალწლო ნო-
მერში წაიკითხე და უთუოდ გაუგზავნე მამას. აგრეთვე ჩე-
მი წერილი, რომელიც, დაიბეჭდება, სახლში გააგზავნე. გა-
ლაკტიონი თუ ნახო, ჩემ მაგიერ აკოცე. შენი იმედი მაქვს.
იყავ ყოჩაღად. უთუოდ მიპასუხე.

გკოცნის შენი მოყვარული ძმა

ტიციან ტაბიძე

1916 წლის 15 იანვარი

ტიციან ტაბიძე – იაკობ ფხაკაძეს

1916 წელი, 17 იანვარი. ქ. მოსკოვი.

ღრმად პატივცემულო და ძვირფასო ბიძია!..

ხშირი წერილებით, ალბად, თავს გაბეზრებთ, მაგრამ მაინც
მინდა, რომ გამოგესაუბროთ; ამ წერილს ცოტა თავის გა-
მართლების ხასიათიც ექნება... ჩემ პირველ წერილს თქვენ
ძალიან ენდევით, მაშინ არაფერი გარანტიები არ იყო იმის,
რომ ჩემი შრომა ვისმედან ფასდებოდა, მე ამით ყველაზე
უფრო ვარ დავალებული; იმის შემდეგ იბეჭდებოდა ჩემი
წერილები და ლექსები გაზეთ „საქართველოში“. არ ვიცი,
იღებთ თუ არა?

„სახალხო გაზეთის“ საახალწლო ნომერში დაიბეჭდა წერილი
გრიგოლ რობაქიძის ახალ მწერლობაზე. საანგარიშო წელში
მეც ვარ მოხსენებული და ორ ადგილას. ყოველ შემთხვევაში,

ახანდელ მწერლებში გრ. რობაქიძე ყველაზე მეტია და მისს დაფასებას აქვს რაიმე ფასი.

14 იანვარს მოსკოვში წმ. ნინოს დღეობა გადაიხადეს, პარაკლისი ორ ადგილზე იყო. მონასტერში გადაიხადა ეპისკოპოზმა ექვთიმემ (ელიავამ), საზოგადოებაში პოლკის ქართველმა მღვდელმა. იმ დღისთვის გამართული იყო დიდი სალამო თეატრში – „რუსთაველის სალამო“. რუსეთის გამოჩენილი მწერალი კ. ბალმონტი კითხულობდა ლექციას რუსთაველზე და მონაწილეობას იღებდნენ თავადი ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი (იმპერატორის ტეატრის მართველი და არტისტი) და კომპოზიტორი დ. არაყიშვილი.

ლამე გამართეს ბანკეტი, რომელსაც დაესწრო ორასზე მეტი სული კაცი და ქალი. მონვეული იყო კ. ბალმონტი... იყო აგრეთვე მოსკოვის გრადონაჩალნიკის თანაშემწე ნაზანსკი, რომელსაც ცოლად ყავს თავადი მაჭუტაძის ქალი. ვახშამზე თამადა იყო ალ. სუმბათაშვილი. ბევრმა თქვა სიტყვა და სხვათა შორის, მეც.. მე ყველაზე ნაკლებად მაქვს ორატორობის პრეტენზია, მაგრამ ბალმონტმა მიპასუხა: „Я не думал, что этот милый ручей могь обратится в водопадъ краснорчїя“, თუ არ გკოცნი, მარტო იმიტომ, რომ სტოლები მიშლიანო. სუმბათაშვილი ფეხზე ადგომით მიკრავდა ტაშს.. მეორე დღეს კ. ბალმონტი ყველა თავის ნაცნობებს ელაპარაკებოდა ამ ამბავს. თუ გნერთ ამას, იმიტომ, რომ მე მიხარია და ჩემი სიხარული თქვენც გაგახარებთ და ბოდიშს მომხდის, რომ თქვენ განუხებთ.

ერთი სიტყვით, პატიოსანი სიტყვა მოგეცით, რომ ვეცდები, ვიყო ღირსი თქვენი ყურადღების და სიყვარულის.

მოსკოვში ეხლა მორიგე ამბავი მიტროპოლიტ პიტირიმის ამალეებაა. ყველანი იმაზე ლაპარაკობენ. თუ მართალია და გულწრფელი მისი ქართველების სიყვარული, მგონია, ბედი ელიმება ჩვენ ეკკლესიას. ეს კია, რომ იმპერიაში ეხლა ის ყველაზე თვალსაჩინოა და დიდი გავლენა აქვს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

*მარადის თქვენი მოყვარული დისწული
ტიტიკო ტაბიძე*

ჩემი ახალი მისამართი: Поварская, Хлѣбный пер., д. 22.

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

ძვირფასო ძმაო სოსო!

გიგზავნი „ცისფერი ყანების“-თვის დამზადებულ ვინიეტკას და ყდის ასოებს. დიდათ გთხოვ, რომ მიღებისთანავე, საჩქაროდ გააკეთებინო კლიშეები, თუ ხუთშაბათს დილით აქ არ გვექმნა, მაშინ ალმანახი კიდევ ვერ გამოვა და, ხომ იცი, ცუდი იქნება.

ძველი კლიშე ულამაზო გამოდგა და მიტომ არი, რომ ასე დავიგვიანეთ. ასოები უნდა გაკეთდეს იმ ზომისვე, როგორც დახატულია, აგრეთვე კლიშე მთლიანი უნდა იყოს (ქალაღდი შემთხვევით გაგვეხა და ეცადე, რომ კლიშეში არ დაემჩნიოს). რაც შეეხება ვინიეტკას, ის გააკეთებე იმ ზომის, როგორც დანიშნულია ამ ნახატის უკან პირზე.

სოსო! უნდა მოახერხო როგორმე და ორივე კლიშე გამოატანო გაზეთს კვიცარიძის კანტორაში ისე, რომ ხუთშაბათს დილით მივიღოთ, რადგან პარასკევს უქმი დღეა და ორზომი დაგვიჯდება იმ დღეს ბეჭდვა. კლიშეების ფასი არ ვიცი და არც არაფერს გიგზავნი. შემდეგ კვირაში მოვდივარ თბილისს, შეიძლება ალმანახიც მე წამოვიღო, და მაშინ გაუსწორდები, როგორც თქვენს კანტორას, ისე ცინკოგრაფიასაც. ასე ჩემო სოსო! მთელ იმედს ვამყარებთ შენზე.

შენი პავლე

[ქუთაისი, იანვარი, 1916]

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს**

I. Гришашвили. „Сахалхо Пурцели“. Поч. ящ. 190. Тифлись.

ძმაო სოსო!

შენი წერილი მივიღე – გავასწორე ლექსი, როგორც შენ გსურდა. სოსო, ამისრულე შემდეგი თხოვნა: „სახალხოში“ გადა-

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

** დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ბეჭდუ „ყანნების“ განცხადება სამჯერ – პარასკევს, შაბათსა და კვირას, იმ სახით, როგორც „მეგობარშია“ დაბეჭდილი. მომწერე ფასი, ვფიქრობ, რომ ჩვეულებრივზე ნაკლებ ფასს ნაიღებენ. გარდა ამისა, მომწერე საჩქაროთ, რამდენი ცალი გამოვგზავნო თბილისში ან ვის გაუგზავნო. შენ რომ აიღებდე შენს თავზე, მეტად კარგი იქნება. იმედია კაცი ხარ, ვფიქრობ, რომ ორასი ცალის გაყიდვა შეიძლება მად, იქნებ მეტიც? ყოველი მომწერე, როგორ მოვიქცე.

შენი პ. იაშვილი

[ქუთაისი, 9 თებერვალი, 1916]

შალვა აფხაიძე – იოსებ ყიფშიძესა და გიორგი ჩიტაიას

Здесь, Гатчинская 4. 4, кв. 8, ст. Кипшидзе и Читая.

მ. ხ.

გთხოვთ, დაესწროთ სათვისტომოს კრებას, რომელიც დანიშნულია 11 თებ. მე-IX აუდ. სალ. 3½ საათ.

გთხოვთ, მობრძანდეთ დანიშნულ დროზე.

მდივანი: შ. აფხაიძე.

Грузинское Землячество при СПб университете.

[პეტერბურგი, 10 თებერვალი, 1916]

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

გაზეთი „მეგობარი“, ივანოვის ქ.; ჭილაძის სახლი.

ძვირფასო სოსო!

გიგზავნი ცისფერ ყანნებს. გაბარებ ჩვენს ცისფრად მორთულ საყვარელს. 300 ცალი, ვფიქრობ, საკმაო იქნება, რადგან ფასი დიდი დავარქვით: დააფასოს ხალხმა ქარ-

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

თული შემოქმედება. ეცადე, რომ გამყიდველი დაითანხმო, ცხრა შაურად ცალი. თუ შეუძლებელი იქნეს, დაუთმე ორ აბაზათ, თუმცა ეს თითქმის ზარალი იქნება. ეცადე ყოველივეს, რომ აღმანახი გავრცელდეს. სთხოვე გრიგოლს, დასწეროს წერილი. ჩემი ლექსი ერთის მეტი არ მიდის. ადგილი ნ. ლორთქიფანიძეს დაუთმე. გთხოვ, რაც შეიძლება ადრე დაარიგო დასახელებული ეკზემპლიარები. გაუგზავნე დღესვე ყანწელებს და ყველას, ვისიც გვარები დაბეჭდილია. ამას მეტად გთხოვ. მადლობელი ვიქნებით, თუ სახალხოდან ვინმე წერილს უძღვნის აღმანახს. მეჩქარება და მეტს ვერას გნერ.

ფული შენ გამოართვი გამყიდველს და აიღე ყოველი, რაც დაგეხარჯოს. შეიძლება, მეც მალე ჩამოვიდე. ასე ჩემო კარგო.

შენი პ. იაშვილი

[ქუთაისი, თებერვალი, 1916]

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

ძმაო სოსო!

ვატან ჩემ ნაცნობს აღმანახებს. ჩემი მეორე წერილი კონაშია მოთავსებული. დამავიწყდა მომენერა, რომ საჭიროა თითო ეგზემპლიარის გაგზავნა შემდეგ რედაქციებში: „სახალხო“, „საქართველო“, „თანამედრ. აზრი“, „Кавказ. Речь“ და „Кавказское Слово“.

მომწერე წერილი საჩქაროდ.

შენი პ. იაშვილი

[ქუთაისი, თებერვალი, 1916]

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

Иосифу Гришашвили. „Сахалхо Пурцели“. Поч. ящ. 190. Тифлись.

ძვირფასო სოსო!

კითხულობ „ომის“ ამბებს. ქუთაისი აპირებს ჩვენ გაძევებას, მაგრამ რაინდული სული ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენში. ჩამოვალ მად და ყველაფერს გეტყვი. მომწერე „ყანწების“ ამბავი და ყველაფერი, რაც იცი მათ შესახებ. გავიგე, რომ შენ სწუხარ ჩვენთან ერთობას. იცოდე, სოსო! თუ შენ ჩვენთან გრძნობ თავს ცუდათ, სხვაგან უფრო ცუდი იქნება შენი ყოფა, რადგან ისე ვერავინ დაგაფასებს, როგორც ჩვენ. მალე გამოვცემთ გაზეთს. დაბეჭდე ახალ ამბავში. „სახალხო“ დიდხანს იქნება მდუმარე. ველი წერილს.

შენი პავლე

[ქუთაისი, 13 მარტი, 1916]

ტიციან ტაბიძე – იაკობ ფხაკაძეს

18 მარტი, 1916 წ. ქ. მოსკოვი.

ღრმად პატივცემულო და ძვირფასო ბიძია იაკობ!..

წარსულ თვეში დაუზღვეველი წერილი გამოგიზავნეთ, ალბად არ მიგიღიათ. ამ თვეში ჩემი საქმე ცოტა წინ მიდის, თქვენ გამხნევებას, გაგებას და რჩევას ბევრს უმადლი. თავადი ა. სუმბათაშვილის ინიციატივით მოსკოვში მცხოვრებმა ცნობილმა ქველმოქმედმა – ლ. ზუბალაშვილმა დააარსა სამი სამეცნიერო სტიპენდია – ექვსასი მანეთი წელიწადში, უნივერსიტეტში დატოვებულ სტუდენტების საპროფესოროთ მოსამზადებლად, ან იმათვის, ვისაც დატოვებენ, ვინც ქართულ მეცნიერებისთვის რაიმე საიმედო იქნება. დიდი კონკურსი იყო, მონაწილეობას იღებდენ თითქმის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებისგან პროფესორების რეკომენდა-

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ციით უნივერსიტეტ გათავებულნი, მომღერლები, მხატვრები და მწერლები. გამგეობამ ერთხმად დაადგინა, სტიპენდია მოგვეცეს: დ. არაყიშვილს, კომპოზიტორი არი და რამდენიმე წიგნი აქვს გამოცემული, ერთს აქ, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე დატოვებულს და მე.

მე ყველაზე უფრო მახარებს მათი ჩემი ასე დაფასება, განსაკუთრებით ა. სუმბათაშვილის.

სტიპენდია ჯერ არ ამიღია, თუმცა იანვრიდან მერგება თხუთმეტი თუმანი; მინდა, რაც უნდა გახდეს, წელს ერთი წიგნი დავბეჭდო და გამოუშვა. ჩემ მომავლისთვის ამას ძალიან მნიშვნელობა ექნება. მართალია, მე ძალიან მიწევს აკადემიური კარიერა უნივერსიტეტში დარჩენის, მაგრამ მაინც მინდა, რომ ეს არაფერს უშლიდეს ჩემში ქართველ მწერალს, მით უმეტეს, რომ ჩემ ნაწერებზე, როგორც რუსეთელ ნაცნობი დიდი მწერლების და ქართველი საპატიო მწერლებიდანაც გამხნეების სიტყვა პირველად მესმის.

ჩემი ლექსები გადაითარგმნება რუსულადაც, მალე ძალიან გამრავლდება მათი რიცხვი.

ძვირფასო ბიძია, მიუხედავად იმისა, რომ ტანისამოსი სულ არ მაცვია და საზაფხულოდ ვერაფერს ვერ შევიკერავ, მე მაინც მინდა, ეს ფული არ დავხარჯო; თუ ძალიან ველურად არ მოგეჩვენებათ, უკანასკნელი თხოვნა იქნება, რომ მაისამდი გამიგრძელოთ კიდევ თქვენი დახმარება.

მართალია, თქვენგან საუკუნოდ დავალებული ვარ, მაგრამ ეს უკანასკნელი იქნება და ვეცდები, როგორმე გადაგიხადოთ. ყოველ შემთხვევაში, თქვენგან ერთ ბარათს მაინც ველი, სად იქნებით ზაფხულში და ან როგორ შეხედავთ იმას, რომ დედას და მამას სამუდამო აუსრულებელი სურვილია და ნატვრა, თქვენი, ერთხელ მაინც, ჩვენ ოჯახში ნახვა.

თქვენი გამოგზავნილი ფული და წერილი მივიღე 9 თებერვალს. წერილში რაღაც ბიბლიური სევდა იყო, თქვენ უჩიოდით ბედს, რომ ძუნწი იყო ბედნიერებაზე, მაგრამ:

Но если измить восторгов путь,
Въдь можно сердце обмануть!..

მე მგონია, თქვენ ყველაზე უფრო შეგიძლიათ გულის მოტყუება და ის სამოცი ნელი, რომელიც თქვენ გაგისტუმრებიათ მარადისობაში, ალბად, ბევრს ინახავენ უბედობასთან ერთად თეთრ სიამეს და ლხენას. და ეს ასე იქნება ანიც, სული იცოცხლებს ახალგაზრდობით ჭალარაშიც და თქვენდან დანალოცი დისწული გისურვებთ თქვენ ბედნიერ დღეებს და სიხარულს..

მარადის პატივისმცემელი და მოყვარული

ტიტიკო ტაბიძე

Москва, Скатертный пер., д. 17., кв. 2.

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

ძვირფასო სოსო!

რად გაჩუმდი? მაპატიე, რომ ველარ დაგიცადე ჭიათურაში. საინტერესო ნაცნობები შემხვდენ და ველარ დავრჩი. გრიგოლს ვწერ გაზეთის შესახებ, მალე გამოვა შენ იცი, რა კარგ ლექსებს გამომიგზავნი.

როგორ არის „ყანების“ საქმე? ქუთაისში მოდის წერილები თბილისიდან, თხოულობენ აღმანახს. მოაწყვე ისე, რომ სხვა და სხვა ადგილას გაიყიდოს. ქუთაისში და პროვინციაში სულ გაიყიდა, ხუთის მეტი აღარ მაქვს მე, და თუ მოინდომებ, მანდაც გაიყიდება სულ. მომწერე ყველაფერი. ცვედან კასრადის ლექციას თუ დაესწარი, მომწერე შთაბეჭდილება. ველი წერილს და ლექსებს, ლექსებს.

შენი მარად პ. იაშვილი

[ქუთაისი, მარტი, 1916]

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

ძვირფასო სოსო!

შენი წერილი დღეს გადმომცეს. გმადლობ ფერად სიტყვე-ბისთვის. ბევრი საოცრება დასწერეს ჩვენ წინააღმდეგ, უფრო მეტი სთქვეს და ამბობენ, მაგრამ უკვდავია ჩვენი სურვილი საქართველოს გაცოცხლებისა და გვნამს, რომ იგი გაცოცხლდება...

გრიგოლს გადაეცე, რომ ვცდილობ ლექციის მონყობას. ყველა დღეები „ოპეტეტას“ აქვს დაჭერილი თეატრში, მაგრამ ვფიქრობ როგორმე ერთი დღის შოვას.

სოსო: თუ ძმა ხარ, ამ წერილის მიღებისთანავე გამომიგზავნე აღმანახის ფული, რადგან შაბათს ვალი მაქვს გასასტუმრებელი და ერთად ერთი შენი იმედი მაქვს. უსათუოდ მალე გამომიგზავნე. დღეს მივეცით თხოვნა გაზეთის შესახებ. სახელად „ფარშავანი“ დავარქვით.

იყავი მზიური.

შენი პაოლო

[ქუთაისი, მარტი, 1916]

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს**

Иосифу Гришашвили.

„Сахалхо Пурцели“. Почтовый ящикъ 190. Тифлисъ.

ძვირფასო სოსო!

რად აგვიანებ ლექსის გამოგზავნას. რამდენიმე მასალა უკვე იბეჭდება. უშენობა ხომ იცი, ლამაზი არ იქნება. თუ ძმა ხარ, აღარ დაივინყო და დროზე გამოგზავნე. რად ნადი აქედგან ისე ჩქარა. მოინერე, როგორა ხარ.

შენი პაოლო

[ქუთაისი, 15 აპრილი, 1916]

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

** დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

„Сахалхо Пурцели“. Тифлисы. Почтовый ящик 190. Тифлисы.
Иосифу Гришашвили.

საყვარელო სოსო!

დიდათ გმადლობ ყველაფრისათვის. „ყანნები“ გადავდევი ერთი კვირით, რადგან ველი შენს ლექსს უსათუოდ. გამომიგზავნე, რაც გინდა, ოღონდ გამომიგზავნე. თუ კვირას არაფერი მომივიდა, იცოდე, მოვდივარ ტფილისს და რად გინდა ჩემი ტყვილა შენუხება. ველი ლექსს საჩქაროდ. არისტოს მადლობა მშვენიერი მასალისთვის. მომწერე, „ყანნები“ რამდენი გამოვგზავნო.

ლექსი, ლექსი უსათუოდ.

შენი მარადის პაოლო იაშვილი
[ქუთაისი, 20 მაისი, 1916]

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

Г. Кутаись, Балахванская ул., собст. дом.

Валериану Гаприндашвили.

ძვირფასო ჭიჭიკო!

მომწერე ერთი წერილი, რა ამბებია ქუთაისში, ამ თვის დამლევს მე მანდ ვარ. პაოლო რას შვება, ან გრიშა ვეშაპიძე თუ ნახე მანდ და სალდათობის რა ქნა.

ველი თქვენ ნახვას.

გაკოცებ შენი Titic Tabize

Ст. Сампеди, Т. Т.

[ჭყვიში, 25 ივნისი, 1916]

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

Кутаись, Балахванская ул.

Валеріану Ивановичу Гаприндашвили.

ძვირფასო ვალერიან!..

მე ამ თვის დამლევამდღე ვერ ვიქნები ქუთაისში; საძაგელ ხასიათზე ვარ და თან ავადაც. მალარია, მგონი, განვიცადე და მალე კიდეც ავამლერებ.

მანდ რა ამბებია, პაოლო რას შვება, ფოთში ხომ არ მიდიხართ? მომწერე ერთი ბარათი, ერთი კვირის შემდეგ მანდ ვიქნები. მეშინია, რომ ვერ გნახავ.

გალაქტიონი რას შვება ან ლელო ჯაფარიძე ხომ არ ჩამოსულა? ერთ წერილს ნუ დამამადლი, რა ცვედნობაა, რა ცვედნობაა, ვკვდები კაცი.

Самтредუ, Т. Т.

შენი მარადის ტიტე ტაბიძე

[ჭყვიში, 25 აგვისტო, 1916]

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ოთხშაბათი, 3. 9. 916 წ.

ჭიჭიკო ჩემო!

აბა, თქვენ იცით, თუ მინახულებთ, კვირას, ორშაბათისთვის. იქნებ იმ დრომდღე გრიგოლ ვეშაპიძე იყოს მანდ, იმასაც მივსწერე. პაოლო თუ იქნება, ბოდიში თქვენ მომხადეთ.

სახლის დახურვას მანამდღე მოვასწარებთ ალბად, თუ ვერ მოვასწარით, მაინც არა უშავს... იქნება, ნვერა, ლვინო, ყურნენი, ლელვი და სხვა ორიენტალისტური *natura morta* და აგრეთვე ცოცხალი ნატურაც.

შენი ტიტე ტაბიძე

[ჭყვიში]

გრიგოლ რობაქიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

Валеріану Гаприндашвили.

Кутаисъ. Балахванская. Собст. домъ.

საპასუხო.

ვალერიან: – ათასს სარკეში აისახა მისი მასკები.

სარკენი დაიმხსვრენ. მიყვარს მისი ბნელი შეშლილობა...

პაოლო: – თეთრს რაშზე მის რაშს ფრთები გაგიჟებია.

უფსკრულზე თარეშობს. მიყვარს მისი მთვრალობა...

ტიტე: – უდაბნო. ცხელი მზე. მომაკვდავი ალი – მის წინ
ლოცულობს. მიყვარს მისი თვალღია ზმანება...

გალაქტიონ: – მდინარე განგი. შუა ღამისას ნავეები დასრია-
ლობენ. ნავეებში – ლანდები. ათასს ლანდში ერთით არის
მომთვარული. მიყვარს მისი მთვარული სიზმარი.

GR: გრიგალი – ბრინჯაოში დატყვევებული (ამ წამს).

თბილისი, 3 ეკენ., 1916

ყოველი მათგანი უნდა გახდეს:

„χαίρων ζῆφει“ (ორფიკების ჰიმნიდან – დიონისოს სახელი).

Exp. GR. Robakidze

Тифлис, Ольгинский пер. 3

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

Г. Кутаис (Закавказье), Балахванская ул. собст. домъ.

Валеріану Ивановичу Гаприндашвили.

28 სექტემბერი, 916 წ. ქ. მოსკოვი.

ძვირფასო ჭიჭიკო...

მიიღე ჩემი სალამი შენდა და პაოლოს გადასაცემადაც. რო-
გორც იქნა, მივედი მოსკოვში, მაგრამ უბედურებაა ნამდვი-
ლი, რა ვქნა, არ ვიცი... მე მგონია, შენც გაგიჩდებოდა ეს-

ლა ახალი ხლავორთი. მოსკოვის პირველ სიცივეს ანთებს ალით ელენე დარიანი, რომელიც რალაც ბედით აქ მოხვდა. ხშირად გიგონებთ შენ და პაოლოს. წავიკითხეთ ერთად უკანასკნელი ლექსები.

წერილებს დალაგებულს შემდეგ, მანამ სალამი, თუ იყონ მანდ, ბედნიერ ლელიანს და კოლიას.

შენი Titico Tabize

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

Г. Кутаис, Балахванская ул. собственный домъ.

Валериану Ивановичу Гаприндашвили.

ქ. მოსკოვი. 9/X. 916 წ.

ძვირფასო ჭიჭიკო,

ელისთან, შოთასთან, გალაქტიონთან გიგონებთ.

აქაც თეთრი ლამეები, დილის ნისლით და ხანდისხან აქაური არაყით დასველებული.

„Чтоб в гроб уснувший Теодорих

О бурь жизни не мечталъ“.. და მიდის სალომეა окровавленной головой... ბლოკი კიდევ ტირის უკანასკნელ ლექსებში. მალე გექნებათ. ამ ცვედნობის ბიულეტენებს ანი გავახშირებ. ჩემი მანდ გამოგზავნილი „ყანნების“ წერილის მეშინია, ღმერთს გეფიცები, ხელმეორედ არ წამიკითხავს.

ველი „ყანნებს“ მოუთმენელად, ახალ ლექსებს და ახალ ატირებას. როგორც გავიგე, მალე გამოვა ჩერუბინა-გაბ-ბრიაკის ლექსების კრებული.

იყოს ეს უსტილო ბარათი სახსოვრად, რომ მუდამ გვახსოვხართ და ბარათის საწინდრათ. პაოლოს მაინც ვაკოცებ, თუმცა ძალიან ცვედნობს და წერილს არ იწერება.

არჩილის ვერაფერი გავიგე.

სალამი ელისგან, შოთასა და გალაქტიონისგან.

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

ძვირფასო სოსო!

შენი ლექსი მეტად კარგია. სახელად „შემლილი ოთახი“ უნდა დავტოვოთ. გაასწორე კორექტურა და არისტოსთან ერთად გამომიგზავნე, რაც შეიძლება მალე. გამიგონე შემდეგი: შენს ლექსში ორი ადგილია, რომლის მსგავსიც სხვა ლექსებშიც არი, რა თქმა უნდა, შემთხვევით. I. შესანიშნავად – დასანიშნავად. ეს რითმები არი ელენე დარიანის ლექსში. II. შენა გაქვს „წყლისფერი ფარდა“. ერთ ჩემს ლექსში არი „ქვისფერი ფარდა“. რითმებს, რა თქმა უნდა, არაფერი გაეწყობა, მხოლოდ სახეს თუ შეცვლი მადლობელი ვიქნები. ჩემს ლექსში ეგ სახე აუცილებელია, შენ კი შეგიძლია, როგორც გსურს, ისე შესცვალო. მოიქეცი, როგორც გსურს. ჩემის ფიქრით, კარგი იქნებოდა, თუ სიტყვა „ჰუნეს“ შესცვლიდი როგორმე. მეტად ულამაზო სიტყვად მიმაჩნია. აგრეთვე უკანასკნელ ტაეპში „ვიშ!“ თუ არ გაგიძნელდეს, გამოცვალე რამეთი. ეს ჩემი შეხედულებაა, შენ, რა თქმა უნდა, შეგიძლია, არ დამეთანხმო. ლექსი მეტად კარგია და მიტომ მინდა, რომ სრულებით უნაკლო იყოს. მაპატიე, რომ წერილი დავაგვიანე, მაგრამ მეტად ავათ ვიყავი, რასაც ლელი გადმოგცემდა. „ყანები“ სულ მალე გამოვა. კარგი იქნება, თუ გამოაცხადებ ახალ ამბავში. მომწერე, ვის გამოუგზავნო და რამდენი. ველი მალე პასუხს.

შენი მარად პაოლო იაშვილი

9.11.16

შალვა აფხაიძე – სანდრო ცირეკიძეს

გამარჯობა სანდრო!

მივიღე შენი წერილი. მადლობა ღმერთს, რომ შენც ცოცხალი ყოფილხარ. მე კი შემეშინდა. რომ იცოდე, სანდრო, როგორ შევშინდი, შენი სიჩუმით კი არა, ჩემი ავათმყოფობით.

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ერთი კვირის წინ სერიოზულად გავხდი ავით. ბევრმა სიარულმა მანყინა და მიმატა გულის ტკივილმა. 13 ნოემბერს კრება გვქონდა გამგეობის. სხვათა შორის, ამ კრებაზე ცოტა აღელვებული ვიყავი და როდესაც მოვედი სახლში, საშინელი ტკივილები ვიგრძენი, მთელი ღამე არ დამეძინა, გადავწყვიტე, რომ ვკვდებოდი, ცოტა გვერდიც მეტკინა და ამან სულ გადამიწყვიტა იმედი. მეორე დღეს, რა თქმა უნდა, შევიტანე თხოვნა გამგეობაში და სამსახურში განვეთავისუფლებიეთ, და განვთავისუფლდი მეორისაგან, გამგეობამ კი... კვლავ გამოიტაცა. მიწოდდა, ექიმთან მივსულიყავი, მაგრამ ერთი კვირე გადის აგერ და ჯერ კიდევ ვერ მოვიცალე მისვლა. ეხლა შედარებით კარგათ ვგრძნობ თავს. გული, თუ არ ვიარე ბევრი, არ მტკივა. მხოლოდ წელის ტკივილი შემრჩა. ერთხანს გადავწყვიტე წასვლა ქუთაისში, ეხლა კი ჯგირით ვარ. 9 დეკემბრისთვის ვმართავთ სალამოს და ეხლა იმის სამზადისში ვართ. მაინც და მაინც ბევრი დრო არ მაქვს. სხვა აქ ჩვენ და სამხედრო მედიკებს შორის განხეთქილება მოხდა. 17 ნოემბერს მოვინვიე პირველი კრება, და ბევრი კამათის შემდეგ გადავწყვიტეთ თითქმის ერთხმად, მედიკები არ მივიღოთ ჩვენ ორგანიზაციაში. ძალიან გამწარებულნი არიან. მიზეზები ბევრ ნაირნია, ვნახოთ, როგორ ხასიათს მიიღებს საქმის მსვლელობა. სხვა მე რას ვშობი? ვინ მიყვარს? მე ეხლა ვამზადებ მოხსენებას ბარათაშვილის შესახებ. ჩემს მეტი ჯერ ჯერობით არავინ არ ამზადებს. ძალიან დაინტერესებულნი არიან ქალები ჩემ მოხსენებით და უნდათ დასწრება. თუმცა გარეშე პირებს არა აქვთ ნება ჩვენ სამეცნიერო წრეში სიარულის, მაგრამ იმ სალამოსათვის აიღეს უკვე ნებართვა. სალამო განსაზრახული გვაქვს 30 ნოემბერს. ძალიან მეშინია. ვიცი წინ და წინ, რომ უკმაყოფილებით შეხვდებიან მოხსენებას. ბარათაშვილის კულტი ჩვენში ძლიერია. ბარათაშვილის პოეზია, ჩემი ფიქრით, ფორმის სრული დაცემაა, ჩვენ ვტკბებით ბესიკის ლექსის ტეხნიკით, ბარათაშვილი კი უძლურია თავის ლექსის ტეხნიკით. ხომ მეთანხმები? მერე მე მგონია, რომ ბარათაშვილს და იმ დროს შორის, რომელშიდაც იგი ცხოვრობდა არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ბარათაშვილისთანა პოეტი შესაძლებელია მოვლენოდა საქართველოს მაშინაც, როდესაც იგი უხვად სუნთქავდა თა-

ვისუფლების ჰაერს. ამაშიდაც ხომ დამეთანხმები, სანდრო? აქ კი ვიცი, ეს დებულება გამოიწვევს დიდ უკმაყოფილებას და სხვა ასეთი კითხვები კიდევ მექნება. მერანის შესახებ, მაგ., მაგრამ ამაზე შემდეგ. ასეა, სანდრო, საქმეები. ისე ნავიკითხე უკვე ა. ბელის წერილები სიმბოლიზმზე, ანენსკის „Книга отражений“. აპოლონის ნომრები, სადაც დაბეჭდილია ანენსკის წერილები „Русская лирика“, გიპიუსის ლექსები (მშვენიერია), ვკითხულობ ეხლა ბალმონტს, ბრიუსოვს და ნავიკითხე ბლოკის „ბალაგანჩიკი“, „ნეზნაკომკა“ და სხ. ლირიკული პიესები. ძალიან მომეწონა. ვკითხულობ კიდევ ედგარ პოს მოთხრობებს. ეს წიგნები ყველა შევიძინე კიდევ ვინ მიყვარს? არავინ, გული ისევ ცარიელია. და ალბათ ასე ჩავალ საფლავსა შინა, რომ... ნუხელი იყვენენ ჩვენთან ლიდა ცინცაძე (ხომ იცნობ?) და დოდიკა. ბევრი ვიცინეთ, ვიტირეთ 12 საათ. და მერე გავაცილეთ. სანდრო, ეხლა შენ მომწერე ვრცლად, როგორ ხარ? რას აკეთებ? ვინ გიყვარს? ვინ გძულს და სხ.

მე ეხლა აღარ ვმსახურებ ჯერ ჯერობით. მალე კი შევუდგები ისევ. სანდრო წერილი მომწერე უნივერსიტეტში. რადგანაც აქიდგან გადასვლას ვაპირებთ. აღარ მოგვწონს ოთახი. ჩვენ უნივერსიტეტში კარგა ხანია პოლიციელები სდგას, მად როგორ არის საქმეები?

მართლა, გამახსენდა ვანიჩკას ლექსი. რომ ნაიკითხავ, ჯერ არ მოგეწონება, მიტომ რომ მხოლოდ სიტყვების გროვა გეგონება. კომენტარებს რომ გაუკეთებს, მერე დიდებულია. მართლა მე და ვანიჩკამ ერთ საღამოს ნავიკითხეთ ერთად გაფიზის ლექსები და ორივე გამოვტყდით, რომ იმ საღამოს მივიღეთ საუკეთესო ესთეტიური დატკობა. მართლაც რომ დიდებულია. გირჩევ ნაიკითხო, სანდრო, მოთავსებული „Руский въстник“, 1874 г., том 109. Мотивы Гафиза, Прахова. ეხლა ნახვამდის.

ერთი ხუთჯერ ვიყავით მე და ვანიჩკა ადელგეიმზე. დიდებულათ თამაშობს. ეხლა ვაპირებ სობინოვზე წასვლას. მომიკითხე ნაცნობები.

შალიკო

[პეტერბურგი, 18–29 ნოემბერი, 1916]

გიორგი ლეონიძე – გიორგი მუმლაძეს

Баку. Грузинское Нефтепромышленное Т-во.

Е. В. Б. Георгия Мумладзе.

მივიღეთ თქვენი წერილი. საქმის ვითარება ასეთია; თბილისში დაარსდა ლიტერატორთა ჯგუფი, რომელმაც განიზრახა თვეში ერთხელ და ან ორ კვირაში გამოსცეს ფრიად მხატვრული კრებული. საქმის ინიციატორობა ჩემია. ამ ჯგუფში ჩაგწერეთ თქვენ, როგორც მწერალი და, რასაკვირველია, კარგად შეხვდებით ამ საქმეს. ეს პირველი ცდა კრებულისა ჩემია – საკუთარი ფულით განეული „რისკი“. თუ არ ვიზარალებეთ, მაშინ სისტემატიურად ვინყებთ გამოცემას, რათა ოდნავ მაინც ხელი შეუწყოთ ჩვენი ხელოვნების აღორძინებას. პირადად მე გთხოვთ უპირველესად თანამშრომლობას და კვლავ კრებულის გავრცელებას, როგორც კი შეგეძლება. კრებული მიჯდება 40-50 თუმანი და და თვით №1 იქნება 30 კაპ. ან 40 კ. მეტი კი არა... ესე, ექვსშაურიანი კრებული, მე მგონი, მალე გასაღდება ჩვენში. დიდად დამავალბეთ, თუ ამნაირად დახმარებას გამინევთ: თანამშრომლობითაც და კრებულის გავრცელებით. მასალები საუკეთესოა. ავტორებს გაზეთით გაიგებდით...

უკაცრავად შეწუხებისთვის...

დავშთები თქვენი პატივისმცემელი გ. ლეონიძე

საკუთარი ჩემი მისამართი ასეთია: Тифлиси. Черкезовская ул. №54. Георгию Леонидзе. შეგიძლიანთ სანდროს მისამართით... Николаевская ул. №7 Сандро Шаншиаშვილი.

[11 დეკემბერი, 1916]

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

იქითური

გაიხსნა ჭიშკარი. სულო, რად იჩქარი?
ველარ დაბრუნდები: იქ საშინელია.

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ყოფნა განამდება, როცა დალამდება,
ვერ გათამამდება, ვინც გრძნობით ნელია.
სურვილში ვერ ვკვდები, მტანჯავენ ღმერთები,
ქალების მკერდები დამშრალან, კვდებიან.
შიშით ვიხედები, გაყვითლდენ გულები,
სნეული დედები ქრისტეს ვერ ხვდებიან.
ვეფხების ლოთობა, ჭრელი ბოროტობა,
ჰანგების ლოდობა, კბენა თვალებისა,
კივილი მეხური, ცეკვა უხერხული,
უკმეხი ფერხული გიჟი ქალებისა.
ჭრილობის დაჩენა, შავი მზის გაჩენა,
დღე ვინ შეაჩვენა, ტყე რამ გადარია,
უფსკრული ქარდება, ვარსკვლავი ვარდება,
ცა ვერ ივარდება, ცივი ცა მკვდარია.
ყოფნა იქითური: წვიმა უწმინდური,
ქორწილი ბინდური, ყვირილი მაყრების,
ავი სახელები, გველთა გახელება.
ციება, ცხელება და კვნესა ლახვრების.

პაოლო იაშვილი

დაუდეგარი ღამე. თავი რკალში

სოსო! დავგვიანდი. მიზეზი „ყანნები“ გამოდის კვირას. საქ-
მე, საქმეები, საქმეებში. „იქითური“ ბოდვაა. სიზმარი, ჩვე-
ნება – თვით არ ვიცი. ნუ ინუხებ, თუ გაგიჟებული გგო-
ნივარ. ყოველ შემთხვევაში, დაბეჭდვა ღირს – რამდენიმე
ახალი რითმა მაინც არი. თუ არ ჩქარობ, უკეთესი შემოიძლია
მოგანოდო. „იქითურში“ არის სტილი. აგრეთვე კოლორიტი
აღმოსავლურ ზღაპრებისა. შესწორება არ მინდა.

პაოლო

P. S. გაფრინდაშვილმა გთხოვა: მერვე სტრიქონში სიტყვა „სამ-
ნუხარო“ შესცვალო „სასიკვდილო“-თ. მომწერე შენი აზრი.

[19 დეკემბრამდე, 1916]

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

Тифлисъ. „Сахалхо Пурцели“.. Почтовый ящикъ.
Иосифу Гришашвили.

ძმაო სოსო! ძალიან მადლობელი ვარ ჩემი ლექსის მიღებისათვის. როგორც სჩანს, თანამშრომელთა სახელებიდან „ლეილა“ იქნება ღირსეული სახარება ქართული ხელოვნებისა. განცხადებაში ნაწილობრივ ჩემი ლექსის სათაური – შეცვლილი. აი, ჩემი თხოვნა: ვალერიან გაფრინდაშვილი: „ჩასმული“ სხვა ცუდ სიტყვას გავს და ვალერიანი გთხოვს, ისევ ჩაჟენილი დასტოვო.

პაოლო იაშვილი

პაოლოს „იქითური“ აღარ მოსწონს და დღეს ან ხვალ გამოგზავნის „სევდიან ზურმუხტს“.

ვ. გაფრინდაშვილი

ვალერიანი გთხოვს „ლლიავი“-ს ნუ შეცვლი.

პ. იაშვილი

სალამი... არისტოს, ლელის. „ყანნები“ გამოვა შაბათს. გამოგზავნი განცხადებას.

[ქუთაისი, 19 დეკემბერი, 1916]

პაოლო იაშვილი – იოსებ გრიშაშვილს**

ძვირფასო სოსო!

გიგზავნი განცხადებას. გთხოვ, რაც შეიძლება, ლამაზად მოათავსო პირველ გვერდზე. დააბეჭდვინე ყოველ დღე კვირამდის, შემდეგ კი კვირაში ორჯერ – ხუთშაბათობით და კვირაობით. ფასს მოურიგდი და მერე გადავიხდი. თუ „იქითური“ არ მოგეწონა, შემომითვალე და სხვას გამოვ-

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

** დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

გზავნი. რატომ არ გამოიარე აქ. ფასი შეიძლება დიდი იყოს ერთი მანეთი, მაგრამ რა ვქნათ, რომ ძლიერ ბევრი დაგვიჯდა. ოთხ აბაზ ნაკლებ ვერ მივცემთ გამყიდველს. ერთი სიტყვით, მანდ შენი იმედი გვაქვს. მალე მეც ჩამოვალ.

შენი პაოლო

ლეელი გიგზავნის ლექსს, რომელსაც გასწორება აღარ სჭირდება.

[დეკემბერი, 1916]

ტიციან ტაბიძე – იოსებ გრიშაშვილს*

Г. Тифлис, Дворцовая ул. д. №6, Редакция газеты „Сахалхо Пурцели“. Г. Гришашвили.

ქ. მოსკოვი. 24/XII. 916 წ.

ჩემო სოსო!

შენი ბარათის საპასუხოდ გეგზავნება „სახალხო“ სახელზე „Армянская Поэзия“ ვ. ი. ბრიუსოვის თარგმან-რედაქტორობით, საახალწლოთ ალბად მანდ იქნება. ჩემთვის ძალიან საინტერესოა შენი წერილი საიათნოვაზე. ვ. ბრიუსოვს ყველა მასალები არ გამოუქვეყნებია, მალე მე დამატებით მასალებს გამოვართმევ. მეც მაინტერესებს საიათნოვა, მხოლოდ ბესიკის პოეტურ სახის ასადგენად. როგორც გაგეგონება, მეც ვამზადებ იმაზე წიგნს, მხოლოდ სპარსული მასალები ყველა ვერ შევკრიბე. წიგნი ალბათ ზაფხულში იქნება მზად. მოსკოვში ძალიან სცივა, მხოლოდ პოეზიაზე ფიქრს ვერ გააცვივებს... მანდ სულ სხვაა, მანდ ბუნებრივი მდგომარეობაა, პოეტური აღმაფრენა, ამიტომაც ხართ ძალიან მარჯვედ. გუშინ გადავიკითხე შენი ჟურნალის შესახებ განცხადება. ვერ გამიგია, ტაბიძეებს რად გაუწყერი? მე მაინც ვრჩები იმ აზრზე, რომ ეს სონეტი, რომელიც აქვე გეგზავნება, ღირსია „ლეილას“ კოცნის. ის ერთი სონეტია „სონეტების გვირგვინიდან“ ამავე სახელით, გამარ-

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

თლება არ სჭირია მის შინაარსს. რუსთაველისგან არი ნაკურთხი. თუ მოესწროს და ეს ალბათ მოხერხდება, ჩაატიე შენ ჟურნალში, შემდეგში მეც ვფიქრობ რედაქტორობას და აქედანვე მინდა მივეჩვიო იმ აზრს, რომ ქართული ხელოვნებისთვის ყველაზე უფრო საჭიროა გულწრფელობა და ერთმანეთის დაფასება.

ფატმან ხათუნი

სონეტი

ჩემ სულს ასარკებს მოგონება ცხელი ასულის,
ფატმან ხათუნი ელანდება ძილშიც ხარბ თვალებს.
მიყვარს ეს ლანდი მაშინაც კი, როცა მანვალებს,
შეიძლებოდეს დაბრუნება ნეტა წარსულის...
მუტრიბ მომღერალთ ისმის ქება აქ სიყვარულის,
ალიონამდე ჰკოცნის ფატმან ავსებულ ყანწებს
და კუროების ქარავნები ამტვერებენ გზებს,
ელიან ნახვას ნდომისაგან ფერ-გადასულის.
არ დაიღლება მისი ტუჩი კოცნით არასდროს,
სულსაც მიინდობს, რომ ლალატით შემდეგ დალადროს.
მისთვის ერთია ჩაჩნაგირი და ავთანდილი.
ფატმან! ოცნებით სცხოვრობს სული შენ ცხელ საბანში,
ის შენ ტყვედა გყავს, როგორც თავი სინის ხაფანგში,
მეც გზას მინათებს მარტო ერთი ვნების ნადილი...

ტიციან ტაბიძე

ასე, ჩემო სოსო. შეიძლება „საქართველოში“ გაძვრეს ეს ლექსი, მაგრამ ეს არაფერია, მე ზომებს მივიღებ აქედანვე. შენ ჟურნალს ველი, უსათუოდ გამომიგზავნე. ჩემი საახალწლო მიმოხილვა „საქართველოში“ ცოტა გვიან გავა, რადგან მინდა დაუცადო ზოგიერთ ჟურნალებს. ჩემი მისამართი ისევ ძველი იქნება: 4ая Тверская Ямская 29, кв. 9. რატომ შენ წერილში არაფერი სთქვი შენ ჟურნალზე?..

იკეთილე, იმღერე და პასუხიც მომწერე.

შენი ტიციან ტაბიძე

P. S. თუ მანდ იყოს, სამეგრელოს მთავარი შოთა დადიანი ჩემი სალამი გადაეცი, სად არი მისი მისამართი, რომ ერთი ბარათი მივსწერო...

გიორგი ლეონიძე – სანდრო შანშიაშვილს

Тифлисы, редакция „Сакартвело“, Сандро Шаншиашвили.

1916 წ., 31 ქრისტეშ.

ძმავო სანდრო!

გილოცავ ახალ წელს ყოველივე კეთილის ნდომით.

რასაკვირველია, „საფირონს“ ჰნახავდი...

ახლა, მე 15-ამდე სოფელში დავრჩები და თუ რამე დასჭირდეს მანდ ლავრენტის, ან დაგეკითხოთ – განაგეთ... 1000 ლავრენტის მივეცი. კარგი იქნება, კიდევ ბლომად დაგფანტოს. მიიტანოს ძმურ ნუგეშში და სხვ. აგრეთვე დამავიწყდა მეთქვა „განათლებისთვის“, რომ 50 ცალი გ. მუმლაძისთვის გამეგზავნა, 478 – ახალ კლუბთან, სვიმონას მივეცი, 400 – „განათლებას“ ძმურ ნუგეშში – 11. იქვე შეგხვოთეს 15 – ლალიძესთან, მეგაზეთეს – 20 და სულ ეს არის. ანგარიშებს გამისწორებენ, რო ჩამოვალ, წინ არაფერი არ მომცეს. კანტორა განათლებამ 30 მ. მომცა, სვიმონამ – 15 მ. ესე. მგონი, საქმე კარგად წავა, ძალიან თხოულობენ კრებულს. იყავი კარგად და მშვიდობით.

შენი გოგლა ლეონიძე

[პატარაძეული]

შალვა კარმელი – იოსებ გრიშაშვილს*

უსაყვარლესო მგოსანო,

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენს პატივცემულ ჟურნალ „ლეილა“-ში მოათავსოთ (თუ შესაძლებლათ სცნობთ) შემდეგი ლექსი:

Ego vi amo

მაშრიყის მზეო, ო, ლეილა, საღვთო ტრფიალით
შენს სადღეგრძელოს ვსვამ მგოსნურათ ოქროს ფიალით.
წითელი ღვინო მოთილისმოზს გიჟურათ მჩქეფე,

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

კვნესის მუტრიბი, ზეიშია, მეფე ვარ, მეფე!
მოდის, ქალწულო, ანიშატე დღესასწაული,
საწაული ხარ, მაშრიყელო, მზის სასწაული.
სიტურფით გახდი თვით ხელმწიფა გვირგვინოსანი,
მე სიყვარულით შევიქენი შენი მგოსანი!
ხოტბა-შაირით აღგავლინე ქებათ-ქებამდე,
ახ, დავითვერი, დავითვერი დავინყებამდე!
აბა, იგემე, რა ტკბილია ვაზის მტევანი,
გინდა, გავფრინდეთ, გველოდება სხივთა სევანი.
ცის ეთერისკენ სადაფული გზატკეცილია,
წამოდი მალე, წავიყვანოთ თან ცეცილია.
ვიშ ღამის მთიებთ, მოციალე ვარსკვლავთ მალხაზებს...
ო, როგორ მინდა, ვკოცნო მანგის ნატერფალ ხაზებს!
იქ ვერ მოგვწვდება ჩვენ სიკვდილი დღეთ მაკვეცილი,
ჩვენთვის იქნება იქ უმანკო მზის სარეცილი...
მზესთან მე შენით ჩემი სული მსურს, დავიამო,
მითქვამს და გეტყვი: ო, ლეილავ, Ego vi amo!

შალვა კარმელი

1916 წელი

ვალერიან გაფრინდაშვილი – ვლადიმერს

Дорогой Владимир.

Я бы тебя не беспокоил, если бы я не видѣл в этом крайней необходимости. Когда ты покидал наш городок, ты взял у меня „Сборник Т. Знание“, пообѣщавшись через нѣсколько недѣль возвратить его. Но время проходит, и я не то что книги не получаю, даже не знаю здоровь-ли ты или злая болезнь подкосила тебя. Ты (пожалуйста, извини за фамиллярный тон) должен дорожить собой, потому что ты один из тѣх, которым суждено обогатить мир каким-нибудь новым открытiем или-же научным трудом, плодом – обширных исследований, неисчерпаемой энергии и рѣдким умом. Я был бы очень благодарен, если бы ты постарался прислать через

кого-нибудь мою книгу и эпосу великих реформ. Первую я хочу иногда перечитывать, а вторая нужна для полного ознакомления шестьдесятью годами, имевшими, как тебе известно историческое значение для России. Если же вы присокупите к этим книгам свое излюбленного Некрасова, то тогда вы будете также великодушны как и я. Когда вы уезжали вы попросили у меня Сборник, книгу, которая была моей собеседницей, книгу, которую я часто перечитывал, останавливался на ее страницах и очень любил ее. Но я не задумываясь одолжил вам ее и в свою очередь попросил у Вас Некрасова на несколько дней, вы тоже не задумываясь почтительно отказали мне в ней. Не буду распространяться об этих пустяках и лучше поздравлю вас как публициста. Ваш первый литературный дебют кончился великолепно. Я перечитывал вашу статью, и в ней очень мало значительных недостатков. Грузинский язык прихрамывает у вас, но это ничего, вас оправдывает то обстоятельство, что вы не изучали своего родного языка. То что вы хотите сказать вашей статьей великолепно доказывается местом процитированным из Маркса. И как вы все это могли сгруппировать, нужно только удивлять нечему, потому что успехи и в дальнейшем будут объясняться вашим далеко не обыкновенным умом. Здесь все течет однообразно, никаких существенных перелетных, также – как и прежде чирикают молодые воробьи, также как и прежде здесь тараторят много дураков, также как и прежде здесь много несправедливостей творится во имя царизма. Пожалуйста, как можно поскорее пришли книги, я в них настоятельно нуждаюсь.

Твой друг и товарищ Чичико

[1917-800]

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ქ. მოსკოვი. 2/1. 917 წ.

ძვირფასო ჭიჭიკო! გვიანად გილოცავ უკვე წასულს დღე-სასწაულებს. ამნაირი მოწყენა და სიცივე არასდროს არ მიგვრძნია მოსკოვში, როგორც ეხლა. ამ წლის დასასრული ჩემთვის ერთი გაუთავებელი კომმარია. როგორც გამწარებული მშვიერი მგელი, ისე ვიკბინები გარშემო. მეგობრები არ მყოლია, მაგრამ თანდათან მაინც მიდიან... იქნებ გზა იქეთ ქონდეთ.. რეტიანივით ვზივარ ფილიპოვის კაფეში და მაგონდება „რაიმსი“ და „სამოთხე“. ამ ცვედნობას თქვენ აძლევდით სიცოცხლეს.. არ ვიცი, ეს რითი გათავდება, მე ბევრის მეშინია. თუ დავეშვი, შემდეგ ვერაფერი გამაჩერებს. თქვენ, როგორც გეტყობათ, კიდევ გამოგყვით ქართული მზე და ლოთობაში კენჭავრობთ პოეზიაში... მე ძალიან მაინტერესებს „ყანები“, თუმცა პაოლოს სუფრის ბოლოში მიუკიგდივარ. თუ ინტერესი არა, ნელთა დამსახურება მაინც წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო ამის. რასაკვირველია, ეს წვრილალია, მაგრამ ეხლა ისე ცუდათ ვგრძნობ თავს, რომ ამასაც აქვს მნიშვნელობა. ამის გარდა, აქ აბურთავებენ ერთ ჭორს, ვითომ პაოლო უნდა უმოყვრდებოდეს ერთ სკვითელ ქალს, რომელსაც შორიდან ჩვენც ვიცნობთ. რამდენად მართალია ეს ამბავი და თუ ჭორია, რისგან გავრცელდა?.. მე იმისთანა კაცმა გადმომცა, რომ არ შეიძლებოდა, არ ცოდნოდა. რატომ უნდა გავიგო მე უკანასკნელმა?

თქვენ წერილებს მხოლოდ მპირდებოდით, რათ არ მიგონებთ, თუნდა მაშინ, როცა ლოთობთ, ჩემი მშვიერი და ხარბი სული ხომ თქვენთანაა.. გალაქტიონის საღამომ როგორ ჩაიარა, „მეგობარში“ წავიკითხე რეცეზია, თითქო ძალიან საინტერესოა, მაგრამ გიტარის რომანსებს იმის გარდა, რომ პროვინციის სუნი უდის, ისედაც მიუღებელია, მე მგონია. ყურნალები ძალიან ვრცელდებიან, ეს „ლეილა“ და „საფირონი“. „ლეილაში“ გრიშაშვილმა თითქო გადამიხადა სა-

მაგიერო ჩემი „ყანების“ პირველ წერილისთვის. მაგრამ ღმერთია მოწმე, რომ მე გულწრფელი ვიყავი და ამასთან სიყვარულით ყოველთვის მეტს ვლაპარაკობ, ვინემ ობიექტიურ ღირებულებას შეუძლია მაჩვენოს. ყოველ შემთხვევაში, ჩემზე გადარება პირველი არ არი, მე მხოლოდ ის მაშინებს, ეს მეგობრებსაც არ გადაედვას. ჭიჭიკო, მაპატიე, ეს უსტილობა, მაგრამ ცუდათ ვარ, ცუდათ. ეჭვები ისე მჭამენ, როგორც როლინას ჭიები. ცუდ ხასიათს ვიბეძებ საახალწლოთ. შეიძლება, ეს საბედისწეროც იყოს. დავდივარ ხშირად ბალმონტთან, ამას ჩემთვის არ აქვს უკვე შთაგონების და აღტაცების ნიშნები, როგორც პირველად. ორში ერთია, ან მივეჩვიე ან ცუდათ ვარ, თუმცა ბალმონტი ძალიან საინტერესოა ხანდისხან. მისი უკანასკნელი წიგნი „თაფლის, მზის და მთვარის სონეტების“ უსათუოდ საინტერესოა, ყოველ შემთხვევაში, რუსულ ახალ პოეზიასთან შედარებით. ვ. კამენსკის წიგნი მივიღე. უმრავლესობა ამ ლექსების რუსული „გარმონიკის“ დამღერებაა ანეულ ხასიათზე, რასაკვირველია, არის შიგ ადგილები, მაგრამ სინმიდე არ არი, სინმიდე!.. მე პედანტი გავხდი ბოლო დროს, უსათუოდ „ტანჯვა უნდა იყოს პოეტისთვის, რაც სხვას მუსიკად ეჩვენება“, ან რალაც ამგვარი. შეიძლება, ეს ჩემი მინორის ბრალია. გინერ ტერცინებს ბალმონტის სონეტისას „ჩრდილოეთის ცის ქვეშ“, რომელიც წინუძღვნა ახალ გამოცემას ლექსების კრებულებისას, წელს რომ დაიწყო ვ. პაშუკანისმა. ამას ხშირად ვიმეორებ, უბრალო სიტყვებია, მაგრამ მაინც მიყვარს. იწყება: До самого конца вы будете мне милы, родного съвера непышные цветы.

ტერცინები:

Судьба счастливая дала мне первый день,
Судьба жестокая второй мой день послала.
И в юности моей не медь я зналъ, а жало.
Под громкий лай собакъ бѣжал в лѣсах олень.
И пена подала. А слѣдом расцвѣтала
Грустянкая синяя, роняя в воду тень.

1916, 7 сентябр.

Над Окой

შემდეგ კიდევ ერთს სონეტს, რომელიც მე ამომივიდა ბე-
დათ, როცა სონეტებით მკითხაობდა თავის ნაცნობებში.

На огненномъ пиру

Когда я думаю, что предки у коня,
Въ безчисленныхъ вѣкахъ, чьи густы вереницы,
Являли странный ликъ с размѣрами лисицы,
Во мнѣ дрожитъ восторгъ, пронзаяющій меня.
На огненномъ пиру Творящаго Огня
Я червь, я хитрый змѣй, я быстrokрылость птицы,
Умъ человека я, чья мысль быстрѣй зарницы,
Сознаніе мировъ живеть во мнѣ звеня.
Природа отошла отъ своего Апрѣля,
Но наслоеніями записаны слова.
Мѣняется размѣр, но песня в немъ жива.
И Божья новая еще нас ждетъ недѣля.
Не такъ ужъ далеки предъ ликомъ Божества
Акулы, плавники и пальцы Рафаеля.

შენი ვერხპარნის სონეტის პირველი რვა ბნკარი დიდებუ-
ლია, ერთ ალაგას გადადის ტირილში გალიუცინატ бездом-
ный. პირველი ტერცინაც კარგია, უკანასკნელი ნაკლები.
ასეთი იყო პირველი ჩდაბეჭდილება. ველი „ყ“ და „ლეილა“-ს
ლექსებს... მაინტერესებს ძალიან ე. დარიანის „მე და კატა“
და პაოლოს „ფარშავანგები ქალაქში“. რაც შეეხება „ჭლექიან
მისალმებას“, მე მგონია, პაოლოს ჭლექზე ისე არ აუდგე-
ბა, როგორც მაჰმადიან საჭურისს, მაგრამ მაინც ვინ იცის?..
საახალწლოთ თუ იქნა რამე ჩვენზე, ვიცი წინდანინ, ჩემზე
არ იქნება ხელსაყრელი, წინათგრძნობით ვგრძნობ. გიგზავნი
ერთ ჩემ საკუთარ სონეტს „ფატმანს“, პირველი, რომ შემო-
ვილო ტრადიციით წერილში ლექსის ჩადება, მეორე, რადგან
ეს პირველი სონეტია, შენც მითხარი შენი აზრი, თუ გამი-
პირდები, მე მინდა, წიგნში შევიტანო რამდენიმე სონეტი.

.....

დავწერე ერთი ტყუბი სონეტი (близнецы), არ ვიცი, როგორ
მოგეწონება ეს იდეა. ვაშენებ სამ კარავს, როგორც ფე-
რიცვალების მოციქული შენთვის, პაოლოსა და გრიგოლის-
თვის. წიგნი უნდა დავამზადო ამ ზაფხულისთვის. იქ ელენე

დარიანიც შევა და გალაქტიონი და ალიც. ჩემი „ქალდეას ქალაქები“-ს კედლები თანდათან შენდებიან, ვდგევარ მენამულ ქარბუქში და მიდიან: ჟონგლერები, მისტაგოგები, დედოფლები, ძველი ოსტატები და წარმოიდგინე, კონკვისტატორნიც. როცა ქალაქები აშენდებიან...

მოსკოვში იანვრის სიცივეებია. პუშკინის ძეგლი სდგას, როგორც კამანდორი, ასე შეადარა ერთმა მოსკოველმა კულტურისტმა კარალევიჩმა, რომელმაც დასწერა საინტერესო ნიგნი სათაურით მაინც „Студенты столицы“. ბევრია სურათების გამოფენა, თუ დაგაინტერესებს, რეპროდუქციებს მაინც გამოგიგზავნი. მაქს ვოლაშინმა გამოაფინა სურათებით „სონეტების გვირგვინი“. ძალიან საინტერესოა, ყოველი სტრიქონი სურათია – „Монастыри въ предверіи пустыни“, „Мѣдныхъ солнць гудящіе закаты“, აგრეთვე სურათი ალტმანის „ანნა ახმატოვა“.

მალე გამოვა ალმანახი, სადაც ვალერი ბრიუსოვი აგრძელებს პუშკინის „Египетскія ночи“-ებს. თუ დაგაინტერესებს, გამოგიგზავნით.

ელი არ ჩამოსულა განჯიდან, პაოლოს სიჩუმე იმ წერილზე, ჩვენ რომ გამოუგზავნეთ, ღორობაა და უსინდისობა.

მარიჯანი ვინ ეშმაკია, ან განჯას რად აწერეს, იქნებ გაიგო, მე მაინტერესებს ძალიან.

ჭიჭიკო, ჭიჭიკო..

მათხოვარივით გთხოვ, ღვინით დასოლებული ღია წერილები მაინც გამომიგზავნოთ.

ვკვდები, ვიყინები სკვითების ქვეყანაში, ვიმარხები თოვლით მარტო, უმეგობრო; შემაბით პოეზიის ეტლში მეც.

ადლეგძელეთ და მოიგონეთ.

.....

P.S.-5. ნიკო ლორთქიფანიძეს მალე გამოუგზავნი ანდრეი ბელის „Серебрянный голубь“-ს. ძველი გამოცემა არ არი, პაშუკანისი ამ დღეებში უშვებს.

P.S.-6. „ცისფერ ყანწებზე“ მკლავენ, გამომიგზავნეთ რამდენიმე ეგზემპლარი „საზოგადოების ნევრებისა“.

P.S.-7. „ყანწებზე“ ბევრს ლაპარაკობენ და ნერვიულად ელიან.

ტიციან ტაბიძე – იოსებ გრიშაშვილს*

ქ. მოსკოვი, 27 იანვარი, 917 წ.

ჩემო სოსო! შენი წერილი ჟურნალ „ლეილა“-თი მივიღე. პასუხის დაგვიანების მიზეზი სხვათაშორისით ისიც არი, რომ მინდოდა დიდი წერილი მომეწერა. მე შენზე პირველად არ ვფიქრობ, დიდი ხანია თვალს ათამაშებდა შენი ლექსები. მე მინდა გამოვჭრა ერთი „მედალიონი“ შენი პოეტური სახის. ამისათვის საჭიროა სიყვარული. ის, რაც სიყვარულით არ იწერება, ღირსი არ არის კითხვის, ეს წერილი თითქმის მზა არი. მე მინდა მისი შელამაზება. ტყუილად გონია, რომ მე გულწრფელი არ ვიყო, მე შენზე არაფერი მითქვამს ისეთი, რომელიც შენ გამცირებდეს. მე შენი გვირგვინი მწამს, იგი უსათუოდ დაგრჩება. მე გულწრფელი ვიყავი, მაშინ როცა შანშიაშვილი პოეტად მწამდა და გულწრფელად ეხლა ჩემთვის ის მარტო ლეშია. მე არ ვმაღავ, რომ ყოველი წელიწადი ჩემში ცვლის გემოს, არც იმას, რომ ერთხელ სამარცხვინო ლექსებს ვწერდი. ჩვენში კულტურა ძალიან მძიმედ მოდის და გვიანი მოსვლა მაინც სჯობია. შენ ამბობ, რომ უფრო გრძნობა გწამს, ვინემ გონება. რასაკვირველია, პოეტი გრძნობაა, მაგრამ გონება ძალიან საჭიროა, შენ რომ გონება გწამს, იმ წერილიდანვე სჩანს. შენ თვითონ შეამჩნიე შენი დამსახურება პოეზიაში, რომ პირველად აამღერე „ჭორფლი“, „ქინძისთავი“ და „ფეხები“. რასაკვირველია, ის ნაბადი, რომელზედაც შენ ლაპარაკობ, შენამდიც იყო გათელილი ძველი ქართველი პოეტებისგან, მაგრამ ის უკვე შეცვალეს რუსულ ფარაჯად, შენ ხელმეორედ გათელე და ვერავინ ვერ იტყვის იმას, ეს ნაკლები დამსახურება იყოს. ამის გარდა, ბევრი აღნიშნავს, როგორც დროის განსხვავებას, ისე პოეტური ტემპერამენტისას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ყური დიდხანს იყო „დამშეული კარგი ლექსის მოსმენითა“ შენამდი. მე და ჩემი მეგობრები ამას არც დავმაღავთ და ბევრჯერაც ვიტყვით. დღეს ჩვენში ბევრი გაუგებრობაა.

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

გაუწიოთლებლად ინერებიან წერილები პოეზიაზე იმ ხალხისგან, რომელნიც ლექსებზე არასოდეს არ დაფიქრებულან და არც უტირიათ. აი, აბაშელზე. არსად ისე არ სცივა, როგორც ამ „მზის პოეზიის“ „მზის სიცილში“, მაგრამ ეს თითქო არაფერია. ლექსების ოსტატად მიაჩნიათ, როცა აი თუნდ შენგან დაბეჭდილ უკანასკნელ ლექსში ამნაირი რითმებია: „დაკიოდა“, „სცვიოდა“, „ეურჩებოდა“, „რჩებოდა“. ასეა აჭრელელებული მთელი წიგნი. ეხლა ვინ არ იცის, რომ ზმნის რითმები ზმნაზე – მაჩვენებელია ჩამორჩენის და უიაფესი საშუალება და განა მარტო ეს?..

მე საკმაოდ მიყვარს ლექსი და ბოლოს საკმაოდ ვიცი, რომ არ ვაფასებდე და არ ვიცოდე შენი ფასი, მე მგონია, ამაში დაგაჯერებ.

დაბოლოს, ყველა პოეტი მიხვდება, რომ პოეზია პოეტებისათვის არი მარტო და უმრავლესობას და მათ ბრბოს, რომელიც ჩვენში ეხლა იზრდება, უნდა ქართულ ოლომპზე „კოპერაციის დუქანი“ გაალოს.

შენი „ლეილა“ ძალიან მომწონს. „სპარსეთის დედოფალი“ დიდებულია: პირველი და უკანასკნელი სტანსები განსაკუთრებით. ჩემი რჩევაა, ნუ გაიაფებ თანამშრომლებს, ეს საჭიროა ხელოვნებისთვის და პოეზიისთვის. ჩვენში ბევრი მომზადების დროს ბეჭდვაში გადის და ლექსზე არ მუშაობს, ეს ცუდია, როგორც მისი კარიერისთვის, ისე ქართული პოეზიისთვის, რადგან სიმრავლე ხანდისხან ინვევს გადაფასებას და სახელს უფუჭებს დიდ პოეტებსაც. ჩემთვის საინტერესოა შენი რედაქტორობა, „ლეილას“ ცალკე წერილშიც შევხვები. აქ მზადდება რუსული კრებული ქართველი პოეტების თარგმანის ცნობილ რუს სიმვოლისტ პოეტებისგან, შენ იქნები წარმოდგენილი შიგ ღირსეულად, ლექსებს მე ავარჩევ. თუ შენ გაინტერესებდეს, რომელიმე შენი ლექსი განსაკუთრებით, მაშინ მომწერე. ჩემ არჩევანში მე მაინც უცხო ვარ და შენი შენ უფრო იცი.

წავიკითხე „ყანწების“ სალამოზე, ტფილისში რომ იმართება, ძალიან მაინტერესებს. რაც უნდა იყოს, მე მჯერა, რომ შენ არ შეშინდები და ჩვენთან იქნები, ამას გავალებს პოე-

ზია. ჩვენ ბრბო ვერ შეგვაშინებს და ერთხელაც არი მიხვდება, ხელოვნება გვიყვარს და საქართველოც.

აქ არი ერთი იაპონელი პოეტი, ბალმონტთან გავიცანი, ძალიან აინტერესებს ქართული პოეზია: რუსთაველი და შემდეგ ახალი, რადგან თვითონ სიმვოლისტია. მალე შეიძლება იაპონური წიგნი ვნახოთ ქართულ პოეზიაზე... ძალიან საინტერესოა. გაზაფხულზე ის ჩამოვა საქართველოში, თუ მე ვერ გავთავისუფლდი, თქვენ გევალებათ ტფილისში მიიღოთ ქართულად და გამოიყენოთ.

მომწერე „ლეილას“ შემდეგი პლანები და მომავალი.

თუ საჭირო ვიქნე, გამომიყენე.

ჩემი მისამართი: Москва, Поварская, Борисошебнскій, д 13, кв 3.

P.S. კომპლიმენტისათვის ძალიან გმადლობ, თუმცა ერთს შენგან დასახელებულ სამეზაში ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ, ის ზედმეტია ქართული ხელოვნებისთვის...

არც ასე გვიან რაფიელ ერისთავისკენ უშვებდა ახალ პოეტებს, დღეს გამოცვლილა პარიკმახერის პუდრით, მაგრამ გემო მაინც ძველია...

P.S. თუ საინტერესო წიგნი იყოს რამე ახალი ტფილისში, ან გამოგიგზავნე, ან მომწერე, ვალს გადავიხდი, მაქვს თუ არა: „Персидскіе лирики“ – რუსული თარგმანი სპარსელ პოეტების საინტერესო წიგნია, ან А. Кримскій-ს „Исторія Персидской Литературы“. ეს შენთვის საჭიროა სადათნოვას გამო. თუ არა, მე გამოგიგზავნი, უკანასკნელი მაინც ტფილისში არ იქნება.

მიგულე მეგობრად და შენ პოეზიის მოყვარულად.

შენი ტიცციან ტაბიძე

უფრო ლირიკული წერილი შემდეგ.

ტიციან ტაბიძე – ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს*

Г. Елизаветполь (Закавказье).

Еленѣ Феодоровнѣ m-me Беришвили.

ქ. მოსკოვი. 10 მაისი, 917 წ.

ელლი!

ვაგზავნი ამ წერილს, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ მიიღებთ. მ. მაჩაბლის ქალმა დამარწმუნა, რომ შეიძლება ასე გამოგზავნა. აქ რამდენიმე კვირაა ფოჩტა არ მოდის. ჩემი ამდებანს აქ დარჩენა მარტო იმით თუ გამართლდება, რომ შვიდი ეგზამენი ჩავაბარე კიდეც, თუმცა საშინლად დავილაღე. მოსკოვი გამოიცვალა სრულიად, ქუჩა ლაპარაკობს ძალიან ხმამაღლა და, როგორც ყოველთვის, მისი ხმა ძალიან შეურაცმყოფელია ესტეტიზმისთვის. მეოთხეჯერ მივიღე ტელეგრამმა ტფილისიდან, რაც მაიძულებს წამოსვლას... ალბად ერთი თვე იქ მომიხდება დარჩენა, რასაკვირველია, უქუთაისოთ ვერ გავძლებ. ჩამოვიდა გალაქტიონი, როგორც ყოველთვის, ცუდ ამბებს ამბობს, მაგრამ მე მაინც საქართველოს სიცხე და მზე და მეგობრები მენწვიან. უკვე ჩავენერე ექსკურსიაში, რომელიც 21 გამოვა მოსკოვიდან. საქართველოში ალბად გნახავთ. იყავით მზიანი და მაპატიეთ პროზა წერილი.

v. àt. ტიტე ტაბიძე

ანა ახმატოვა (პოეტესსა), ნახატი ოლგა კარდოვსკაიას.

გიორგი ლეონიძე – სანდრო შანშიაშვილს

Ст. Цнорись-Цкали, Сел. Джугаани. Сандро Шаншиашвили.

10 მაისი.

ძნაო სანდრო, მოგიკითხავ სიყვარულით. საქმე შემდეგშია: ევგენი გეგეჭკორმა იკისრა „საფირონის“ გამოცემა და ამ

* დაცულია გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში, პატარძელში.

მე-2 №-ში, სხვათა შორის, გამომცემმა მთხოვა, რომ ამ №2-ში რედაქტორად ვყოფილიყავ ასე: სანდრო შანშიაშვილის და გ. ლეონიძის რედაქტორობით. მე მგონია, რომ უარს არ განაცხადებთ. განცხადება ჩემის თავდებით გაუშვი, თუმცა დიდი, დიდი უზრდელობაა ჩემის მხრივ, ვკადნიერდები და იმედია, მაპატიებ. მე მგონია, უარს არ იტყვი და მასალასაც მომანვდი ამ მოკლე ხანში. ერთი სიტყვით, იმედი მექნება, რომ არ გაჯავრდები და მასალასაც მომანვდი, ხოლო თუ ჩამოვილი ქალაქში, მაგას ხომ არა ემჯობინება. აი, ამ წერილის წინედაც დეპეშით გამოგიგზავნე. პასუხს ველი მოუთმენლად.

შენი გოგლა ლეონიძე
[თბილისი, 1917]

გიორგი ლეონიძე – სანდრო შანშიაშვილს

ძმაო სანდრო!

სალამი! ამას წინედაც გამოგიგზავნე წერილი და ახლაც დეპეშის მაგივრად ვგზავნი ამ ბარათს:

ევგენი გეგეჭკორმა იკისრა „საფირონის“ მე-2 კრებულის გამოცემა და მთხოვა, რომ შენც ჰყოფილიყავ რედაქტორად. თუმცა დიდი კადნიერება ჩავიდინე და გაზეთებში უკვე გამოვამჟღავნე – მე მგონია, არ გასჯავრდები. ეს უფრო საქმის სიყვარულით მომივიდა, რადგან დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. ასე, მაინცა და მაინც თუ გეწყინა და არ გესიამოვნა, სასწრაფოდ შემატყობინე. მე კი ძალიან მინდა, რომ ეს კრებულიც გამოვიდეს და როგორც ამბობდი: განაგრძელო მისი გამოცემა. პასუხს ველი და, რასაკვირველია, მასალასაც. მასალაში აუცილებლად უნდა იყოს შენი ლექსი... თუ ჩამოხვალ მასალით ახლა და მასალასაც გადაათვალიერებ, მაგას რა ემჯობინება. თუ არა და გამოგიგზავნი... ასე – კრებული იმავე სახით ამ თვის ბოლოში გამოვა და მე აშკარად ვერ ვიმოქმედებ, სანამ შენი პასუხი არ მომივა...

სრული იმედი მაქვს, კადნიერებად არ ჩამითვლი და ისევ შენი შემწეობით დავაგვირგვინებთ „საფირონის“ საქმეს.

შენი გ. ლეონიძე

1917 წ. მაისი 12, ქ. თბილისი

ველი პასუხს! მე ისევ რედაქციაში ვმუშაობ.

იოსებ გრიშაშვილი – ვალერიან გაფრინდაშვილს

სალამი ჭიჭიკოს!

„ლეილა“ მინდა გამოვცე ტფილისში და გთხოვ, რამე გამომიგზავნო. ან თარგმანი სპარსულ ლიტერატურიდან ან ორიგინალური, სულ ერთია: მე მინდა, რომ ჩვენს ჟურნალს „გაფრინდაშვილიც“ ამშვენებდეს...

ი. გრიშაშვილი

[27 მაისამდე, 1917]

იოსებ გრიშაშვილი – ვალერიან გაფრინდაშვილს

Кутаис, Балахванская.

Поэту Валер. Гаприндашвили (ვ. გაფრინდაშვილს).

От Гришашвили. Почт. ящ. 190.

ჭიჭიკო!

მეორე რვეულისთვის მომანოდე რამე... საჩქარო კია! მალე! ამ თვის გასულს უეჭველად გამოვა. აწყობილია სხვა მასალები. ველი შენსას: – შენ გვაკლიხარ. შენი ყვავილი აკლია ჩვენს თაიგულს.

ი. გრიშაშვილი

[27 მაისი, 1917]

იოსებ გრიშაშვილი – რაჟდენ გვეტაძეს

Квирилы, типографія Арабидзе.

ძმაო რაჟდენ!

გთხოვ, ერთი ცალი სნეული ლექსებისა აქ გამომიგზავნოთ.

Боржом. Гостиница „Фируза“ – Гришашвили.

პატ. ი. გრიშაშვილი

[14 აგვისტო, 1917]

სანდრო ცირეკიძე – იოსებ გრიშაშვილს*

Тифлиς, редакція „Сахалხო Пурцели“.

იოსებ გრიშაშვილს.

ძმაო სოსო,

გთხოვთ, ცოტა დამავალოთ: მრავალია აქ მსურველი, გაიცნოს თქვენი „ლეილა“. დამავალეთ და გამომიგზავნეთ 10 ცალი. ხვედრ ფულს (გამოგზავნიანათ) მოგართმევთ.

ალ. ცირეკიძე

P.S. ჩემი მისამართი: Кієвъ, Б. Васильковская, д. 81, кв. 20.
Александрю Цирекидзе.

[1917]

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ალი არსენიშვილი, ტიცციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ვალერიან გაფრინდაშვილს. Валеріану Гаприндашвили.

Кутаисъ, Балахванская, с.д.

ძვირფასო ვალერიან. გუშინ „ჩვენებმა“ „სალამო“ გამართეს „გორში“: – ინტერნაციონალური ჯგუფისათვის. თქვენს ართანა-ყოფას ვგრძნობდით ჩვენ: – გრძნობდენ სხვებიც, პაოლო ახალგაზრდა ვეფხს გავდა, რომელიც გაგიჟებული ნახტომებით სონეტების სტრიქონებს კრალავდა და ვეშაპის გავა-ბოლოს მოქნევით ზღვის ზედაპირზე მზეს ყვავილებს აკვეთინებდა. ტიცციანი ქალდეას შორეთით მოვიდა ნახევრად ცხოველი – ნახევრად ფრინველი და ცხელი სიგიჟის სუნთქვა შემოიტანა. ალი ქაოსის მკერდზე დადიოდა: ფრთები რომ არ ჰქონოდა, მკერდის ხმაურში დაიხრჩობოდა. მეც ვთქვი: გაგიხსენეთ თქვენც: გაგიჟებული მუდო: შავი ქვეყნით გამოდის მზის სარკვეულში, რომელსაც „ორეულეებით“ ამსხვრევს, ჩამოდით: უთქვენობა შეუძლებელია.

გრიგოლ რობაქიძე

გუშინ გავანყვეთ გრიგოლის კორონაცია. იყო სეფე-სიტყვა, და სიტყვები მინისტრების, შენ გვაკლდი – თუმცა ხალხმა კარგათ დაგინახა. სერგეი გოროდეცკიმ დაგვითმო მთელი ევროპა. ვოცნებობდით გეგემონიაზე, და გავხდით ლიტერატურული იმპერიალისტები. თამამად! გაარღვიე ბალახვანის ორლოზე „выъзжай из Майдана в Европу.“

შენი პაოლო

ქუთაისი შენი ქუთაისი სხვანაირია, მაგრამ ნათელი სიგიჟე თბილისის გიხმობს, დაეძებს შენს სულს. „მოსკოვის“ არბატის სინტეზი აქაა, მოდი.

ალი

ვალერიან ჩემთვის ადგილი არ დარჩა – მაგრამ შენ სიყვარულში „ვინ დამაკავებს“ – გელის თბილისი გაკვირებული.

შენი ტიცვიან

გოროდეცკიმ მოგიკითხა.

ტიციან

[8 ივნისი, 1918]

**პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, გრიგოლ რობაქიძე –
ვალერიან გაფრინდაშვილს**

1918 წ. 28-VI.

ძვირფასო ვალერიან!

ვარ ჭიათურაში გრიგოლ რობაქიძესთან და ლელისთან ერთად. გვინდა ქუთაისში ჩამოსვლა, თქვენი ნახვა ყველასი. თუ ტიტე არ არის შემატყობინე და დეპეშით გამოვიხმობთ. მომწერე, როდის წამოვიდეთ. ვცხოვრობთ თქვენის ხსენებით. სოფელში მწვანე სიკვდილისაგან დამიხსნეს გრიგოლმა და ლელიმ. მენატრება ქუთაისის უძილო ღამეები, მომწერე საჩქაროდ როდის წამოვიდეთ. თუ ყველა მად ხართ, სულ მალე ჩამოვალთ.

შენი პ. იაშვილი

მალე, მალე გვათენებია ქუთაისის ფირუზის ღამეები ვალერიან, ვალერიან!

ლელი

სინაზეს – კლდეში ამოკვეთილს, სალამი.

გრ. რობაქიძე.

გიორგი ლეონიძე – ანტონ ნატროშვილს

თბილისის სასულიერო პროგიმნაზიის დირექტორს
გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძის

თხოვნა

გთხოვთ, თქვენდამი რწმუნებულ პროგიმნაზიაში გამამწესოთ ქართული ენის ან გეოგრაფია-ბუნებისმეტყველების ადგილზე.

მსურს, პედაგოგიური მუშაობით ხელი შეუწყო საქართველოს აღმშენებლობით მუშაობას. დავასრულე თბილისის სასულიერო სემინარია. ვთანამშრომლობ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, სადაც ამ სამი წლის განმავლობაში იბეჭდება ჩემი ნაშრომები ხელოვნებიდან და საქართველოს ისტორიიდან.

მთხოვნელი: გიორგი ლეონიძე

ქ. თბილისი, 29 ენკენისთვე, 1916 წ.

28-IX. 1918 წ. იქონიოს სახეში და მიეცეს ადგილი, როდესაც თავისუფალი იყოს. საჭიროა, რომ ეს ნიჭიერი ყმანვილი ჩვენს სასწავლებელში იყოს.

დ. ანტონ

თარიღი (1916) შეცდომაა, უნდა იყოს 1918, როდესაც თბილისში, რევოლუციის შემდეგ პროგიმნაზიას ხსნიდა ანტონ ნატროშვილი. მე მასწავლებლობა აზრადაც არ გამივლია თავის დღეში. მხოლოდ ერთ დღეს ჩემთან ბინაზე მოვიდა ა. ნატროშვილი და მთხოვა, მასთან მეთანამშრომლა, მეც მისი პატივისცემით დავთანმხდი და ეს განცხადება მაშინდელი დაწრილია იმ გარემოებაში.

გიორგი ლეონიძე

3 აპრილი, 1941 წ.

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ძვირფასო ჭიჭიკო!

ყოველ ჩვენ დღეებს თბილისში შენზე ფიქრით და ოცნებებით ვალამებთ, პაოლომდი და შემდეგაც. შენი მარტოობა გვაშინებს. ალბად ლექსებათ დაიცლები. ჩვენ ფუჭ დღეებზე პაოლო გეტყვის. ხშირად ვკითხულობ შენ ლექსს ჩემზე და დავრწმუნდი, რომ სამაგიეროს ვერ გადავიხდი, მაგრამ ნურბელივით მაინც მიყვარს პოეზია. ჩემ „ვანქის ტაძარზე“ პაოლო გეტყვის. ძალიან მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ კოლომბინა არი ავათ, ჭლექიანი ქალი ჩემთვის, მგონი, საბედისწერო შეიქნეს!.. ხშირად გიგონებს შენ და პაოლოს, ხანდისხან ტირილამდის, პაოლოს მეგობრობის გამოცდა იქნება დაგვიანებაა.

ნავიკითხე „აისი“. არ ვუმაღავ რედაქტორს, ეს შენი მონაფეების დღესასწაულია. მე მაგათი მჯერა. ჭიჭიკო, ყოველ ღამე ვიმეორებ: ვილუპებით ჩვენ ორი და უკვდავ ყორნის მაგონდება მე „nevermore“...

არასდროს არ ვყოფილვარ ასე დამონებული, როგორც დღეს. მაგრამ არასდროს არ მწამებია „ყანების“ ისე, როგორც დღეს. „მხოლოდ ლექსი არ შესწყვეტს მღერას“, <...>.

შენი ტიციან

[თბილისი, 1918]

1919

პაოლო იაშვილი – დამფუძნებელი კრების კომისიას*

დამფუძნებელი კრების კომისიაში

„ესტეტიური ლიგა პატრიოტების“ ჯგუფის სახელით, გთხოვთ, დაბეჭდოთ 250,000 (ორას ორმოცდა ათი ათასი) ცალი ბიულეტენების მე-14 ნომრისათვის. 50 (ორმოცდა ათი ათასი) რუსულად, ხოლო 200,000 (ათასი) ქართულად. ადგილები, სადაც საჭიროა ბიულეტენების გაგზავნა, შემდეგ იქნება წარმოდგენილი.

*ჯგუფის წარმომადგენელი პაოლო იაშვილი
[26 იანვრის შემდეგ, 1919]*

ტიციან ტაბიძე – საქართველოს დამფუძნებელი კრების მომწვევ ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარეს**

საქართველოს დამფუძნებელი კრების მომწვევ ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარეს

„ესტეტიური ლიგის პატრიოტების“ ჯგუფის წარმომადგენლის – ტიციან იუსტინეს ძის ტაბიძისგან

განცხადება

რადგანაც ქართველ მწერალთა და მხატვართა ჯგუფის „ესტეტიური ლიგა პატრიოტების“ არის ახლათ დაარსებული და მოკლებულია საშუალებას, ჰქონდეს ისეთი გამართული ორგანიზაცია, როგორც სხვა პარტიებსა და რადგან ლიგაც აგრეთვე მოკლებულია მატერიალურ საშუალებასა და მისი საარჩევნო ფონდი ძალიან განსაზღვრულია და ძლივს

* დაცულია საქართველოს ეროვნული არქივში.

** დაცულია საქართველოს ეროვნული არქივში.

აუვა სააგიტაციო ხარჯებს და ბიულეტენების დასარიგებლათ, მოკლებული ვიქნებით საშუალებას გაუძღვეთ ჩვენი ხარჯებით, ამიტომ ვითხოვთ ავანსს, თანახმათ საარჩევნო კომისიის დადგენილებისა 2000 მანეთს.

ტიციან ტაბიძე

ქ. ტფილისი, 10 თებერვალი, 1919 წ.

ყარა-დარვიშ – ტიციან ტაბიძეს

Тициану Табидзе.

К большому моему сожалению, я первый раз в таком большом грузинском обществе.

Но сюда меня потянуло то глубокое и неразрывное чувство, которое я питаю к тебе, дорогой Тициан, и к твоим соратникам по творчеству от Голубых Рогов.

Я к сожалению не умею читать Ваши произведения, но я их прочитал и изучил в подленнике – я читал и изучил Вашу прекрасную душу и я убежден, что и Ваши произведения так же прекрасны и великолепны, как и Ваша душа.

Вы – Голубые Роги, носители дум и чаянии молодой Грузии, ибо Вы как поэт драгоценный сосуд высоких духовных ценностей Вашего народа.

Я узнал близко и почувствовал Ваш народ через Вас и услышал через Голубые Роги и полюбил, и породнился с ним.

В Вашем творчестве звучат, как колокол, вечные звуки – песни любви к человеку.

Гуманность к человеку – великий принцип – основной мотив Вашей поэзии.

Наше родство не спроста и не случайна.

В нашем народе идет процесс нового молодого творчества.

И я, как идеолог новой армянской поэзии – творческой мысли, заявляю, что мы вместе ногу в ногу, хотя и разными путями, идем в „обетованный Рим“ – „новый Рим“, где уже развевается новое знамя, на котором начертано великий лозунг

братства и любви народов – и в частности кавказских народов. Наши языки разные, но у нас есть общий язык, на котором мы понимаем друг друга, и это язык чувства и аппарат его сердце. Так позвольте же мне сегодня здесь, через Ваши головы послать свой братский привет и поцелуй Вашему возрождающемуся и рыцарскому народу.

И пусть отныне ни одно мрачное чувство не омрачит сердца двух братских народов, ибо за спиною их стоят воины духа и кузнецы нового грядущего счастья – мы с Вами, которые в недрах творческой мысли своих народов куют новые звенья солидарности и братства Кавказских народов.

И Мы и Вы горды тем чувством, что наша поэзия, наше творчество поведет молодое поколение по путям единения двух народов на благо и счастье их.

И пусть мой голос гулко раздастся и аккордами разнесется в одну общую симфонию в сердцах молодого поколения и вселит в них надежду и веру, что их баяни – певцы никогда не изменят великим лозунгам, рожденным из мировой революции и докатившимся волною к неприступным и скалистым берегам нашей общей родины.

Кара-Дарвиш

1919 г., IV-17, Тифлис

გრიგოლ რობაქიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ძვირფასო ვალერიან!

ივნისის შვიდს აქ საღამო გაიმართა: შესახებ მხატვრობის. ილაპარაკეს: კაკაბაძემ, სუდეიკინმა, ტიცინმა, მე. ტიცინის სიტყვა ჩემთვის მოულოდნელი იყო: ჯერ ერთი, თითქოს მას დაასწრეს ფუტურიზმის დეკლარაცია (ასეთი იყო შთაბეჭდილება) – განაცხადა მან: ფუტურიზმის ნამდვილი დეკლარაცია ამ სცენიდან მალე მოხდება ჩვენი ჯგუფის მიერ. გარდა ამისა, იყო ასეთი ხაზი სახელები: პიკასსო და

სკრიაბინი, მაღლარმე და კრუჩონიხი... და სხვა...

მე ავლელდი საშინლად: უმთავრესად იმის გამო, რომ თე-
მა ჩემი იყო სასიცოცხლო (- ჩემთვის მაინც), ვილაპარაკე
კუბიზმის შესახებ: როგორც თანამედროვე რიტმი კოსმოსის
დაშლის ათვისებისა. მივიღე იგი იმდენათ, რამდენათ იგი გა-
მართლებულია სულის ტრაგედიით და ესთეტიური კათარ-
ზისით. გარეშე ამისა: იგი მხოლოდ დემონოლოგიაა. კრუჩო-
ნიხი დავახასიათე როგორც „*скоморох вшивого бесенка*“ და
ვამხილე მისი შემოქმედებითი არარაობა - (მაღლარმეს გვერ-
დით მას რა უნდა?!)... ჩემი სიტყვა ალბათ დაიბეჭდება...

შემდეგ: ტიცციანი გამომელაპარაკა:

მან მითხრა: როგორც „ჩვენ“ გვეჩვენება „სიო“ და სხვა ამ-
გვარი ბანალობად, ისე ეჩვენება ალბათ კრუჩონიხს ბანალო-
ბათ ბალმონტი და სხვაო... და მეც ამას ვგრძნობ სწორადო...

მე შევეკითხე: იქნება ოდესმე ქვეყანაზე ისეთი რამ, რომე-
ლიც შემდეგ ბანალობათ არავის მოეჩვენოს?

მან მომიგო: არა.

მე კიდევ: მამ მსოფლიოს მიღება შეუძლებელია?

ტიციანი: დიახ, შეუძლებელია...

მე: აქედან დასკვნა?

ტიციანი: თავის მოკვლა...

მან ისიც გადმომცა, რომ თქვენ უარი გითქვამთ სონეტის
წერაზე და პაოლოს უტირია, რომ პოეზია უკანასკნელათ
დაეჭვებია...

მე არ მინდა აქ ყველაფერი ვთქვა...

მე მინდა მხოლოდ თქვენი და პაოლოს აზრი გავიგო.

თქვენ კარგად იცით ჩემი აზრი: პოეზია არარიტმიული სიტ-
ყვაა და მსოფლიოს მეტაფიზიკური ამონურვა. ეს დასკვნა
ბევრს რამეს თხოულობს წინასწარ. მე მნამს, რომ მსოფ-
ლიო ღვთის ქმნაღია და ხელოვანი მისი თანაშემოქმედი. ეს
არ არის ფიგურალი თქმა. თუ ეს მიღებული იქნა, მთელი
დემონოლოგია ტიცციანის უარყოფილ უნდა იქნას...

თქვენ იცით, რომ მე თქვენთან ვარ როგორც ძმა და შე-
მოქმედი. ძალზე ვგრძნობ თქვენი (სამის) სიყვარულს. ხო-

ლო, შესაძლოა, თქვენ (პაოლო და თქვენ) ისე ფიქრობდეთ, როგორც ტიცინი და მართლაც გადანყვეტილი გქონდესთ ახალი „გამოსვლა“.

უნდა იცოდეთ, რომ ამ შემთხვევაში ვერ გამოგყვებით. სიყვარული ნამდვილი – სასტიკია. – მე არ შემიძლია თავის თავის ღალატი. თქვენთვისაც უფრო კარგი იქნება: უფრო თავისუფლად იმოქმედებთ.

ნუ გაიკვირვებთ, რომ „ასე“ გწერთ: მიუხედავად ტიცინის „იმპრესიონიზმისა“ მისმა სიტყვებმა დამაფიქრეს.

ეს ბარათი ნაუკითხეთ პაოლოს...

ველი პასუხს: ორივესაგან...

თქვენი ერთგული გრ. რობაქიძე

9 ივნისი. 1919

მისამართი: თბილისი, ცხნეთის ქ. 4, ბინა 1.

P. S. აუცილებელია თქვენი და პაოლოს აქ ჩამოსვლა ერთი კვირით მაინც.

პაოლო იაშვილი და ტიცინ ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ბ. ვალერიან გაფრინდაშვილს

ჭიჭიკო!

მწერალთა კავშირის კლუბის სახელის ნათლია შენა ხარ. არა მარტო ამისთვის, არამედ ჩვენთვის ჩვენდა გასახარებლად, თუ ძმა ხარ, ჩამოდით შენ და კოლაუ. სთხოვე აგრეთვე ნ. ლორთქიფანიძეს. უსათუოდ გელით. ალექსანდრე ვიცით, რომ ვერ წამოვა.

გაკოცებთ შენი მარად პაოლო

ჭიჭიკო, უშენოთ ეს დღე ჩემთვის არ იქნება. როგორც მიუსესე ვაპირებ იმ ღამეს მარტო სტოლზე ჯდომას „ქიმიერონის“ მარკის ღვინით.

გრიგოლი არ არის, ნუთუ შენც არ იქნები. ყველაფერი მზად
იქნება შენი დახვედრისთვის. გაკოცებ ბევრს და მოგელი.

შენი ტიცციანი

[თბილისი, 1919]

მეც.

ნ. მინიშვილი

ტიციან ტაბიძე – კოლაუ ნადირაძეს

კოლაუ! მოგელით ტფილისში უსათუოდ, როგორი რემ-
ბო ხარ. ქუთაისს ვერ მოშორდი ამდენხანს. აქ დაგხვდებით
ღირსეულათ...

ტიციან ტაბიძე

[თბილისი, 1919]

1920

ტიციან და ნინო ტაბიძეები – კოლაუ ნადირაძეს

ოთხშაბათს ჩვენი ქორწინებაა. გაგვახარე და ჩამოდი. ეცადე ვალერიანის წამოყვანაც.

ნინა, ტიციან

თფილისიდან, 12.1.1920

სანდრო ცირეკიძე – გრიგოლ რობაქიძეს

პატივცემულო გრიგოლ!

თქვენთან ბოდიში მმართებს: ვერ გაცნობეთ „შვილდოსნის“ გამოსვლა, დაუკითხავად ვისარგებლე თქვენი ლექსებით, დროზედ ვერ გამოგიგზავნეთ „შვილდოსანი“. დამნაშავე არა ვარ – თბილისელმა მეგობრებმა დაიზარეს თქვენი მისამართის გადმოცემა. დღეს ვალერიანმა მიიღო თქვენი ბარათი და ვიჩქარი უნებური შეცდომა გავასწორო. ვაგზავნი „შვილდოსანის“ ორ წიგნს. ვალერიანმა მთხოვა, გადმოგცეთ მოკითხვა და „მეოცნებე ნიამორების“ მესამე წიგნი.

მე გავბედავ, თხოვნითაც მოგმართოთ. მართალია, „შვილდოსანს“ ნაკლი უფრო მეტი აქვს, მაგრამ ერთი ღირსება აქვს უეჭველად: ცისფერ ყანწელებს (და მათ ეპიგონებს) აღარ შეფერის; დროა, საქართველოში პოეტის სახელის პრეტენდენტი თუნდაც „შვილდოსანის“ პრიმიტიულ სასწორზე აინონოს და „მარუთა შუამდინარელის“ ფასი ითქვას. კიდევ უფრო საჭიროა დადებითი მუშაობა და თეორეტიული კვლევა და პოპულარიზაცია. ბევრი მტერი გავიჩინეთ (გომართელიც – აგრარულ საკითხზე ჭკუა დაქნილი კრიტიკოსი). შეცდომები მეტი დავუშვით. თბილისელი მეგობრები იმოდენათ არ გვეხმარებიან (ვერ მოიცალეს) და სამმა კაცმა ყველაფერი ვერ შევძელით. შეიძლება მეოთხე ნუ-

მერი აღარ გამოვიდეს, რადგან მასალები არ მოგვანოდეს. სწორედ აქაა ჩემი თხოვნა.

ქართულ პოეზიას და ესთეტიკას დღეს თქვენზე ძვირფასი სახელი არ ეგულება. „შვილდოსანის“ ბოლო ორი წიგნი ამაყობს თქვენი ლექსებით. თუ ნებას მომცემთ, მესამე წიგნისთვის (№4) „ავტომედალიონს“ გამოვართმევ ვალერიანს. მაგრამ ამას ვერ დაგჯერდებით: გაიმეტეთ ერთი წერილი „შვილდოსანისთვის“. თემა რაც გენებოსთ – მაღარმე, სიმბოლიზმი, პოეზია და პროზა ან სხვა. თქვენი სიტყვა ყველგან ჩასწვდება სიღრმეს და ახალ ღირებულებას აღმოგვიჩენს.

თუ „შვილდოსანისთვის“ არაფერი დასწერეთ, ამით გავიგებთ, რომ თქვენი შეხედვით იგი უარყოფითი მოვლენაა და აღარ გამოვა: საქართველოში თქვენზე მეტათ არავის ვუჯერი.

სანდრო ცირეკიძე

[ქუთაისი, 30 მარტამდე, 1920]

გრიგოლ რობაქიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ძვირფასო ვალერიან! მივიღე ჟურნალები სანდრო ცირეკიძესაგან. მწერს: „შვილდოსანში“ ნაკლი უფრო ბევრიაო. არ არის მართალი: პირიქით ითქმის. ტიცციანის „მო. და მ“ მთელი მისტიკაა დამშრალ ფშანებში აყვილებული ბაყაყების. არის შიგ დატეხა იმპრესსიონისტული და მისტიური ვარდნილი. პაოლოს „ალი“ მთელი ვაკხანალიაა კენტავრის ტემპერამენტის. „იდა რუბინშტეინის დაღალული ფეხების ბანვა“ – ლათინური დეკადანსის მოსხურებაა. თქვენი „საფერფლე“ ინტიმურია და დაუვინყარი ვით ჩემი პატარა „აღლას“ მკდარ თვალებზე დაღურჯებული იისფერები. კარგია კოლლაუ ნადირაძის: „მთვარის ნყალობა“ და „ოცნება საქართველოზე“. სრულიად ველური სმენა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ეს ორი ლექსი არ მიიღო. დანარჩენების ლექსები ჯერ არ ნამიკითხავს. რიტმიულ პროზას დიდი განვითარება ეტყობა:

სანდრო ცირეკიძე საგულისხმოა მეტად; სერგო კლდიაშვილი წინ მიდის; ნიკო ლორთქიფანიძის „ბებრები“ შედეგია. წერილები: (თქვენი, ტიცვიანის, კ. ნადირაძის, ს. ცირეკიძის) – ყველანი ესთეტიური კულტურის მაჩვენებელია. ს. ცირეკიძის „სათაურები“ გაბედული ფუტურისტული ხაზია. ნაკლზე ლაპარაკი არა მსურს. მხოლოდ სტილისტურ მხარეს უნდა მეტი დაკვირვება, ნათესაობითში ზედმესრულის სრული ფორმა უფრო მართებულია (– ტიცვიანს კი: „რომ დაჭრილ სულის“, პაოლოს: – „მძინარ დაბიდან“, თქვენი: – „დაორსულეულ კვამლის“ და სხ; აქ ყველგან „ი“ არის საჭირო). ან კიდევ: რიცხვითი შეთანაბრება საჭიროა (– პაოლოს კი: „გაგარეტა ნერონის ხმებმა“; გალაქტ. ტაბიძის წიგნი ამგვარი შეცდომებითაა სავსე; თქვენ: „ამაყ ოლარებს დაუბრუნდება“, „დღეებს აგონდება“). საზოგადოთ ეს ნაკლი „ჩვენებში“ ხშირად არის. თქვენ გაქვთ კიდევ ასეთი: „ხიდეებს“. გარდა ამისა: ნათესაობითი უკეთესია გაშლილი: „ზამთარის“ და არა „ზამთრის“, „დილომის“ და არა „დილმის“. ამასაც სჭირდება ყურადღება, ქართული დამძიმებულია კონსონანტების შეყრით. ამას ხსნა უნდა, ამის შესახებ ცალკე. როცა ადვილია „ხინვის“ აცდენა, რა საჭიროა მისი დაშვება?! ამას სიყვარულით გწერთ. გიგზავნით „შვილდოსანისათვის“ – „ვ. კამენსკის“. ლექსი უბრალოა, მაგრამ მარჯვედ გამართულია. ჩემი „რთველი“ ხომ თქვენა გაქვს?! თქვენთვის მაქვს აგრეთვე „ნმ. ნინო“, – მაგრამ ჯერ ნაკითხვა მსურს მისი საჯაროთ. წერილს უთუოდ გამოვგზავნი მეოთხე ნომრისათვის. მე აუცილებლათ მიმაჩნია მისი გამოცემა. თუ არ შეწყვიტავთ, – ყოველი ნომრისათვის მოგანოდებთ ლექსსა და წერილს. ჩემი სიტყვა არ არის ქართული დაპირება.

ცოტა ულონოთ ვარ და –

ლოგინში გწერთ ამ წერილს.

ძმური სალამი: კ. ნადირაძეს, ს. ცირეკიძეს, ნ. ლორთქიფანიძეს, ს. კლდიაშვილს, შ. აფხაიძეს. ს. ცირეკიძეს წერილისათვის დიდი მადლობა. ვუპასუხებ ცალკე.

ვწერ თქვენს შესახებ.

აგრეთვე: მთელს კამარას: საცა მე ჩემი (მოგონებული) წინაპარის სახელით ვლაპარაკობ; თემები: სიტყვა, სინამდვილე, სიკვდილი, – გაშლილი სალირიკო ფორმით.

„თბილისელთა“ ბოჰემა რას აკეთებს? არ ვიცი.

თქვენი ერთგული გრიგოლ რობაქიძე

30 მარტის, 1920, ბაქო

P.S. „ვასაკაში“ ერთი შეცდომა უნდა გასწორდეს: დასტამბულია: სოფელში, – უნდა იყოს: სოველში.

შალვა აფხაიძე – სანდრო ცირეკიძეს

სალამი სანდროს!

ქრისტე აღსდგა.

არ გრცხვენია, სანდრო, უნდობლობა რომ შემომწამე? როდის იყო, უნდობლად რომ გიყურებდი. დანარჩენ ლექსებს თუ გთხოვდი, არა იმიტომ, რომ მეშინოდა მათი დაკარგვა. არა, ეს არ მაშინებს, ვინაიდან საამისო ღირებულებას არ წარმოადგენენ ისინი. გწერდი იმიტომ, რომ ხანდახან ვფიქრობდი მათ გაზეთში მოთავსებას. მეტი არაფელი. ეს არაფელია.

სერგომ მითხრა, რომ სანდრო ძლიერ გლახათ არისო. რატომ არაფელს არ მწერ, სანდრო, მერე შენ ჯანმრთელობაზე? მომწერე უსათუოდ. გარწმუნებ, ეს მე ძლიერ მაინტერესებს – როგორც შენ ახლო მეგობარს. სხვათა შორის, გუშინ გაიხსნა მწერალთა ყრილობა. რა კარგი ქენით, რომ არ ჩამოდით. ასეთი სიცარიელე და სრული უზადრუკობა სულის და გონების ჯერ არც ერთ ყრილობაზე არ მინახავს. რა კარგია, რომ უცხო არავინ ესწრება ამ ყრილობას! კარგათ და მოხდენილათ დაახასიათა ერთ სიტყვაში ვანიჩკამ: ეს გამოქცეულთა (ნѣжнцы) ყრილობაა. თავმჯდომარე კი (გომართელი) სელტერასკით შერეულ ღვინოს გავსო. მოხსენება გააკეთა გამგეობის მხრით კ. მაყაშვილმა. ძლიერ უფერული და უშინაარსო. შემდეგ სარევიზიო კომისიამ,

რომელმაც გააქარწყლა სრულიად გამგეობის მუშაობა: აღნიშნა საშინელი დაუდევრობა. უსისტიემობა ანგარიშების წარმოებაში და სხ. გამგეობა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. ვართაგავამ ისარგებლა და გაილაშქრა „ახალგაზრდების“ წინააღმდეგ. ფედერალისტებმა რეპლიკების ზვინი დასდგეს. ჩააცვივდნენ „ქიმერიონს“. გლახა შთაბეჭდილება შეიქნა. იხსნა გამგეობა ისევ აკ. პაპავამ, რომელმაც საუცხოვო სიტყვა სთქვა. თითქმის ერთი საათი ილაპარაკა. გაფანტა სრულიად შთაბეჭდილება. არ ვიცი, პაპავა რომ არ ყოფილიყო, როგორ დაძვრებოდნენ. ტიცციანს სრულიად არ სცოდნია ლაპარაკი. პაოლომაც ვერაფერი სთქვა. ასეთი იყო გუშინდელი დღე. დღეს მეორე სხდომაა დანიშნული. ახლა ჩვენ განწყობილებაზე, სანდრო. ამას შენ შეინახავ შენთვის. გნერდი წინეთაც და ახლაც გეუბნები, ვერ შეურიგდი ტიცციანს, რომელიც გაჩერებულია წინ და არ აძლევს არავის გასაქანს. უკმაყოფილო ვარ ამით არა მარტო მე, არამედ ყველა აქ მყოფი გარდა მართლაც კლაკიორ ლეონიძისა. მე, მართალია, ამ უკმაყოფილებას შენს მეტს არავის არ ვეუბნებოდი. უკანასკნელმა ტიცციანის მიერ ნაკარნახევმა წერილმა დაურღვია სულის სიმშვიდე ზოგიერთ ჩვენს ბიჭებს. განსაკუთრებით აღელვებულია კოლია. ნანყენია ძლიერ ვანიჩკა და სხვები. მე, სანამ ეს წერილი დაიბეჭდებოდა მანამდე მქონდა ლაპარაკი ვანიჩკასთან. მქონდა სწორედ იმ თემაზე, რაზედაც შენ გნერდი წინა წერილში და გეუბნებოდი, ის რაც ახალი და რევოლიუციონური იყო ჩვენში ამ ჯგუფის ხელში, დღეს იმავე ბანალობად გადაიქცა. მე მგონია, დრო არის, ახალი გზების ძებნისა, საკითხის სხვანაირად დაყენების. ყოველ შემთხვევაში, რაც არსებობს, მისი გაღრმავება. საერთოდ საჭიროა, ვეუბნებოდი, ტიცციანის მიერ შექმნილი რუტინის გადალახვა. ეს შეიძლება ასე თუ ისე ამ ჯგუფიდან გამიჯვნით. და სხ. ამაზე, თუ ჩამოვედი, ვრცლად მოგელაპარაკები. ვანიჩკაც დამეთანხმა. რას იზამ, სანდრო, ვანიჩკას მეტი აქ არავინ მყავდა. მე საკითხს ვაყენებდი და ვაყენებ ახლაც წმინდა პრინციპიალ ნიადაგზე და აქედან გამოვდივარ. დავსახეთ პატარ-პატარა

გეგმები. ლეონიძის წერილი ბომბასავით გავარდა – და კო-
ლია გადმოისროლა ჩვენსკენ. რა თქმა უნდა, გულწრფელად
გეუბნები, სანდრო, ამ წერილისათვის სრულიად არ მიმიქ-
ცევია ყურადღება. ის არაფელს არ მეუბნება. ეს კი არის,
რომ ბევრს ატკინა გული. მართალი გითხრა, ამით გვინდა
ვისარგებლოთ და ერთგვარი საზღვარი დაუდვათ ამ ორ
პიროვნებას. დამეთანხმე, სანდრო, შეუძლებელია ასეთი
დიქტატურა ჩვენ წრეში. არავინ არ სწამს ტიცციანს. სწამს
ერთი პაოლო და გრიგოლი. ჭიჭოკაზე წერილს როგორ დავ-
წერო (თუ ძმა ხარ, ნუ ეტყვი). ასევე და უფრო აღმაცერ
თვალთ უყურებს კოლაუს. მეორე მხრით მას უნდა ყავდეს
უკან ლაშქარი და სარგებლობდეს მათი რიცხვით. ჩვენ გა-
დავწყვიტეთ, მიგვემართა პაოლოსათვის და გვეთქვა: თუ
არ შეცვლით თქვენ ჩვენდამი დამოკიდებულებას, ჩვენ იძუ-
ლებული ვიქნებით ჩამოგმორდეთ და სხ. გუშინ სალამოს
შევხვდით პაოლოს და ტიცციანს და ვანიჩკამაც უთხრა ყვე-
ლაფერი. სასაცილოდ აიღეს. მაგრამ ეს არ არის საინტე-
რესო. ახლა არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ დღეს. მივცეთ
თუ არა ხმები. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქ, ყოველ შემთხვე-
ვაში, ტიცციანს არ მივსცეთ ხმა. საერთოდ აღარც თვითონ
არიან ახლა მაინც და მაინც ბრძოლის გუნებაზე. გუშინ,
მაგალითად, გვითხრეს, ჩვენ აღარ შევალთ გამგეობაშიო –
ვინაიდან ეს არც საჭირო არის და არც ამხანაგებს უნდა-
თო. ამას კი ხედავენ ჩვენ მოქმედებაში და აგრეთვე თქვენ
მოქმედებაში, რომ არ ჩამოდით. საერთოდ თქვენმა უყუ-
რადღებობამ აქ გავლენა მოახდინა მათზე. გაიგეს, რომ შენ
ძლიერ ნაწყენი ყოფილხარ, მგონი, უკანასკნელ წერილზე.
და პაოლომ თავისი იმერული ხრიკები გააცხოველა; ეუბნე-
ბა ტიცციანს: რა თქმა უნდა, შენ არაფელ შუაში ხარ, მაგრამ
ის წერილი მაინც არ უნდა დაბეჭდილიყო, სანდროს ჩვენ-
თვის კარგის მეტი არაფელი არ უქნია და რას ერჩითო, რა
საჭირო იყო ჩემზე იმდენი წერა, როცა სულ ერთი ლექსი
მაქვს მოთავსებული და სხ. ამან გამოიწვია დიდი გაცხო-
ველება ბაასის. ტიცციანმა იმართლა თავი იმით, რომ ეს რა
ჩემი ბრალია, ლეონიძემ რაცხა დასწერაო. ერთმა სთქვა:

საკვირველია, რათ აქვთ ასეთი პრეტენზიები ცირეკიძეს და სხ. მაგრამ ამ წერილზე უნდა გითხრა შემდეგი. როგორც დანამდვილებით გავიგე, ერთი თვის განმავლობაში ეფერებოდა ტიტე ლეონიძეს, დანერე რამეო. ბოლოს მანაც ერთი თვის განმავლობაში წერა და როგორც იქნა დაათავა. ისიც გადასცა ტიტეს და მას როგორც უნდოდა, ისე შეაკეთა. გოგლას არასფრის გულისათვის არ უნდოდა დაბეჭვდა და ამ ნიადაგზე, მგონი, შელაპარაკებულან კიდევაც, მაგრამ ბოლოს დაიბეჭდა მაინც. და სწორედ პირველი ნომერი აიღო ხელში და არა მეორე, სადაც მათი არაფელი არ იყო. ასეა საქმეები. გუშინ სალამოს დიდ ხანს გვქონდა ლაპარაკი. თქვენი არ ჩამოსვლა ძლიერ სწყინთ. მაგრამ ეს ძლიერ კარგია. თუ შიგნით არ არის ერთგვარი ოპოზიცია, ისე მეტის მეტათ გავლიან თავს. ახლა მათ სალამოზე. მე, რა თქმა უნდა, არაფელი დამოკიდებულება არ მაქვს მასთან, მაგრამ თუ მწყინს, მწყინს იმდენად, რამდენათაც სხვა თავის ამხანაგებს არ გაუწიეს ანგარიში. მოგეხსენებათ, რომ ქიმერიონში მათ დიდი ვალი ქონდათ. ბოროტი ენები ამბობენ (ეს შენ შეინახე, სანდრო), ჯვარი ქიმერიონის ფულით დაინერა ტიცინამაო. მაგრამ ეს არაფელია. ამ ვალების გასასტუმრებლათ გამართეს სალამო. გახსოვს სანდრო ჰაოლოს გამოსვლები ქუთაისში ვილაც სპეკულიანტების წინამძღვე. ამის შემდეგ „ქიმერიონში“ იმავე სპეკულიანტებს დაუწყო არშიყობა, ოღონდაც კი აუქციონში ფული აელო. სალამოს არ ქონია სრულიად არავითარი იდეური მხარე. აიღეს დაახლოვებით 100 ათას მანეთამდე. გამართეს მთელი ჯგუფის სახელით და ფული კი ორმა გაიყო. გაისტუმრეს თავის ვალები. დანარჩენი კი კარტში წააგეს. იმის მაგივრად, რომ შენთვის „შვილდოსნის“ საჭიროებისათვის გამოეგზავნათ ერთი ხუთი ათასი მანეთი მაინც, კარტში წააგეს. არ ვიცი, რამდენად დასაშვებია ეს ამხანაგებს შორის. ესეც უთხრა ვანიჩკამ. ვერაფელი ვერ უპასუხეს. საკითხის მიფუჩეჩება აირჩიეს. და რამდენი სხვა ასეთი მაგალითები. სერგომ გაკვრით მითხრა შენი გადაწყვეტილება, სანდრო. შენ ახლა სწორედ არ უნდა დატოვო ეს საქმე. სწორედ ეს უნ-

და ამ ჯგუფს. ყვირილით და რეკლამით მოკლეს ბევრი და მოკლავენ სხვებსაც. მათ ასეთი წარმოდგენა აქვთ: უჩვენოდ არაფელი არ გაკეთდება. და რომ დამტკიცდება, რომ თუ ისინი არ იქნებიან, ისედაც შეიძლება რამეს გაკეთება, მაშინ დარწმუნებული ვარ, მეტ ანგარიშსაც გაგიწევენ. მე მგონია, რომ ჟურნალის გამოცემა ყოველ შემთხვევაში ახლა მაინც უნდა განაგრძო. ჩვენ აქ რაღაც გეგმები გვაქვს დასახული მატერიალური წყაროს აღმოსაჩენად. დაგეხმარებით ყოველივე მხრით. შენ ოღონდ გამოგვიგზავნე მანდატი ერთგვარი. დავილაღე წერით, თორემ კიდევ ბევრი მინდოდა მომენერა.

სალამი ყველას.

(ყველაფერი შენთვის შეინახე, სანდრო, ჯერჯერობით).

შენი შალიკო

[თბილისი, 5 აპრილი, 1920]

ჰოვანეს თუმანიანის შვილები – ტიცვიან ტაბიძეს

9/V. 1920.

В день вашего светлого праздника – мы пришли к вам с цветами – символом поэзии поздравить вас. Но не застав вас дома, оставили вам цветы с нашими лучшими пожеланиями.

Привет всем вашим товарищам.

С приветом Туманянцы (без отца)

შალვა კარმელი – რაჟდენ გვეტაძეს

ზესტაფონი, ისიდორე მოსიძეს.

გადაეცით რაჟდენ გვეტაძეს.

1920 წ., სამშაბათი, ივლისის 13.

რაჟდენ! მივიღე შენი წერილი. გმადლობ. ნიკას სალამო არ შემდგარა, არ ვიცი, რისთვის, რადგან მე ავად ვიყავი და სამი დღე ვიჯექ სახლში. ახლა კარგად ვარ. მოკითხვა ჩვენებისგან თქვენებს, განსაკუთრებით აკოცე ჩემგან ამაჟა გვეჭაჯეს და ბუტუტის. ამასთანავე საჩქაროდ გაცნობებ: შეიძლება არა სასიამოვნო ამბავს: ნიკო შარაბიძემ დღეს წერილით მთხოვა, გაცნობო, რომ დაუყოვნებლივ ჩამოხვიდე, რადგან სასტამბო მუშაობას იწყებენ. ესევე გადმომცა, როცა ნიკო დაბლა ვნახე და განმეორებით მთხოვა შენთვის შეტყობინება. ამ წერილის მიღებისთანავე ჩამოდი.

შენი შალვა კარმელი

სანდრო ცირეკიძე – სერგო კლდიაშვილს

სერგო, მარგალიტო! რითი ავავსო ეს ფურცელი ცალიერ ქუთაისში. წვიმს. დარია. და ყოველთვისაა მოწყენა. „ჯერ არასდროს არ ყოფილა ქუთაისი ასე წყნარი და უბედური. შარშან „ნიამორებით“ და „შვილდოსანით“ ვირთობდით თავს. წელს პირობები სხვაა და მელიტონი – მიუკარებელი. ჭიჭიკო გულს არ იტეხს, მაგრამ მე აღარ მჯერა ქუთაისში რამეს გამოსვლა. ქუთაისი მთლად პროვინცია გახდა. უიალქნოთ დავდივართ და ვეძებთ ერთმანეთს სამი კაცი: ჭიჭიკო, კოლია და მე. თუმცა კოლია უფრო განზე ერთობა. შენ გიგონებთ ხშირათ. გვენატრება შენი გძელი წერილები და უფრო – შენი უცაბედი ჩამოსვლა.

მე აქ ვერსად მოვეწყვე და „ჯიბებში ხელჩანყობილი“ დავიარები. შენ ბედნიერი ხარ, რომ ასე ადვილათ შეგიძლია ქუთაისის მიტოვება. ქუთაისში მე ვიგრძენი, რომ ზედმეტი

ვარ (არავინ არ მიმილო საქმეზე) და გასავალი გზა ვერ მიპოვია. იცი რა, სერგო – აღარ მინდა აღარც ფედერაცია, აღარც... კუჭი და კეთილი ცხოვრება პირველი საქმე ყოფილა. ამაზე შენ დამასწარი, მაგრამ მეც!..

მოინერე უსათუოდ.

შენი სანდრო

28/IX. 1920

[ქუთაისი]

P. S. „შვილდოსანის“ სრული ლიკვიდაცია მოახდინე და რეზულტატები კალისტრატეს ხელით გამომიგზავნე.

შალვა კარმელი – კოლაუ ნადირაძეს

ქუთაისი, აფთიაქის ქუჩა.

კოლაუ ნადირაძეს.

ძვირფასო კოლაუ!

აგერ მეორე თვეა ტფილისში ვცხოვრობთ მე და რაჟდენი ერთად. მე ვბოდიშობ, რომ წერილს დაგვიანებით გიგზავნი, მაგრამ, იმედია, მაპატიებ, რადგან შენი ჩვენება ხშირად იყო ჩვენთან და მეგობრობა მარტო წერილებით არ მტკიცდება. გავიგე, რომ ცოტა „უქეიფოთ“ ყოფილხარ! ალბათ, ახლა კარგათ ხარ! ტფილისში არაფერი ახალი არ ხდება ლიტერატურაში; საყურადღებოა გრ. რობაქიძისა და გრიშაშვილის პაექრობა იმ ხრით, რომ გრიშაშვილმა უფრო გამოაშკარავა თავისი „ხელის დიდება“. პაოლო და ტიცციანი მოკლე ხანში საორშაბათო გაზეთს სცემენ. ნაიკითხავდი ტიცციანის მანიფესტს ბათომის გაზეთში, რომელიც ქართულ პრესაში გახმინდა. გალაქტიონის მესამე ნიგნი 170 გვერდიანი უკვე იწყობა და ერთ თვეში გამოვა. შეიძლება, მეც გამოვცე მოკლე ხანში, თუმცა ძლიერ ძვირი ჯდება. ნავიკითხე ივ. გომართელის ბიბლიოგრაფია „ბალდახინზე“. არ მაქვს სრულებით თავისუფალი დრო: ვმსახურობ და ლექციებსაც

ვისმენ უნივერსიტეტში. საინტერესოა გ. წერეთლის ლექციები აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან. ტფილისი დიდი ქალაქი ყოფილა, მაგრამ ჯერ მაინც არ დავკარგულვართ, რადგან უღვინოდ ახელება ძნელია. ისე კი ხანდახან ვთათარიანობთ. აქ არის მინიშვილი, გოგლა, სერგო, შალვა აფხაიძე, რომელმაც ქალი ითხოვა, და სხვა... მომიკითხე ჩვენი ძველი მეგობარი ქუთაისი, რომელმაც ერთხელ კიდევ გაიხსენა თავისი მზიანი აღტაცება სოციალისტურ დელეგაციის ჩამოსვლისას თურმე. მხურვალე მოკითხვა რაჟღენიდან. დაგვაძალე მეგობრულად, თუ წერილს მოგვწერ. მისამართი: ტფილისი, „საქართველოს“ რედაქცია.

სიყვარულით შენი ძმა შ. კარმელი

[14 ოქტომბერი, 1920]

ლელო ჯაფარიძე – დავით კლდიაშვილს

სახელმწიფო თეატრი.

დავით კლდიაშვილს.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია გილოცავთ 30 წლის მოღვაწეობას, როგორც უდიდეს მწერალს და მაღალ პატრიოტს. თქვენი სახელით დიდხანს იამაყებს ქართული მწერლობა და საქართველო.

ლელო ჯაფარიძე

[1920]

1921

გრიგოლ რობაქიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ძვირფასო ვალერიან!

თქვენი ჩამოსვლა თბილისში აუცილებელია როგორც ჩვენი ორდენისათვის – ისე საერთოდ ქართული პოეზიისათვის, ჩვენგან ქართული თანადროული სინამდვილე ითხოვს გადაჭრილს სიტყვას. ეს სიტყვა უნდა ვთქვათ ჩვენ. ყოველი დაყოვნება იქნება „დროის“ ფენომენის ცუდი გაგება. ადგილს მე მოგცემთ ჩვენს განყოფილებაში, ოთახიც მზად იქნება, გელით. სიტყვიერად ნიკო გადმოგცემთ სხვას.

სალამი სანდროს და კოლიას.

თქვენი გრ. რობაქიძე

9. V. 1921

P. S. მე მჯერა, ავად რომ ვიყო ძალზე, ჩამოხვიდოდით, მდგომარეობა ანალოგიურია.

[თბილისი]

ტიციან ტაბიძე – სახელგამის სარედაქციო კოლეგიას

ს.ს.ს.რ. სახელგამის სარედაქციო კოლეგიას.

ვიღებ რა მხედველობაში, რომ სიტყვიერების თეორია არ არის შეტანილი ტექნიკუმების ძირითად პროგრამაში, აგრეთვე იმასაც, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე არ იკითხება არათუ სიტყვიერების თეორიისა და ესტეტიკის კურსი, არამედ არც ერთი კურსი თანამედროვე ლიტერატურისა – დანყებული მე-19 საუკუნიდან დღევანდლამდე და მათ შორის ქართულისაც – აგრეთვე იმას, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის მასაში სახელმწიფო უნივერსიტეტში და მუშფა-

კებში შემჩნეულია ძლიერი გადახრა საზოგადოთ ლიტერატურის პრობლემათა ძიებისკენ, მე საჭიროთ მიმაჩნია, რომ სახელგამმა გამოსცეს ერთი წიგნი საზოგადოთ პოეტიკის პრობლემაზე. ამ წიგნში განხილული იქნება ლექსის საკითხები შეფარდებული სიტყვიერების თეორიასთან. წიგნში ახსნილი იქნება თეორია პროზისა და პოეზიის და ბუნება შემოქმედებისა, აგრეთვე ახსნილი იქნება ვერსიფიკაციის კანონები.

მთელი ახალგაზრდობა და მუშკორთა ჯგუფები დღესდღეობით მოკლებული არიან ლექსის ტეხნიკის ელემენტარულ ცოდნას. ამ წიგნში მოცემული იქნება მაგალითებით წერა: ჰეგზამეტრის, ტერცინების, სტანსების, სექსტინის, ტრიოლეტისა, სონეტისა, რონდელოსა, ჰაზელისა და სხვა მრავალ ლექსის ფორმათა.

აგრეთვე ახსნილი იქნება საკითხები რიტმისა და რიჰმის, მეტაფორები, ტროპები, ალეტერაცია და სხვა.

ასეთი წიგნი ჯერ არ არსებობს ქართულ ენაზე, თვით სიტყვიერების თეორიაზე, რომელიც წინათ შედიოდა შკოლების პროგრამაში, არსებობენ ძალიან მოძველებული წიგნები: კათალიკოზ კირიონისა, მლ. მელ. კელენჯერიძისა და იპოლიტე ვართაგავასი, რომელთაც ძირითადი შესწორება დასჭირდებათ თანამედროვე ეპოქასთან შეფარდებით.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ ეს საკითხები, რუსეთშიაც კი, სადაც საკმაოდ დამუშავებული იყო ეს დარგი, ეხლაც იწვევს დიდ ინტერესს და მარტო რ.ს.ფ.ს.რ. სახელგამს გამოცემული აქვს ოც წიგნზე მეტი, რომ არ ავიღოთ სხვა კერძო გამომცემლობები, რომელნიც ბევრჯერ აღემატებიან რიცხვით სახელგამის გამოცემათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ვენგეროვის მონაფეების ჯგუფი და პუშკინის აკადემია.

მოსკოვში არსებობს ცალკე ინსტიტუტი მხატვრული სიტყვისა, რომელსაც წინათ ხელმძღვანელობდა ვალერი ბრიუსოვი და რომელსაც აქვს მთელი სერია გამოცემათა ლექსის მეცნიერებაზე.

პრობლემა ლექსისა მე მაინტერესებდა ჯერ კიდევ მოს-

კოვში, როცა ვსწავლობდი მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორიო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. მე დღესაც ხელთა მაქვს საჭირო ლიტერატურა და თუ წიგნი პრინციპიალურად მიღებული იქნება, მაშინ წარმოვადგენ დაწვრილებით პროგრამას და წიგნის სქემას.

ტიციან ტაბიძე

22/VIII – 21 წ.

პაოლო იაშვილი – კოტე მაყაშვილს

უძვირფასესო კოტე!

დაგვალონა შენმა „შემთხვევამ“ სადგურზე, მაგრამ რა არის ეს მცირე ეპიზოდი შედარებით იმასთან, რაც შენ შეგხვედრია და გადაგიტანია გმირულად ცხოვრებაში. შენი იმედი გვაქვს ჩვენ, შენ მოყვარულ ქართულ მწერლობას კი, იმედი გვაქვს, ვერაფერი ვერ შეაჩერებს და შეზღუდავს შენს უანგარო და წმიდა სამსახურს ქართული ხელოვნებისათვის. იმედი გვაქვს დაისვენებ სოფლად კარგად და დაგვიბრუნდები როგორც პოეტი, თავჯდომარე, ტენორი და მონადირე. ფულმა გაგვტანჯა. მწერალთა კავშირისაგან ავიღეთ მცირე სესხი. ჩვენ გიგზავნით ასი ათასს, სულ ეხლა ორასი გეგზავნება. გაძლევ სიტყვას, რომ ხუთს დღეში ამდენსაც მოგანოდებთ და შემდეგაც ვეცდებით ჩვენი ქვეშევრდომი ყურადღება მივაპყრათ ჩვენს ღირსეულს პრეზიდენტს. დიდი მადლობელი ვარ ნაზი და მოყვარული ბარათისათვის. ჩემი ქორწილი პირველ ენკენისთვის იქნება – ვიქნები ბედნიერი თუ იმ დღისათვის შენ გნახავ ჩემს იმერულ ქორწილზე როგორც თამადას და უფროსს. ჩვენი ჯავრი და დარდი – ქართულ ხელოვნების ნუ გექნება. ყველანი დარაჯად ვართ შენი საყვარელი საქმისა. იყავი ბედნიერი, მხიარული და შთაგონებული, გელით დატვირთულს ლექსებით, სოფლის სინმინდით და ენერგიით.

შენი მარად და მარადის იქით პაოლო იაშვილი

[თბილისი, 1 სექტემბრამდე, 1921]

ტიციან ტაბიძე – კოტე მაცაშვილს

ძვირფასო კოტე!

ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ ჩვენმა კავშირმა მიიღო სამი მილიონი მანეთი. მართალია, მე პირადათ არ მქონია თქვენი დასტური, მაგრამ ვფიქრობ, ალბათ არ იქნება უხერხული, რომ თქვენ სოფელში ფული დაგჭირდებათ და ჩვენ დავადგინეთ, კერძოთ, ასი ათასი მანეთი გადმოგცეთ სესხათ. ფორმა მაშინ მიეცემა, როცა თქვენ დაბრუნდებით. მე ეს მით უფრო გავბედე, რომ წავიკითხე თქვენი წერილი პაოლოსთან. პაოლო თავის თავად ეცდება შეჭველათ. ჩვენ ყოველდღე გიგონებთ ხოლმე სიყვარულით, განსაკუთრებით ვალერიანი. უთქვენოთ კომიტეტი გაუქმებულ ეკლესიათ გადაიქცა, ჩვენ თუ ვიკრიბებით, ღამე სალაპარაკოთ. თქვენთვის დაპირებულ ლექსებს უთუოდ დავამზადებთ და სოფელში გადმოგიგზავნით. სალამი ნინასგან. სალამი თქვენებს.

თქვენი ტიციან ტაბიძე

[თბილისი, 1 სექტემბრამდე, 1921]

პაოლო იაშვილი – კოტე მაცაშვილს

დიდად პატივცემულო ბ-ნო კოტე!

მიუხედავად ჩემი დაპირებისა ეხლა ვერაფერს გიგზავნით. მწერალთა კავშირი დამპირდა სამშაბათისათვის, მაგრამ დღევანდლამდე ვერ აასრულა, რადგან ასიგნაციები ვერ დაახურდავს. თუ ხვალ ვერ მოახერხეს, მე თვით ვიშოვნი და გამოგიგზავნი. იმედი მაქვს გული არ გაგიტყდებათ და მოუვლით ჩვენს სტუმრებს. ყველაფერს მოგანოდებთ, რომ მათ არ აწყენინოთ. გთხოვთ, მაინც უთხრათ, რომ წერილს მიიღებთ, თორემ უხერხული იქნება. მათ სურთ დამშვიდებულად ცხოვრება, და ეცადეთ, რომ ნურავინ შეაწუხებს. მაქვს თქვენი იმედი, მალე მეც ჩამოვალ.

სალამი ქ-ნ ანიკოს.

თქვენი პაოლო იაშვილი

[თბილისი, 1 სექტემბრამდე, 1921]

გიონ საგანელი – ტიციან ტაბიძეს

24/XII – 21 წ.

ბ-ნო ტიციან!

მე არ ვიცი, რომელი თავმოყვარეობით გელაპარაკო. უნდა გითხრა, რომ იმ სიტყვების შემდეგ, რომელიც რესტორან-ჩიკთან „ხიმერიონში“ მითხარი, უჩემოდ არ ისადილოვო, ამით იმდენად შეურაცყოფილად ვგრძნობ თავს, რომ მოსვენება აღარ მაქვს. ბოლო ყველაფერს აქვს. დღე გამოშვებით სადილობისთვის დიდი მადლობელი ვარ. დღემდე „ხიმერიონში“ არ ვსადილობდი და არც თქვენი მფარველობა მქონია, მარა შიმშილით არ მომკვდარვარ და იმედია, არც შემდეგში მოვკვდები...

ყველაფერზე გმადლობთ. ჩემი სალამოს შემდეგ ვცდილობდი თქვენთან მეტად დაახლოვებას და დაკავშირებასაც, რომ არ გამემართლებია პაოლო იაშვილის სიტყვები, რომ მე საშიში პიროვნება ვარ, რომ ჩემი დანდობა არ შეიძლება. არ მინდა ამ სიტყვების გამართლება, მარა იძულებული ვარ, ჩემი სურვილების წინააღმდეგ ვიმოქმედო. იმ შეურაცყოფის გამო, რომელიც თქვენგან მივიღე, გადავწყვიტე – გამოვიდე იმ ახალი მწერლობის კავშირიდან, რომელიც ჩვენ გვაერთებდა. რასაც თქვენ, ალბად წაიკითხავთ „ტრიბუნაში“, მიუხედავად ჩემი შეურაცყოფისა, თქვენი გარეგნობით თქვენ ჩემში გექნებათ პოეტის სახელი, რომ არაფერი დასწეროთ, მაინც. ერთი კვირა იქნება, რაც ფული არა მაქვს, მარა ჩემს სიამაყეს ოდნავადაც არ დავხრი. თავს მოვიკლავ და ქვეყანას მაინც გაუსწორდები.

გიონ საგანელი

[თბილისი]

1922

რაჟდენ გვეტაძე – პაოლო იაშვილსა და კოლაუ ნადირაძეს

ძმაო პაოლო და კოლაუ!

ამ წუთში თქვენს სახელს ხმამაღლა ვიმეორებ, არ მჯერა რომ მე შემეძლება თქვენთან ლაპარაკი, თქვენი სიყვარული, თქვენთან ერთად მზეში ყოფნა და ცხოვრება.

როცა საოპერაციო მაგიდაზე დამანვინეს და ყველაფერს ნისლი შემოებურა – სიამოვნებით დავხუჭე თვალები და ვეძახოდი გურამს, ჩემს გურამს, რომელსაც ეხლა გულზე ათოვს, იმიტომ რომ ვერ მოუარე.

ოპერაციამ დიდხანს გასტანა და მე ვფიქრობდი თქვენზე, ნინაზე, ოთხ ბიჭზე, ყველაფერზე და თანდათან ვგრძნობდი სიკვდილის მოახლოებას – რომელიც არც ისე საშიში მეჩვენა. რალაც სიმსუბუქეს ვგრძნობდი, თითქოს ფრთები მესხმებოდა... უცებ თვალებზე რალაც მძიმე დამანვა და გამომეღვიძა ტირილით იმიერ სოფლიდან დაბრუნებულს. როგორც შემდეგ ექიმებმა მითხრეს სასნაულმა გადაგარჩინაო. ოპერაცია გადავიტანე, მაგრამ შემდეგი დღეები პირდაპირ ჯოჯოხეთი იყო. დღემდე მოვალნიე. გაკოცებთ ყველას. ერთ დღეს მნახეთ. შეიძლება მართლა ველარ გამოვიდე აქედან.

თქვენი რაჟდენი

12.11.22 [თბილისი]

ნიკოლო მინიშვილი – ცისფერყანწლებს*

სტამბოლი, 30 აგვისტო, 922.

ძვირფასო ამხანაგებო!

ეს წერილია ფიქრები თქვენზე და პოეზიაზე. შეიძლება ხვალ ამის გამოგზავნა მოვასწრო და ამაღამ მინდა გესაუბ-

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 967.

რო თქვენ, მით უმეტეს, რომ ეს ჩემი უკანასკნელი დღეებია სტამბოლში და შემდეგ არ ვიცი, როდის შევძლებ რამეს მონერას. ეს სამი თვე, რომელიც დავყავი ამ გარყვნილ ქალაქში – გავატარე მარტო კითხვასა და ჩვენზე ფიქრში. თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმ სიამოვნებას, რომლითაც დავაცხრი იმ ვეებერთელა ლიტერატურას, რომელიც საქართველოში არ შემოდის და რომელიც იძლევა ნათელ წარმოდგენას დღევანდელი ევროპისა და რუსეთის შემოქმედებაზე.

და ამ წერილში მინდა ამაზე გელაპარაკოთ. ხომ გახსოვთ ტიუტჩევი:

**„Но вам, друзья, знакомо вдохновенье
На краткий миг в сердечном упоенье,
Я жребий свой невольно забывал
И радость пел, когда о вас мечтал“.**

სიხარული, როგორც ამას დაინახავთ, აქ აღარაა, მაგრამ ფიქრები თქვენზე და საქართველოზე – არის. და ეს მინდა თქვენ გაგიზიანოთ. თქვენ დაინახავთ, რომ ჩემი შთაბეჭდილება არაა სრული. ყოველმხრივი და დეტალური. მაგრამ ესაა პირველი შთაბეჭდილება და ვნახოთ, შემდეგ რა იქნება. გარდა ამისა, მე ჩემს შთაბეჭდილებაში მივყვები იმ თვისებას, რომელიც წამომყვა თქვენგან და შეიძლება, ეს ვიხმარო უმთავრეს საბუთად და ჩემს გასამართლებლად.

საქმე იმაშია, რომ უნდა გაიგო, თუ „რაშია საქმე“.

პოეტისთვის მე მგონია, ესაა უმთავრესი. მისთვის არაფერი არ მგონია სავალდებულო. გარდა ერთისა – რომ მან უნდა იცოდეს – „где раки зимуют“. ერთის შეხედვით, გასინჯოს პულსი, ჩააფრინდეს „ძირს“ და არ დაადოს ხელი იქ „სადაც არ უნდა“. დანარჩენი ვის რა ესაქმება.

ამას იქით, ჩემის ფიქრთი, იწყება უკვე „ლოხტუნობა“, დიაგნოსტიკა, ქირურგია და ლექვა. ესე იგი ყველაფერი ის, რაც სწოვს პოეზიას, რაც საზრდოობს მითი, ხოლო პოეზია აქ არაა.

ამ გრძნობას მივყვები მეც და ყველაფერი რაც აქ ითქმება – ამის ნეგატივია. ეს არის ჩვენი გრძნობა პოეზიის, მე მგონია. ამ მხრით ჩვენი შეგნება პოეზიის არის უფრო ქირომანტიუ-

ლი, ვინემ „ლოქტორული“, უფრო მოსაზრებისაგან, ვინემ აზროვნებისაგან.

შეიძლება ამაში იყვეს ჩვენი უმთავრესი ნაკლი, მაგრამ შეიძლება ესაა ჩვენი ღირსება და გამართლება.

ყოველ შემთხვევაში ეხლა, რცოა მე ესე თუ ისე უკვე შევიდგინე ერთგვარი წარმოდგენა უცხოეთის ლიტერატურის შესახებ და ვეკითხები ჩემს თავს, ჩამოვრჩით თუ არა ჩვენ პოეზიას – მე უსათუოდ დადებითი პასუხი მაქვს, რომ ჩვენ არ ჩამოვრჩენილვართ. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ხუთი წელი დაპლომბილ ყუთში ვზივართ.

შეიძლება ჩვენ ვერ გავთელეთ ბერგსონი, უცნობია ჩვენთვის, ეინშტეინის თეორია, ბუნდოვანი იყოს შპლენგერი (და ის მართლა ბუნდოვანია ისე, როგორც მისი გვარი, უფრო აშკარად ამბობდა გერცენი თავის დროზე: „Прощай буржуазия Европы“-ო), მეტად სუსტი ვიყოთ კანტებსა და სხვა ამისთანებში, ეს მართალია. მართალია ის, რომ ყოველივე ეს, როგორც აზროვნება, როგორც შრომა, ცეხვა და ცოხნა – მიდის ჩვენს გარეშე. და ჩვენში ვერ სტოვებს კვალს. ამ მხრივ, შეიძლება მართლა ჩამოვრჩით. ცხადია, – ეს ჩვენი ნაკლია. მაგრამ ის, რაც ამ ცოხნიდან გამომდინარეობს, რისთვისაც ყველაფერი ეს გაჩენილია და რასაც ყველა ეძებენ – ეს ჩვენ ვიცით. და თუ მაგ. შპლენგერი მექანიკური სეისმოგრაფია, მაჩვენებელი დღევანდელი კულტურის შექანების და შენგრევის – ჩვენ ვართ ის ხარები, რომელიც სეისმოგრაფზე ადრე გრძნობენ მიწისძვრას. და ამ გრძნობაში არ უდევს წილი არც ფართო სათვალეებს და არც ბუასილს. ეს არის კოსმიური გრძნობა პოეტის, მიკრობი, რომელიც შედის მის სისხლში და უცვლის მას გემოს.

ევროპის ხელოვნება და პოეზია, როგორც ხედვითი სანახაობა, როგორც ნაუკითხავი წიგნი, უნახავი გამოფენა, ან მოუსმენელი მუსიკა, მიდიოდა შორს ჩვენგან. მაგრამ ის მარადიული სინათლე, რომლითაც ანათებს ხელოვნება ყოველ დროს, და ის შეუსხლეტელი სისხლი, რომელიც საუკუნეებით სჩქეფს ყველა მუზეუმის ძარღვებში – ვგრძნობ, გადმოსხმულია ჩვენშიაც.

ჩვენთვის ამკარაა ფილოსოფიური დისციპლინა ანდრეი ბელის ჭკუისა, მაგრამ ფრაზა – „ნიჟნი კუზად ამოვარდება და პეტერბურგი ჩაიფუქებაო“, – არ უნდა იყოს გამოწვეული არც მისი ფილოსოფიის და კანტის ცოდნით და არც მისი მათემატიკოსობით.

ესეც ხარის ამბავია, რომელმაც აჯობა პროფესორ ბეთანოვის (?) სეისმოგრაფს და მასზე უფრო ადრე იგრძნო გორის მიწის ძვრა. აქ არის პლანეტარული ყნოსვა, რომელსაც ვერ აჩლუნგებს შემწვარი ბიშტექისის სუნი, აქ არის განხედვა, რომლის საზომია მხოლოდ „სინათლის წლები“ („Светочные годы.“) ანდა, ტიციანის არ იყოს, „ასტრალური გრძნობა“, რომელიც შეიძლება ასტროლოგიიდან აღმოცენებულია, ანდა გადადის მასში.

ესაა, ჩემის ფიქრით, მთავარი პოეზიაში.

ეს გრძნობა და თვისება, რომელიც არის ჩვენში, გვაერთებს ჩვენ უცხოეთთან უნახავად და ალბად ეს იყო მიზეზი იმისა, რომ არ ვიგრძნე თავი ჩამორჩენილად.

შეიძლება ჩემი აზრი ვერ გამოვთქვი კარგად, მაგრამ თქვენ გამიგებთ, თუ რა უნდა მეთქვა.

მივყვები შემდეგ.

ამრიგად – ჩვენ ვიცით ის „ლჭილო“ სადაც შესულია პოეზია. ჩვენ მხარდამხარ მივყვებით იმ შეგნებას, რომელიც დღეს არსებობს სხვაგან და შეიძლება ჩვენში ზოგიერთი უპირატესობანიც ვიპოვოთ. მაგრამ, როცა ვფიქრობ ჩვენზე, ჩვენს გზებზე და ჩვენს მიღწევებზე – მე მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ეს შეგნება, ეს ძალა, ვერ ავიყვანეთ იმ სიმაღლემდე, რამდენზედაც ეს შეგვეძლო. ვერ გავზარდეთ, ვერ გამოვიყენეთ. რომ ჩვენი შემოქმედება არ არის გამართლებული სავსებით. ჩვენი პოეტური ინტუიციის და პოტენციის მჯერა. მაგრამ ჩვენი შემოქმედება შეკვეცილი, ფრთაშეჭრილი, დამცირებული და გაუშლელია.

ეს ჩემთვის უდავოა და აქ წერტილს დავსვამ.

და აქ იწყება ჩემთვის საშინელი ფიქრები, თუ ერთია – რატომ მეორე არაა. პირველი ჩემთვის უდავოა. მეორე სადავო. და ამ იჭვებში მივდივარ მე სადღაც გამოუვალ გზებში.

მინდა, ვნახო ამის მიზეზი. და ჩემი იჭვეები გადადის თვით ჩვენს ყოფნაზე და იმ წვენის სიმშრალეზე, რომლითაც უნდა ვსაზრდოობდეთ ჩვენ როგორც ქართველი პოეტები.

და აქ მეეჭვება მე თვით საქართველოც...

აქ არის, ჩემის ფიქრით, ჩვენი კრიზისი, რომლიდანაც მე გამოსავალს ვერ ვნახულობ.

ვატყობ წერილი გრძელდება, მაგრამ თქვენ გაიგებთ ჩემს ნუხილს, და მე განვაგრძობ...

მე არ ვიცი – ვის უყვარს საქართველო ჩვენზე მეტად.

დღეს ყოველ მენშევიკს თავისი თავი წმინდა სებასტიანე ჰგონია, რომელიც დაისრულია სამშობლოთი და სამშობლოსთვის. ყოველი მეშჩანნი, რომელიც ვერ ახერხებს ნამდვილი საქონლით სპეკულიაციას – სპეკულიანტობს საქართველოს სიყვარულით.

საქართველო და პატრიოტობა დღეს ჩვენში შეიქნა ყველა კარიერა შერყეული ქართველის ჯაგლაგათ, რომელსაც მიაჩანჩალებს დონკიხოტივით.

მე ამას ვიტყვი აქაურებზე, რადგანაც, გერცენის არ იყოს, ემიგრანტობა თავის თავად მეტად ცუდი ავანტიურაა, და ქართულ ემიგრაციას, რომ განსაკუთრებული ტკივილი მართებს – ცხადია.

მე ვიცი ხალხი, რომელიც აქაურებთან მიწაზე ასწორებს ქართულ ბოლშევიკებს და საქართველოში კი, იმავე ბოლშევიკებთან ხელისუფლების ქვეშ მილიარდებს აკეთებენ. საქართველოში ბოლშევიკებს უძვრებიან უკანა კარებიდან და „на всякий случай“ რომელიმე რესტორანში მენშევიკსა და ნაც. დემ. თან მოინმენდს კეთილშობილ ცრემლს.

და ყველა ასეთებს, ალბად ჩვენზე მეტად უყვართ საქართველო. თქვენ იცით ბევრი მენშევიკი, რომელიც ტკბილად ემსახურებიან საბჭოთა ხელისუფლებას, პერიგებით და მორიგებით, „არ იკლებენ არაფერს“. ხოლო „დღიური ნესრიგის“ ამოსაწურავად ყოველ შემთხვევისთვის მაინც გააჩერებენ მოსახვევში თავისიანს და კითხავენ, „თუ რა ისმის“. და დამშვიდებული სინდისით ნავლენ შინისკენ.

თქვენ იცით ასეთი ხალხი და ამგვარი „ტიპები“ ყველაზე მეტს გვიყვიროდენ ჩვენ და წრიპინობდენ ჩვენს ბოლშევიკობასა და კომუნისტობაზე, რამაც სტამბოლამდე და პარიზამდეც კი ჩაანია. ეს ქართული „თილისმობაა“, ეს ყოველთვის ქართული ჩვეულება იყო. და თუ ეხლაც ჩვენი ეროვნული მორალი და კეთილშობილება ამ ხაზით უნდა წავიდეს – დეე, ღმერთმა ხელი მოუმართოს და ხეირი ანახოს.

დღევანდელ ხანაში ეს უსინდისო სპეკულიანტური, გაიძვერული პსიხოლოგია, რომელიც წაღმა უკუღმა „ეტორლიალება“ საქართველოს სხეულს – განსაკუთრებით ძლიერია. ასეა აქაც.

და როცა ფიქრობ ასეთ ფიქრებს, როცა თვალწინ გიდგება ასეთი ხალხი და საქართველო – მე ვერ ვპოულობ ვერც ერთ სახეს, რომელიც ღირსი იყოს საქართველოსი და მინდა ვიყვირო: „ТЬФУ, СВОЛОЧИ“. თქვენ იცით ეს თავდასხმა ჩვენზე, რომელიც, ალბად გრძელდება, რომ ჩვენ არ გვიყვარს სამშობლო, რომ არა ვართ პატრიოტები, რომ ჩვენდა საქართველო – ორი სხვადასხვაობა ვართ.

ამას ყრანტალობს ხოლმე ერთნაირად, როგორც ვინმე ფილისტერი, რომელიც ბრაზდება იმითი, რომ ჩვენგანი გაიარს „ბოლშევიკურ ავტომობილით“, ისე „პატრიოტი“ – უკმაყოფილო და გულმოსული იმით, რომ ჩვენ არ დავდივართ ქუჩა-ქუჩა და სიმონა ჯღამაძესავით არ ვყვირით „მზეო ამოდი, ამოდი“-ს...

გამიგრძელდა ამაზე წერა, მაგრამ აქეთ წამომიყვანა სიტყვებმა, საცა მე გავჩერდი ჩვენს შემოქმედებაზე, ჩემს იჭვზე და საქართველოზე. და განვაგრძობ.

ღიახ. მე ვამბობ, რომ ჩვენმა ჯგუფმა, მიუხედავად იმისა, რომ მასშია უნივერსალური გრძნობა პოეზიის გაგებისა და ათვისებისა, – ვერ აიმაღლა შემოქმედებაში იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო თვითეული ჩვენი ამხანაგის პროტენციის მიხედვით.

ამას უწოდებ მე ჩვენი კრიზისი. და არა თავის გასამართლებლად და გასაქრობად ჩემი იჭვისა მე ვახსენებ საქართველო და მისი სიმშრალე. ჩვენი მტრები იტყვიან, რომ „ყანწელე-

ბი“ ამოიწურენ, ან რომ ისინი უნიჭონი არიან, ან რომ ზარ-
მაცობენ, ანდა კიდევ სხვას.

ერთ დროს მეც ვფიქრობდი დაახლოებით ასე, მაგრამ ეხლა
ეს არ მიმაჩნია საყურადღებოდ. და ამაზე არ გავჩერდები.
ჩემი ფიქრი კი ებჯინება საქართველოს. და იგრიხება ასე.
ჩემს წინ სდგას კითხვა: კითხვა „დედა-შვილობის“. და მე
ვკითხულობ: სამშობლო პოეტისთვის (ხელოვანისთვის) თუ
პოეტი – სამშობლოსთვის. საზრდოობა სამშობლოსგან, თუ
„რჩენა“ სამშობლოსი.

იმ სახით, როგორც მე ამას ვკითხულობ ეხლა – ევროპაში
ეს საკითხი არ დაისმის. შეიძლება, რუსეთში დაისვას ეს
კითხვა. ეს იქ მართლაც არის. განსაკუთრებით კი ეს ჩვენი,
ქართული კითხვაა. და მე მივდივარ ერთ დასკვნამდე, რომ
„სამშობლო – პოეტისთვის. (ხელოვანისთვის) ე. ი. სამშობ-
ლოში (არა მარტო ბიოლოგიურ ცნებაში და ეტნოგრაფიულ
ფერებში) უნდა არსებობდეს ეს ენერგია. ის სხვადასხვაო-
ბა, რომელიც ბადებს შემოქმედებას. სამშობლო უნდა იყოს
სტიქია, ატმოსფერა, ნოყიერება, რომელიც აღმოაცენებს შე-
მოქმედს. საჭიროა „სახე“, სამშობლოს ენერგია, მისი თესლი.
სწორედ აქ მეეჭვება მე საქართველო.

აქ მეჩვენება მე ის იმ ქალად, რომელსაც, სოფელში რომ
იტყვიან „უშვილობის წამალი აქვს დაღეული“.

ბოლოს და ბოლოს ეს სიტყვა უნდა ითქვას. და ამისი არ
უნდა გვეშინოდეს, თუმცა დღეს გახურებულ ქართულ ატ-
მოსფერაში ძნელია ამის თქვა...

აქ გვეტყვიან, შეიძლება, რომ ეს არის თვითმკვლელობა
ჩვენი, და მოიყვანებენ ძველი ჩექმასავით გაცვეთილ მაგა-
ლითს იმ შტოს გადაჭრის შესახებ, რომელზედაც კაცი ზის.
რა ვქნათ.

და მე ვფიქრობ, რომ დიახ, ჩვენ და დღევანდელი საქარ-
თველო (და შეიძლება საქართველო საზოგადოთ) ვართ ორი
ანდროგინი, და ჩვენგან არ შეიქმნის შთამომავლობა.

და თუ საქართველოს წარმოვიდგენთ სულიწმინდის მიერ
დაორსულებულ არსებათ, რომელსაც „აკუშერი“ სჭირდება,
რათა მიიღოს ხელთ „ნაყოფი მუცლის მისისა“, – მაშინაც

ჩვენ ვერ გამოვდგებით ასეთად, ვინაიდან ნაყოფი იგი არ არის და არ იქნება გამართლება ჩვენი წარმოდგენის. ჩვენი სურვილების, ჩვენი შეგნების და იმ დიდი სიყვარულის, რომლითაც გვიყვარს საქართველო და რომელიც გვინდა იყოს.

ეს განცხადება, სრულიადაც არ იქნება გამართლება ჩვენი მონინაალმდეგეებისა, რომ ჩვენ არ გვიყვარს საქართველო, ანდა ცუდი ქართველები ვართ.

აქ, რასაკვირველია, ისინი ახსენებენ სხვა სახელებს ჩვენს გარშემო. კი, ბატონო, ვინ?

ჩვენ დროში ყველაზე ნაყოფიერი სანდრო შანშიაშვილი იყო. ყველაზე მაღლა მის მეუღლეებში მან „აუნია ხმა“. რითი?

თუ „უგვირგვინო მეფენი“ ისტორიაა, ის უნდა ამოუდგეს გვერდში ჯავახიშვილს, პავლეს, კაკაბაძეს და რა „ისტორია“ დაემართება მას ამ კამპანიაში, გასაგებია. თუ ისტორია არაა, მით უმეტეს არაა ის პოეზია. „დანარჩენი ხომ ლიტერატურაა ყველაფერი“. თუ ისტორია არაა, არაა, მაშასადამე, არც საქართველო შიგ. „ბერდო ზმანიაზე“ არც სხვა ამბობს რასმე და მეც აუარ გვერდს. ეს მართლაც „ჭკუის“ ამბავია, გრიგოლ ლალიძის არ იყოს.

შეიძლება „კახეთის დედოფალში“ იყოს საქართველო, მაგრამ ნუთუ მარტო ესაა საქართველო და თუ კიდევაა – სადაა ის, ან ვინ ნახა შანშიაშვილის პოეზიაში უფრო დიდად, ნოყიერად და გულგახსნილად.

აქ დანვრილებით ლაპარაკი საჭირო არაა. თქვენ მიხვდებით. შანშიაშვილში არაა საქართველო. იმდენადაც კი, რამდენი ესაჭიროება თუნდაც დამფუძნებელი კრების ერთ წევრს თავისი პატრიოტული გულის გასაცხელებლად.

საქართველოს ჩვენი გაგებით კი, ხომ ეს მარტო „შავთვალწარბა“ ქართველი ყმანვილია.

აიღეთ გრიშაშვილი. აქ ალბად სადაო ჩვენ არაფერი გვაქ. მაგრამ მე მაინც მივიყვან ჩემს აზრს ბოლომდე.

რალა საქართველო მასში? თუ ისაა, რომ ის პატრიოტულ ლექსებსა სწერს.

თქვენ ალბათ გაუარეთ ამ ამბავს გვერდი და მე მახსოვს, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, როცა ყვითელ ზღვაში რუსებმა ააფეთქეს თავისი ნალმოსნები და მათთან ერთად და-

ილუპენ, – სირომიატნიკოვის „Россия“-ში ვილაც უცნობმა დაბეჭდა ლექსი „Плешут холодные волны“. ამ ლექსს მღეროდა მთელი რუსეთი. ეს იყო უდიდესი პატრიოტული ლექსი. თქვენი ნაცნობი პოეტები მაშინ ყველანი ცოცხალი იყო, მაგრამ არავინ მათ ლექსს არ მღეროდა და არც დასწერდა ვინმე ასეთ რამეს. მან ააღელვა და აამღერა მთელი რუსეთი ისე, როგორც ეხლა გრიშაშვილის „დახეული დროშა“ აღელვებს ჩვენი პატრიოტების გულს.

ეს იყო ეპიზოდი, რომელიც გაქრა იმ ამბავთან ერთად. პოეზია და ქვეყანა ნავიდა თავის გზით.

და ნუთუ საქართველო მარტო „დახეული დროშა“. თუ საქართველოა „რა კარგი ხარ, რა კარგი“..

აბა რაა, სადაა!..

ეს მხოლოდ გრიშაშვილია, რომელსაც, ვთქვათ, უყვარს საქართველო და მოუნოდებს სხვებსაც სიყვარულისთვის. ეს, თუ სხვა რამე მიზანი არაა შერეული შიგ, რასაკვირველია, კეთილშობილი საქმეა, მაგრამ საქართველო? რაა, ვინაა, სადაა? აქ იტყვიან, რომ ის სამშობლოს ემსახურება. როგორ, განა მაზე ნაკლებად ემსახურა სამშობლოს უცხო ვინმე რუსთაველის პროსპექტიდან, რომელიც „ანტანტის ბლოკის“ შესახებ გავრცელებულ ჭორებით არანაკლებ აღელვებს პატრიოტების გულს და ემსახურება ქვეყანას?

ეს მეჭორე და ეს პოეტი ერთნაირად ლელდებიან და აღელვებენ. და სადაა აქ პოეზია. ან რომელშია მეტი. სადაა აქ ღმერთი, შემოქმედება, ესაა, ჩემის ფიქრით, ის უკუღმართი მოვლენა, რომელზედაც ვლაპარაკობდი – როცა სამშობლო არ აძლევს პოეტს რასმე და პირიქით, პოეტი ცდილობს მისცეს მას.

პოეზიაში და საზოგადოდ ეს დამარცხების ამბავია და ჩვენ ვიცით, რომ ეს ასეა. ეს სიყალბეა. გაუგებრობაა და მართლა სირცხვილი იმ პოეტს, რომელსაც შეეხარბება ასეთ გაუგებრობაზე აშენებული ძეგლი. ეს თემა ზდანევიჩის ლექციის თემაა პარიზში (სახლი.. ზე), სხვებზე მე არას ვიტყვი. ჩვენს გარშემო ეს ორი კაცი საკმარისია საილუსტრაციოთ, რადგან სხვებზე „კვანჭს ვერ მოიკიდებ“ და ვერ ნებავ მათში ვერც პოეზიას და ვერც საქართველოს.

ასეთი ყუმი და უმია ჩვენი პროზაც. ადიგდინებული, როგორც ციებიანი ქათამი სამეგრელოში.

მაგრამ ყველა საქართველოს „პორტყნის“, ყველა მას ენეპება, ყველა წრიპინობს საქართველოზე და საქართველო კი არსადაა.

და მე მართალი გითხრათ, სასტიკად მეშინია ამაზე ფიქრისა. კი, ბატონო, ჩვენ ვიყვეთ დეგენერატები, დეე, საქართველო არ გვიყვარდეს, დეე, ჩვენ გაგვრიყოს საქართველომ და ეთაყვანოს თუნდა რწყილს. კი, მაგრამ ეს სხვები სადლაა. სხვებს რალა დაემართა.

და შემდეგ: ჩვენ, ჩვენთვის, ჩვენნაირათ რომ გვიყვარს საქართველო. ხომ გვინდა ის, ჩვენი საქართველო, რომელიც ჩვენს ოცნებაში ზის, მუდამ ვეალერსებით და სხვანაირია.

ეხლა ვხვდები, თუ როგორ ანუხებდა ეს კითხვა გრიგოლს. ეხლა მესმის მისი გამწარება და „თავზე ხელის შემოკვრა“. ჩვენც ეს გრძნობა, შეიძლება უფრო უხეშათ, მაგრამ იმავე ფიქრით გამოვსთქვით „მთლიან საქართველოში“.

და ეს მაინც სადლაა?

მე მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ვერ ვნახულობთ ჩვენ ვერც ჩვენ საქართველოს. ჩვენს ოცნებას საქართველოზე ელაპარაკება მხოლოდ ჩვენი გული და სიყვარული, ჩვენი სურვილი. არის სურვილი, ნდომა და არ არის რეალობა.

ჩვენ საქართველოს მზე არ გაგვანათებს.

და, როგორც ვსთქვი, ეს ვერც სხვამ ნახა. და თუ მარტო ჩოხახალუხია საქართველო – უტიეთ მას, წამოდით აქეთ, დავიკარგოთ, წყალში გადავარდეთ.

ჩვენ, ამხანაგებო, დიდი დეფექტები გვაქვს. მაგრამ ერთი ცხადია და ამას ვამბობ მე იმიტომ კი არა, რომ ყანწელი ვარ, – აშკარაა, რომ პოეზია, მისი უნივერსალური გაგებით უსათუოდ ჩვენთანაა. ამას მიმტკიცებს მე მთელი ის თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიაც ვბუნაგობ აქ.

და აქედან ლოლიკურად, ჩვენ უნდა მივსულიყავით საქართველოს მიგნებამდე ყველაზე უფრო. ეს ჩვენ ვერ ვქენით. ვერ შევსძელით.

აქა ჩვენი საფრთხე და ჩვენი უბედურება.

ამის მეშინია მე. და აი, რატომ.

როგორი ინტერნაციონალურიც არ უნდა იყვეს პოეზია და ლიტერატურა – ის, ჩემის ფიქრით, უპირველესად ყოველისა, ყოველთვის ეროვნულია. თვით ვერლენი, რომელსაც ნაკლებათ ახსენდება სამშობლო და ამბობს „И равнодушен я к судьбе народа“-ო (ჯერ კიდევ ვერ მომყავს ფრანგული ციტატები...), უაღრესად ეროვნულია. ეროვნული მოვლენაა შექსპირი, დანტე და სხვა. ეროვნულია „ომი და ზავი“ და „ჟან კრისტოფი“ (რომელიც მხოლოდ ეხლა გადავიკითხე), მაგრამ ამ ერის და ეროვნების სახე იმდენად ძლიერია შემოქმედში, რომ მას სრულიად არ სჭირდება ლაპარაკი – „გაუმარჯოს საფრანგეთსო“ და სხვა. ამას ყვირის თვითეული სტრიქონი ყოველი ავტორისა. ეს წვრილმანი არ სჭირდება ავტორს, რადგან მის ერს იმდენი ქონი აქვს, იმდენი სხვადასხვაობაა მაში, იმდენად თვალსაჩინო გრანდიოზულია ის, როგორც ერი, რომ რაც უნდა არაეროვნული ხასიათის იყოს ნაწარმოები – ქვეყანა მაინც შიგაა. ის ყვირის და იძახის. ამას წინეთ აქ იყო კლოდ ფარერი, რომელსაც სტამბოლმა დიდი ზეიმი გაუმართა. ოსმალეთს ხოლმე ეძახიან „პიერ ლოტის და ფარერის ქვეყანას“. სულ ამ თათრებზე სწერენ. მაგრამ ისინი საფრანგეთის ლიტერატურაში არიან და საფრანგეთის სახელით არიან. აიღეთ თქვენ რუსეთი. რუსის ხელოვნებამ აიღო მთელი ევროპა. არსად იმდენი ხალხი არ დადის, როგორც რუსების გამოფენებზე პარიზში. არც ერთი ლიტერატურა ისე არ აინტერესებთ, როგორც რუსული. პირდაპირ შურით ივსები, როცა ხედავ წიგნის მაღაზიებს ავსებულს მერეჟკოვსკით, ბუნიჩით, დოსტოევსკით, გიპიუსით და სხვ. ფრანგულ ენაზე. სუდეიკინი ვერ აუდის თეატრების ზაკაზებს და მისი სურათები მიაქვთ გამოფენაზე ამერიკაში. ერენბურგი გამოდის რუსულათ, ფრანგულათ გერმანულათ. ესენინი და კლიუევი ყვირიან ბარბიუსის „კლარტე“-ში და გიპიუსი და გრებენშჩიკოვი (?) იბეჭდებიან თითქმის ყოველ თვეს „მერკურ-დე-ფრანს“-ში. რა არის ეს.

ეს არის რუსეთი, რომელიც ნახა რუსის შემოქმედმა. ესაა რუსეთი, რომელიც მონახეს კირეევსკებმა და აქსაკოვმა, რომელიც აკურთხა „რაინდმა ბერმა“ სოლოვიოვმა, რომელსაც მიახეთქა თავისი გამსქდარი თავი ჩადაევმა, რო-

მელზედაც სტიროდა გერცენი – ეს ბაყბაყ-დევი რევოლუცია პათოსისა, რომელმაც დაარწმუნა ბელი თავის მესსიანობაში და აღმოაცენა სლავიანურ ქვეყნებში უკანასკნელი მომძლავრება – „ევროპიელობა“. ეს რუსეთი აყვირებს და ასაზრდოებს თავის პოეტებს და შემოქმედებს.

აქ არის ხაზიც – ძიებისა და განდგომისა. ტირილისა და ძაგვის. მაგრამ ტირის პოეტი, რომელსაც აწევს რაღაც გრანდიოზული, რომელსაც ახჩობს თავის ქვეყნის სიდიდე, სხვანაირობა, საკვირველობა, თავის სამშობლოს ღმერთი. მოიგონეთ დოსტოევსკის მსჯელობა ერებზე და სახელმწიფოებზე. რომ არარაა ის ერი, რომელსაც არა ყავს და არა სწამს საკუთარი, თავისი ღმერთიო.

ეს ღმერთი ყველას ყავს, მართლა. ეს ღმერთი ყავს საფრანგეთს, რომელიც კურთხევითა სდგას მარნაზე და ელენეს კუნძულზე, ბასტილიაზე და მარსელიეზაში. ეს ღმერთი ყავს გერმანეთს და მარტო ამ ღმერთს ეხებოდა ის შტამპი, რომელიც დაკრული ქონდა სამხედრო საგნებს ომის დროს „Боже, покарай Англию“ ინგლისს, რომლის ღმერთი ვენერასავით ამოდის ზღვიდან, შემდეგ იქცევა ოფელიად, რომ გაცოცხლდეს ინდოეთში...

ჩვენ ყველა ვხედავთ სკვითების ღმერთს...

და ასე ყველგან.

სხვებსაც ყავს და თუ არა ყავთ – შედიან სხვის საყდარში.

ეს ღმერთები აკურთხებენ მათ პოეზიას, მათ ხელოვნებას, ასუქებენ და ანავარდებენ მას.

და ლიტერატურა, რომელსაც არ აწერია მირონი ერისა – არარაობაა. და ჩვენც, თუ გავშლით ფრთებს – გავშლით როგორც ეროვნული მოვლენა. თუ გავაღოთ ევროპაში – გავაღოთ როგორც და მარტო ქართველები, რომელნიც გავიტანთ და გამოვაჩინოთ საქართველოს სახებას.

და როცა კვლავ უბრუნდები მას – მე ვერ ვხედავ ვერ ვნახულობ მას და მეშინია – ნუთუ საქართველო მარტო ეტნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული. ნუთუ ჩვენ არა გვყავს ჩვენი ღმერთი, არა გვაქვს ჩვენი საკუთარი აზრი არსებობისა.

როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას – იქ მე ღვთის ხელს

ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობაა დაცინვა (издевательство) განგების ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაცა შეკონინებული და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ. და ვერც აზრს საქართველოს ნარსულში.

იქნება საქართველო ნარსულში გაამართლოს ჯვარმა, რომლისთვისაც ის იგლიჯებოდა.

მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა გადმოდის და სადაა ეს კურთხევა. ნუთუ ჩვენი ანიოკებული ისტორია კურთხევაა. ნუთუ ორიათასი წლის განმავლობაში ამ ჯვარის ძალამ ვერ შვა მოვლენა, რომელიც გამოარკვევდა საქართველოს როგორც მოწოდებას, საკუთარის ღმერთით და დანიშნულებით. ნუთუ საბოლოოდ და სამუდამოდ მოკლებულია საქართველო იმ „ნათლის სვეტს“, რომელიც წინ მიუძღვის ყოველ ხალხს ახალი სიტყვისა და შემოქმედებისაკენ.

ორიათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას. და მე ეჭვება თვით რუსთაველიც. თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა – უსათუოდ გაუგებრობაა ის, თუ არა და ან რუსთველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე.

მე ვიბნევი და მეშინია ასეთი კითხვების, მანუხებს ეს აქ, ისე როგორც არასოდეს და ირყევა ჩემი სიმტკიცე და გული.

მე არ მინდა, უარყო საქართველო ნარსულში და მომავალში, მაგრამ ასე ხდება ეს.

თუ ერის სახე იხატება მის შემოქმედებაში – საქართველოს სახე ძნელი სანახავია. და თქვენ იცით ჩვენს შემდეგ, რა მოდის ხელოვნებაში და პოეზიაში. ეს საუკუნე ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ პოეტს, ვერც ერთ მწერალს...

შეიძლება ჩვენც ვერ აღვიმალლოდ ხმა, როგორც შემოქმედებმა, შეიძლება ჩვენც ჩაგვყლაპოს იმ არარაობამ, რომელიც სვამს საქართველოს ბედს, მის სულს და სისხლს ამ ორი ათასი წლის განმავლობაში. ამას მე ვფიქრობ, მხოლოდ ჩვენ შეიძლება მაინც დავრჩეთ, როგორც ნიშანი გამყოფელი ორი ხანისა ლიტერატურაში, როგორც ჩასობილი სვეტი საზღვარზე: – აქამდი იყო ეს. და აქედან იწყება ესო. და მეტი არაფერი, მაგრამ რაა ეს. ან რად ღირს ეს.

მე მგონია, რომ შინაგანად ყველა ჩვენგანი ამას ვგრძნობთ. ჩვენ რომ ვეძებდეთ დაფასებას დღევანდელს, სახელს იაფს – ამას ყოველი ჩვენგანი შესძლებს. ეს ადვილია. მაგრამ ეს იქნება ლალატი სინიდისისა და პოეზიისა. და ის რაც მარადიულია ყველგან, რასაც უხვად აძლევს სხვა ხელოვნებს სხვა სამშობლოები – ჩვენ საქართველოში მას ვერ ვხედავთ და ვვარდებით სკეპტიციზმში, რომელიც, ალბად მიგვყვანს ცინიზმამდე.

სადაც არ უნდა წავიდეთ ჩვენ, ამ მიზეზის გამო თავს მაღლა ვერ ავწევთ. პაოლო რომ წავიდეს პარიზში – შეიძლება მან ალაპარაკოს ხალხი (და ეს მე ვიცი, რომ ასე იქნება) როგორც პიროვნებამ, როგორც პაოლომ მაგრამ მასში ვერ ალაპარაკდება საქართველო ისე, როგორც ალაპარაკდა იტალია მარინეტის ინტერნაციონალურ მანიფესტში.

თუ ჩვენ პოეზიას ავიღებთ როგორც აბსოლიუტურ ცნებას – ჩვენ შეგვიძლია, როგორც პოეტები ამოუდგეთ ყველა პოეტს გვერდში. მაგრამ პოეზია ხომ დათვი არ არის, რომელიც სწუნის საკუთარ თათს. მას სჭირდება ფესვი, ძირი, რომელიც უნდა ღრმად იყვეს ჩასული თავის მიწაში. ისეთი ინტერნაციონალური მოვლენა, როგორიცაა რევოლიუცია – უაღრესად ეროვნულ სახეს ამოისვრის ხოლმე პოეტში. საუკეთესო პოეტები რუსეთის რევოლიუციისა, რომელიც იშვენ რევოლიუციით და მესამე ინტერნაციონალსაც კი უგალობენ – ყველაზე მეტად ეროვნული არიან.

მაიაკოვსკი, ესენინი, კლიუევი.

თქვენ წაიკითხავდით ერენბურგის წინს „А все таки она вернется“.

მე გამოვავზავნე ის საქართველოში. იქ თითქოს ახალი მიდგომაა პოეზიისადმი. სილამაზისა და ხელოვნების გაგებისა. „კონსტრუქციონალიზმი“. მაგრამ სილამაზე არასოდეს არ ყოფილა ისე მეშინაურად ახსნილი და გაგებული, როგორც იქ. ეს არის განმედილი ფეხის ალაგის სილამაზე.

და ის, ვისაც ხელოვნება ესმის როგორც რელიგია – ამ წიგნს ზიზლით გაუარს. ბოლოს და ბოლოს ტატლინის ძეგლი მესამე ინტერნაციონალისთვის აგებული და სხვა ასეთი მაგა-

ლითები, – უსათუოდ იმავე ეროვნული პოტენციის შედეგია, რომელიც გააქანა, აამოძრავა და გამოაჩინა რევოლიუციამ. დროა გავათავო წერილი.

ჩვენი გემი, რომელზედაც მე ვსცხოვრობ („გურჯისტანი“, ჯაყელის) სდგას ოქროს რქაზე. და ამ სინყნარეში ლამის უკვე მესამედ ყივის თათრის მამალი ნაპირიდან.

მეც დავიღალე.

სტამბოლი ხომ ისტორიული პუნქტია, სადაც სტიროდენ ქართველები. ეს წყლები „ბაბილონის მდინარეებია“ და იქნება ოდესმე ქართველი პოეტიც დასცინოდა აქ თავის ბედს და სამშობლოს ისე, როგორც მე. იქნება, ისიც ეძებდა საკუთარ ღმერთს ამ მინარეთების წვეტიან თავებში. და ეს მთვარიანი მინარეთები მასაც უფარავდენ ღვთის სახეს ისე, როგორც ჩემთვისაა ის დაფარული და მიუგნებელი... ვინ იცის.

ვიჩქარი დასკვნებს. მეშინია ამ „ერესი“-ს, მაგრამ ესაა და რა ვქნა. ესე იგი ის, რომ საქართველო პასიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ) საკუთარს, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო სულ და მოკლებული იყო, მამასადამე, შემოქმედების გენიასაც. მოკლებულია – აქედან – გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მონოდებას, აზრს, შინაარსს. ამითია, რომ მშრალია და ფიტი საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა“ თუ ბერნობა.

ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩუტე ქართული არსებისა. ქართული ჭკუისა. განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიის. ამით უნდა ვიყოთ ავადი ჩვენც, ამითი უნდა ვიყვეთ შთამომავლობით მონამღული ჩვენც. ამითი ვართ ალბად ჩვენც განწირული სხვებთან ერთად.

მე მგონია, ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა. რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუაგზაზე. დაუმთავრებელი, მიუღწეველი. ესაა დაკიდებული საქართველოს თავზე. საშინელი, ულმობელი, მაგრამ მიუცილებელი –

Memento.

ამან მიიყვანა საქართველო ათი მილიონიდან ორზე. ეს მიგ-
ვიყვანს ჩვენც და საქართველოსაც სიკვდილის პირას.

და რა ვქნათ ჩვენ:

რა წყალში გადავარდეთ?!

აქ მეც პასიური ვხდები, როგორც საქართველო.

უხმო, უმწეო, უნებო.

მე მინდა თქვენი აზრი, თქვენი სიტყვა, თქვენი ნუგეში.

მე ველი ამას და გთხოვთ – ნუ დამივიწყებთ, ნუ მომიძუ-
ლებთ... ნუ დამკარგავთ!

მარად თქვენი ნიკოლო მინიშვილი

სია ამასთანავე გამოგ ბავნილი წიგნებისა:

1. Веретеныш.
2. Пиковая дама.
3. Крылов.
4. Ад.
5. Мир.
6. Гумилев.
7. Огн. столп.
7. Белый – стихи о России.
8. Немецкие поэты.
9. Серапионовы братья.
10. На путях (Евразийцы)
11. Новости литературы.
12. Вырезки из газет.
13. Дом искусств.
14. Берлин.
14. Письмо к Луначарскому (для Д. Канделаки).

შალვა კარმელი – რაჟდენ გვეტაძეს

ძმაო რაჟდენ!

გისურვებ კარგათ ყოფნას ცოლშვილით. 13 სექტემბერს ჩამოვედი ქუთაისში. შენ უკვე იცი, სახლში რა საშინელი ამბავი დამხვდა. რა უბედურებაა. დამწარდა აბასთუმნის ტკბილი სეზონი. აბასთუმანში ვიყავი თვე ნახევარი. მოვიმატე 15 გირვ., წამოსვლის კვირაში დაგვარგე 3 გირ. მიზეზი: ერთი რომანი, ჩემი გულის ქაღალატონმა სიყვარულს შესწირა 5 გირ. აქ სიყვარული გირვანქობით, და ტერმომეტრით იზომება. დაწვრილებით სხვა დროს, ტფილისში. ნაცნობები ბევრი იყო. მწერლებიდან არავინ ყოფილა სანდროსა და გორგაძის მეტი. ორივე ძლიერ მოკეთდა. ძლიერ მხიარულად გაიარა დრომ. სანატორია ვერ გვაკმაყოფილებდა და დღეში ასი ათასს ვხარჯავდით. ვცხოვრობდით

გიორგი ცესარევიჩის სასახლეში. ჩემთან იყო: ვასო ხმა-
ლაძე და ერთი ქუთაისელი ბუხგალტერი. ჩვენს გვერდით
ოთახში ცხოვრობდენ: ანტიოსი და ქულა ხუნდაძე. ტფი-
ლისში წამოსვლა მინდა თვის ბოლოს. სევერიანე და გიო
წამოვლენ ერთ კვირაში. ძლიერ გვეშინია ოთახების ჩამორ-
თმევის. არავითარი მოწმობა წამოსვლის შესახებ არ დაგ-
ვიტოვებია. იქნებ მიხედო. მეტად გვაფიქრებს სამსახურიც.
გადაეცი ჩემი სალამი ყველა მეგობრებს: გრ. ცეცხლაძეს,
ტიციანს, გოგლას, გიორგი კვარაცხელიას, ნინა ბაქრაძეს
და სხვ. გავიგე – მალიკო წაყოლია ვირაჰს. ლილი მეუნარ-
გია მომკვდარა. ნუ დაიზარებ ერთ წერილს.
ნახვამდის.

შენი ძმა შალვა კარმელი
[ქუთაისი, სექტემბერი, 1922]

სანდრო ცირეკიძე – სერგო კლდიაშვილს

სერგო!

რა კარგია, რომ ბოლოს გაგახსენდი, თორემ მთელი ზაფ-
ხულით დამეკარგე და ამაოთ ველოდი ფოსტალიონიდან შე-
ნი წერილის ჩუქებას.

მართალია, შენც ცოლი გყავს და ოჯახი გავალიანებს, მაგ-
რამ მეგობრები მაინც უნდა გაიხსენო.

მთელი დღე ვწევარ და „არსაიდან ხმა“. ამ თვის ბოლოს
სოხუმს წავალ და იქ, ალბათ, სულ მივინყებული ვიქნები.

შალიკოს მაინც (შალიკომ ჩემთვის ბევრი იშრომა) ერთი
ცუდი ზნე აქვს: თუ არ მიწერ – მოგწერს, თუ მიწერ და,
ხმას აღარ გაგცემს. უთხარი, რომ ეს ზნე მოიშალოს.

მეც მიჩქარიან და აქ უნდა გავათავო.

მოკითხვა შენ ძვირფას ნახევარს.

სანდრო ცირეკიძე
4/X. [1922. ქუთაისი]

ტიციან ტაბიძე – ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს

ნინა, გწერ ამ წერილს შემთხვევით, დღეს მოდის საშა რუხაძე – რომელიც ამ წერილს მოგიტანს; ბათომში წასვლა ვერ მოვახერხე, რადგან გზებია გაფუჭებული. მგონი, ვერც პაოლომ მოაწყო სალამო. ჩვენი სოფელი რიონს სულ გაუფუჭებია. ელიან სიმშილობას. მე, როგორც იქნება, უნდა წამოვიდე კახეთში დასასვენებლათ, თორემ საძაგელ ხასიათზე ვარ. თუ შევძელი, ალავერდობამდე ჩამოვალ. წამოსვლისას მოგწერ. ფული 1.500000 მაიკას გამოვატანე. ერთ მილიონს კიდევ გიგზავნი. მომწერე წერილი, რამდენი დამჭირდება, ორი კვირა რომ ვიცხოვრო თელავში.

გაკოცებთ ბევრს შენ და ნიტას.

სალამი დედას.

შენი ტიციან

16/X – 922 წ. [თბილისი]

გიორგი ლეონიძე – ნიკო კურდღელაშვილს

ნიკო!

ამ ნომერში ვბეჭდავთ თქვენს წერილს. მხოლოდ გვინდა ამოვიღოთ წერილის ის ნაწილი, რომელიც ეხება ფუტურისტის კადნიერებას. ეს არ არის საჭირო და ეს მხოლოდ იმათი რეკლამა იქნება. ისინი რომ მწერლები იყვნენ, სხვაა, ამით კი თავს გამოიდებენ. თქვენ წერილის ქვეშ იქნება ასეთი შენიშვნა დაახლოებით:

*) წერილი სადისკუსიოა. რედაქცია ზოგში არ ეთანხმება ავტორს, ვბეჭდავთ, რადგან საინტერესოა აზრი ისეთი მწერლის, როგორიც ბ-ნ ნარკანის.

გ. ლეონიძე

P.S. თუ ასე არ გსურთ, გვაცნობეთ.

გაზ. ბახტრიონი, 1922 წ.

[თბილისი]

სერგო კლდიაშვილი – სანდრო ცირეკიძეს

ჩემო კარგო სანდრო! შენ ნაწყენი ხარ ჩემზე ჯერ კიდო ქუთაისიდან. უსინდისო და ღორი ვარ მე შენს წინაშე, მაგრამ დამიჯერე მხოლოდ ის, რომ შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ხარ. შენ შეგიძლია ჩამთვალო შენი ნაცნობებს შორის უფრო დაახლოვებულ ნაცნობათ, მაგრამ ჩემი დამოკიდებულება შენდამი ასეთი არაა. შენი მეგობრობა ყველაზე უფრო დიდი და წმინდაა ჩემთვის. არასდროს მომითხოვია შენგან მაგიორი და ალბათ, არც მაქვს ამის უფლება, მხოლოდ ერთს მოგთხოვ – ჩემს სიყვარულზე სიცივიტ ნუ მიპასუხებ. შენი ავადმყოფობა ჩემთვის დიდი მწუხარება იყო და შეიძლება, შენს შემდეგ, ისე არავის ეშინოდა, როგორც კალისტრატეს და მე.

ამ წერილის დროს უეცრათ მოვიდა კოლიას თანამგზავრი და მაჩქარებენ.

ბახტრიონში დამაწყებიეს გაბითურებული წერილები. ილიაზე რომ წერილი მქონდა, დედანში ცოტა სხვანაირათ იყო (ნახე ის ნომერი, რომელსაც გიგზავნი).

ალარ მაცლიან წერას, მიდიან. გიკოცნი შენს უშველებელ თვალებს. სანდრო, არ იყო დღე, რომ სანდროს სახელს რამოდენიმე საათით არ აევსოს ის. შენ არ იცი, თუ რა დიდი სიყვარული მაქვს შენი. მაპატიე, თუ წერილი ვერ გამოგიგზავნე. ახლაც სამი წერილი მაქვს დაწერილი, შენთვის გამოუგზავნელი. განა ეს თითქმის იგივე არაა?! ჩემი მისამართია: რუსთაველის პროსპ. №19, შრომის სახალ. კომისარ. შრომის დაცვის განყოფილებაში. სულელი კოლია! არაფერი დამაწერია. თუ ჩემი წერილები გაგახარებს, ანი ძალიან ხშირათ მოგწერ. ჩემო სანდრო, ჩემო საყვარელო სანდრო! გაკოცებ ბევრს, ბევრს. სონიამ მოგიკითხა.

შენი სერგო კლდიაშვილი

[თბილისი, 1922]

ბიკტორ გაბესკირია – რაჟდენ გვეტაძეს

პ-ლო რაჟდენ!

თბილისში ჩემს რედაქტორობით გამოვა ჟურნალი „მან-დრაგორი“, რის გამოდაც გთხოვთ უმორჩილესად, დახმარება გამინიოთ მასალის მოწოდებით... იმ მრწამსით, რომ გავამართლო თქვენი ხაზების ყველა იდეალური მხარეები... განზრახული გვაქვს და ვიმედოვნებთ, ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები:

პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ნიკოლო მიწიშვილი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, შალვა აფხაიძე, იოვანე ყიფიანი, გრიგოლ ცეცხლაძე, ტერენტი გრანელი, გრ. ჯაფარიძე, რაჟდ გოგობია, ბიკტორ გაბესკირია; ყდა: მოსე თოიძე.

პ-თ რედაქტორი: ბ. გაბესკირია

2/V. [1923 წლამდე, თბილისი]

სანდრო ცირეკიძე – სერგო კლდიაშვილს

სერგო ჩემო!

ამ წიგნშია ლუნაჩარსკის წერილის ორიგინალი და იქნება, ამ რუსული ტექსტით უფრო ადვილი საანგარიშო იყოს ჰონორარი.

შენი სანდრო

[ქუთაისი, 1923 წლამდე]

1923

პაოლო იაშვილი – პავლე გოგიაშვილს

დიდად პატივცემულო ბ-ნო პავლე!

ძვირფას შალვას სიკვდილმა უღრმესი მწუხარებით აავსო ჩვენი გული – გული მისი მოყვარული მეგობრებისა. მიიღეთ ჩვენი თანაგრძნობა და გჯეროდეთ, რომ მის სახელს ღირსეულად გაგაცნობთ ქართველ ერს, რომელმაც შალვასთან ერთად დაჰკარგა მეტად ნიჭიერი პოეტი და კეთილშობილი ახალგაზრდა ქართველი პატრიოტი. გთხოვთ, გადასდოთ მისი გასვენება ხუთშაბათს, 1 თებერვალისათვის, რადგან დღეს წამოსვლას ვერ ვასწრობთ. ჩამოვალთ გასვენების დღეს ყველა მისი ახლობელი ამხანაგები.

დიდის პატივისცემით და უღრმესი თანაგრძნობით

პაოლო იაშვილი

[თბილისი, 20-30 იანვარი, 1923]

პაოლო იაშვილი – ნიკას და კოლაუ ნადირაძეს

ძვირფასო ნიკა და ძმაო კოლაუ!

შალვას სიკვდილმა სრულებით არია ჩვენი დღეები: ასეთი მწუხარება ჯერ არ გვახსოვს მეგობრის დაკარგვით. ოთხშაბათს დილით ჩამოვალთ მე, პავლე ინგოროყვა, ტიცია-ნი, ვალერიანი და რაჟდენ გვეტაძე. გთხოვთ, გადასდოთ გასვენება ხუთშაბათისათვის.

სრ. საქარ. ახალი მწერლობის და კავშირის სახელით და ცისფერი ყანწელების დავალებით გთხოვთ, შეუკვეთოთ ორი გვირგვინი ცოცხალი ყვავილებისა. ფასს ჩვენ გადავიხდით. ვეცდებით აგრეთვე, ლენტეხი წარწერებით აქედან

ჩამოვიტანოთ. დარწმუნებული ვართ გასვენებას მოაწყობთ ისე, როგორც ჩვენს ძვირფას შალვას შეეფერება.

თქვენი მარად პაოლო იაშვილი
[თბილისი, 20-30 იანვარი, 1923]

ნიკოლო მინიშვილი – დავით კანდელაკს*

Наркому ССР Грузии

Поэта Николая Мицишвили

Заявление

Покорнейше прошу НКП Грузии разрешить мне продажу и распространение на территории ССРГ издаваемого в Париже под моей редакцией на грузинском языке литературно-художественного журнала „ახალი ნაშენით“.

Характер издания:

1. Абсолютная аполитичность.
2. Освещение новой мысли и новых явлений в искусстве в форме, приемлемой для существующего строя.

В случае разрешения, покорнейше прошу НКП. не отказать мне сообщить об этом и разъяснить также – можно ли поручить цензуру журнала Берлинскому представительству, или прямо необходимо направить издание в распоряжение НКП. Г.

Николай Мицишвили

Париж, 10. 5. 23

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 971.

ნიკოლო მინიშვილი – დავით კანდელაკს*

Париж, 10 мая, 23.

Глубокоуважаемый Давид Владимирович!

Настоящее письмо посылаю через проф. Джанелидзе и думаю, что оно дойдет до Вас. Это крайне необходимо и желательно т. к. я считаю своей обязанностью уведомить Вас о крайне тяжелом положении т. Ладо Гудиашвили, физическая смерть которого может быть предотвращена только Вашим участием и помощью нашего прав-ства т. к. иных возможностей абсолютно не имеется.

Человек буквально гибнет с голоду. Нет никого, кто мог бы дать хотя бы франк, а б. меньшевистское пр-ство никого знать не хочет и самолично доедает последние остатки своих ресурсов...

Говорить о возможности работы не приходится и так пропадает человек, который в Париже уже вступил в полосу общего признания. Физической работой заниматься он также не может, т. к. испорчена левая рука...

Вы простите меня, что я пишу Вам, но здесь нет никого, кто хоть сколько нибудь знал Вас и смог бы написать об этом. Это делаю также по поручению т. Ладо, т. к. в официальном заявлении неудобно писать про все.

Между прочим, о положении т. Гудиашвили было сообщено т. Буду Мдивани в бытность его в Лозанне и он также рекомендовал обратиться через НКП в совнарком Грузии.

Про Гудиашвили пишут очень много и здесь и в Америке. Недавно директором Бруклинского музея было взято в Нью-Йорк его 40 картин. В газетах пишут, что эти картины были выставлены на общей выставке, а потом была устроена отдельная выставка его картин. Шум есть, а денег американец пока что не присылает, хотя частным образом передают о баснословных цыфрах, за которые проданы картины Гудиашвили. Он хотел сам поехать туда, но нет денег на дорогу... Одним словом, человек стоит у стены и пока не

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 971.

разбил голову, необходимо оттащить... И если возможно – спасите нам лучшего грузинского художника...

Больше ничего сказать не могу, хотя я не сказал многого об ужасном положении т. Гудиашвили...

Все студенты здесь живут тем, что работают на фабриках 9 ч. в день. Богатых грузин здесь нет... Так что, если человек не в состоянии стать чернорабочим – он обречен на голодную смерть.

Уважающий и преданный Вам Н. Мицишвили

კალისტრატე ცირეკიძე – შალვა აფხაიძესა და სერგო კლდიაშვილს

სალამი შალვას და სერგოს,

ერთი კვირაა, რაც წერილი მოგწერეთ სანდროს შესახებ და პასუხი ჯერაც არ არის წინანდებულათ. რომ დააგვიანდა წერილს, სანდრო ლელავს, ნერვები ეშლება და მეშინია, კიდევ ისევ არ გაუმეოროს და ცუდად არ შეიქნეს. ეხლა კარგად არის და აქ სიცხეების გამო არ ურჩევენ დარჩენას. ეს ერთი დამავალეთ და პასუხი ამის მომტანს, დათიკო ლანდიას ხელით გამომიგზავნეთ.

იყავით კარგად.

კალ. ცირეკიძე

21/V. 1923

[ქუთაისი]

ნიკოლო მინიშვილი – ლევან ლოლობერიძეს*

22. V. 23

ლევან!

შენი წერილით დავერჩი მეტად კმაყოფილი. ამასთანავე მოგახსენებ წერილის „დამატების“ შესახებაც, და თანახმად „დამა-

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 968

ტების“ მოთხოვნისა – ვიმსჭვალე პატრიოტული გრძნობით და ვსწერ ქართულად. ამის შემდეგ თქვენ ორივემ გამოარკვიეთ, რომელი ხარ „დამატება“ და რომელი „ასნაენოი“... ასე თუ ისე, ორივე წერილისთვის მადლობელი ვარ.

დღეს ბევრი ვსწერე და ხელი მტკივა. მაგრამ გწერ მაინც, რადგან მეშინია – არ გამასწრო საქართველოში. ამიტომ გწერ მოკლეთ და პუნქტებათ:

1. გიგზავნი ორ თავს ჩემი უკანასკნელი წიგნიდან, რომელიც მოთავდება ამ მოკლე ხანში და ალბად შემოდგომაზე დაიბეჭდება აქ. ეს ორი თავი ნეიტრალური თავებია, მაგრამ აქაც გასაგებია ტენდენცია და მიმართულება ნაწარმოებისა. გიგზავნი ამ ნაწყვეტებს ერთის უპირველესი პირობით: უნდა დაიბეჭდოს „კომუნისტში“. არავის „კომ.“ რედაქციის გარდა არ მისცემ და თუ არ დაიბეჭდება რაიმე მიზეზის გამო – გამოართმევ და შეინახავ შენ პირადათ და არავის არავითარ შემთხვევაში არ გადასცემ... გარდა ამისა, არ უნდა გასწორდეს არაფერი: შენ იცი, თუ როგორი განწყობილებაა ეხლა თქვენს წინააღმდეგ საქართველოში და წარმოდგენილი მაქვს ის უკმაყოფილება და სისინი, რომელიც მოყვება ჩემი ნაწერის „კომუნისტში“ დაბეჭდვას და კიდევ რომ რაიმე ტენდენციურათ შეასწორონ – დამწვარზე ცხელი წყალის დასხმა იქნება და ეს მე უთუოდ არ მინდა. გთხოვ, ეს ორი პირობა შემისრულო... შენ ნაიკითხავ – დაინახავ, რომ ხანჯალაძე და ახალკაცი სადმე ერთი მეორეს უნდა შეხვდენ ვინრო გზაზე და ერთი ამ გზიდან უნდა გადავარდეს... სად? როგორ? ამაზე შემდეგ. ეს დიდი ამბავია და ამ ამბავში მოთავსებულია ქართული ცხოვრება – „двадцатих годов двадцатого века“, როგორც იტყვიან ხოლმე სიტყვიერების ისტორიის ავტორები... ყოველ შემთხვევაში, მე ვატყობ, რომ ჩემი ნაცნობები დამწამებენ „სმენოვეხოზას“ და მრავალ ცუდ რამეს. ჩემი დამოკიდებულება თქვენდამი მე გარკვეულად აღვიარე ჩემს პირველ წერილში და ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია... თუ წასვლამდე წერილის მოწერა მოასწრო - მომწერე, თუ რას იზამ ამის შესახებ.

თუმცა შენ ხუმრობაში გადაიტანე სერიოზული საკითხი წერილების წერისა, და შიგ მატერიალური ამბის მეტი არ დაინახე, – მე მაინც გწერ ამის შესახებ ფრიად სერიოზუ-

ლად, რადგან შენც კარგად იცი, რომ ქართული მწერლობის თქვენთან მუშაობას აქვს დიდი მორალური მნიშვნელობა და ისიც კარგად იცი, რომ დღემდე არც ერთი ქართველი მწერალი კომუნისტში არ დაბეჭდილა. შენ იცი, რომ დანყებული „ც. ყ.“ და გათავებული გამსახურდიათი – ქართული ლიტერატურა „бойкотирует вашу прессу“... მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურ გარანტიებს მთავრობისაგან ის ლეზულობს... მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ უფსკრული თქვენსა და ჩვენი მწერლობის შორის არ ამოივსება და მეთოდი „პასიური წინააღმდეგობის“ საქართველოში იარსებებს დიდხანს, მიუხედავად მატერიალური დაპირებისა და უზრუნველყოფისა და თუ მე დავთანხმდები თქვენს პრესაში მუშაობაზე, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ აქედან მივიღო რაიმე მატერიალური სარგებლობა და კმაყოფილება. შენ დამეთანხმები, რომ თქვენს პრესაში წერა იმ დროს და იმ დღეებში, როცა კ. აბხაზის სისხლი ჯერ არ გაცივებულა არაკომუნისტი მწერლისთვის ძნელია და მე დარწმუნებული ვარ – ასეთ პირობებში არც ერთი ქართველი მწერალი და პოეტი თქვენთან არ დაბეჭდავს რამეს... და როგორი უარყოფითაც არ უნდა ვექცეოდეთ ქართული მწერლობის დღევანდელ წონას – სულ ერთია – მის ბოიკოტს აქვს და მუდამ ექნება წონა და დიდი მნიშვნელობა თუკი მაინც, მიუხედავად ამ საშინელი საშუალებისა და მოსაზრებისა, მე მაინც შესაძლებლათ ვსთვლი ჩემთვის – ვიმუშაო თქვენს პრესაში, არა იმიტომ, რომ მე დაინტერესებული ვიყო მატერიალურად. მე მაქვს ჩემი აზრი ამის შესახებ, ჩემი შეხედულება და ამ ნაბიჯისათვის პასუხს მე ვაგებ, სადაც ჯერ არს...

ამგვარად მე ვლეზულობ მათ წინადადებას მხოლოდ ერთის უეჭველის პირობით: თუ მე საშუალება მექნება, გავეცნო ადგილობრივ ინტერესებს და გამომეგზავნება გაზეთები. როდესაც მე მივიღებ გაზეთებს – მეცოდინება, რომ წერილების დანერა საჭიროა და მეც დავწერ და რომ ეს საქმე მოგვარდეს – ამის შესახებ იმეცადინე უკვე შენ და შენზე იქნება დანარჩენი დამოკიდებული.

III-IV. გუდიაშვილის საკითხი და ჩემი ჟურნალის ნებართვა, გთხოვ, ორივე ერთად დააჩქარო. და როცა გუდიაშვილს

შეუთვლით პასუხს, შემომითვალეთ მეც, თუ შეიძლება – მე ჩემს ადრესზე გამომიგზავნეთ, მას – მისაზე, როგორც უფრო გეადვილოს.

V. ვინაიდან ჩემმა მშობლებმა არ იციან ჩემზე არაფერი (და ალბად გამომიტირეს უკვე), გაფიცებ ყველაფერს, ეს წერილი მარკა დაკრული და თუნდ შენი პეჩატით გამიგზავნო ტფილისიდან სოფელში. ეს იქნება უდიდესი სიკეთე რომელსაც შენ მიზამ და დამავალე.

შენი ნ. მინიშვილი

[პარიზი]

ნიკოლო მინიშვილი – ლევან ღოღობერიძეს*

პარიზი. 28 მაისი, 23.

ლევან,

გუშინ შენი დის მეშვეობით ვრცელი წერილი გამოგიგზავნე. დამაგვიანდა, რადგან წერილთან ერთად გუდიაშვილის ქალაქების გამოგზავნაც მინდოდა, რომლებიც ვერა და ვერ მოგანოდე. ისინი პირდაპირ საქართველოში გავგზავნე, პროფ. ჯანელიძის ხელით.

ამ წერილის მონერა არ მსურდა, მაგრამ ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ აუცილებელი იყო. გთხოვ, ნურავის ეტყვი ამ წერილის შესახებ. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აი, რაშია საქმე: განვიზრახე, აქ გამოვცე ქართულენოვანი ჟურნალი. ამის თაობაზე, მგონი, მოგწერე კიდევ. ამ საქმის ორგანიზების საკითხებზე უკვე მესამე თვეა ვმუშაობ და თითქმის უკვე დავასრულე. ჟურნალი მხოლოდ და მხოლოდ მხატვრულ-ლიტერატურულია და მრავალი ცნობილი ფრანგული სახე მონაწილეობს მასში. სია უკვე გადავგზავნე საქართველოში ამხ. კანდელაკთან, რომელსაც ასევე გავუგზავნე განცხადება ამ ჟურნალის ტფილისში გაგზავნისთვის უფლების მოსაცემად.

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 968.

ჟურნალს პირადად მე გამოვცემ და რედაქტირებასაც თვითონვე ვიკისრებ. იქნება 32-გვერდიანი და ყოველთვიურად 1000-ეგზემპლარიანი ტირაჟით გამოვა. სწორედ ამასთან დაკავშირებით მიწვევს შენი შენუხება.

არ ვიცი, რა მდგომარეობაა ახლა საქართველოში, თითქმის ერთი წელია, იქიდან არც წერილი მიმიღია და არც გაზეთი, არადა შენც კარგად იცი, ერთის მიღებაცაა შესაძლებელი და მეორისაც. სწორედ ამიტომ ვშიშობ, რომ არც მე მომცემენ ამის უფლებას და ჩემი მუშაობა ამაო აღმოჩნდება. ამასთან, შეიძლება გამოჩნდეს ისეთი ხალხი, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით დამიპირისპირდებიან და შუამდგომლობას არ დამიკმაყოფილებენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მსგავს შემთხვევას თავად შევესწარი კანდელაკის კაბინეტში, როცა რამდენიმე პირი განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე დაჟინებით ითხოვდა, ჩემთვის „ფიგაროს“ გამოცემის უფლება არ მოეცა. საბედნიეროდ, თვითონვე გავხდი ამ სცენის მოწმე და მოვახერხე, კრახის თავიდან აცილება, მაგრამ ახლა იქ არ ვარ და თუ ამგვარი რამ ისევ მოხდება, უთუოდ ჩემთვის სამწუხარო შედეგით დასრულდება. ამიტომ მჭირდება შენი დახმარება და მეგობრული ხელშეწყობა.

რადგან ბევრს და შეიძლება, შენც გაგიჩნდეს ეჭვი ჩემს მიზნებსა და შესაძლებლობებში, ამიტომ გატყობინებ ყველაფერს, რომ მშვიდად იყო და არ იფიქრო, რომ მე გავხდი „ანდანტეს ლაქია და მსოფლიო ბურჟუაზიის მუქთახორა“... საქმე ისაა, რომ ამ ჟურნალის გამოცემაზე დიდხანს ვიფიქრე და კონსტანტინოპოლში ყოფნისას საუბარი მქონდა ამხანაგ მაგლობლიშვილსა და მოდებაძესთან, რომლებიც გაეცნენ რა ჟურნალის იდეასა და მთელ ჩემს განზრახვებს, თუ რის გაკეთებას ვაპირებდი, სიამოვნებით დამთანხმდნენ დახმარებაზე საქართველოში გამოცემის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით. მაგრამ ახლა ევროპაში არ არის არც მაგლობლიშვილი, არც მოდებაძე და არ მაქვს საშუალება, რომელიმეს მივმართო. აქ რომ ჩამოვედი, ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ჟურნალზე კი არა, საერთოდ რამეზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო: მარსელში რომ ჩამოვედი, ერთი სუც არ გამაჩნდა და არ ვიცოდი, როგორ ჩავალწვედი

პარიზში. სად შემიძლო ამ დროს ჟურნალზე ფიქრი, მაგრამ როცა ფეხზე დავდექი, კვლავ დავინყე ფიქრიც და მუშაობაც ამ მიმართულებით.

პირველ რიგში, უნდა გამეგო – იყო თუ არა აქ ქართული შრიფტი. მენშევიკებმა დამიმაღეს, არ მითხრეს მისამართი, სად შეიძლებოდა მისი შოვნა. შემოვიარე ყველა სტამბა, რათა შემეტყო, ჰქონდათ თუ არა ქართული შრიფტი. ბევრმა დამცინა, მეუბნებოდნენ, საქართველოს შესახებ პირველად გვესმისო.

როგორც იქნა, ვიშოვე შრიფტი ერთი კათოლიკურ ქრისტიანული საზოგადოების სტამბაში და ერთ-ერთმა არქიეპისკოპოსმა, რომელიც ამ საზოგადოების საქმეებს განაგებდა, სიხარულით მიმიღო და მითხრა, ოცნება ამისრულდაო: იგი ოც წელიწადს ინახავდა ქართულ შრიფტს იმ იმედით, რომ ოდესღაც დასჭირდებოდა, და აი, როგორც იქნა, გამოჩნდა ადამიანი, ვისაც ეს შრიფტი დასჭირდა. მას ყველაფერი ავუხსენი. დამიანგარიშა: საუკეთესო ხარისხის ქალაქის დიდ ფორმატზე დაბეჭდილი 32-გვერდიანი ჟურნალი, კარგი ხარისხის ყლით, 1000 ეგზემპლარი დაჯდება 1200 ფრანკიო.

შემდეგ ჯერზე აბატს დავუკავშირდი ერთი დარბაისელი ქალბატონის მეშვეობით... არ ვიცი, რამ იმოქმედა პატივცემულ მოძღვარზე, მაგრამ იგი უდიდესი ქრისტიანი აღმოჩნდა, გადასახდელი თანხა 600 ფრანკამდე დაგვიკლო და თან, რომ გაიგო, ფული არ გაგვანაწიდა, გვითხრა – როცა გექნებათ, მაშინ მოიტანეთ, მე მოხარული ვარ, რომ გეხმარებითო, და ა.შ.

ესაა მთელი ისტორია...

მარკებისა და გადაგზავნის ხარჯებს თვითონვე გადავიხდი, რადგან მეც ვშოულობ გარკვეულ თანხას – „რენოსთან“ ვმუშაობ – ავტომობილებს ვღებავ და 8-დან 3 საათამდე 20 ფრანკს მიხდიან. ოთახსა და კვებაზე არაფერი მეხარჯება, რადგან მდივანთან ვცხოვრობ.

ახლა კი, რაც შეეხება შინაარსს. ჟურნალი მხატვრულია, ხელოვნებაში მემარცხენე მიმართულებებისა და როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ – „საბჭოთა პლატფორმაზე დგას“.

ქართველებიდან ვმონაწილეობთ – მე, დ. კაკაბაძე და ლ. გუდიაშვილი, დანერს ასევე ნ. მარი (იგი მოსკოვში გაემგზავრა, მაგრამ დატოვა სტატია და... თავისი ლექსი). დანარჩენები არიან – ფრანგები, იტალიელები, ესპანელები: მწერლები, მხატვრები, პოეტები – ყველა ახალი და მემარცხენეა და პოლიტიკურად ყველა „იუმანიტს“ ემხრობა. ჟურნალში ემიგრანტთაგან არავინ მონაწილეობს და მათთან არანაირი საქმე არ მაკავშირებს. თუმცა ამას თავადაც დაინახავთ... საერთოდ, ყოველთვის გავურბივარ ცოცხალ გვამებს და ზოგადად გვამებს.

ასევე მინდა, გამომცემლობაში დავასაქმო ადგილობრივი ახალგაზრდობა, რომელიც მართალია „არშინ მაღალანს“ მღერის, მაგრამ მაინც ვფიქრობ გარკვეულ საქმეებში მათ გამოყენებას. მოკლედ, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ერთი სიტყვით, ლევან, ეს ჟურნალი აუცილებლად უნდა გავგზავნო საქართველოში და როცა იქ ჩახვალ, საქმისთვის მსვლელობის მისაცემად, გთხოვ, მიხვიდე კანდელაკთან.

ასევე, ჩემი დიდი თხოვნაა, ვიდრე გაემგზავრები, მომწერე, რას ფიქრობ ამასთან დაკავშირებით და რამდენად შესაძლებელია ეს. მომწერე ასევე, რა ისმის საქართველოდან, ძალიან მაინტერესებს, რადგან სრულიად არაფერი ვიცი. თუ საჭირო იქნება, იქ ბესოს დახმარება – ყველაფერი მოუყევი და სთხოვე, დაგეხმაროს. თუ საჭირო იქნება განცხადება ცკ-ს სახელზე – მომწერე და, ყოველი შემთხვევისთვის, გამოგიგზავნი.

ნებართვის შესახებ შეგიძლიათ მაცნობოთ ბერლინის წარმომადგენელთა მეშვეობით. მოუთმენლად ველოდები შენს წერილს. მომწერე ვრცლად, როგორც ადრე, მაგრამ გთხოვ – დანერე უფრო გარკვევით, მის წასაკითხად სპეციალურად გამადიდებელი შუშა შევიძინე..

აბა, კარგად. მოკითხვა გადაეცი ნუცას. თუ ისე გასუქდი, რომ ბოლშევიკს აღარ გავხარ, გამომიგზავნე სურათი, თორემ შეაშინებ ხალხს... სურათი – ცხადია, ხელის დადებაა საშინელი, მარა, ისე მომენატრა ნაცნობი სახეები, რომ თუ, ხუმრობის გარეშე, გამომიგზავნი – ძან დაგიმადლებ. წუხელი მესიზმრა გრ. რობაქიძე. ხომ არ ჩამოსულა ნეტავი ბერლინში?

ჩემი მისამართი იცხი: R des Eaux, 3. Paris. XVI. General Mdivani.
для Н. Мицишвили.

გუშინ წინ 26 მაისი იყო და აქაურ ქართველებს ქონდათ კრება და ლაპარაკი კაფე „ვოლტერში“. ვიყავი მეც. პარიზში ასამდე თუ მეტი არა – ქართველია. ეხლა გერმანიიდან მორბის სტუდენტობა. შიათ. ილაპარაკეს და დაიშალნენ. მარა ამაზე შემდეგ. ეხლა კი გავათავებ და თუ ძმა ხარ, შემომითვალე თუ რამ იცი საქართველოს შესახებ. თუ იცი, სვიმონიშვილი ისევ *управделами*-ა (საქმეთა მმართველი) თუ არა. კანდელაკი ხომაა კიდევ ნარკომპრომი. სამწუხაროდ, ამასთანავე ვერ გიგზავნი ჩემ წიგნს, რადგან არ დამრჩა არც ერთი ეგზემპლარი. აქ მინდა ხელმეორედ გამოვცე ჩემი „წმინდანინი“ – ტფილისში რომ გამოვეცი და სტამბოლური წიგნიც და ამ უკანასკნელის ხელნაწერი მაქვს მხოლოდ. პირველი წიგნი მაქვს, მაგრამ ის, მგონი, „ქე“ მოგეცი. ერთი სიტყვით, აქ მინდა ამბები, მარა ჯერ სანამ საქმეზე არ გაკეთებულა უკანასკნელ „ტორქამდე“, ლაპარაკი და ბაქიბუქი არ ღირს. ლევან, თუ ძმა ხარ დამადევი ხელი და შამამითვალე რამე. ტიტესი არ იყოს, „სთქვი რამე“. შამამითვალე – რამფერ მიიღე ჩემი პირველი წერილი. ვინ მოგცა და სად?

შენი ნიკოლოზ მინიშვილი

ნიკოლო მინიშვილი – ლევან ლოლობერიძეს*

ლევან.

„Единственно неким немощным состоянием тела твоего объяснить могу, любезный друг мой, горькие и печальные слова твоего послания. Ибо оное послание твое полно не только слов неблагостных, но мыслей, аки еретических, аще бо неправых. Ибо, воистину глаголешь ты суетные мысли и суждения изрекаешь тщетныя. Слова сии суть мною незаслужены вовсе... Вотще, друг мой, вотще... Что знаменует сие.

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 968.

И отколе на тебя сие снизошло. Что нарушило благорасположение духа твоего. Или дьявол повредил душу твою, иль навождение бесово ядом сомнения сокрушило познание твое... Нет, говорю я, нет. Воистину, воистину, – боль плоти одолела тебя. И уста твои слово осуждения изрекли по причине сей. Аще порицати тияже еси в недуге, яко Лазарь, яко Иов, чающий воскресенье.

Донде же на господа сил уповаю – да ниспошлет тебе благодать свою, да не приумножит грехи твои, да изничтожит он не немощь твою...

Сие же безмерно возрадует нас и возвеселит души наши и елеем радости преисполнит сердца возлюбленных твоих, и друзей твоих. Сие возрадует такожде мя, бо другом твоим пребываю отныне и вовеки. Аминь...“

გავაგრძელებდი ამავე სულისკვეთებით, მაგრამ, სამწუხაროდ, წმინდა მამები სათანადოდ აღარ მახსოვს და რაფო ივანიცკის კონკურენტობაც არ ძალმიძს, მითუმეტეს, თუ ის კათოლიკობაში იწაფება, ამიტომ განვაგრძობ არაქრისტიანული ენით.

შენმა წერილმა ძალიან დამამწუხრა. შენი ავადმყოფობა სერიოზულად მაფიქრებს და მაშფოთებს. ჩემი პლატონური წუხილი შენთვის არავითარი ხეირია, მაგრამ ფაქტობრივად შესაძლებლობაც კი არ გამაჩნია, მოგინახულო. დარწმუნებული ვიყავი, რომ სავსებით ჯანმრთელად ხარ და კარგა ხანია საქართველოში იმყოფები. შენი ავადმყოფობის ამბავი ძალიან მოულოდნელი და უსიამოვნო იყო. ვიდრე გამოჯანმრთელდებოდე, თავი შეიკავე გამგზავრებისგან, მითუმეტეს, საქართველოში. არ ვიცი, რა მატერიალურ შესაძლებლობებთანაა დაკავშირებული შენი გერმანიაში ჩასვლა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა შესაძლებლობა ბოლომდე უნდა გამოიყენო. როგორც ერთმა თქვა, „მხოლოდ მკვდრები არ ბრუნდებიან“, თორემ ჯანმრთელი ყოველთვის შეძლებს დაბრუნებას და ამოქმედებას... ხოლო მეორეჯერ მკურნალობის გავლა რთული იქნება შენთვის, ის კი არა, შეუძლებელიც.

მეორე – შენი ბუზღუნია.

და საერთოდ, ჩვენი წერილები რალაც შეჯიბრებას და ერთმანეთისა და საკუთარი თავის განკითხვას ემგვანება. და იმდენად, რამდენადაც ეს შეჯიბრება და განკითხვა ხდება საქართველოს ცხოვრებაში ისტორიული გარდატეხის პერსპექტივასა და ჩარჩოებში, ასევე ფიქრში – „ჩემი“ და „შენი“ სიმართლისა, – ეს წერილები მაინც არაა მოკლებული ერთგვარ ინტერესს.

შენს წერილში ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ისაა, რაც არ მომწერე, ან არ გინდოდა მოგეწერა, მაგრამ რაც წერია – მიანიშნებს და თავისთავად მეტყველებს იმაზე, რაც არ არის, მაგრამ კანონით უნდა იყოს.

გადავიკითხე შენთან მოწერილი ჩემი წერილი (ასლებს ვინახავ. ეს მეტისმეტი პედანტიზმია, მაგრამ ამას უკვე მივეჩვიე). მასში ვერ ვიპოვე ვერც „სიძულვილი“, ვერც „ფორმალობა“ და მითუმეტეს – „ფეხებზე დაკიდება“. მე მხოლოდ და მხოლოდ მივუთითებდი ფაქტებზე, რომლებიც ჩემგანაც და შენგანაც შორს ხდება. და შენ უცბად ფაფარი აიშალე, აბუზღუნდი, შეიგინე და წახვედი. დაე, სძულდეს, ამ ვიგინდარას გამოსწორება არ შეიძლება, ასე რომ, აზრი არა აქვს მის რამეში დარწმუნებასო, და „გადახვედი საქმეზე...“ შენ ამბობ: „თავლავს მასხამ მეც და საკუთარ თავსაც, კი ბატონო“. და უფლებას აძლევ, ეს იყვირო კიდევ. მაგრამ გაიგე, მე ყვირილი არ შემიძლია, ხოლო საკუთარი თავისა და სხვების ლანძღვა ჩემთვის ძალიან მტკივნეული და საძაგლობაა და ეს არც მინდა. ეს არ არის ლიტერატურა, ეს ფაქტია და თვითონაც კარგად იცი, რომ ასე მარტო მე არ ვფიქრობ, ასე ფიქრობს ყველა, ვისაც კი ფიქრი შეუძლია. და თუ „ყველა“ ბათუმის რევოლუციურ კომისარიატთან (რევკომი) იდგა და „ვარსკვლავიან ფურცელს“ ელოდა, და თუ ამ ქალაქის მიღებისთანავე თქვეს – „შეიძლება“, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ბრბო მხოლოდ და მხოლოდ ბრბოა.

აი, მე და „ცისფერყანწელები“ – ბრბო არ ვართ, და კიდევ მრავალი სხვა არ არის ბრბო.

აი, ეს ფიქრებია, რომლებიც მაშფოთებს და მალეღვებს, რომლებმაც მაიძულა ამ ფორმით ჩამომეყალიბებინა შენი დაშიფრული წერილი. ვიმეორებ, აქ მარტო ჩემში არ არის

საქმე, ის კიდევ უფრო დიდს ეხება, სადაც, სურვილის წინააღმდეგ, ვიძირები და ვიძირები არა მარტო მე – კიდევ ბევრი, და ამ გამეორებას შენ თავს არიდებ და პასუხს ვერც მე ვპოულობ.

არ მინდა, ეს ყველაფერი აღშობიასა და დათემიძეების, ან მენშევიზმის სიბრტყეში განიხილო. მშვენივრად ვიცი, რომ ზოგს საკუთარი ტყავი აინტერესებს, ზოგს – „დაკარგული სამოთხე“. მაგრამ მე კიდევ შორს მივდივარ. მე ვამტკიცებ (წიგნში), რომ საქართველოსთვის მენშევიზმი უდიდესი ბოროტებაა, რომელიც არა-მარტო მორალურად, ფიზიკურადაც უნდა განადგურდეს. ამ პარტიის როლი 30 წლის განმავლობაში მიმართული იყო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისკენ, ქართული აზროვნების, იდეის, ინტელიგენციის ჩაკვლისაკენ. მათ მენშევიკური კრეტინიზმით დაავადეს საქართველოს თაობის დიდი ნაწილი და, სანამ ეს დაავადებული თაობა ფიზიკურად არ გაქრება, მანამდე საქართველო არ იქნება აღქმული, როგორც იდეა. ფიზიკურადო, ვამბობ, რადგან მენშევიზმი მკურნალობას არ ექვემდებარება. მენშევიზმი არსებითად შუღერობაა, ქართველი ხალხის აბუჩად აგდება, დაცინვა და მას არა თუ არ შეუძლია, უფლებაც არ აქვს ილაპარაკოს საქართველოს სახელით ან საქართველოსთვის... ამის შესახებ საუბრის გაგრძელებას აღარ ვაპირებ. ეს ჩემი სუსტი წერტილია და ამ სატკივარმა მიმიყვანა ამ პარადოქსულ თეორიასთან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს პარადოქსი კი არა, მთელი ისტორიაა: მენშევიზმი, როგორც ქართული ცხოვრების ფაქტორი, უნდა განადგურდეს ამ იდეის მტვირთველებთან ერთად. საქართველოსთვის ეს აუცილებელია.

როგორც ხედავ, ჩვენ სხვადასხვა მხრიდან (ტფილისი-მოსკოვი) ერთსა და იმავე აზრამდე მივდივართ. მაგრამ, მგონი, მე უფრო რადიკალური ვარ, ვიდრე თქვენ.

მაგრამ რა იქნება მას შემდეგ, რაც საქართველოდან გაიტანენ ამ ნაგავს, რომლითაც ჩვენ ამოვავსებთ უფსკრულს ჩვენ შორის. თქვენ დადგებით პირისპირ ნამდვილ, გაშიშვლებულ საქართველოსთან. შეძლებთ კი მისცეთ მას ის, რაც ესაჭიროება? ეს არ იქნება მენშევიკური საქართველო. კაპიტალისა და უმანკოების შესახებ საუბარი უადგილო იქ-

ნება – ჩვენ უარს ვიტყვით კაპიტალზე. მაგრამ მგონია, რომ ამ დროს თქვენ იტყვით: „ვიღებთ კაპიტალსაც და უმანკობასაც, თქვენ კი შეგიძლიათ ილანძლოთ, თუ ეს სიამოვნებას განიჭებთ, და თუ გნებავთ, იყვიროთ კიდეც“... ასე არ არის? და რაც მთავარია, რევოლუცია და მისი ინტერესები აქ არაფერ შუაში იქნება. ეს ითქმება არა რევოლუციის სახელით, რადგან ჩვენ ვამბობთ – „აი, ჩვენი კაპიტალი, აი-ღეთ, ჩვენ თქვენთან ვართ, მაგრამ...“

და ამიტომაც, მეპარება რა ეჭვი „ჩვენს სიმართლეში“ და ამ შხამით ვნამლავ სხვის ეჭვებსაც (ჩემი წიგნი), არ შემიძლია, ვუთხრა მათ, რომ ეს სიმართლე გაქვთ თქვენ... „სიმართლე“ ჩემთვის – საქართველოს პრობლემაა, მისი გზა. ის ორია, არ შემიძლია ვთქვა „დიახ“, მაგრამ ვიცი, რომ იქ, სადაც ჩვენ გავჩერდით (მათ შორის მეც), გაჩერება არ შეიძლება და შეუძლებელიცაა. მესამე გზა კი ჯერ არაა...

აი, დაახლოებით ასე იკრუნჩხება ჩემი აზრი (ეს არის ჩემს პოემაშიც) და თუ იმას, რომ საქართველოდან გეოგრაფიულად მოწყვეტილი ვარ, არ შევყავარ შეცდომაში, მგონია, რომ ეს აზრი საქართველოშიც აშფოთებთ და ასევე ეძებენ გამოსავალს, რასაც, ჩემი არ იყოს, ვერ მიაგნეს...

რას იტყვით ამის თაობაზე. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ლიტერატურულ მასალად გამომადგება, არამედ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზით, რის შესახებაც მოგვიანებით მოგწერ. ამ წერილში ბევრი რამაა ბუნდოვანი, მაგრამ ჩვენ, „ცისფერყანწელები“, ვწერთ რაღაც შიფრით, რომელსაც ვიგებთ და ვგრძნობთ მხოლოდ ჩვენ და კიდეც სხვებიც.

ახლა კი სხვა დანარჩენზე გადავდივარ. ხვალამდე.

პოემის შენეული შეფასებით, რა თქმა უნდა, მოხარული და კმაყოფილი ვარ. მოხარული ვარ, ეს გავიგონო სწორედ არალიტერატორისგან, „სიტყვიერების მცოდნისგან“, გარეშე ადამიანისგან, რადგან ლიტერატურაში ეს წიგნი ურეზონანსოდ დარჩება. ისევე, როგორც ავტორი, პოეტი მინიშვინილი. მიზეზი არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ესაა ჩემი ბედი. არის „დიდების მანქანა“, რომელიც უნდა იპოვო, მას ყველა პოეტი ეძებს. მაგრამ ვიცი, რომ „შეუმჩნევლად და

დავინყებულად“ ყოფნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს – რომ უნიჭო ხარ. ჯერჯერობით ამით ვიმშვიდებ თავს, თუ საერთოდ შეიძლება ამით თავის დამშვიდება.

ხოლო რაც შეეხება ჩემს შეხედულებას საკუთარ ნიგნზე, შემეძლია ვთქვა, რომ მართალია, ობიექტურობა რთულია, მაგრამ შენ მიერ დასახელებულ მასშტაბში ის შეიძლება გამოვიდეს სპარეზზე. ქართული პოეზიის „ფართო სივრცეში“ ძალიან ცოტაა ფეხმარდი ცხენი, და თუ ჩემი გვარი (სირბილადე) არ მიღალატებს, მიჭენებ პირველი და ჩემი „შავი ვარსკვლავი“ სიხარულით აკიაფდება...

მანამდე კი – „მუშაობა, წლებზე ფეხის დადგმა, ბრძოლა“... პირადად ჩემთვის ეს პოემა მთელი ცხოვრებაა. მასში ჩავდე მთელი ჩემი სიყვარული, ჩავმარხე საკუთარი თავი, დავტიროდი მას და ამის არ მრცხვენია... ამაზე უკეთესს ვერასოდეს დავწერ... ესაა ჩემი აზრი, არაობიექტური, მაგრამ ჩემი აზრია, რომელიც შენ გაინტერესებდა.

გაზეთები მივიღე. დიდად გმადლობ. გატაცებით ვკითხულობდი, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ვერცერთი ცოცხალი სტრიქონი ვერ ვნახე. მგონი, ორახელაშვილი ყველაზე ჭკვიანი კომუნისტია კავკასიაში. მისი მოხსენება ტფილისის ორგანიზაციისადმი – ბრწყინვალეა. მისი სტატიები (ზოგიერთი მონინავე) – ხელმოუწერლადაა: მე ვიცი მისი ხელწერა – ძალიან საინტერესოა. რობაქიძემ ვილაცასთან იჩნუბა. ჩვენებმა გამოსცეს „რუბიკონის“ მე-ნ ნომერი. სადღაც მოაწყვეს საღამო. წავიკითხე ბესოს სტატია შალიკოს შესახებ, კარგი იყო, მაგრამ – საშინლად აწყობილი. ვინმე მიხაილოვი წერს ნავთობზე: უშოვია ნიგნი – „მსოფლიო ბრძოლა ნავთობისთვის“, რომელსაც ბეჭდავს ფელეტონებით და აწერს საკუთარ სახელს. ძალიან საინტერესოა... როგორმე გამოგიგზავნი იმ ნიგნს. თუმცა საერთო ჯამში გაზეთებმა დიდი სიამოვნება მომანიჭა და „დაპირებულები“ მოვიდა მომდევნო ფოსტით. მიგზავნონ გაზეთები, და თუ საჭიროა, დავაბრუნებ, ოღონდაც მიგზავნონ. მასალები ჯერჯერობით შენ გქონდეს. მგონი, რაღაც ავურიე, ეხლა ვარჩევ და თავიდან გამოგიგზავნი. გუდიაშვილის გამო კი – გმადლობ.

მოვახსენე მას ამის თაობაზე. ჩემი პირველი წერილი მისი თხოვნის შესახებ, როგორც ჩანს, კანდელაკმა უკვე მიიღო, რადგან გუდიაშვილმა მიიღო უსტარი ერთი მხატვრისგან, რომ განათლების სახალხო კომისარიატში საუბრობდნენ მასა და მისი მხატვრობის შეფასებაზე. და თუ შენი წერილიც მოახდენს გავლენას, რაღაც გამოვა. ღია ბარათი, რომელიც შენს დას გამოფუგზავნე, ნოტრ-დამზე არის ქიმერა „მოაზროვნე“. გახსოვს ალდანოვის წიგნი? თუმცა არის დიდები და უკეთესები. მოვძებნი და გამოგიგზავნი.

ჯანმრთელად იყავი, ნუ ბუზღუნებ და ნუ დამივიწყებ.

შენი ნიკოლოზი

[პარიზი, 28 მაისის შემდეგ, 1923 წელი]

ტიციან ტაბიძე – მამია ორახელაშვილს*

ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის თავმჯდომარეს – ამხ. მამია ორახელაშვილს
სრულიად საქართველოს ხელოვანთა მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის და საქართველოს ახალ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგის – ტიციან ტაბიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქართული წიგნის გამომცემლობის მრავალ წლობით შესწავლამ მე დამარწმუნა, რომ საქართველოში არ შეიძლება არსებობდეს სხვა გამომცემლობა, გარდა ასეთ გამომცემლობისა, რომელსაც სახელმწიფო განაგებს თავის მასშტაბით. ამის შესახებ მე ვწერდი სხვა და სხვა დროს პერიოდულ გამოცემებში და მწერალთა კავშირის დავალებით ვადგენდი პროექტს სახელმწიფო გამომცემლობისას 1920 წელში, საქართველოს გასაბჭოებამდე ადრე. 1921 წელს, როცა ხდებოდა საქართველოში ორგანიზაცია სახელმწიფო

* დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში.

გამომცემლობის და საქმეს ვერ ეძლეოდა შესაფერი მიმართულება, მე გაზეთ „კომუნისტ“-ში მოვათავსე ამის შესახებ წერილები (წერილები დასაბუთებული იყო რ.ს.ფ.ს.რ. სახელგამის ანგარიშებით და ოქმებით). როგორც ერთი ხელმძღვანელთაგანი ქართველ ხელოვანთა ორგანიზაციების და კვალიფიკაციური ბეჭედის მუშაკი ჩემ ერთად ერთ საზრუნავ საგანს შეადგენდა და შეადგენს გამომცემლობის დარგში მუშაობა. ამიტომ მე ვითხოვ, მომეცეს საშუალება ჩემი გამოცდილება და საქმის სიყვარული გადავიტანო სახელმწიფო გამომცემლობაში.

მე ვფიქრობ, რომ ჩემი მუშაობა არ იქნებოდა ზედმეტი როგორც ქართულ, ისე უცხოელ უახლოესს მწერლობის გამოცემის საქმეში, აგრეთვე შემეძლო მუშაობა, როცა სახელ. გამომცემლობა მორჩებოდა სახელმძღვანელოებისა და აუცილებელ საჭიროების წიგნების გამოცემას და ხელს მიჰყოფდა დიდ ტანთან ჟურნალის ორგანიზაციას. ასეთ ჟურნალის უქონლობას დღეს ყველა გრძნობს საქართველოში, და აგრეთვე ისიც ცხადია, რომ თუ სახელმწიფო გამომცემლობა არა სხვა რომელიმე ორგანიზაცია ამ ჟურნალის გამოცემას ვერ შესძლებს.

დეკემბრის პირველ რიცხვებში მე მივემგზავრები მოსკოვში, რომ უშუალოთ შევისწავლე უკანასკნელი წლების რუსული მწერლობა და რ.ს.ფ.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობის აპარატი, ამ ჩემ მიზანს მეტი გამართლება ექნებოდა, რომ მე დარწმუნებული ვიყო, ჩემი გამოცდილებით და საქმის შესწავლით დავეხმარებოდი საქართველოს სახელგამს.

უფრო დალაგებით შემეძლო მომავალ მუშაობის გეგმა გადამეშალა, თუ მექნებოდა საშუალება პირადი შეხვედრისა.

ამიტომ გთხოვთ, მე დამნიშნოთ სახელგამის კოლეგიის წევრად (ახალ მწერლობის კავშირს უმისოდაც არ ყავს იქ თავის წარმომადგენელი), რაც შეეხება გასამრჯელო ჯამაგირს, ამას ჩემთვის არ ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა და გამოირკვევოდა იმ მუშაობის მიხედვით, რომელსაც მე შევძლებდი გამეკეთებია.

ტიციან ტაბიძე

11 ოქტომბერი, 1923 წ., ქ. ტფილისი

ნიკოლო მინიშვილი – ლევან ლოლობერიძეს*

ლევან.

Мое письмо к тебе запоздало, но это не моя вина. Я ждал окончания моего „дела“ и уж потом думал написать обо всем. Но история эта затянулась слишком. А т. к. твое „возвратное“ письмо говорит, что ты собираешься домой, – я решил не дожидаясь выяснения дела – написать о себе и о вещах, тебя интересующих.

Твои письма я получил полностью. Все, что ты сделал для меня – превзошло мои ожидания. За „аттестацию“ и привлечение к ответственности Пирумова – и вообще за все, – благодарен тебе чрезвычайно, взамен готов на любую „жертву“ в ковычках и без ковычек. Ты прости меня за ворчливый тон моего последнего письма. Но причину ты поймешь и, как я догадываюсь, ты ее уже понял, ибо твоя характеристика действующих лиц – гениальна. Ты, оказывается, настоящий дегустатор чело­веков. Я виноват пред тобой: при всей любви к тебе и уважении твоих высоких качеств, я все же не думал, что ты так легко можешь расшифровывать и рентгенизировать людей и так точно определять их сущность. Остальное сам поймешь..

Ну, вот. Письма отнес к Скобелеву. Он был очень любезен и обещал устроить все при первой возможности. До Этого же я был еще раз в книжном отделе, о котором я тебе писал. Секретарем там уже был принят один Француз, а мне предложили место бухгалтера, которое очень хорошо оплачивается, но я не пошел туда т. к. это ремесло мне незнакомо. В этом отделе скоро будет одно место, вопрос только в утверждении кредита, через месяц, или полтора. И д. б. его мне дадут. Хотя пять дней тому назад Скобелев позвонил мне, чтобы я пришел в Аркос. И он посадил меня у Бекзадяна, который заведует там, кажется всеми делами. Там какая то спешная работа и я ему помогаю вот уже неделю. Но это место непостоянное, хотя Бекзадяну, как видно, я очень „понра-

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 968.

вился“ и „принимаются меры“ к тому, чтобы я там остался совсем. Ск-в часто заходит к нам и говорит, что он определенно хочет, чтобы у меня из головы вылетели все стихи и все рифмы... Не знаю, как будет дальше, но так или иначе, я там удержусь, а потом будут и перспективы на лучшее.

Видел здесь Элердова с женой, который уехал в Рим. Бывал с ним часто, но ничего реального для себя („дела“) я от него не выжал, кроме того, что таскался по разным кабакам и раз на разсвете меня, пьяного, ограбила на Монмартре какая то женщина, тоже пьяная. Пока что все. Надеюсь на лучшее и благодарю еще раз.

Теперь о делах, тебя интересующих.

Грузин в Париже больше 200: министры, депутаты, студенты, рабочие и прочие. Все они работают (кроме министров, которые живут в имении под Парижем) на фабриках и в разных бюро, получая в месяц от 600 до 900 Франков. Почти никто из них не голодает, хотя некоторым приходится тяжело. Но такого материального кризиса, как в Германии, среди грузин нету. Большевиков и „иже с ними“ здесь много и вообще здешняя колония сильно „национальна“. Объясняю это с одной стороны более или менее материальной обеспеченностью, с другой тем, что здесь правительство и все влиятельные лидеры разных партий. Они влияют на эмиграцию и хотя с разных сторон, но все же, поют одну и ту же песню и хор получается антисоветский. А в третьих, по моему, самая главная причина устойчивости нашей колонии то, что она слишком оторвана от всяких потусторонних влияний, слишком запломбирована в глубине Европы от грузинской и вообще советской жизни и эта инерция, никем и ничем не нарушаемая, не выходит из русла меньшевистско-националистического. Наоборот, кое-кто из бывших и больших здесь мечтает о грузинском фашизме. И м. б. даже не безуспешно. Смешно, но это так. Здесь существует грузинское о-во, председателем которого состоит Гвазава. На последнем годичном собрании, которое, кстати, было очень многолюдною, он и все старое правление

были переизбраны снова (Жоржолиани, Мамулаишвили и кто то еще). Это о-во является фоном и ариергардом для грузинского представительства (Чхенкели) и политически выступает в защиту „попранных“ прав грузинского народа. Тебя, конечно, интересует формула H_2SO_4 , формула серной кислоты и вообще вопрос „органической химии“. На этот счет очень трудно что либо написать. Надо об этом говорить, тем более, что в Европе не существует тайны частной корреспонденции. Я пишу кое что п. что письмо посылаю через человека и все же не уверен, что его не вскроют. Берлинский прием здесь не пригоден. Непригоден хотя бы потому, что „сюжет будет заимствован“ и еще потому, что удачная фраза, повторенная второй раз, теряет прежнюю остроту и яркость. И силу влияния. Помимо этого берлинская история здесь уже нашла свой отклик и уже были приняты довольно удачные меры, чтобы это выступление дискредитировать в глазах тех, которые должны были отозваться на него положительным образом. Таким образом, здесь нужно иное. По моему более спокойное, методическое и ловко сшитое. Чтобы не запугать людей и чтобы без всяких криков и демонстраций был сделан факт. А факт, факт молчаливый, все же факт. В той обстановке, которая здесь существует, по моему совершенно нет необходимости доводить людей до заключения. Последнего слова человек всегда боится. Но это последнее слово можно сказать от его имени и он всегда будет этому рад и признателен даже. А сделать, он сделает все. Только не скажет. Это в характере грузина. В том числе и в моем. Итак – ты расшифруй вышесказанное, потому что, как говорил Миха Цхакая, я говорю „лозунгово“ насчет этого пункта, ибо писать про все не могу. Дальше. Я считаю, что здешнюю колонию надо информировать о Грузии. А меньшевики говорят только о разстрелах и держат публику в страхе. Как это сделать – это дело того, кому ведать надлежит. Но пока что „национальная идея“ организовывается и издает в Берлине свой журнал и соответствующая организация объединяет эмиграцию. Ра-

мишвили ездил в Прагу, в Берлин и пр. и делал дело. М. пр. здесь на заседании „правительства“ (ты не думай, что я там заседаю, но привычка информотдела остались у меня и в Париже) так, вот, он между прочим говорил про твою деятельность в Берлине, что „он разлагал и заманивал студентов и, что в этом деле очень старалась твоя сестра, которая...

Но он говорил, что „ушедшие“ уже каются и что двое, или трое уже ушли от „них“ и пришли с повинной... и пр. Одним словом, стараются и эти. Последний гвоздь правственных и фракционных заседаний теперь – твои документы (о съезде меньшевиков и письмо Девдариани), о которых никто не знал. Никто ничего не знал и здесь и история эта сделалась известной после получения мной и путями, лишь мне известными, документы эти сделались предметом боя между меньшевиками и пр-ством с одной стороны и всеми остальными партиями – с другой. Это была, как бомба. Результаты пока неизвестны, п. ч. уже три понедельника „заседание продолжается“ по этому вопросу. Для меньшевиков это был удар, м. б. самый страшный, во первых фактически, а во вторых, потому что – об этом узнали все партии и представили счета. Дальше. Итак, голова начинает „гнить“, но это не конец и до конца еще далеко. Я не буду продолжать больше. Формулирую так: нужна работа. Работа на виду у всех, но не демонстративная. Как этого достичь, это ваше дело. Но работать нужно только так.

Дальше. До сих пор это письмо было написано начерно. А утром получил твое новое письмо по грузински. Завтра едет в Берлин Алеша. Так что, надо продолжать, хотя теперь третий час, а мне надо спать. Утром еду на „службу“, шутка ли сказать. Но – дальше.

Ты пишешь погрузински... весьма не плохо. Вот что значит, иметь жену националистку. Но откуда ты выкопал (Чкониа), странно. Хотя я здесь выкопал (Нацереби Сергеи Месхиса) и там написана, между прочим, вся родословная Гогоберидзевых. Если где нибудь найдешь – прочти. Очень забавно и очень интересно. Том первый. Вообще этому (что ты научил-

ся писать по грузински) я не удивляюсь, п. что Грузию я осознал и понял только в Европе. Я перерыл все архивы Константинопольского монастыря и здешние. Многое передумал и узнал. И должен сказать, что „дым отечества“ мешает видеть родину и этот дым в этом смысле не сладок и вовсе не приятен. Я только здесь понял и принял Новую Грузию и, если мне жалко старой, умершей и ушедшей Грузии (от Вахтанга Орбелиани до Жордания), то только потому, что я сам „оттуда же“ и еще потому, что мертвые обязывают к вежливости. Но Грузия, как идея, как факт – стала предо мной только теперь. Чудо избавления Грузии и чудо ея воскресения появилось перед войной (14 г.) свершилось 26 мая и окончательно определилось 25 Февраля. Февраль для меня теперь – то же самое, что Куликово поле для России, ибо Россия родилась на этом поле и оттуда пошла, как смысл и как сознание.

Поэтому я Февраль приветствую и другого мая, импортированного в Тифлис из Европы, я не хочу.

Впрочем, на эту тему мы с тобой говорили, но это – между прочим, к слову о том, что буквы грузинского алфавита атавистически выскакивают, как наследственная болезнь, из твоей головы. Так нужно и так должно быть. Пусть грузинская речь проходит контрапунктом в музыку интернационала. И если эту музыку сделают не музыканты, тем хуже для музыкантов...

Дальше. О Нине не может быть и речи. И писать нечего. После ночи, которую ты провел в моей комнате на Сергиевской после пасхальной иллюминации, когда ты бежал ночью на Давидовскую гору и вообще, после „сих и этих“, – писать тебе про нее и предупреждать меня – нечего. Она д. б. это прекрасно знает и потому... не пишет мне ни одного слова... Это хорошо, но не совсем. Одним словом, не беспокойся.

მეორე მომენტი, რომელსაც აგრეთვე მინდა მივაქციო ყურადღება, შემდეგს შეიცავს: ტფილისში გამართულ სერგეი ესენინის ხსოვნის საღამოზე განათლების მუშაკთა სახლში მე წარმოვსთქვი სიტყვა: ჩემი ტეზისები და ფრაზები უცერემონიოთ წაუღია პავლე ნოზაძეს თავის წერილში ხსენებულ გაზეთში სერგეი ესენინზე. მე მომყავდა ესენინის ანალოგიები: ჟერარ დე ნერვალთან, ლოზინო-ლოზინსკისთან, ბლოკთან, ვიონთან: მე ვამბობდი, რომ ესენინში იყო კარამაზოვის სისხლი და შევადარე ის მონგოლის ცხენს, რომელზედაც იჯდა ბატია და ჩალატარი, და ბევრი სხვა, რომელიც ასე უცერემონიოთ წაუღია წერილის ავტორს. ალბად მოლა-მასრაღინას არაკი დაუჯერებიათ ამ ყმანვილებს. იქნებ მართლა იფიქრეს, რომ ჩვენ იმდენად დაჩუმებული ვართ, რომ ასე ცოცხლათ შეიძლება მარადიურობა (სხვა არ იყოს რა, ამ საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო და მათ შორის ზოგი ქართველი პოეტიც)...

საზოგადოთ, ეს ჩვეულება ბედის ქუდათ დაბედებით ამ „ფუტურისტებს“: ჩვენზე ამბობენ, რომ ლიტერატურას თავი დაანებესო – და უწყალოთ სწინკნიან „ცისფერი ყანნები“-ს ჯიქანს. ვისი ბრალია, რომ რეზინათ ეჩვენებათ ამ წერა-კითხვის უცოდინარ ბავშვებს ზოგი რამ: ალბად კანტის კატეგორიებზეც ასეთი წარმოდგენის იქნებიან თარაქამების მოდგმის ხალხი. ჩვენ გვგონია, ლიტერატურული სირცხვილია, რომ პოეტებზე სწერდე უმგვანო ცილის წამებას და მაიმუნივით ბაძავდე კიდეც (თვითონ „დროულის“ ეხლა გადაკეთებული ფორმატი, მიუხედავად შრიფტის და გამოცემის კულტურის საქმის ბევრი ანალიზისა, პირნავარდნილი „ბარრიკადის“ კლოშეა და სიტყვა „დროული“-ც გრიგოლ რობაქიძემ შემოიღო პირველად ხმარებაში).

მაგონდება, ამ გაზეთის გამოსვლის წინ, ჩემთან მოვიდა მისი რედაქტორი და მსთხოვა წერილი სერგეი ესენინზე, რაზედაც მე, რასაკვირველია, უარი უთხარი: უტაქტობისა და ფამილიარობისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ეს საუბედუროთ ამ ყმანვილების ჩვეულებაა.

ეხლა აულია ამ მოხერხებულ რედაქტორს და ჩემი სიტყვა დაუბეჭდია წერილათ, მხოლოდ ჩემი სახელის უხსენებლად და სხვისი სახელის და გვარის მინერით.

იქნებ ამას ეძახიან ეს ყმანვილები „ფორმალურ მეტოდს“. ამას ჩვენში კალამ-გირებს ეძახიან... ძალიან სანყენია ასეთი ხერხით პასუხის მიღება, მაგრამ ესეც ბედი ყოფილა.....

ტიციან ტაბიძე

17/1. 926 წ.

გრიგოლ ვეშაპელი – ნიკოლო მინიშვილს*

გაზეთი „ახალი საქართველო“.

ნიკო!

გწერ ერთაბაშად ყველაფერზე, რაც დამიგროვდა საპასუხოდ შენთვის.

ჯერ ჩემი და შენი დეპეშეების შესახებ მანდ ჩემ ჩამოსვლაზე. საქმე ასე იყო და არის.

მანდ ჩამოსვლაზე პირველად სერიოზულად ვიფიქრე მაშინ, როცა ოდენკურიდან პარიზში ჩამოვიდნენ „შეფიცულები“, მონანილენი მენშევიკებთან გადახდელ ბრძოლისა და შეხვეული თავებით დაიწყეს სეირნობა პარიზის ქუჩებზე (დავ. კაკაბაძის თქმით, ეს სურათი დიდი ომის გათავების ხანას მოაგონებდა ფრანგს, 1918 წ. როცა ფრონტიდან დაჭრილები პირდაპირ პარიზში მიდიოდენ)... ამ ხალხთან შეხვედრა, შენც იცი, ჩემო ნიკო, არ არის სასიამოვნო. d'ailleurs ამისათვის არ იყო, რომ 1924 წ. ბერლინში გადავედი გაზეთით?

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 969.

ეხლა ეს ხალხი გაცილებით უფრო გიჟია, ვინაიდან ემიგრაციის ერთი წელიწადის ფსიქიური და ნევრული გავლენაც განიცადეს. მტერს და მოყვარეს „შეფიცულები“ მხოლოდ ერთ რამეს უპასუხებენ: – „ჩვენ პოლიტიკის არაფერი გვესმის... ჩვენი ხელობა სხვა არის – სროლაო. ისე პოლიტიკას ჩვენმა „ბელადმა“ (ქაქუცას სახელს არ ახსენებენ, ისევე, როგორც ფაშისტები მუსოლინს, „დუჩეს“ ეძახიან) იცის და რასაც გვეტყვის, იმას ვიზამთო.

დამერწმუნე, ასეთი აუდიტორიით პარიზელ მკითხველთა გამრავლება არც ისე სასიამოვნო იყო ჩემთვის. და ვინაიდან ბერლინის ზურგში (Тыл) ჩემი ნასვლა ეხლა გაძნელებდა ალბად გაზეთთან ერთად, ამიტომ ვთქვი – ეს 22 ნომერი რომ გამოვუშვი, ექვსი თვის მაგიერი (გახსოვთ, რომ მევაჭრობდით ხარჯთაღრიცხვაზე) წელიწად ნახევარი გავძელი, და ანი ანასუნი ყველას... პასპორტი, ვიზა, გზის ფული და ორ კვირაში საქართველოში ვარ, სადაც სხვა არა იყოს, დავისვენებდი მაინც, ჩემ მშობლებს ვნახავდი, თურა საქმეს მოვკიდებდი ხელს, პოლიტიკურს თუ არაპოლიტიკურს. ყოველ – ორივე შემთხვევაში, სიცოცხლის პირობების მხრივ ალბად უარესად არ ვიქნებოდი მანდ: არც ფიზიკური და არც საზოგადოებრივი კლიმატის მხრივ, რადგან აქ მაინც იზოლაციის ფსიხოპათოლოგიას განვიცდით გაპროფესიონალებულ ემიგრაციის წრეში. მით უფრო, რომ მხეიდის საქმის შესახებ *carte d'identité* წართმეული მაქვს და ისე ვცხოვრობ – უვადოთ, მართალია, მაგრამ მაინც ისე... თან, რასაკვირველია, მაგონდებოდა შენი პროგნოზების შესახებ ჩემი და საზოგადოთ ჩვენი გაზეთის პერსპექტივებისა თვით საქართველოში და ვფიქრობდი, რომ გაზეთს თუ არა, იქნებ ისეთ უპარტიო ჟურნალს მაინც მოვანყობდით, როგორიც ამ ჟამად გამოდის მოსკოვში – „Новая Россия“ (გიგზავნი მის содержание-ს); *minimum*-ი სპეც'ალ სადმე არაპოლიტიკური მუშაობა რომ მოხერხდებოდა ჩემთვის, ამის იმედი მაქვს. *norma* – უპარტიო ჟურნალი იქნებოდა. ხოლო *maximum*-ი – იქნება პლატფორმიდან ქართულ ვაგონშიც გადასულიყო კაცი, თუ ეს საჭირო დარჩებოდა. ასეთ ჩემ სულისკვეთებას წამოენია შემდეგი „მიზეზი“ – მო-

რიგი ინტრიგა, რომელიც ძალიან მომაგონებს ბერლინისას. აქ ამ ჟამად პარიზში სამი სტიპენდიანტია სტუდენტი (ჭაბუკიანი, კობახიძე და რუხაძე). კობახიძემ კაჩუხოვის მოკლევადიანი კურსები გაიარა და როგორც სჩანს, ინსტრუქციებიც მიიღო უშეფოდ, თუ რანაირად უნდა ემღვრია წყალი. ამ ყმანვილმა (კობახიძემ) დაიწყო სტუდენტებში ლექცია-დარიგებების კითხვა: „ახალი საქართველო“ სმენავებური გაზეთია. ნამდვილი წითლები (ქართველები) მხოლოდ ითმენენ გრიგოლს. როგორც კი სიმონი წავა აქედან (და სიმონი კი თუ არ წავა, ყოველ შემთხვევაში, მას ქართულ საქმეებს ჩამოართმევენ და ბუღუს გადასცემენ), მაშინვე გრიგოლის საკითხიც მოიხსნება და ისიც მოგვმორდებაო. სიმონის ქართველი მოადგილე და მით უფრო ბუღუ და გრიგოლი ვერ მორიგდებიან. ჩვენც ამ დროისთვის ვემზადდით, დავიკავოთ კავშირი ქართველ წითლებთან (აქ უფრო ფიზიკურად სერგო კ-ია სჩანს), დავისტრახოთ თავი ბუღუსთან მისი ვაჟის, შალიკოს, საშუალებით შევექმნათ ჯერ ჯერობით გრიგოლიდან და რედაქციიდან დამოუკიდებელი სტუდენტური ორგანიზაცია, გავჩერდეთ ცალკე გაზეთიდან და როცა დრო მოვა და სიმონი და გრიგოლი ფეხს მოიტეხენ, ჩვენ მზად ვიქნებით, რომ გაზეთი ხელში ჩავიგდოთ კოლექტიურად. ალ. ჭაბუკიანმა ეს ყველაფერი იცის და ითმენს და იმის მაგიერ, რომ ჩემთან შეთანხმებულიყო ასეთ მამაძალღური ინტრიგის წინააღმდეგ – თვითონ ყოფ. ფედერალისტური ჯგუფის დაგროვებით უნდა დაიძვრინოს თავი კობახიძის მენშევიკური პლანებიდან. ამისთვის ჭაბუკიანმა ხელი მოკიდა მ. ტულუშს და ათრევს მას სტუდენტურ კავშირში (ეს ტულუში იანუსია – 9 აგვისტოს ლიუკსენბურგის ბაღში ჩვენი სეირის მომწყობთა შტაბში იყო. მეორე დღეს კი ლევანს ეახლა და შემდეგ დათიკო ლ-ის თითი გახდა!)...

მე მართალი გითხრა, ძალიან გამაბრაზა ამ ამბავმა, მით უფრო რომ სამიცე სტიპენდიანტი დაბოლოს რედაქციის ხათრით არის მოწყობილი. მაგრამ ამ საქმეში დატრიალება და ადმინისტრაციულად მისი გამართვა მძაგს. მით უფრო, რომ ერთი ამ და გვარი (აღნიაშვილის გამო) უკვე გადამხდა ბერლინში და მეყოფა. აქ, პარიზში არავითარი სურვილი არა მაქვს ვინმემ რაიმე „ჩისტკა“ ჩემი თაოსნობით დაასა-

ბუთოს. მით უფრო რომ აქ, პარიზში, როგორც ბერლინში, თუმცა ანტისიმონურ და ანტიგრიგოლურ ინტრიგას მუდამ თან სდევს ინტრიგა პოლიტიკური – ძველი ზღაპარი „უკლონისტური“ პერსპექტივების შესახებ. თუ ბერლინში ასეთი რამ აღნიაშვილთან იყო დაკავშირებული, აქ პარიზში ჩემ ამბებს ბიჭ-ბუჭები უკავშირებენ ბუდუს სახელს და მე, რასაკვირველია, რაც აქამდის მტრები მყავს გაჩენილი, ისიც მეყოდა მოსალუნებლად, რომ ეხლა ჩემი რაიმე დემარშების გამო მდივნები გადამეკიდონ (ოჯახი ფრიად მრავალრიცხოვანი, ყველა პარტიულ სერიებში), მით უფრო, რომ შალიკოსი მე მხოლოდ კარგი მახსოვს (9 აგვისტოს ის რომ არა, მე თვალს ამომთხრიდნენ). P. S. ამ ამბების შესახებ ცოტა „ინფორმაცია“ ლელისაც ექნება... და მით უფრო, რომ არ მინდა, ამის გამო მართლაც „უკლონისტების“-ჭამია მე გამოვიდე ქართველ ნითლებისათვის. არ მჯერა მათი პერსპექტივები და პოლიტიკა. ისე კი, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, რა ჩემი საქმეა ყველა დავიდარაბაში მონაწილეობა. ყოველ შემთხვევაში, მე სამტროდ მენშევიკური ყოფილი მინისტრები მეყოფა, რომ ეხლა კიდევ ყოფილი ბ-იკ მინისტრები სამტროდ გადავიკიდო. ამიტომ იყო, რომ ვიფიქრე – მივაფურთხებ ამ ყველა ინტრიგებს და წავალ სახლში მეთქი. ამას გარდა, არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ჩემს მაქეთ წამოსვლას მაფიქრებს.

ეს გარემოება სულ ახალია... საქმე იმაშია, რომ როგორც გეცოდინება, ქაქუცას ჯგუფი ოდენკურის ამბების (შეტაკების) შემდეგ აშკარად მებრძოლი მხარე გახდა მენშევიკებისათვის. მათ შორის უფსკრული თან და თან ღრმავდება, „შეფიცულები“ ამ ჟამად მხოლოდ იმას სჩივიან, რომ როგორმე ჯავრი ამოიყარონ მენშევიკურ მთავრობასა და პარტიაზე... ამ ნიადაგზე უკანაკსკნელ დროს რასაკვირველია იმალება ერთგვარი ასოციაციები „შეფიცულების“ დამოკიდებულების სენსაციური „გამორკვევისა“ ჩვენი მიმართულებით (Враги моих врагов, мои друзья) სიმონს იმედი აქვს, რომ ამ მიმართულებით ქაქუცა პლიუს მხედრები – ოფიცრები – პლიუს ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე – სულ დაანგრევს ემიგრანტულ კოალიციას და მენშევიკები მართო დარჩენილ-

ნი პარტიულ პლატფორმას დაადგებიანო. მაშინ სიმონის თქმით ჩვენი მუშაობის გეგმაც შეიცვლება – ეროვნულ-სა-ზოგადოებრივი პლატფორმის მაგიერ, რომელიც „ახალ საქართველოს“ აქვს — დაგვჭირდება პარტიული შებრძოლება აქაური ადგილობრივ შესაფერ წრეებთან დაკავშირებით.

მე არ ვიცი – ეს სიმონის აზრია, თუ მაქედან მოწერილი, მაგრამ მე ვიფიქრე, რომ არ ღირს მოცდა იმ დროსი, როცა, როგორც ბუდუმ მითხრა შარშან (გახსოვს, ერთად რომ ვიყავით) – „ჩვენთვის კაცი კარგია, სანამ ვჭირი, მერმე კი უმადური ვართ“. დასწრება სჯობს დაგვიანებას მეთქი. მართალია, მე შემეძლო მეფიქრა, რომ მომავალ, არა ეროვნულ, არამედ პარტიულ მუშაობის დროსაც გამოვდგებოდი, როგორც ასე თუ ისე საფრანგეთში გარკვეული ქართველი, მაგრამ მაშინ ხომ ალბად აუცილებელი იქნებოდა წითელი ვაგონი; მე კი ასე ვფიქრობ, რომ პლატფორმიდან ვაგონში გადაჯდომამდის ქრთველმა ემიგრანტებმა უნდა უსათუოდ გაისეირნოს საქართველოს სტანციაზე – ესე იგი ნახოს და ეზიაროს იმ რესპუბლიკას, რომელსაც ცნობს, როგორც მოქალაქე და რომლის მმართველ პარტიასთან უნდა დაახლოვება.

აი, ყოველივე ეს ერთად დაგროვებული იყო მიზეზი იმ პანიკურის დეპეშისა, რომელიც მოგეცი. ვთქვი, ერთი ჩავალ მეთქი და მერმე ვნახავ – დავბრუნდე აქ, სხვაგან წავიდე, თუ საქართველოში დავრჩე მეთქი.

მაგრამ შენ ისეთი „შენებური“ პასუხი მომეცი, რომ გადავწყვიტე არ გავინძრე, სანამ ამ წერილზე შენგან არ მივიღებ პასუხს და აი, დავიცდი კიდეც. ვნახოთ, რას მომწერ. დღეს სიმონმა გადმომცა გაზეთის შესახებ ლევანის აზრი – ესეც დარჩენას მაფიქრებს... ყოველ შემთხვევაში იმდენ რამეს დავესწარი აქ, რომ ერთი ქაქუცისა და მენშევიკების ჩხუბის სეირის ყურებაც ღირს ერთ რამედ.

ეხლა გადავდივარ შენი წერილის პასუხზე: ჯერ უკანასკნელზე (15 მარტის), მერმე მეორეზე. შენი გამოგზავნილი ნიგნები მომდის, რასაკვირველია. შენი ჭირიმე – справочник-ებს დაანევ, უფრო – ენციკლოპედიური შინაარსისას, რომ გაზეთისთვის რამე ამოვნერო. კლიშეების მასალა მჭირია ძალიან – რომ შემთხვევით ალბომებს – სახელმწიფო და საზოგა-

დო მოღვაწენი, მუნიციპალიტეტი, ზაჰესი, ყრილობების და იუბილეების (ჯარის იუბილესა და გასაბჭოების დღეს) და სხვა დროს გადაღებული ფოტოგრაფიები და სხვა ასეთები. კერძოდ ძალიან მამბრკოლებს უქონლობა – რუსულ-ქართულ საზოგადო ლექსიკონის. შენგან მარტო მათემატიკური მომივიდა – ტეხნიკური მაინც გამომიგზავნე თუმცა რომ მოინდომო ჩუბინიშვილსაც მოახერხებდი – შემოკლებულ გამოცემას ხუთი კაპ. რომ ღირდა წინად. საბა-სულხან ორბელიანისაც არ გვანწყენდა. გამომიგზავნე კედლის კალენდარი და მაგიდისაც ქართული („წერკუმს“-ის); გამომიგზავნე „მნათობი“ №11-12, სადაც შენი „შავი ვარსკვლავი“ იყო. თუ შეიძლება, „მნათობი“ გამოაგზავნე სისტემატიურად – მე მათი განცხადება ხომ დავბეჭდე – ამიერკავკასიის „ცნობების წიგნი“ გამოვიდა? ავალიშვილს წიგნი მისი გადავეცი. მადლობას მოგწერს ალბად. წინასიტყვაობის (ელიავას) ზოგიერთი ფრაზები ალბად შენი ბრალია. თან ლევანის ძალიან აინტერესებს – გონორარის უფლება რომ არ მაქვსო? – თან რუსული ეკზემპლიარების გასაღებას სწუხს (ამაზე ზუბალაშვილი მოგწერდა), ჩვენი აქაური მოსე შანიძეა. ავალიშვილი ქართულათ თარგმნის, 1 ცალი ჩემთვის უნდა გამოგიგზავნო უთუოდ. ამ ჟამად ავალიშვილი ჯვაროსანთა ეპოქის საქართველოზე სწერს მონოგრაფიას (აქაურ ნაციონალურ ბიბლიოთეკაში უნახავს გამოქვეყნებული დოკუმენტები – საიდანაც თურმე სჩანს, რომ [...] ევროპას საქართველოს დიდი იმედი ქონდა – ალბად მაშინაც რაღაც მენშევიკური შტუკები ყოფილა? არა! სიმონაზე თუ დავით კასრაძეს ეტყვი, მან იცის) გიორგი გვაზავას ერთი პორნოგრაფიული პოემა აქვს ქალთა გიმნაზიის პანსიონის ცხოვრებიდან – უნდა რამოდენიმე ციტატა მოვიყვანო „კოალიციური“ ამბების გარჩევის დროს.

ლევანმა რომ პარიზის ემიგრაციაზე ფელეტონები დაბეჭდა, იმისი უკანასკნელი ნომერი მჭირდება – სთხოვე ან რედაქციაში მოიკითხე და მომანოდე. „კომუნ“-„ზარიას“ – ადრესი ვაცნობე – იმედია, შენც უთხარი თორემ ვერ მივიღებ წესიერად ძველი მისამართით. „მუშა“-ც რომ მომდიოდეს 1 ცალი, კარგი იქნება. Заря – ძალიან ბევრი მომდის – 15 ცალი, 5 საკმარისია.

მეგრელების კრება რომ იყო (ინტილიგენტების) ამ ზაფხულზე თბილისში ავტონომიის შესახებ – იმის ანგარიში რომ იყო, ის ნომერი „კომუნისტისა“ მომიკითხე და გვაახლე.

შენ რომ მელაპარაკებოდი პარიზში ორბელიანის ლექსზე (სადაც ევროპას წყევლის) იქნებ გადამინერო მანდ და კოპიო მომანოლო.

„Москва“-ში ველაპარაკე Бреннер-ს და ამის შესახებ ცოტა ჩვენი ბაასის რეზულტატს გიგზავნი წერილობით. კოპიო მე მომცა.

2. ნავიკითხე 68 განითლებულის სია. მათში არის აგრეთვე ალფესი. მას ცალკე ვწერ პატარა ბარათს. თუ შენ საჭიროდ დაინახავ – მოაგონე დაპირება საქართველოდან ქართულ ცხოვრებაზე წერილების გზავნის შესახებ. თუ არა ვინმეს გააკეთებზე ეს – თუ გინდა კიკაბიძეს – შენი კარნახით, თორემ წერილები თბილისიდან უსათუოდ გვაკლია. კიკაბიძესი მე არაფერი წერილი არ მიმიღია და თუ კაცი ხარ ან ისე გონორარს ნუ მიცემ, სანამ წერილს შენ თვითონ არ ჩაიბარებ. თუ კიკაბიძე არ ვარგა – მონახე ვინმე სხვა – ვინც გინდა. თორემ შენ მოგადგები ბოლოს და ბოლოს. მავიწყდებოდა – ლელი ჯაფარიძეზე უკეთ ვის შეუძლია ეს საქმე. უთხარი. მეც ვწერ.

3. გაზეთის ფასი შეცვალე, ისე როგორც ინერები, – ამის შესახებ დეპეშაც გამომგიგზავნე.

4. რას გულისხმობ, როცა ქაქუცას ამხანაგის შესახებ მირჩევ – ფრთხილად ვიყო – ფიზიკურადაა საჭირო ეს თუ პოლიტიკურად?

5. ამანათი (პასილკა) მიიღე თუ არა? ამის შესახებ წერილი მ. ხუბუნს გამოვატანე. ეხლა გიგზავნი თვით კვიტანციას. თუ რამე ხათაბალა იყვეს – ამ კვიტანციის მე ყოველთვის შემიძლია იმ 800 ფრანკის გადახდევინება (თუ დაკარგეს) რადგან ამ ფასად არის დაზღვეული. ამანათის ფული სიმონს გამოვართვი. ნივთები მე და ნინამ შევარჩიეთ.

6. შენი „თებერვალი“ ძალიან მოსაწონია ქართული რომანოლოგიის თვალსაზრისით. შიგ რომ ერთი ქალი იყოს შეამხანაგებული სიმონის საქმეებში – მაშინ უნაკლო რომანი იქნებოდა. შენ ალბად სიმონს ასეთ ქალს შეახვედრებდი, როცა სიმონი თბილისში დაბრუნდა ბათუმიდან... „გარდაც-

ვალება“ ჩემთვის პირადათ მეტად პოეტური და ლიკირულია. საინტერესო კი ძალიან. საერთოდ შენ დრო ტყუილად არ დაგიკარგავს ევროპაში არც ერთის მხრივ – და არც ეხლა კარგავ – როგორც ვხედავ...

7. მამი ჩემის მისამართი: სამსახურის – ქიათურა – ფოსტის გამგეა მგონი. თუ აღარ მსახურებს უკვე (იანვრიდან წერილი არ მიმიღია), მაშინ საჩხერე. სოფელ საირხეში გიორგი პეტრეს ძე ვეშაპიძეს.

ჩემი და ნანა ვერ ნახე თბილისში? (ქმრით Гарбачова არის. 27 кв. 3. Измайловская ул. 3)

8. ჩემი წიგნის შესახებ – მე აზრად მაქვს, გამოვცე კრებული „ახალი საქართველოს“ მეთაურთა თავიდან ბოლომდის, ან რჩეულები. თუ შენ ამ აზრს გაიზიარებ – მომწერე დეპეშით – და ან შენ მოგანდობ, გამოსცე ისე, როგორც დაინახავ საჭიროდ (კომპლექტი ალბად არის მანდ) ან და მე შევავაროვებ აქ, რედაქციასაც გავუყუებ და გამოგიგზავნი. ყოველ შემთხვევაში, ასე იქნება თუ ისე, ერთი კორექტურის გამოგზავნა მაინც დაგჭირდება აქ ჩემთვის, რომ რაიმე არ „გაიპაროს“.

9. პირანდელას თარგმანი გამოვგზავნეთ.

10. პარიჟსკი ვესტნიკი დაიკეცა და ამიტომ ველარ გამოგიგზავნით.

11. ლევანის – ფრანგული ემიგრაციის ისტორია გამოგიგზავნე ხუხუნის ხელით – ხომ მიიღე?

12. აშეტის (Hachette)-ათვის ჯერ არ გადამიცია ექსპედიცია, რადგან დიდ ზედნადებ (накладной) ხარჯებს მოითხოვს – ასე რომ შენ და „სახელგამს“ მასთან არავითარი საანგარიშო საქმე არა გაქვთ.

13. ყანდარელისგან მიღებულ წიგნებიდან (ოცი ყუთი მე არ მიმიღია – მივიღე 33 კილო, ესე იგი ფუთი და მესამედი დაახლოებით) მეტი ნაწილი კოლონიას გადავეცი და ბიბლიოთეკა მოვანყობინე.

14. „ფულეები“ მივიღე ორჯერ (ერთხელ შენი თაოსნობით განცხადების) და მეორედ ჩემი თაოსნობით (გაზეთის ანგარიშში უნდა ჩავწეროთ ალბად) მივიღე. დიდი მადლობა...

15. სიმონთან შენი ქალაღდები რომ არის, შიგ კინემატოგრაფზე ვერაფერი ვნახე – გიგზავნი სამაგიეროდ სამ ლექსს, რომელიც აღმოვაჩინეთ მე და ამლიკმა.

16. ჩიტადის საქმე შევასრულე.

17. ტუტანკამონს (Рождение богов / Мережковский) ვაგზავნი ამლიკის ხელით ზეგ მოდის მოსკოვით.

18. ვაჩნაძეს (ივერსენს) ნოტები გაეგზავნა ჯერჯერობით.

სალამით შენი გრიგოლ ვეშაპელი

მოკითხვა ნინოსგან.

P. S. გავიგე ლევანის ოჯახის გამრავლება და გილოცავთ.

გრიგოლი

გულითადი სალამი ნიკოლოზს!

ნინა ვეშაპელი

ამ წერილის მიღება მაცნობე დეპეშით: „მივიღე“. სალამი გიორგი მაზნიაშვილს.

[პარიზი, 28 თებერვლის შემდეგ, 1926]

მიხეილ ჯავახიშვილი – სერგო კლდიაშვილს

ძმაო სერგო!

გუშინდელმა ამბავმა მეტად ამაღელვა, – უფრო კი იმ საზიზღარმა ქორმა, ვითომ მე მეთქვას უაზრო და უმსგავსი რამ შესახებ ხაზინის გაყვლეფისა. ამას მე ვერ ვიტყოდი, თუნდაც იმიტომ, რომ „მნათობის“ ხარჯებს ხაზინა კი არ ჰფარავს, არამედ ჟურნალის შემოსავალი. ეხლა მომაგონდა: ერთ-ერთმა დამსწრემ ამ ბაასში ჩაურთო: „ყველაფერი რომ ორჯერ ვბეჭდოთ, ხაზინაც ვერ გაუძლებდა ასეთ ხარჯებსო“. მე გთხოვთ, ძმაო სერგო, ერთხელ კიდევ გამოჰკითხოთ ამბავის მომტანს, მე ვთქვი თუ სხვა ვინმემ ზემოხსენებული?

ეხლა თქვენს თანამშრომლობაზე. მე ვიმეორებ: თანახმად ჟურნალის წესებისა, შეიძლება ნახევრამდე მასალა დაბეჭ-

დილი ყოფილიყო სადმე (გაზეთ „მუშა“-ში), როგორც ნანყვეტში, აქეთ-იქიდან ამოკრეფილი. მეც ხშირად მთხოვენ ასეთ ნანყვეტებს, მაგრამ სამიოდე წელიწადში სამიოდე ნანყვეტი მივეცი – 1 ან 2 გვ. ასე რომ ვიანგარიშოთ, თქვენ ჩემზე და გრ. რობაქიძეზე მეტი გეძლევათ. მაშასადამე, თქვენ ვერ მოგვთხოვთ, რომ სხვაგან დაბეჭდილი, თუნდაც ოდნავ შევსებული, მეორედ დაიბეჭდოს. ეს თქვენც დამიდასტურეთ. დარჩა ერთად ერთი გზა: ყოველ ცალკე შემთხვევაში თქვენი მასალა შევადართ უკვე დაბეჭდილს და „ვივაჭროთ“. ლაპარაკიც მხოლოდ ამაზე იყო. იმედია დამეთანხმებით, რომ ამ საქმეს სხვანაირად ვერც შევხედავდით. დასასრულ, ორში ერთი: ან თქვენ გჯერათ, რომ მე არაფერი მითქვამს „ხაზინაზე“, ან არ გჯერათ. თუ გჯერათ ჩემი სიმართლე, ჩვენი ურთიერთობა არ უნდა შეირყეს; თუ არ გჯერათ – გულში სამუდამოდ დამრჩება დაუმსახურებელი წყენა. ყოველ შემთხვევაში, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი ბოდიში და სალამი.

პატივისცემით მ. ჯავახიშვილი

10/III.26

[თბილისი]

სიმონ მდივანი – ნიკოლო მინიშვილს*

Дорогой Нико!

Грузино-грек пока не обращался. Кстати, почему ему не обратиться в самой Грузии в наше консульство: результат один и тот же и мы и в Греции, сумеем только отправит его хадатайство в Москву, а уже ускорить или получить благоприятный результат, придется сделать на месте.

Милый друг! Вы имели хорошую привычку, к несчастью, очень скоро покинутую, посылать мне книги-новинки; нельзя

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 969.

ლი вернуться к „этому порядку“ вновь. Вы знаете, что меня интересует, а в „Заре“ я читаю о целом ряде интересных для меня новых изданиях.

Пожалуйста посылайте – готов компенсировать чем угодно. Григола берегу „со всех сил“, он молодец и я его очень люблю. Правда, это мне стоит „дорого“, ибо очень многие (некоторых вы знаете) перенесли стою неприязни к Григолу на меня. Но я не из пугливых.

Думаю, что через два месяца Григол может уже приехать на Кавказ, если дела пойдут так, как я думаю. Ему действительно надо дать вполне заслуженный отдых.

Телеграммы от Левана, какого либо такого содержания, которой „причину объяснит Григол“, я не получал.

И вообще, пожалуйста „нажми“ на Левана, чтоб он отвечал на мои телеграммы и письма хотя бы тоже телеграммой. С тех пор, как он стал папшей, он абсолютно забыл меня и что хуже всего, мои дела.

Будьте здоровы. Надеюсь скоро (в августе) учидется.

Жму руку, привет Левану с „фамилией“ Симон.

М. Н. шлет сердечный привет. Семюк тебя не забывает.

7/V. [1926, პარიზი]

ტიციან ტაბიძე – მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს*

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს!

მწერალთა კავშირთან არსებულ ქართული ენის განმედის კომისიამ სექციის კრებაზე 8 მაისს დაადგინა შესდგეს ბიბლიოგრაფია ქართულ ზეპირ სიტყვიერებისა და დაგროვდეს ხელოვნების სასახლეში, როგორც დაბეჭდილი წიგნები, ისე ჟურნალ გაზეთებიდან ამონაწერი ნიმუშები ხალხურ შემოქმედებისა, რაც მოიპოება პერიოდულ გამოცემებში ჩვენ დრომდე. ამავე სექციამ მუშაობისთვის მიიწვია ამხ.

* დაცულია საქართველოს ეროვნული არქივში.

იროდიონ სონლულაშვილი, საქართველოს მუზეუმის გამგის მოადგილე და დაადგინა წინასწარ ხარჯისთვის მიეცეს მას ხუთი თუმანი (50 მ).

სექციის დავალებით გთხოვთ ეს თანხა გამოუწეროთ ამხ. ი. სონლულაშვილს. ამასთანავე დამტკიცებული ოქმი სექციის სხდომისა ეგზავნება მწერალთა კავშირის სამდივნოს.

სექციის თავმჯდომარის მაგიერ საბჭოს წევრი

ტიციან ტაბიძე

17/5 – 926 წ.

[თბილისი]

პაოლო იაშვილი – ეფემია და გიორგი ლეონიძეებს

ძვირფასებო ეფეფუცი და გოგლა!

გილოცავთ ახალს მზეთუნახავს. გულით მიხარის, რომ დედაც და ბავშვიც კარგად არიან. ბორჯომში გოგი ისე იყო გატაცებული თევზაობით, რომ ალბათ ერთს ტკბილ ღამეს დაავიწყდა „ბიჭო, ბიჭოს“ ძახილი. საჭირო იქნება შემდეგში ამ შეცდომის გასწორება. დღეს დაღლილი ვარ და სახლში ვიქნები, ხვალ გინახულებთ.

თქვენი მარად

პაოლო იაშვილი

17. V. 26

[თბილისი]

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

Станція Лихи (З.К.М. дор.), дом Кипиани, Квишхети.

Валеріану Гафриндашвили.

30/VII-926.

ვალერიან, შენ ასე ჩუმად გაიპარე და არაფერსაც არ გვაგებებ შენ ამბავს.

ჩვენ ვიხრჩობით სიცხეში და კრიზისები გვიპირებენ გადა-
შენებას.

იყო აქ ერენბურგი – შეიძლება შეგხვდეთ კიდეც ბორჯომში
შენთან ერთად. პაოლო ქობულეთისკენ გვეწავა. თუ წავე-
დით, უშენობა ვერ იქნება. სალამი ირას.

სალამი რაჟდენს – ალბად თქვენ იცლებით ლექსებათ.

თქვენი ტიცვიან

[თბილისი]

ნიკოლო მინიშვილი – ლეო ქიაჩელს*

30. 7. 26.

ძმაო ლეო!

გიგზავნი ჩემს წერილებს, რომელიც მომიწერია უცხოეთი-
დან ზოგი ჩემი ლიტერატურულ მეგობრებისათვის, ზოგი
ამხ. ლ. ლოლობერიძისათვის. უმეტესობა ამ წერილებისა
ჩემი ევროპიდან ჩამოსვლის შემდეგ (1925 წ.) მე გადმომცა
ტიციან ტაბიძემ, რომლისათვისაც ამხ. ლოლობერიძეს ეს
წერილები გადაეცა ამხანაგებისათვის გასაცნობად.

ზოგი წერილი დაკარგულია (მაგ., დაუკარგავს ერთი წერი-
ლი გ. ლეონიძეს), ზოგის ასლი დამრჩა საფრანგეთში ჩემი
იქიდან გადმოსახლების დროს. ეს წერილები (ასლები) და
აგრეთვე ამ წერილებზე ამხ. ლოლობერიძის პასუხები, რამ-
დენადაც ვიცი, ამჟამად ინახება პარიზში. საბჭოთა საელ-
ჩოში პირუმოვთან, მასთანვეა ჩემი მოხსენება ჟურნალის
გამოცემის შესახებ, სადაც მე ვსთხოვდი ფულს სესხად იმ
პირობით, რომ მას დაენიშნა კონტროლი ჩვენზე გადმოცე-
მულ ქართული ფილმების ექსპლუატაციის საქმეში და პირ-
ველი შემოსავალიდან აელო ეს ვალი.

თუ საშუალება მომეცა ამ მასალის შეგროვებისაც, გად-
მოგცემთ მათაც.

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწე-
რა 3, საქმე 968.

ამ წერილების გადმოცემა სარევე. მუზეუმისათვის მე მიმარჩინია ჩემთვის სავალდებულოთ და მეორეს მხრივ ისინი არ უნდა იყვენ მოკლებული ერთგვარ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, როგორც დოკუმენტები. ყოველ შემთხვევაში ეს მომავალის საქმეა. მე არ შემეხება.

რაც შემეხებოდა, უნდა მექნა და ვშვები – ეს უნდა იცოდეს ყველამ. ამიტომ გთხოვთ, მიიღოთ ეს მასალა მუზეუმში.

მეგობრული სალამით ნიკოლო მინიშვილი
[თბილისი]

ნიკოლო მინიშვილი – ლეო ქიაჩელს*

ლეო.

ეს. ლ. ლოლობერიძის წერილია, რომელსაც აკლია ბოლო. თუ ვნახე, დაგიმატებ. წერილი ალბათ ეკუთვნის 1923-ს კუდს ან 24 დასაწყისს. მიუმატეთ იმ დოკუმენტებს.

შენი ნ. მინიშვილი
[თბილისი, 30 ივლისის შემდეგ, 1926]

ილია ერენბურგ – ტიცციან ტაბიძეს

Сердечный привет. Пишем уже с отошедшего парохода-суди.

Ваш И. Эренбург

Самый лучший привет Вам и Вашим.

И. Эренбург
[ბათუმი, 6 აგვისტო, 1926]

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 972.

ვალერიან გაფრინდაშვილი – ტიციან ტაბიძეს

ძმაო ტიციან!

დიდი მადლობა გახსენებისთვის. რა ამბავია ტფილისში? აქ საუცხოვო ბუნებაა, მაგრამ მონყენაც დიდია. დავწერე ერთი ლექსი: „მოაგარაკე-იდიოტი“. როგორ არიან ალი, კოლაუ, გოგლა, სანდრო, ნიკო (მინიშვილი), **Вспоминайте ли вы поэта Гафриндашвили?** (მანდელშტამის რეზონანსი). ამას წინადა სიზმარში ვნახე შალვა აფხაიძე. აქ ხანდახან ვკითხულობ ვაჟას. დიდებულია:

შენს და შოთაის მარჯვენას

ვემთხვიე ზედი-ზედაო.

ახალი ფუნაგორიები ბლომად ექნება დაწერილი კოლაუს. ნინო ყიფიანის სახლიდან, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, კარგი გასახედავია. ჩვენს წინ თვალუნვდენელ მინდორზე მოსჩანს კალოები და მოჭრილი პურის ზვინები საყდრის გუმბათებივით. რაჟდენი და ვასო გორგაძე იყვნენ ბორჯომში და იქ გრიგოლი ინახულეს. კარგს იზამთ, თუ გამოივლით ქვიშხეთისაკენ. აქ ყველაფერი იშოვება, მხოლოდ ძნელი საშოვარია ღვინო. რა ამბავი მოგდის წინადან? ხომ კარგად არის ნიტა? ირა მოკითხვას გითვლის. ის კმაყოფილია ქვიშხეთით. სანდრო რომ აქ წამოსულიყო, არ ინანებდა.

გიგზავნი ლექსს „ალი არსენიშვილზე“, თუ გვიან არ არის, დააბეჭდვინე კოლიას „ქართულ მწერლობაში“.

გავიგე შენი ლექსის ამბავი („თამუნია წერეთელს“) და არ ვამტყუნებ კოლიას, თუმცა შეიძლებოდა სხვა სათაურით დაბეჭდვა.

ნუ დაგვივინყებთ. ნახვამდი.

პაოლო, ალბად დაეუფლა აჭარას.

მოკითხვა ყველა დასიცხულ ამხანაგებს.

ვალერიან

ქვიშხეთი, 9 აგვისტო, 1926 წელი

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

Ст. Лихи (Закав. Жел. дороги), Квишхети.

Дом Союза писателей Грузии. Валериану Гафриндашвили.

ძმაო ვალერიან, შენი წერილი მივიღე ტფილისში წამოსვლისას. ეხლა ვარ ანაპაში – დიდებულად ვიმგზავრე გემით „ილიჩი“ – და ვნახე ყველა ქალაქები შავ ზღვაზე – ისე კი ამ სკვიითიაში მოწყენის გარდა არაფერი არ არის საინტერესო. ეს კია, რომ ლექსები იოლად ინერება. დაფნერე, პაოლოს არ იყოს, შესავალი პოემის: ქართლის ცხოვრება (გაღებულნი ცა – 1918 და 1919 წ.). ჩამოსვლისას წაგიკითხავ. ნიტა ავად იყო, ეხლა ცოტა მორჩა – მოკითხვა ირას და სხვა ჩვენ ხალხს ქვიშხეთში. სალამი რაჟდენს, თუ მანდ იყოს.

შენი ტიციან

Керченская №39

ჩემო ირა, გამოგიგზავნე წერილი. არ ვიცი, მიიღე თუ არა. ტიციანის ჩამოსვლა ძლიერ გამიხარდა, მაგრამ ნიტა მყავდა ავად და რაც მოიმბატა, ისევე დაიკლო. მე კარგათ ვარ. სრულებით არ მოვისწრაფი თბილისში. შენ როგორ ხარ, მომწერე წერილი. თამარა სოჩაში ყოფილა. გკოცნით ბევრს შენ და ვალერიანს.

შენი ნინა

[ანაპა, აგვისტო, 1926]

პაოლო იაშვილი – კოლაუ ნადირაძეს

ჩემო ძვირფასო კოლაუ!

შარუხის შეხედვამ გული ამიძგერა, მეგონა, ორივეს ერთად გნახავდით.

ცოცხლად მიაშობთ, თქვენს მოგზაურობას რომელიც, როგორც ეტყობა შარშანდელ აბხაზეთის ტურნეს ემსგავსება. შენი ნინა სწერდა თამარს „Коля прогорает медленно но

верно“-ო. ვატყობ, ჩემო კოლაუ, რომ შენ კომერციაში უბედო ხარ, მაგრამ ერთია სასიხარულო, რომ ასეთმა უიღბლო ტურნეებმა, ლექსების დახვავება იცის. მე მიმყავს ჩვენები ბათომში, დავრჩები იქ ხუთი დღე, შემდეგ თბილისში. იქიდან ისევ ბათომში, შეიძლება აბხაზეთისკენ შეუერთდე თქვენს ტურნეს.

სოფელში დავსწერე ლექსები, დავიწყე პიესა, ვიყავი წერის გუნებაზე, რაც ჩემთვის ძვირია.

როდის და სად გნახავ? ვცდილობ შენთვის კარგს ოთახს. უსათუოდ მოვახერხებ.

ჭიათურაში ნახეთ კონია, რამეს დაგეხმარებათ. რომ ჩამოგესწროთ ჩემთვის „Окупил бы все расходы Ренессанса“. გიგზავნი ერთს ლექსს, მხოლოდ მიტომ რომ მოულოდნელია:

მელორეს სიმღერა

უფალო! უსმინე შევარდენს,
მის ხელით გიგზავნი ბარათს,
მიშველე ღორებში ჩავარდნილს,
ღორებში დარჩენილს მარად.
როგორც რომ ბურვაკი პალოზე
მინდორში ბანარით აბია,
მარტო ვარ, უფალო, დალოცე,
მელორე ცრემლების ყლაპია!
უფალო! მომეცი სამხარი
ძალღვივით ამოსულს ცაზე
და შენი პერანგი ნახმარი
ჩამაცვი ცოდვიან ტანზე.
მომეცი ბავშვებში ჩარევის
და მათთან თამაშის ნება,
უფალო! შენს გარდა არავის
არა აქვს ამის უფლება.
ფიქრები სამწყესო ღორებზე,
ყოველ დღე ცრემლებით მსჯიდა
უფალო! გალავნის ყორეზე
დამნიშნე ბელურა ჩიტად.

არ ვიცი, რამ მათქმევინა ეს ლექსი.

აბა, ასე ჩემო ძმაო და ძვირფასო პოეტო! დაახვავე ლექსები, კრებულს ვსცემ „უნდა ავარდე, მამა პარნასზე“, უნდა ავტეხოთ „орудийная пальба стихов“.

აბა, იყავი მზად! ნუ დაიგვიანებ თბილისისკენ. გაკოცებ. ვაბარებ შენს თავს შარუხას.

შენი მარად პაოლო

14. IX. 26

[თბილისი]

პაოლო იაშვილი – კოლაუ ნადირაძეს

ძვირფასო კოლაუ!

შარუხი გვატყობინებს შენს ამბებს. შენ კი Ни гу-гу. როდის ჩამოხვალ, როდის გაგვახარებ.

ჩვენ გადავწყვიტეთ, აუცილებლად გამოვსცეთ კრებული ამ ორ თვეში. ჩამოდი დატვირთული.

ნუ დაიგვიანებ. შეიძლება ოთახი მოვახერხოთ, თუ მალე ჩამოხვალ.

მოკითხვა ნინას.

შენი პაოლო

[თბილისი, 1926]

პაოლო იაშვილი – ალექსანდრე ახმეტელს

ძვირფასო ამხანაგო და ძმაო საშა!

მოგმართავ შენ პირადად, აგრეთვე, როგორც კორპორაცია „დურუჯის“ ნევრს და მეთაურთაგანს.

შენთვის გასაგებია ამ ბარათის მიზანი. იგია გამოწვეული გამოსარკვევად იმ გაუგებრობისა, რომელიც დამყარდა ჩემს და კორპორაციას შორის და შეიძლება „ცისფერ ყანწებსა“ და „დურუჯს“ შორის.

ერთ დიდ დამსახურებად ქართული ხელოვნების წინაშე მე და ყველა ჩემ ამხანაგებს მიგვაჩნია „დურუჯის“ აღტაცებული და უიჭვოთ ცნობა მაშინ, როდესაც თქვენს წინააღმდეგ შეიარაღდა ჩვენი საზოგადოება. თქვენი შემოქმედება მე მიმაჩნდა ახალი ქართული ხელოვნების დიდ საქმედ, ისევე, როგორც „ცისფერი ყანწების“ მუშაობა. სისტემა თქვენი ბრძოლისა იყო ჩვენთვის ახლობელი და ღვიძლი სისტემა. აგრეთვე თქვენი ნიადაგი და გეზი ჩვენთვის იყო ნათესაური. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ „დურუჯი“ იყო ნაწილი ერთი ესთეტიური ფრონტის, რომლის შთამაგონებელი ვიყავით ჩვენც. ასეთი შეხედულება დამტკიცდა – შარშანაც ჩემი და ჩემი ამხანაგების მეგობრული ბარათებით, რომელნიც ჩვენ მოვათავსეთ თქვენ მიერ გამოცემულ კრებულში.

წელს „დურუჯის“ კორპორაციაში მოხდა მნიშვნელოვანი და სამწუხარო ამბავი: – კოტე მარჯანიშვილის და რამოდენიმე კორპორანტის ჩამოცილება. ეს ამბავი ჩვენთვის მოჩვენება იყო „დურუჯის“ ნაწილობრივ კრიზისის. კონფლიქტმა გამოიწვია სიხარული თქვენს მოწინააღმდეგეთა შორის. ჩვენ არ ვიყავით მონაწილენი ამ სიხარულის. ყველა ჩვენთაგანი მომხრე იყო „ზავის“. მიუხედავად იმისა, რომ კოტე მარჯანიშვილის ჩემდამი დამოკიდებულება საკმაოდ გულცივია და, ჩემის ფიქრით, თავიდანვე გულწრფელი არ იყო. მე მაინც მიმაჩნია მარჯანიშვილი ჩემი გუნების დიდ ხელოვნად. მე,

აგრეთვე, ვფიქრობ, რომ ის ჯერ კიდევ საჭირო იყო თქვენი თეატრისათვისაც, და რაც უფრო საგულისხმოა, თქვენ ყველა საჭირო იყავით მარჯანიშვილისათვის. ამ კონფლიქტში მე არ მეშინია თქვენი ბედის. მე მანუხებს კ. მარჯანიშვილის მარტოობა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ კოტე მარჯანიშვილი ვერ შექმნის სხვა კოლექტივს, რომელთანაც დაამკვიდრებს ჰარმონიულ მუშაობას. ამ მოსაზრებით ჩვენ ვიყავით მომხრენი „ზავის“. თუ ეს „ზავი“ არ მოხდა, კ. მარჯანიშვილი იძულებული იქნება საქართველო დასტოვოს.

გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება, დამშვიდებით შევურიგდეთ ამ სამნუხარო შედეგს კონფლიქტისას?!

მე მჯერა, რომ მარჯანიშვილის და დურუჯის კონფლიქტი არ არის გამონკვეთილი მხატვრული უთანხმოებით. აქ, ალბათ, ადგილი აქვს უფრო მდაბალ და ადამიანურ მიზეზებს. მით უფრო საჭირო იყო მათი გადალახვა. მე არსებითად არ ვეხები საკითხს, არ ვეძებ, ვისი ბრალი მეტია. ამას მნიშვნელობა არა აქვს. სასამართლო „მეშჩანური“ ორგანიზაცია არის და იქ მხატვრული საკითხები არ ირკვევა.

მარჯანიშვილის და რამოდენიმე კორპორანტის წასვლის შემდეგ მე დიდის ინტერესით მოვდიოდი რუსთაველის თეატრში. შეიძლება დამტკიცდეს, რომ არასოდეს მე და „ყანწელები“ ისე ხშირად არ ვყოფილვართ რუსთაველის თეატრში, როგორც წელს...

მომწონს და მახარებს „ზაგმუკის“ დადგმა.

მომწონს და მახარებს ირაკლის და უშანგის დიდი წარმატება, ახმეტელის მხატვრული გემოვნების მთლიანობა და რაც ყველაზე საბედნიეროა, ახმეტელის ავტორიტეტი, მაგარი ხელი და დისციპლინის სიმტკიცე.

მაგრამ არ გეთანხმებით „ამერიკელ ძიას“ დადგმაში.

დურუჯის სიძლიერე ორ მომენტშია: ერთი „მაგარი ძიობა“ და მეორე კორპორაცია, როგორც მხატვრული სკოლა. მეორე მომენტის მიხედვით თქვენ „ძია“ არ უნდა დაგედგათ. ეს არის Соглошательство.

ასეთი შეცდომები ჩვენც გვქონდა უკანასკნელ წლებში და სწორედ ეს იწვევდა ყველაზე მეტ კრიზისებს და ენერჯის გაფლანგვას.

ეს მე ვთქვი აშკარად. ალბათ ეს იყო მიზეზი ჩვენს შორის გაუგებრობის დამყარებისა, და მხოლოდ ამისათვის ნუ იქნება ჩვენს შორის უბრობა. „დურუჯმა“ რომ უკანასკნელი კრიზისი განიცადოს, დალუპვის პირს რომ იდგეს, მე მაინც ვილაპარაკებ შეცდომებზე.

მე აშკარად მინდა გითხრა, ძვირფასო საშა, შენ და ყველა კორპორანტს, რომ ჩემი ვითომ და გულცივობა „დურუჯისადმი“ გამოწვეულია თქვენი იჭენეულობით. ჩემს წინააღმდეგ არის კიდევ ერთი დანაშაული მომართული: თითქოს მე მელაპარაკოს ერთ-ერთ მთავრობის წევრთან კორპორაციის სამტროდ. შეიძლება, მე ვისმესთან ვსთქვი „ამერიკელი ძიას“ შესახებ ის, რასაც თქვენ გნერთ. ეს არ მიმაჩნია დიდ დანაშაულად, რადგან იგივე მე გადმოგეცი შენც, საშა, თუ გახსოვს.

ჩემი შეხედულება მე არავისგან დამიმალა, რადგან არ ვარ ჩვეული დავფარო მართალი, მით უფრო მხატვრულ საკითხებში. ეს არის ყველაფერი, რაც მომაგონდა. მე იმედი მაქვს, ამ ნიადაგზე გვექნება კიდევ პირადი საუბარი. ალბათ მაშინ გამოვარკვევთ ყველა გაუგებრობას. ჩემში ძველებურად რჩება რწმენა, „დურუჯისადმი“ სიყვარული კი შეიძლება ახლა მეტი იყოს, ვიდრე როდესმე.

გილოცავთ ქართული თეატრის დღეს.

შენი და მთელი კორპორაციის ძმა და მეგობარი

პაოლო იაშვილი

2 იანვარი, 1927

[თბილისი]

დავით კაკაბაძე – ტიცინან ტაბიძეს

2 იანვარი, 1927 წ. პარიზი.

პატივცემულო ტიცინან!

ნიკო ფიროსმანიშვილის მონოგრაფიაში თქვენ, სხვათა შორის, აღნიშნული გაქვთ, რომ ნიკო ფიროსმანიშვილზე დაიბეჭდა 1913 წელს გრიგოლ რობაქიძის წერილი რუსულ ენაზე, რომელიც ჩვენთვის პირველ წერილად უნდა ჩაით-

ვალოს. ეს ცნობა აქაურ წრეებში ინვევს ეჭვს, ამიტომ დიდათ მადლობელი ვიქნები, თუ ამ ეჭვის გასაქარწყლებათ, შემატყობინებთ იმ გაზეთის სახელს, ნომერს და რიცხვს, სადაც ეს წერილი იყო მოთავსებული. ამასთანავე გთხოვთ, მაცნობოთ, რა საბუთია იმისი, რომ ლე-დანტიუ ფრანგი მხატვარი იყო, როდესაც ცნობილია, რომ ლე-დანტიუ რუსი მხატვარია, ვინაიდან ეს საკითხიც აქ საკამათოდ არის.

დიდათ დავალებული ვიქნები, თუ ამ ცნობებს მომანვდით.

პატივისცემით,

დავით კაკაბაძე

მისამართი: D. Kakabadzé. 22, rue Delambre, Paris (14e).

Париж – Франция.

ჟანგო ლოლობერიძე – ტიცინან ტაბიძეს

1927 წ., თებერვალი 12.

სრ. საქ. მწერალთა კავშირის წევრს, მოქ. ტიცინან ტაბიძეს.

თანხმად თქვენი განცხადებისა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე 7 თებერვალს, 1927 წელს, თქვენ მონდობილი გაქვთ „პუშკინის ხსოვნის საღამო“-ს მოწყობა 1927 წ. 20 თებერვალს.

მოგაგონებთ რა დანიშნულ დღეს, გაცნობებთ, რომ მოხსენება შესდგება ხელოვანთა სასახლის ყვითელ დარბაზში. გთხოვთ, შეგვატყობინოთ, როგორი წესით არის თქვენთვის სასურველი ბილეთების განაწილება.

სრ. საქ. მწერალთა კავშირის მდივანი: ლოლობერიძე

ტიცინან ტაბიძე – გუგული ბუნნიკაშვილს

ძვირფასო ამხანაგო გუგული!

ამ ბარათის მომტანი ერლომი სავანელი ჩემი ძველი ნაცნობია და დიდი ინტერესი აქვს ქართული თეატრის. ის არის

ავტორი პიესებისა, რომელთაც აქვთ თანამედროების მნიშვნელობა.

გთხოვთ ძალიან, მოუსმინოთ და დაეხმაროთ, რომ როგორმე მაგის პიესა დაიდგას ან თქვენთან, რუსთაველის თეატრში და ან სახალხო თეატრში.

უფრო დანვრილებით მოგელაპარაკებით პირადათ.

ხელ. ტიცციან ტაბიძე

4-III – 927 ნ., ქ. ტფილისი

ტიცციან ტაბიძე – სიმონ ყაუხჩიშვილს

ძვირფასო ძმაო სიმონ!

მე დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ გუშინ ვერ დავესწარი შენ დისერტაციის დაცვას. მე ამას განსაკუთრებით ვსწუხვარ, რადგან ჩვენ გიმნაზიის ამხანაგებში მხოლოდ ორი შევრჩით ფილოლოგიას: შენ დღეიდან კლასიკურ ფილოლოგიის დოქტორი ხარ – და მე ერთი სანყალი პოეტი. თუმცა მოსკოვში ვსწავლობდი ფილოლოგიას და ჩვენი დეკანის აპალონ ა. გრუშკა ლექსშიც მომიხსენებია.

მე ჩემმა ძმამ პირველად და შემდეგ სხვა დამსწრეთაც მომიყვეს, რომ შენ ბრწყინვალეთ გაიმარჯვე და შენი გამარჯვება, ასე მგონია, ჩემი გამარჯვებაც არი. თუმცა მე ხშირად მიყვარს გამეორება:

Единственный раз спорил в жизни

И то на диспуте магистра.

მე ყოველთვის მანვალებდა ინოკენტი ანენსკი და ჟადე ზელინსკი – და ვწუხვარ, რომ არ ვიცნობ თქვენ გრიგოლ წერეთელს. რატომღაც გულში მაქვს ჩარჩენილი ეს სიყვარული და დღეს მაგონდება ჩვენი გიმნაზიის „ჩუდაკები“: ბოჟკო და სემიონ ზახარინი Н. (ხაზი).

რამდენი ხანი გავიდა ამის შემდეგ და მე თითქო ხვალ კიდევ გამოვიღვიძებ ჩვენ დიდ ჭანდრის ქვეშ რიონის პირად. ძვირფასო სიმონიკა, მე დღესაც მახარებს, რომ შენ ისევ

მხიარული ხარ და აღფრთოვანებული: ასე გხედავ მე შენ ქუჩაში და სტამბაში. მე სულ არ ვიცოდი შენი დისერტაციის ამბავი და სიყვარულით გიგონებდით მე და პავლე ინგოროყვა ამას წინათ...

ჩემთვის არ არის მეტი შთაგონება და პოეზიის კეთილშობილება, როგორც ანტიური პოეტები და წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიტანჯებოდე, როცა, რაც ვიცოდი და რაც ვისწავლე, ისიც დამავინწყდა – ეხლა მხოლოდ ზელინსკის წიგნს ვკითხულობ, თითქმის ყოველ ღამე და ათასსჯერ მატირებს „ანდრომახას“ ტირილი.

ჩემ „ახალ მცხეთაში“ – არის ასეთი სტრიქონები:

„რუსის ისპრავნიკს კაპასი ცოლი
მშვიდათ უშლიდა წინ აქ პასიანსს
და აზიაში შეჭრილი სოლი –
იმპერატორი ვესპასიანი
ნადავლს ჰყნოსავდა, როგორც აფთარი,
ნაზონის ლექსებს ისმენდა მტკვარი“.

ამ ზაფხულში, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში ვიყავი და „სკიფიის ელეგიებს“ ვსწერდი, კიდევ მანვალეზა „ევექსინის პონტი“.

„სტიროდა ამ ზღვით ოვიდი ნაზონ,
უფრო კი რომსა და საკუთარ თავს.
რაც უნდა ენა გადამირაზონ,
მე ვიტყვი ჩვენი გზების დაბურვას...“

შესაძლებელია, ყველაფერ ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს ამ წერილთან; შეიძლება, ეს ყველაფერი ზედმეტი იყოს, მაგრამ მე მინდოდა, შენთვის ეს მეთქვა – უფრო კიდევ გამომეთქვა ჩემი სიხარული შენი ახალი გამარჯვების გამო და მომეგონებია ჩვენი ბავშობის მეგობრობა და სიყვარული.

ამიტომ ბევრსაც მაპატიებ, ჩემო სიმონიკა. გაკოცებ ბევრს და მიულოცავ შენ დღესასწაულს შენ ახლობლებს და პირველად შენ ოჯახობას...

შენი მოყვარული და ერთგული ტიცციან ტაბიძე

21 მარტი, 927 წ., ტფილისი

ანდრეი ბელი – ტიცინან ტაბიძეს

Братский привет товарищам и братьям, сгруппированным вокруг „Голубые Роги“ от со-товарища и собрата по искусству, всегда любившего Грузию в образах Пушкина и Лермонтова, и уже полюбившего лично Тифлис за немногие дни пребывания в нем. С надеждой на близкую встречу и знакомство; с надеждой, что эта встреча будет лишь первым этапом нашего знакомства.

Андрей Белый (Борис Бугаев)

Цихис-Дзири, 10 июня 27 года.

ელიშე ჩარენც – ტიცინან ტაბიძეს

Дорогой Тициан,

Для моей книги нужен мой портрет работы Сарьяна, который у тебя. Принеси, пожалуйста, завтра и оставь здесь, я найду, возьму. Верну через два дня.

Привет. Что тебя не видно?

Твой Чаренц

13. VI. 27

ბასილ მელიქიშვილი – ტიცინან ტაბიძეს

ფრიად პატ. ცემულო ბ-ნო ტიცინან!

მიიღეთ უმდაბლესი მოკითხვა, სალამი. ამხანაგმა მომწერა: თქვენ დაჰხმარებხართ, როდესაც ის იყო ნ. მინიშვილთან ჩემი საქმეებისათვის. როგორცა მწერს, თქვენი წყალობით დასთანხმებია მინიშვილი ფულის მიცემას.

არ შემიძლია, არ გადაგიხადოთ მადლობა.

დავრჩები დავალიანებული.

ბასილ მელიქიშვილი

19/VII – 1927 წელი

საქ. სამხ. გზა, ფასანაური, სასტ. „საფრანგეთი“

P. S. საინტერესოა თქვენი აზრი ჩემ ორი დაბეჭდილი მოთხრობის შესახებ. იმედია, შესწუხდებით და მომწერთ.

ბ. მ.

ვალერიან გაფრინდაშვილი – ირა გაფრინდაშვილს

ლიხი. გორის მაზრა. სოფელი ქვიშხეთი.

მწერალთა სახლი. ირა გაფრინდაშვილს.

31 ივლისი.

ირა! მაპატივე, რომ ვერ ჩამოვედი, მაგრამ ერთი დღით ჩამოსვლა არ ღირდა და ამის გარდა ფულიც არ მქონდა მიღებული. ირაკლიმ გასწია თამარასაკენ პარასკევს. ნინა გვეტაძის ამბავს გაიგებდით – ვაჟი ეყოლა. თვითონაც კარგად უნდა იყოს. თუ მიიღე ჩემი ღია ბარათი? მე, ალბად, პარასკევს ჩამოვალ. ერთი დღის გამოტოვების ნებართვა მიღებული მაქვს. აქ სიცხეები დაიწყო, მაგრამ საღამოობით გრილა. გრიმა ალბად ჩქარა იშოვის სამსახურს – ჩხეიძესთან უნდა მოენყოს საქმის მწარმოებლად. ას მანეთზე მეტი ჯამაგირი ექნება. თქვენ როგორა ხართ, შენ და ნინა? მერის ხშირად ვნახულობ. ორჯერ დავპატიჟე ნაყინზე. არა უშავს, კარგად არის. ჩვენს ბინაში უკვე ზაჰესის სინათლე ბღღვრიალებს. ვარიჩქა ყოფილა ქუთაისში. დათიკო ტფილისში არ ჩამოვა და ამიტომ იქით გაუგზავნე მასალები. შეიძლება, ჩამოვიყვანო გივი. გრიშაც აპირებს ჩამოსვლას, თუ მოახერხა. ხშირად შამოდის ჩემთან. დავწერე ერთი ლექსი „სიხარული“. დღეს დაპატიჟებული ვარ სადილად ვარიჩქასთან. მოკითხვა ნინას, მაროს, რაისას. ნახვამდე.

შენი ვალერიან

[თბილისი, 1927]

ტიციან ტაბიძე – ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს

ნინა, შენი წერილი მივიღე საშასგან. ოთხმოცი მანეთი ზაკ-კნიგიდან აღებული 100 მანეთიდან გამოგიგზავნე – თუმანი საშასთვის მინდოდა და არ აიღო – ნინა მისცემსო იქ. ასე რომ, აუცილებლად მიუტანე.

„ამორძალები“-ს თუ გამოვარკვие რამე, ჩამოვალ ქობულეთში.

თვალეები კიდევ მანუხებენ.

შენ საყიდლებს გიყიდი ყველაფერს.

იყავი კარგად.

შენი ტიციან

[თბილისი, 3 აგვისტო, 1927]

დავით კლდიაშვილი – სერგო კლდიაშვილს

თბილისი, გაზეთ „მუშას“ რედაქცია.

მოქ. სერგო კლდიაშვილს.

სერგო! ვარ ძალიან კარგათ; ყველას უკვირთ ჩემი ასეთი გამოკეთება. მე ჩამოვალ თბილისში 30-ს, სამშაბათს, ღამის თერთმეტ საათზედ; თუ სამშაბათ არ ჩამოვედი, ოთხშაბათს, 31-ს უსათუოთ. პოკოს უთხარი, ოთახის კლიტე არ წაიღოს; გასაღები მე მაქვს.

სერგო! წერილი მიწერე შენებურათ დედაშენს: 28 ამ თვეს სრულდება 35 წელიწადი, მან რომ ჩვენს ოჯახში ფეხი შედგა. მიწერე შენებურათ.

შენი მამა დავით კლდიაშვილი

23/VIII-27, ბორჯომი

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

Тифлис, просп. Руставели №8, ред. „Зари Востока“.

Валериану Гаприндашвили.

ძვირფასო ძმაო ვალერიან,
თქვენი წერილი ორივე მივიღე და აგონია გამინათა. ჯერ ქობულეთი რა მონყენაა, მერე სანატორიუმი და მერე ისე დატვირთული ავადმყოფობით, როგორც მე ვარ – ალბად ერთი წელიწადი ვერ გამოვკეთდები, თუ საერთოდ გადავრჩი მაინც. შორიდან ვუყურებ თქვენი სეზონის ჩემპიონობას. თუ ძმა ხარ, არავინ დაგვჩაგროს – მგონი, დიდი მზადებაა აქეთიქეთ. თუ უფრო კარგად შევიქენი, ვრცელ წერილს მოგწერ. მომიკითხე ირა და ყველა ჩვენი მეგობრები. თუ ძმა ხარ, მოინერე ახალი ამბები, შენ რომ იცი გამოტანა ისეთი ამბებისა. „3. B.“ – როგორაა? მაგათი ფუტურისტების დისკუსია სასაცილოა.

შენი ტიციან ტაბიძე

ჩემი მისამართი: ქობულეთი, მესხეთის ქ. 77.

[12 ოქტომბერი, 1927]

ტიციან ტაბიძე – ნიკოლო მინიშვილს*

ძვირფასო ძმაო კოლია,
ავადმყოფობამ მაგრად ჩამაგდო – ასე რომ, მეც არ მეგონა თუ ასე დამდღვნიდა. მაგრამ მეც ვიბრძვი – ესაა, რომ ფილტვები სულ გამინადგურა.

კოლია, სეზონი დაწყებულია ალბად. თუ ძმა ხარ, ჩემი თაბრო მაგრად იყოს, თორემ ერთი გაბრძოლება კიდევ შემიძლია. და ვაჰ მას, ვისაც მოხვდება, მაგრამ არ მგონია, რომ ასეთი გააფთრება იყოს მანდ ლიტერატურაში.

* დაცულია ნიკოლო მინიშვილის საოჯახო არქივში.

კოლია, ისე ხომ იცი, როგორია ავადმყოფი კაცის მდგომარეობა – მოიგონე მამედ ბეგ აბაშიძე.

ყველაზე უფრო გავალებ ვაჟა ფშაველაზე წერილი არ გამიფუჭდეს. საშამ დედანს შეადაროს ჩემსას – თუ გამომიგზავნით კორრექტურას, მაგას რაღა აჯობებს: სალამი თამარას ჩემგან და ნინასაგან.

შენი ტიცვიანი

ჩემი მისამართი: ქობულეთი, მესხეთის ქ. 77.

[ოქტომბერი, 1927]

კოლაუ ნადირაძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

25. XII. 27 წ.

ქუთაისი.

ძმაო ჭიჭიკო!

შენი და ირას წერილი მივიღეთ. ნინა ავათ იყო და ამიტომ პასუხი ცოტა დაუგვიანდა. მეც ძლიერ ავად ვიყავი: ანგინა გამოჩნდა და კისერი ორჯერ გამიჭრეს. შენმა წერილმა დაასწრო ალის ჩამოსვლას რამოდენიმე დღით. მიკვირს, რათ მოუნდა ამდენი ხანი თბილისიდან ქუთაისში წერილის მოსვლას. „ქართული მწერლობის“ დახურვის ამბავი მაინც და მაინც სასიამოვნო არ არის – ჩემის ფიქრით – რაც უნდა იყოს – გაჭივრების დროს გვშველიდა. „მნათობში“ მიკედლება პირად ჩემთვის ერთობ ძნელი იქნება – ყველაფერი ბითურდება და ლიტერატურულ სეზონსაც, როგორც სჩანს, ასეთივე ბედი ეწვია. ჭიჭიკო, ალის ჩამოსვლას ქუთაისში გაიგებდი – ეს დიდი სიხარული იყო ჩემთვის. დავიარეთ მთელი ქუთაისი, ვნახეთ ყველა ქუჩები – თეთრი ხიდი და კათოლიკური ეკლესია. მკვდარი დღეების გაცოცხლება შესაძლებელი ყოფილა, მით უმეტეს, თუ მარტო არა ხარ... გიგონებდით შენ და პაოლოს. ალისთან ერთად ნამოსვლა ვერ მოვახერხე, მაგრამ 2 იანვარს გამოვეთხოვები

იმერეთს. პაოლომ ასი მენეთი გამომიგზავნა და შემბორკა სიხარულით. რიონგესში არაფერი არ გამოირკვა – არ მიმილო ქუთაისმა, მაგრამ нет пророка своим отечестве. დაანვეს ეს ქუთაისს მოსანანებელ ცოდვათ! მენატრება შენთან ლაპარაკი და ჭიქა ღვინის დალევა.

მინიშვილისთვის ლექსები არ გამიგზავნია და, ჩემის ფიქრით, კარგიც ვქენი. მაგ მუტრუკს ღია ბარათი მივწერე – რომ ოცდახუთი მანეთი გამოეგზავნა მ. პრუსტის თარგმანში, მაგრამ პასუხის ღირსიც კი არ გამხადა.

გრიგოლის საღამოს აქ ვერ ჩამოუსწარი. მიაბმეს, რომ მაინც და მაინც ბევრი ხალხი არ დასწრებია და უმთავრესად ულაპარაკნია თავის რომანის შესახებ. კარგი იქნებოდა, რომ აქ გრიგოლი მენახა – შენ არაფერს არ მწერ მისი ლექსების შესახებ – ნუ თუ არაფერი მაინც და მაინც ახალი არ უთქვამს?

რაც შეეხება „არიფიონს“ – ურჩევ მას რამოდენიმე თვის შემდეგ სოხუმში გამგზავრებას, რადგან, როგორც ამბობენ, იქ დაიწყებენ მაიმუნების გაშენებას და გასაახალგაზრდებელ დისპანსერის დაარსებას შეუდგებიან... Пора! к тому же – и ближе, и дешево.

დღეს შობაა ახალი სტილით – პირველი შობა, რომელსაც მე ოთხი წლის შემდეგ ჩემ სახლში ვათენებ.

მალე მნახავ. ვაპირებ ღვინის ჩამოტანას „для чаш поднятых к небесам“. პაოლო ნახე და აკოცე ჩემს მაგიერ. მომიკითხე ირა და ნინა – თუ ისევ შენთან ცხოვრობს.

გადაეცი საღამი თამარ ჭავჭავაძეს. ნინამ მოგიკითხა.

შენი ძმა კოლაუ

დავით კლდიაშვილი – სერგო კლდიაშვილს

სერგო!

სერგო, ვკვდები, შენ გენაცვალე და აღარ მეღირსა სიკვდილი. მადედან წამოსული ავადმყოფი დღესაც ვიტანჯები, ვწვალობ და საშველი არ არის. სერგოს ჭირიმე, აქედან არსად წამპოწილოთ, ამას გავალებ, ამას გაფიცებ – ჩემს დედმამასთან გამითხარე საფლავი, გამასვენე სულ უბრალოთ, ოღონდ გამიტანეთ – ამას გთხოვ და გავალებ, სერგო, ჩემო სერგო, ეს ასე უნდა ამისრულო.

სერგო, გოგია იწერება საყვედურებს <...> და მე მანუხებს მომაკვდავს, ბრიყვია და შენ გენაცვალე, უთხარი და უმარილობით რომ ირჯება ჟენია, უსათუოთ გამოართვას ის ჩვიდმეტი მანეთი. ასე უამურად წაილო ეგა. ამასთანავე მე ვწერ ჟენიას და გოგია უსათუოთ მივიდეს.

სერგოსა ვენაცვალე, ყური უგდე მაგ სულელს – მე აღარ ვარ ამ სოფლად, სიკვდილი დამცალდეს უზედმეტ ტანჯვით და მწუხარებით.

სერგო, ჩემო სერგო, შენ მოხედე დედაშენს და მაგ სულელს, მე თქვენი ჭირი წამიღია.

შენი მამა დავით კლდიაშვილი

სიმონეთი, 19/V – 28 წ.

ტიციან ტაბიძე – ბარონ ბიბინეიშვილს

სახელგამის გამგეს.

ვადგენ რა ამასთანავე ერთ ფორმა ნახევარ ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის“ თარგმანს, გთხოვთ, თანახმად ხელშეკრულებისა, გამომიწეროთ ხვედრი ერთი ფორმისა 25 მანეთი.

ტიციან ტაბიძე

9-VI – 928 წ.

ქ. ტფილისი

ბორის ეიხენბაუმ – ტიციან ტაბიძეს

8. VIII. 1928.

Шлю Вам, Тициан, привет из Нового Афона. Только теперь я несколько опомнился от впечатлений и отдохнул. Собираюсь числу к 20-му написать статью для „Зари Востока“, хотя сделать это здесь не легко. Утро – на море, после обеда – сон, вечером – прогулка. Пробуду здесь, вероятно, числа до 25-6-го, а насчет обратного пути еще не решил – ехать ли через Тифлис, или прямо Сочи-Ленинград. Это зависит отчасти от того, как будет печататься моя книга о Толстом (я жду корректуру), а отчасти от того, что Вы мне напишете о Тифлисе. Я бы не отказался, может быть, прочитать публичную лекцию о Толстом и доклад для федерации писателей о формальном методе или о литературном быте. Как Вы думаете? Хочется мне заняться грузинским языком, чтобы почитать поэтов.

Жму Вашу руку. Жена шлет привет.

Б. Эйхенбаум

Абхазия, Ахали-Афони, Верхняя Гостиница, комната №65

სერგო კლდიაშვილი – სოფიო კლდიაშვილს

სად. ლიხი, სოფელი ქვიშხეთი.

მწერალთა კავშირის სახლი, სონია კლდიაშვილს.

13/VIII.

Чупуренция наша, дорогая!

Сегодня Нина принесла твои часы. Завтра утром отнесу хорошему часовщику. Здесь новостей никаких. Приехала Кето с мужем. 16-го муж едет в Абастуман, а она в деревню. У нея хороший мальчишка. Тебе шлет привет. Нина мне сказала, что ты через Кукури послала мне письмо. Еще не получал. В воскресенье приеду на два дня. Нина Табидзе больна? Тициану денег пока не дали и если у тебя есть, предложи ей. Как моя попрыгунья? Очень хочу вас видеть. Отец мой очень болен. Целую много. Пиши. Привести что-нибудь?

Серж

[თბილისი, 1928]

პაოლო იაშვილი – ეკატერინე გაბაშვილს*

დიდათ პატივცემულო ქ-ნო ეკატერინე!

მივიღე თქვენი ბარათი, და დიდათ შევწუხდი, რომ თქვენც ვერ ასცდენიხართ იმ შევიწროებას, რომელსაც ამჟამად განიცდის ბევრი ჩვენი დამსახურებული მწერლები და მოღვაწენი. სახლის დაბრუნება უიმედო ფიქრია, რადგან ჯერ ჯერობით არავითარ გამონაკლისს არ აქვს ადგილი იმ მკაცრ გადანყვეტილებაში, რომელიც სახლების ჩამორთმევის მიმართულებით მიიღო ხელისუფლებამ. მე პირადათ მივმართე ფ. მახარაძეს რამოდენიმე ჩვენი მწერლის შესახებ, და მან მწუხარებით განმიცხადა, რომ სრულებით უძლურია რაიმე დახმარების აღმოჩენაში. მით უმეტეს, თქვენი სახლი 42 ოთახიანი ყოფილა, და, ვიმეორებ, ჯერ ჯერობით მისი

* დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.

დაბრუნება დიდათ საძნელო და თითქმის შეუძლებელი იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე თქვენს მდგომარეობას აუხსნი ყველას, ვისთანაც მისაწვდომი მექნება, და ცდას არ დავიშურებ. შეიძლება, მოვახერხო ნაწილობრივ დაბრუნება. ფ. მახარაძე მოსკოვშია, ჩამოვა სამი კვირის შემდეგ, ჩამოსვლისთანავე ვინახულებ და შევეცდები. რაც შეეხება სახლის გადასახადებს, იმედი მაქვს, რომ სრულებით მოვახსნევინებ. აგრეთვე მივიღებ ზომებს, რომ სამსახურში მოეწონ თქვენი ოჯახის წევრები. იმედი მაქვს, რომ შევსძლებ ცოტათი მაინც შევამსუბუქო თქვენი მძიმე ნივთიერი მდგომარეობა, რაც მე ძლიერ მალონებს როგორც თქვენი პიროვნების და შემოქმედების უაღრესათ პატივისმცემელს და მოყვარულს.

*მუდამ სიხარულით თქვენი ერთგული მოსამსახურე
პაოლო იაშვილი*

23. VIII. 28

[თბილისი]

ტიციან ტაბიძე – ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს

ნინა ძვირფასო!

მე ეხლა ბათომში ვარ – ერთი დღით ადრე ჩამოვედი, რომ ასე მცოდნოდა მე, სანდრო და გრიშაშვილი ჩამოვიარდით ქუთაისში – ეხლაც არ შემიძლია ჩამოვრჩე ამ პროცესიას – შემთხვევით ვნახე მაიკა ჯანდიერი, რომელიც აქ იყო ეკსკურსიაში და მგონია, მოახერხოს ქუთაისში ჩამოვლა.

ამ წერილს ვსწერ თამარა იაშვილთან – სადაც პაოლოსთან ვართ სადილად, დღეს თურმე მისი დღეობაც ყოფილა – როგორც ეტყობა, ერთ კვირას კიდევ რჩება. შენი წერილები მივიღე ტფილისში. არ ვიცი, როგორ მოვახერხო – რომ მეც ვნახო შენთან ერთად ქუთაისი. რატომ არ მოიწერე წერილები. ტფილისში ყოფნის დროს ორჯერ შევხვდით ბანკეტზე ტაიროვს და კოონენს, მაინცა და მაინც საინტერესო არაფერი ყოფილა. ისე თეატრი ზოგიერთებს მოსწონთ, მაგრამ მე დაუნანებლად დავტოვე.

აბა, შენ იცი, როგორ ჭკუით იქნები, რომ სხვა დროსაც შემეძლოს შენი სხვაგან გაგზავნა – დედასთვის სიტყვა მიგიცია – რომ დაისვენებ და კარგად იქნები.

სახლში ყველანი კარგად დავტოვე. თქვენი სახლის მისამართი რომ მქონოდა, ტფილისიდან დაგელაპარაკებოდი, დღეს კი ბათომში უქმეა და არც მოხერხდება.

ყოველ შემთხვევაში, მოგანვდენ სიტყვას და როგორც შენ გინდოდეს, ისე მოიქეცი – შეგიძლია, კიდეც რამდენიმე დღე დარჩე.

რუსულ ჟურნალ „Красная Нов“-ში დაბეჭდილია ანდრეი ბელლის „Кавказскія впечатленія“, სადაც მოთხრობილია ჩვენი მგზავრობა – შენთვისაც არი საინტერესო მოგონებები.

მეეჭვება, ეს წერილი გამოვატანო მაიკას, რადგან არ აქვს გადანყვეტილი გამოვლა, მაგრამ მაინც ვსწერ, თანაც გიგზავნი 20 მანეთს.

მოკითხვა ყველა ჩვენებისგან, სალამი თამარას, ნინას, ანიას, ვიქტორს, შაქროს და ყველა ჩვენებს.

უშენობა ძალიან მანუხებს და მიშლის ყველაფერს და საერთოდ ვერ ვარ ხასიათზე.

ვეცდები, მალე გნახო.

[ბათუმი, ზაფხული, 1928]

ტიციან ტაბიძე – კონსტანტინე ლორთქიფანიძეს

ძმაო კონია!

შენი ბარათი დაგვიანებით მივიღე. მთიულეთიდან ჩამოსვლისას. მერე ვიყავი ბორჯომში და ვაპირებდი აბასთუმანში ამოსვლას, მაგრამ ჩვენმა ხალხმა გადაგვიტყუა ბაკურიანისაკენ... და ჩამოვრჩი ყველა ავტომობილს. ასე რომ, წერილის დაგვიანება მხოლოდ ამას მიეწერება. შენგან მოწერილ საქმეებსაც გავარიგებ: მგონი, ბენიტომ გამოგიგზავნა კორექტურა და ეხლა ალექსანდრე არაბიძესაც ნათქვამი აქვს ჩემგან და იმ თანხასაც გამოგიგზავნის ამ დღეებში.

თბილისში პირდაპირ „გეთსიმანიის სევდაა“ და სასტიკი მონყენილობა – ლამაზი ქალები დურაჯუბივით აგარაკებს არიან შეფარებულნი და ულამაზონი, შენც ხომ იცი, რომ ტიცინანს არ უყვარს.

მწერლობაც ძალიან მიწყნარებულია – ძნელად თუ რამე ჟურნალი გამოდის და რაც გამოდის, ზაფხულის დასვენება ეტყობა. მე მაინც დიდებულად მაგინებენ – ამისათვის მათ არც ზაფხული უშლის ხელს...

მე პირადად ვერ მოვეწყვე ისე, რომ ჩაუჯდე სანერად – იმ პლანით და შთაგონებით, მე რომ ვიცოდი. ისე, კი ვწერ რია-რია ლექსებს. ერთი მათგანი ასე იწყება:

მივალ, მივდივარ და მივიმღერი
და საქართველოს მიმაქვს ოცნება.
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,
ტუჩ-მიუდებლად რომ იკოცნება...
და ასე თავდება:

ერთ სანყალ პოეტს ამაზე მეტი
სინდისით აღარ მოეთხოვება,
დამადეთ გულზე ტყვია ცამეტი,
მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას...

საერთოდ, მინდა, მოვიარო საქართველოს ყველა მხარე – ეხლა მინდა, წავიდე აფხაზეთში და „ახალ ათონზე“ დავამთავრო პოემა, რომელიც ამ ზაფხულში სულზე მანევს.

ჩემო კონია, მომიკითხე მერი და უთხარი, რომ ჩემთვის მერი რჩეულია ქართველ ქალებში, განსაკუთრებით მიყვარს მაგის სინაზე, რომელიც, ჩემი ფიქრით, ერთ პოეტად უნდა დაფასდეს. გთხოვ, ჩემი ინტონაციით წაუკითხო:

Опять затепли свечи,
Укрась мое жилье,
Пусть будут те же речи
Про вольное житье,
Твои высокие плечи,
Безумие мое.

ანდა „Девушка из Spoleto“-დან:

„Строен твой стан, как церковные свечи,
Взор твой – мечами пронзающий взор...“

მოგელით ორივეს თბილისში.

ამაზე ადრე ველი თქვენს წერილებს – მე კი, ჩემო ძმაო, რა დამრჩენია, წლები მიდიან და მეც უნდა ავტირდე:

„О как на склоне наших лет
Нежней мы любим и суеверней“.

კონია, იყავი ბედნიერი და სიხარული და სიყვარული აკაფე ლექსში, როგორც ლერწამი...

გაკოცებ ბევრს და ვგრძნობ, რომ შენი მეგობარი ვხდები.

ტიციან ტაბიძე

ზაფხული, 1928

ტიციან ტაბიძე – რაჟდენ გვეტაძეს

ძმაო რაჟდენ,

შვილო სერგო! ეს წერილი დიდიხნის დამზადებული მაქვს, მაგრამ ვერ მოვახერხე გამოგზავნა. გენაცვალე, როგორც

გნერ, ისე დამეხმარე. შენი წერილი მივიღე, რომელსაც ინერები საბუთებით, იმას ვალერის გამოვატან, რადგან ეხლა ვერ მოვასწარი. ვალერი მოდის სამშაფათს. სერგო, შენი ჭირიმე, მოინერე ყორიფელი და მამაშენმა გთხოვა, ჩამოდი ერთი კვირითო; ძალიან ენატრები და ისიც გთხოვა, რაც შეიძლება იქნებ მალე, ფულით. დანვრილებით ვალერის ხელით მოგნერ. სერგო, მად ხურჯინი არის ჩვენი და ბაჭუას გამოატანე. სხვა რაც არის, დოქი სხვისია. თუ გიყვარდე, მალე იქნებ გამომიგზავნო, პატრონი მთხოვს. თუ გამოგზავნილი არა გაქვს, ბაჭუას გამოატანე შაქარიც და რაც გამოსაგზავნი გაქვს, ჩემი საკაბე, ქეთოს გამოგზავნილიც.

შენი დედა გაკოცებს

[სიმონეთი, 1929]

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

შვილო სერგო! ძალიან კი გაიკვირვებ ჩემს წერილს, მაგრამ კიდო არ უჯერი, თუ მართლა თქვენი დედა თლათ დაივინყეთ. მანემ თქვენ ნურაფელი გეტკინოთ, შვილებო, სანემ თქვენმა დედამ არ შეგანუხოსთ. კიდეც შეგანუხოთი, თქვენ თავს ნურაფელზე ნუ შეინუხებთ ბოროტ დედისთვის და ამისთვის. მხოლოდ ვალდებულათ გთვლით ამაზე, რომ შეიძლება თქვენ კიდოც გამლანძლოთ, მე ყორიფელს მოვითმენ თქვენგან, მაგრამ სხვამ რომ გამლანძლოს, შეურაცხყოფა მომაცენოს, ამის ვალდებული მაინც ხართ, იმის პასუხიც გასცეთ, თქვენი თავმოყვარეობა სწორეთ ამას მოითხოვს. აქ იყო ვილაც შალვა სტურუა, ამწერათ. როცა მე გამომიძახეს, ის მაშინათვე მეცა და გამლანძლა, სიტყვაც არ მათქმევინა, მატირა კიდოც. არაფელი არ გესმის და წადიო. იმიტომ, რომ ჩამაცივდა, შენს შვილებს რა კავშირი აქვს ოჯახშიო; მე უთხარი, ყოველნაირითქო; თოხი იქ უკავიათ ხელშიო? მე უთხარი, თოხი რათ ეკავებათ, ისინი პასუხისმგებელ სამსახურში არიანთქო, როცა ჩამოვლენ, მაშინა არათქო, ორი კვირით დასასვენებლათ ჩამოვლენ და კიდო აქ იმუშაონთქო; რამ-

დენს გიგზავნიანო, ამ უკანასკნელათ რამდონი გამოგიგზავ-
ნესო, ან რამდონიო; ამაზე მე უთხარი, ეგ თქვენი საქმე არ
არის, რას მიგზავნიან და რამდონსთქო; აბა, ისენი ოჯახის
წევრებათ არ ჩაითვლებიანო, შენ არ გესმის, მეურნე რას
ქვიაო, თოხი უნდა ეკავოს ხელშიო; რა გაქვს შენ ნამუშევარ-
რი, მუშის ნამუშევარი არისო, თუ არ გესმის, ნადიო; რამდო-
ნი კიდო თითები სულ თვალეებში ჩამთხარა კილამ; მერე მა-
მაშენი მივიყვანე, მოგიყვება, რაც უთხრა; რომ წამოვედით,
უთქვამს, გოგიმ უყურა, იქნებ აქამდის კი წერდაო, მაგრამ
სიბერით გამოსულელებულაო. მეორე დღეს მამაშენმა ნახა,
ნაიკიდენ და მერე ასე უთხრა: არ ვიცოდი, მე უბრალო ქალი
მეგონაო, ისეთი ჩაცმული იყოო; მამაშენი მოგიყვება. ამას
მიტომ გწერ, მე მის სიტყვებს, რომ მამაშენი მაშინ გაფიც-
ხთა, თორემ მერე აღარ ახსოვს, მე კი ჩემს გალანძღვას და
ტირილს არ შევარჩენ, თუ თქვენც ჩემს გალანძღვას რამეთ
ჩააგდებთ. ეხლა გთხოვ, სერგო, როგორც დედა, რაც უნდა
ოხერი ვიყო, მეცი პატივი და გაზეთში დაუნერე, კაბას ცემ-
და ის პატივს თუ სულ ერთი იყო, რაც უნდა მცმოდა, თუ
ცოტა მაინც კიდო გაქვს ჩემი პატივისცემა, ამისრულე ეს
და ის ნომერი გამომიგზავნე უთუოდ. თუ ეს არ შემისრუ-
ლე, კარგი, ჩემო დედა, მერე კი მეცოდინება თქვენი ჩემდამი
მოქცევა. ამის მეტათ მე შენ არ შეგანუხებ, თუ ესეც შესა-
ნუხებელი იქნეს, ნუ, ჩემო დედა, მერე მე თითონ შემიძლია,
ეს შევასრულო; მე მრცხვენია ყველასი, იმის ლანძღვამ ასე
ჩაიაროს. ჩავალ ქუთაისში და აბა ნახეთ, თუ მე პასუხი არ
ვაგებინო იმ ოხერს. თქვენ არ გწერდათ ოჯახის წევრათ, ეხ-
ლა გავიგებ, თუ ჩემს უკანასკნელ თხოვნას შენ პატივს სცემ,
თორემ იყავი კარგათ, აღარ შეგანუხებ, შვილო. ასე მითხრა:
შენ იცოდეო, სულ უღარიბეს გლექს შენზე წინ ვაყენებო.
სიტყვა არ მათქმევინა. მე ვიფიქრე, ხელს მომკიდებს და გა-
მაგდებსთქო. ისე მომექცა, ამას მამა შენიც მოგიყვება. ასე
და ასე, თუ შემისრულე, მადლობელი ვიქნები, თორემ და
შენ იყავი კარგათ, არც მე გამიჭირდება ეს. მხოლოდ მალე
მინდა გამოვაქვეყნო მისი საქციელი.

შენი დედა

[სიმონეთი, 1929]

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

შვილო სერგო! შენი წერილი როგორც მივიღე, ისე გავედი აღმასკომში და ვერ ვნახე მაშვინ. დღეს მივსწერე წერილი, რომ ცნობა მომეცი, რომელ ფენაში ვართ ჩვენთქო. ის მწერს ასე, როგორც გიგზავნი მის პირს, თუ არ იტყუება და შენც დაუკვირდი, რა წერილია. სხვა ცნობას არ იძლევა, ისიც ვთხოვე, რომ როგორც შეძლებულ ფენაში მყოფი, არც პურის ქვილი მომეცითქო; წარმოიდგინე, ასეთ წერილს ინერება და ნამდვილათ კი შეძლებულლებში ვართ. აქ იყო თავმჯდომარე, უთუოდ გამწარდა, რომ გაიგო ქუთაის არის მინერილიო, მოიხადა ბოდიში, შევცდითო და მე გამოვაკეთებ საქმესო. ვნახოთ, თუ სიმართლე იქნება ის, რომ ინერება, ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ, როგორც ავათმყოფი, მიიღებთო. ეს სიტყვა სხვას უნდა ნიშნავდეს, ასე რომ, სანემ ის არის, პატივსა გვცემს და რომ სხვა დააყენონ, მაშინ ის რას იზავს; ვინ იცის, ვნახოთ, ან რა იქნება. გამწარებული კი ძალიან არის, შევცდითო. მე თუ კი გავიგე ნამდვილი, რომელ ფენაში ვართ ეხლა, მაშინ მოგწერ, თითონ ვნახავ იმ ფურცელს, რომელშიდაც ვწერივართ. სხვა, სერგოს ჭირიმე, თუ იშოვო დრო, მოიწერე და ცხენს დაგახვედრებ სვირში. სოსიკოს საქმე რა იცი, მოიწერე, გენაცვალე, ჯავრი მკლავს.

მამაშენი ძალიან გთხოვს ჩამოსვლას. ჩემო სერგო, გოგი შეაშინე, ჭკუით იყოს, ნუ სულელობს.

აკოცე სონიას და ლიალიას ბევრი.

შენი დედა გააკოცებს.

აი, ასეთი წერილი მივიღე: თქვენ ხართ საშვალო ფენაში, სარგებლობთ იმ უფლებებით, რაც შეეხება სიმიდის მიღებას, მიიღებთ აუცილებლად. თუ შეცდომას ქონდა ადგილი, ეს ეხლა გამოსწორებულია. მხოლოდ ქვილი ზემო კოპერატივში არ მოუტანიათ, თუ მოიტანეს, აუცილებლათ მე სრული ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ, როგორც ავათმყოფის პატრონს, გადმოვავგზავნებ. სხვა თუ რამე უკანონობა შეგისხვთეს, ეს მე მაცნობეთ, რომ კალონიერ მოქცევი-

სათვის მიუთითო ყველას. მიხა სულამანიძე ასეთ წერილს მწერს და ვნახოთ, რას იზავს.

მიხელას არ მისცა ჯერ მონმოზა აღმასკომმა, ჯერ ადრე არისო, როცა დრო იქნება, მოგცემო. ექიმის მონმოზა აილო კარგი.

[სიმონეთი, 1929]

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

შვილო სერგო! შენი წერილი მივიღეთ, რომელზედაც დიდი მადლობელი ვართ და ნასიამოვნები. შენ გენაცვალოს შენი დედა, უთუოდ იმოქმედებს ამათზე. მამაშენი გთხოვს კიდო, მალე მოიწერე, ლევანმა რა გითხრაო. სერგოს ჭირიმე, განუხებთ, ვიცი, შენ შენი საქმეები გაქვს, მაგრამ აბა, რა ვქნათ, ვის მივმართოთ, ვინ არის შენს მეტი ჩვენი შემომხედავი. დათულას გამოვატანე ქალაღდი, ყალბი მონერილობა, სულამანიძე ვილაცა არის მოჯამაგირეების კომიტეტში, იმან თავის ხელით მომიტანა, ვითომ თავმჯდომარის გამოგზავნილია, წაიკითხე თუ გიყვარდე და იქიდან გაიგებ, რა ბრძანების მონერილობა არის; რომ ვკითხე თავმჯდომარეს, იმან უარი სთქვა, მერმე ისიც გამოტყდა, მე დაწვწერეო, მონერილი კი თავმჯდომარის სახელზე არის. დღესაც არ გვისვენებს, როგორ დავიყენებ ვინმეს და ის მაშვინვე შეუჩრდება, აქ სახლშიდაც მომივარდება. დათულა შემპირდა, ამ ქალაღდს კავშირში შევიტანო და პასუხს მოათხოვინებენო. სად არის, რა ქნა, ამდენი ხანია ჩვენ კი საქმეს გვიჭვივრებს. მაგ ქალაღდს კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემო სერგო, შენი მოთხრობები წავიკითხეთ დიდი სიამოვნებით და ბევრი იცინა მამაშენმა და ძალიან მოსწონს. სერგო, გოგი რომ წამოვიდა, მერმე გოგი ქორელის წერილი მოუვიდა გოგის, მე გავხსენი და წავიკითხე. რათ იგდებ საპასუხო საქმეში თავსო; გუშინო, სწერს, პეტია ჩხეიძემ მითხრაო, თუ კლდიაშვილი საქმეს არ ჩამაბარებსო, იძულებული ვიქნები, სისხლის სამართლის მილიციას გადავცეო. შენ გენაცვალე, მე მკლავს ჯავრი, რა ამბავია გაიგე, ჩემო დედა, რა ქნა მაგ ოხერმა, მაგასაც კი კითხე და პეტიასაც, დროზე გაიგე. ასე, ჩემო დედა,

მოინერე ყორიფელი. თუ დრო იშოვო, გვნახეთ. მამაშენი ანი ველარსად წავა, მად ოთახში მაგის ყოფნა არ შეიძლება, გენაცვალე. ისევ უნდა გავატაროთ ეს ზამთარი აქ. ვიტანჯები და რა ვქნა, მეტი გზა არ არის, შენ გენაცვალე. თუ რამე იცი სოსიკოსი, მომწერე, რა ქნა მისი საქმის; მე მწერს, გამრიცხესო, მაგრამ ისევ ამ თვის დამლევს ირჩევა საქმეო. რა ქნა, არ ვიცი, ვირევი ჯავრით.

ვაკოცებ სონიას და ლიალიას ბევრს.

შენი დედა გააკოცებს.

[სიმონეთი, 1929]

სერგო კლდიაშვილი – კოლაუ ნადირაძეს

ნიკოლოზ ნადირაძეს.

კოლაუ! გუშინ მოვდიოდით შენთან. შემთხვევით შალვასთან წავისადილეთ. სალამოს 9 საათზე შემბალი ვიყავით, ავდექით და გაუარეთ ტიცინანს იმ მიზნით, რომ შენთან ნამოვსულიყავით (ტიცინანს და მე დათქმული გვქონდა, სალამოს ერთმანეთს შევხვედროდით და შენთან მოვსულიყავით), მაგრამ იქაც ტიცინანმა ბოთლები გადმოალაგა და შევჩრით მასთან ღამის 4 საათამდი. გოგლაც იქ იყო. შემდეგ წავედით ტელეგრაფში და პაოლოს დეკემა გაუგზავნეთ. მერე კიდო ვიხეტიალეთ და დილის 5 საათზე (მგონი, მეტიც იყო), როგორც იქნა, შინ მივედი. შინ კიდევ სონიამ მომკლა – დილას წასული მეორე დილას დავბრუნდი. გარდა ამისა, შენთან მოსვლა უნდოდა და თურმე მე მიცდიდა. ნუხელი დაგლოცეთ და ალბად, იმიტომ გიკლო ტემპერატურამ. ნუ გენყინება, თუ გუშინ ვერ მოვედით. დღეს გნახავ. არ შეშინდე, მიაწეი სტრუპტოკოკებს. ჩემს გვერდით რუს შოფერს ცოლი ჰყავს ანგინით და შოფერი ამბობს: – Конечно заболает, нажралась стрептококковых бацил, а теперь возлежит, как курдская императрица! გკოცნი ბევრს.

შენი სერგო კლდიაშვილი

[თბილისი, 1920-იანი წლები]

ნინო მაცაშვილი-ტაბიძე – ტიცვიან ტაბიძეს

ძვირფასო ტიცვიანელო!

გზიდან მომივიდა შენი წერილები, მაგრამ თბილისიდან ერთიც არ მომსვლია. ძლიერ ვსწუხარ, რაშია საქმე. დედა როგორ არის, დეპეშა მაინც გამოგეგზავნა. დღეს გამოგეგზავნე დეპეშა. ეხლა მოვიდა ნინა ბაქრაძე, თქვა, რომ ხვალ მოდის და ვწერ წერილს. ტიცვიანელო, არ ვიცი, რას აპირებთ, არაფერს არ იწერები, როდის უნდა წამოვიდე. აქ ფული, გთხოვ, პირველისთვის გამომიგზავნე, რომ ოთახის შევიტანო. მიტიასთვისაც არ მიმიცია. 62 მან. მივეცი ოთახის. აქ ძაან აგრილდა, ბევრათ კარგია, მანამ შენ დროს. ნიტულიკო კარგათ არის. ჩემო ტიცვიანელო, შენ მწერ, რომ დღეში ორჯერ მოგწერო წერილი, შენ კი არ იწერები, მით უმეტეს შენ იცი, რომ ვნაღვლობ. გაკოცებ ბევრს. ნაცნობებისგან სალამი, ნამეტნავათ ჩვენი მეზობლებისგან. მთხოვენ, რომ ერთათ წავიდეთო წელს. მე და ნიტუკო ბევრს გაკოცებთ. ოთახის შესატანი მაქვს კიდევ 70 მ. გაკოცნით ბევრს, ბევრს მე და ნიტა.

შენი მუდამ ნინა

ექიმ ბინიაშვილს გამოვატანე წერილი.

[1920-იანი წლები]

ნინო მაცაშვილი-ტაბიძე – ტიცვიან ტაბიძეს

ტუცკუნა, ჩემო საყვარელო!

დღეს დილით რომ დავხედე, რომ დამვიწყებია შენთვის ტუფლების და ბაშმაკების ჩასაცმელის ჩადება – ძლიერ შევწუხდი. მერე გავიგე, რომ ჩხეიძე დღეს მოდის და თუმც ძლიერ მრცხვენოდა, მაგრამ მაინც შევანუხე. ტუცკუნა, შენ როგორ ჩახვედი, გენაცვალე, ხომ არ გაცივდი გზაში. გაუფრთხილდი შენ თავს, ნუ სვამ ბევრს და ეცადე, რომ არ გაცივდე. შენი დარდი მაქვს ძალიან. აქ დღეს უკვე წვიმს, დღეს. ჩვენები, ვინც არიან მანდ, როგორ არიან? მომიკითხე ყველანი.

გაკოცებთ ბევრს მე და ნიტა.
ყველასგან სალამი.
სახლი როგორ დაგიხვდა?

შენი ნინა

[1920-იანი წლები]

ნინო მაცაშვილი-ტაბიძე – ტიცციან ტაბიძეს

ტუცკუნი, შენ დაგენაცუნაცლოს ჩემი თავი, რა დაგემართა, რომ ერთი წერილი არ მოიწერე. მე ვაგზავნი წერილს წერილზე, შენი პასუხი კი არ მომდის. ის მანუხებს, რომ შენ უთუოთ ავათ ხარ და მე არ მატყობინებ. მთელი ღამეები არ მძინავს. ისე მომეშალა ნერვები, რომ სულ ვტირივარ. გენაცვალე, დეპეშით შემატყობინე, როგორ ხარ, რამ წამს მიიღო ეს წერილი, თორემ ვისესხებ ფულს და ჩამოვალ. ჩვენ კარგათ ვართ, მარტო წვიმებმა სულმთლათ დაგვაობეს. გაკოცნით ბევრს მე და ნიტა.

დედასგან სალამი.

შენი მის ნინა

[1920-იანი წლები]

ტიცციან ტაბიძე – კოლაუ ნადირაძეს

კოლაუ, გთხოვ, თოთხმეტ იანვარს ჩამოხვიდე ტფილისში. ამ წერილს კაფეში ვწერ და გაკრეტინებული ვარ... იქნება ჭიჭიკოც წამოიყვანო, შენ უთუოდ მოგელი. რომ დამიმტკიცებ მეგობრობას, ამის იმედი მაქვს.

შენი ტიცციან ტაბიძე

[თბილისი, 1920-იანი წლები]

ტიციან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე – სანდრო შანშიაშვილს

ბესიკის №36. სანდრო შანშიაშვილს.

სანდრო უსინდისო, არ გრცხვენია, რომ დამალატიანე –
გუშინ რა შეგემთხვა – უშენოთ გემო არ ჰქონდა არაფერს:
ეხლა გთხოვ ძალიან, ჩამოხვიდე ჩვენთან გელით გოგლა და
სხვებიც – გელით აუცილებლად, სახლში ჩემთან.

შენი ტიციანი

ქიზიყის ჰომეროსო!

ჩამოდი უთუოდ. ამ კაცმა ტიციანის ადრესი არ იცის, რომ
უარის პასუხი მოგვიტანოს. ამიტომ, კარგათ ხარ, ავათ, ეხ-
ლავე უნდა ჩამოხვიდე ტიციანთან, უშენოდ არა ვსხდებით.
წუხელ ძალიან ვიქეიფეთ და რა უნდა დაგმართნოდა ისეთი,
რომ არ ჩამოხვედი, ცოლმა ხო არ დაგსაჯა?

შენი გოგლა ლეონიძე

[თბილისი, 1920-იანი წლები]

მიხეილ იაშვილი – ტიციან ტაბიძეს

ძმაო ტიციან!

თუ ძმა ხარ, პაოლომ რომ წიგნი გადმოგცა ლაპუხინის, ის
არის ექიმ თარხნიშვილის. მიეცი აუცილებლად.

შენი მ. იაშვილი

[თბილისი, 1920-იანი წლები]

**გიორგი ლეონიძე, ტიცციან ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი,
სარგის კაკაბაძე – ალექსანდრე აბაშელს**

ტფილისი. 15 დეკ.

ძვირფასო საშა!

პირველი თოვლია. ვზივართ ოთხნი. ვიგონებთ ბავშობას, ვაჟა-ფშაველას „ამოდის ნათდება“-ს, ჩვენი სოფლის ორ-ლობეებს, რომელიც ეხლა დაბარდული იქნება თოვლით, პირველ სიყვარულს და შენ – ქართული პოეზიის მძევალს აფხაზეთში – დიოსკურიის ნაპირზე. გრიალებს მუსიკა: „ქალი დავინახე, თვალი მომანათა, ვინ არის ეს ქალი – ვაჩნაძეა ნატა!“ ცეკვავენ ბოთლებით, ხანჯლებით, ჩვენ ვსვამთ შენ სადღეგრძელოს, როგორსაც დალევდა ავთანდილი. გვენატრება შენი ნახვა. გვინდა ყველა ფიჭვების სურნელება, რიფერას მთელი ჰაერი შეისუნთქოს შენმა ორგანიზმმა. გაკოცებ.

გოგლა ლეონიძე

შენ აფხაზეთში, გულრიფში ხარ. „სადაც ჰყვავიან მანდარინები“. ჩვენ გიგონებთ, გვიხარია, რომ შენ აფხაზეთი ცხოვრების ელექსირს მოგცემს ორგანიზმისთვის. იდეა – უკვდავია, უპირველესი კი პოეზია – უფრო მეტად კი ადამიანი – რომელიც შენ ხარ.

ტიცციან ტაბიძე

სანდრო შანშიაშვილი

გიორგი ლეონიძე

დაამტკიცა: კაკაბაძე სარგის

ძღვნად შენდა მუხის რტო. იყავ მაგრად! ჩემთვის კი „Ветка Палестины“.

ტ. ტ.

[თბილისი, 1920-იანი წლები]

გიორგი ლეონიძე – ტიცციან ტაბიძეს

ძმაო ტიცციან!

ხომ იცი ჩვენი ზარმაცობის ამბავი. ამას გარდა, არც მეგონა, თუ უსათუოდ იყო საჭირო. დღეს და გუშინ, ორი დღე ტყუილად დამეკარგა, არაფერი გამიკეთებია.

გარდა ამისა, „დროშის“ ამბებიც მალონებს. არაფერი მასალები არა მაქვს. ახალი კი 30-ში უნდა იყოს მზად.

„ოდა პიკასსოს“ ეხლავ შეუდგები და უსათუოდ გადავთარგმნი ამაღამ, თუ სარედაქციო კოლეგიის სხდომა არ შესდგა ამაღამ. რაც შეეხება ორიგინალს, თუ კი რამე დავწერე და დრო მომეცა, უსათუოდ გადმოგცემ. საშინელი მოწყენაა. ეს ორი დღე, ლამის არი, გავგიჟდე, არც არავინ მინახავხართ.

შენი გ. ლეონიძე

26/XII

[თბილისი, 1920-იანი წლები]

ალექსანდრე ყანჩელი – ტიცციან ტაბიძეს

Дорогой Титэ!

Хочу перевести твои стихи „ამუნცე“, или те, которые выберешь сам. Хотя я и сам смогу сделать текстовый перевод, но, принимая во внимание богатство твоего словаря, оттенки и др., прошу тебя, дать мне текстовый перевод. Можешь занести в Заккнигу. На-днях сборник идет в набор, т. что это очень спешно! Первую строфу хочу, кроме того, иметь по-грузински. Привет супруге!

Твой Сандро

[1920-იანი წლები]

ნუცა და ლევან ლოლობერიძეები – ტიცვიან ტაბიძეს

Дорогой Тициан, иногда в подобных афоризмах заключается истина! Наши цветы увяли, но дружба цветит!

Будь повнимательней читая, яснее не могу сказать.

ნ. ხუციშვილი

Tum. Tumuch!

გაფიცვებ შენს ვესპასიანეს და პაოლოს „ლაურას“, თავი ნუ მოგიკვდება, მეტს ნულა სუქთები! სალამი ნინას და ტანიტს. არჩილმა მართლა შეირთო ცოლი თუ არა?

ლევანი

[პარიზი, 1920-იანი წლები]

პაოლო იაშვილი – ტიცვიან ტაბიძეს

თბილისი, გრიბოედოვის 18, ტაბიძეს.

თერთმეტს მივდივარ არგვეთში. აუცილებლად გელოდები შენ, ვალერიანს, გოგებას, სერგოს, შალიკოს. მიდეპეშე არგვეთში.

პაოლო

ქვიშხეთი

1920-იანი წლები

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

ამხანაგებო!

თუ გაქვთ რამე გულში, მეც მოვდივარ ჩემ წილს, შემომითვა-ლეთ, რომელ საათზე? სად? და როგორ?

ვალერიანს!

პაოლო ანგინით გამხდარა ავად.

თუ წამოხვალ სანახავად და რომელ საათზე?!

თქვენი ტიცვიან
[1920-იანი წლები]

ივანე ყიფიანი – შალვა აფხაიძეს

ძვირფასო შალიკო!

ჩემი სულის ამ კომმარულ დამძიმების ჟამს ყოველი მეგობრული, თუნდ უბრალო, სიტყვაც კი ძვირფასია. ჩემთვის სასიამოვნოა ის, რომ მეგობრები ხშირად არ მივიწყებენ და ვახსოვარ. თუ რამე მანუგეშებს – კიდევ ეს.

მეტისმეტად მანუხებს მარტოობა. ამხანაგები ბევრია, მეგობრები სულ ცოტა.

ეს წელი საბედისწერო გახდა ჩემთვის. არ ვიცი, რით გათავდება. მუქარა დიდია, ვნახოთ.

ძალიან გულით მინდა სადმე წავიდე და ოდნავათ მაინც შევისვენო, მაგრამ არ ვიცი, სად უნდა იყოს ასეთი ადგილი. მიწვევთ ტფილისში. ხშირად მომენატრება ჩემი მექქა, მაგრამ ვერ მოვდივარ. ხელს მიშლის ბევრი რამ. ვზივარ პონტის ზღვის ნაპირებზე და როგორც აქილესი ეგეოსის ზღვის პირად ვსტირი მეგობრის დაკარგვას და ჩემ სიამაყის შელახვას.

წინეთ ვარდისფერი სათვალეებით ვუცქეროდი ამ ქვეყანას, ეხლა კი საღამოა. უდროოთ დადგა შემოდგომა.

ეხლა მსურს გადავეშვა პოეზიის ოკეანეში და იქ დავირჩო. ხშირად მგონია, რომ ვეთხოვები სიფხიზლეს და სიცოცხლეს, ისე დამანვა ეს შავი ფიქრები,

ერთ დროს გამოვქექცი სევდიან ტფილისს. მინდოდა, უკეთესი ტფილისის ნახვა, ისე როგორც, მგონი, გიორგი მთაწმინდელს უკეთესი ივერიისა, მაგრამ იმედები გამიცრუვდა. ბათომში ცხოვრება ჭაობში ცხოვრებაა. ამ ერთმა წელიწადმა იმდენი სისხლი შეიშრო ჩემი, ისე აადულა ჩემი გული

და ტვინი, ისე გააფიცხა ნერვები, რომ პირდაპირ არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამ კრიზისის გადატანას.

მართალი გითხრა, ამ ცხოვრებას ჩემთვის ქრილობების მეტი არაფერი არ მოუცია, მაგრამ დღემდის მაინც მადლიერი ვიყავი თითქოს მისი, ეხლა კი მშვიდობით.

უკვე დავრწმუნდი, რომ ხალხისა და ადამიანის ცხოვრებისა და სიკვდილისათვის არავითარი კანონი არ არსებობს, არის მხოლოდ უეცრება, მოულოდნელობა, თუ გნებავთ წერა, მოირა. კანონები მიზეზობრივობისა, რა თქმა უნდა, არსებობს საერთოდ, მაგრამ თავისთვის, ის ცალკეა და ადამიანის ბედი კიდევ ცალკე.

ცხოვრება შერიგებას მთხოვს, მაგრამ მიჭირს – გულით ველარ ვედობი, რადგანაც რომ ზურგს უკან ცალი ხელით სასიკვდილო დანას მალავს და მეორე ხელს მიწვდის.

მაგრამ მაინც მინდა ჯერ დარჩენა. მინდა ცხოვრებას 2-3 წლის სიცოცხლის ვადა ვსთხოვო.

ამიტომ წელს ზაფხულზე მინდა სოფლად წავიდე. იქნებ წმინდა ჰაერმა ცოტათი მაინც დამამშვიდოს და სისხლი გამიწმინდოს. სწორედ ამ მიზეზის გამო, სამწუხაროდ, ტფილისში ამ ჟამად ველარ ჩამოვალ. სექტემბრის პირველ რიცხვებამდის მსურს შესვენება. სექტემბრიდან კი, თუ მშვიდობით ვიქენით, უსათუოდ ტფილისში უნდა გადმოვიდე.

მიიღეთ ჩემი უღრმესი მეგობრული მადლობა შენ და სერგომ, რომ ჩემთვის ზრუნავთ. როგორც სჩანს, მაგ ადგილი ჩემს მასწავლებლობას ხუთჯერაც კი სჯობს ფინანსურად და ძალიანაც მიზიდავს, მაგრამ ეხლა წამოსვლა რომ არ შემიძლია, ეს არის. სექტემბრამდის, ვინ იცის, როგორ დატრიალდება ეს ქვეყანა და ჩვენი ცხოვრება. უსათუოდ ჩამოვალ და მაშინ ვნახოთ. მანამდის კიდევ ვისაუბრებთ წერილებით. აქ მეცადინეობა გათავდება მაისის დამლევს.

შალიკო მადლობელი ვიქნები თუ კიდევ რაიმეს შემატყობინებ.

გკოცნი შენი ვანო ყიფ.

[ბათუმი, 1920-იანი წლები]

1930

ვალერიან გაფრინდაშვილი – შალვა რადიანს

ამხანაგო შალვა! კიევლიანინმა გთხოვათ, ნაიკითხოთ ტიციან ტაბიძის წერილი აკაკი წერეთლის შესახებ და გამოსთქვათ თქვენი აზრი: – შეიძლება თუ არა მისი მოთავსება „ზარია ვასტოკაში“. თუ საერთოდ წერილი მისაღები იქნება – ცალკე ადგილებს შევამოკლებთ, ან ამოვიღებთ. ხვალ გამოგვიგზავნეთ უკანვე სტატია და აგრეთვე თქვენი აზრი შეგვატყობინეთ.

პატივისცემით ვ. გაფრინდაშვილი

29 იანვარი, 1930 წელი

[თბილისი]

ნინო ბაქრაძე-გვეტაძე – რაჟდენ გვეტაძეს*

რაჟდენ!

დღეს რომ კვირაა, მივიღე შენი წერილი. რათ დააგვიანე ამდენ ხანს. ზაზიკო კარგათ არის. საქმე გააჭირვა „მამას“ ძახილით. როგორც კი დავეჯდებით სადილად, ამოიღვნეშებს და იტყვის, „ა გდე მოი მამა აბედაიტ“. დილით გამოვა თუ არა, ეცემა ტახტს და იტყვის „აპიატ მოი მამა ნე სპალ“ და სხვა ასეთები... მეჩხუბება, ჩვენც წავიდეთ ქუთაისშიო. ასე და ასე. მე ვიყავი ცოტა ავათ. მგონი, შენ სობასაც მტკივოდა კბილი. არ მივაქციე ყურადღება და პარასკევს საღამოს მომცა სიცხე 39,8 გრადუსი. ექიმს დაუძახე, კომპრესები გამომიწერა, ასე რომ, დილით უკვე კარგათ ვიყავი. სულ ერთი დღე ვინეჯი, ასე რომ, არც შენი წიგნი და არც სხვა რამე დამიბრკოლებია, მხოლოდ ერთი დღე დააკლდათ ბავშვებს რძე. ისე კი ყოველ დღე დამაქვს თითო კვარტი. ფუ-

* დაცულია ქუთაისის ცენტრალურ არქივში.

ლი სახელგამში მარტო ხუთი თუმანი მომცეს, ჯერ იმასაც არ მაძლევდა, მერე შევედი ბარონთან და მომცა ხუთი თუმანი. მეც აღარ დამინყია ჯაჯალანი. ბავშებს ფული ჯერ ვერ გავუგზავნე, რაგან შაბათს არ გავსულვარ სახლიდან, დღეს კი გრიგოლი ვერ ვნახე, ასე რომ ხვალ გაუგზავნი.

ნიგნის ნყობას მორჩენ და ხვალ ან ზეგ, როგორც მოიცლიან, შეკვრას დაიწყებენ. შენ ჩამოსვლამდე, მე მგონი, მოთავდეს ყველაფერი.

ბავშვების ამბავს მეკითხები, ალბათ, კარგათ არიან, ისე კი მე არავისგან არაფერი გამიგია მათ შესახებ.

ვექსილები დავიხსენი და სალაროშიდაც შევიტანე ფული. ასე და ასე.

დედა ძალიან გლახათ არის. მაგრამ ჩვენებს, მაინც და მაინც ნურაფერს ეტყვი ისეთს.

იცოდე, კუჭუ, უშაქროთ არ ჩამოხვიდე. ლიზიკოს ადრიაანათ მიეცი ფული და ის იშოვნის.

ისე ყველაფერი რიგზეა. ვეცდები, შენი დირექტივები შევასრულო.

შენ წარმოიდგინე, კუჭუ, ზაზიკოს კი არა, მეც ძალიან მაკლიხარ და მომენატრე კიდეც. ამ დღეებში მაინც მეტის მეტ ცუდ გუნებაზე ვიყავი, ალბათ დედას გამო, და მინდოდა, ახლო ადამიანისათვის გამეზიარებინა.

მაინც შენ როდის აპირებ ჩამოსვლას, მოიწრე.

კიდეც, შე საძაგელო, რომ იწერები ქეთოს მისამართით მომწერე წერილიო, რა ვიცი მე ქეთოს მისამართი, ბარედამ დაგენერა ორი სიტყვა. მე არც ქუჩის სახელი მახსოვს და ნომერიც არ ვიცი ხეირიანად. ასე რომ, არ ვიცი, რა მოუხერხო ამ წერილს. გადავწყვიტე, თიატრში გამოგიგზავნო კუკურის სახელზე და ის ამოგიტანს, შემდეგში კი მომწერე მისამართი.

წერილს ნუ დააგვიანებ. შენც როდის ჩამოხვალ, მომწერე.

სალამი ჩვენებს. საერთოდ ყველაფერი დანვრილებით მომწერე. როგორც შენი წერილიდან ვხედავ, კოლექტივიზაციის ამბავს ვერ მოუხდენია შენზე სათანადო შთაბეჭდილება. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ჭკუით იყავი. იცოდე, არ დათვრე და არ გაცვივდე.
მაშ ასე, ველი წერილს, გაფიცებ, ნუ დააგვიანებ.
ზაზიკომ გაკოცა, მეც.

შენი ნინო

23/11-30 წ.

ტიციან ტაბიძე – იოსებ ტაბიძეს

ძვირფასო ძმაო იოსებ,

მე უკვე ბათომში ვარ სამი დღე და ხვალ მივდივარ ფოთში.
ძალიან ვწუხვარ, რომ სახლში, სოფელში შერებას ვერ ვას-
წრებ. მაგრამ უკან დაბრუნებისას ვეცდები, სახლში ვიყო.
იოსებ, გენაცვალე, მიუგდე ყური ჩვენებს და ტელეფონით
მაინც იკითხე, როგორ არიან.

აბელა წავიდოდა ალბათ დუშეთში.

იყავი კარგად: თუ მომწერ წერილს, ასე: Сухум, до востребо-
вания Т.

შენი ტიციანი

[ბათუმი, 8 აპრილი, 1930]

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

Тифлис, редакция „Заря Востока“.

Валериану Гаприндашвили.

ძვირფასო ვალერიან,

უთქვენოთ ბათომი არაა ბათომი. მაგონდება კაზინოს შემდეგ
ორი მოგება და ძველი რია, რია!..

И денег Индии,

И пули в лоб хочу!..

О трешках мечтать безмолвно.

და სხვა ტროპიკები.

სალამი ირას და შენ გოგონას.

ხვალ ფოთით მივდივარ რიონ-პორტში.

შენი ტიცვიანი

[ბათუმი, 8 აპრილი, 1930]

ტიციან ტაბიძე – კოლაუ ნადირაძეს

ძმაო კოლაუ, სალამი შენ ბათომიდან –

ეხლა ნამდვილი ლევანტის ბრიუგეა.

ვარლამ ჟურული ამბობს, პოეზია აღკრძალულ შტილს აგავს, ძალიან დიდი რისკიაო. ხვალ მივდივართ ფოთით რიონ-პორტამდე, მაგრამ ქარია და ვაი თუ, გაგვრიცა აფხაზეთში. სალამი შენ ნინას.

ტიციანი

[ბათუმი, 8 აპრილი, 1930]

შალვა დემეტრაძე – კოლაუ ნადირაძეს

სალამი კოლაუს!

დიდი ხანია მინდოდა თქვენთვის წერილის მოწერა და აგრეთვე გადმოცემა იმ ნაშრომებისა, რომლებზედაც მე ვმუშაობდი. დღემდე ეს ვერ შევასრულე, თუმცა ვიყავი თქვენზე დაპირებული, რომ ტფილისშივე გადმომეცა გასაცნობად ეს პატარა წერილები. მას შემდეგ თითქმის ორმა თვემ განვლო. მე შემხვდა გურიისკენ სამსახურში წამოსვლა. აქ დავყოფ ალბად შემოდგომამდის, შემდეგ კი ისევ ტფილისში დავბრუნდები. აქ ახალგაზრდა კაცი ძალიან ჩამორჩება თანამედროვეობას, ჩემთვის აქ ყოფნა უდრის უდაბნოში ყოფნას, მაგრამ ერთი ბედნიერება მაინც მაქვს შერჩენილი, ვფიქრობ პოეზიაზე. კოლაუ, გიგზავნით ჩემს პატარა ნაშრომს, თან ვატან ჩემს გულსაც. მე ველი თქვენგან სწორ, ობიექტურ შეფასებას, მე ვიცი, რომ აქ ბევრი გავლენაა, სისუსტეც,

მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება ეს წერილები, მით უმეტეს ახლა, როდესაც ბევრი მტრები გასევიათ გარს. მე მსურველი ვარ თქვენგან, გულწრფელად და პირში მოუფერებლად მიმითითოთ სისუსტეზე და ყველა იმ დეფექტზე, რომელსაც თქვენ შეხვდებით, აგრეთვე, აღნიშნეთ ისიც, თუ გამოდგება ეს ნიგნი დასაბეჭდათ და თუ თქვენც სცნობთ საჭიროებათ, რასაკვირველია, თქვენ შეგიძლიათ, მასში შესწორებაც შეიტანოთ ჩემთან ერთად. შეიძლება, სულ არ გამოდგეს ეს წერილები, არაა კარგი დანერილი, ნუ მოგერიდებათ, მე ეს არ შემაშინებს. კოლაუ, ვიმედოვნებ, რომ დანვრილებით შემომითვლით ყოველივეს, თუ არ შენუხდებით. თუ ამ წერილებმა ცოტათი მაინც გაამართლეს, მაშინ დანარჩენ თქვენი ჯგუფის პოეტებზედაც შეუდგები წერას. დღეს უნდა მიექცეს ყურადღება იმ შემთხვევას, თუ ვინ რას წერს თქვენზე, რომლებსაც მარტო გინება აკერიათ პირზე. თუ თქვენი დახმარებაც იქნება, მე მზად ვარ, რომ თქვენთან დავრჩე უერთგულეს უმცროს ძმად. მე ძალიან დიდი იმედით ვარ აღჭურვილი თქვენდამი. დღეს მე ანგარიშით უნდა ვიბეჭდებოდე, მაგრამ ახლა ისეთი ეპოქაა, რომ საჭიროა სხვისი მფარველობაც. მე დღეს მარტო ჩემთვის თუ ვწერ ლექსებს, თორემ დაბეჭდვაზე ფიქრი ზედმეტია. რომელი რედაქცია მოგაქცევს ყურადღებას, ან რომელ პოეტს სცალია შენთვის. ეს ასე არ უნდა იყვეს, მე მგონია, თქვენთვის სასიხარულო იქნება, თუ თქვენი ჯგუფი ახალგაზრდა პოეტს გამოიყვანს იმ დროს მაინც, როცა გარშემორტყმული ხართ მტრებით. ეს ძალიან ძნელი ვალია, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე იმედიანი პაოლოა ჩემის ფიქრით. ვიმედოვნებ, რომ მაცნობებთ ყოველივეს სისწორით და არ დამიფარავთ არც ნაკლოვანებას და არც გამარჯვებას. სალამი ყველა იმ პოეტებს და განსაკუთრებით პაოლოს, ვინც მე გულწრფელად მივიღე. პასუხს ველი თქვენგან, კოლაუ.

შალვა დემეტრაძე

11.IV.30 წ.

ჩემი მისამართი: ქ. ლანჩხუთი, რუსთაველის ქ. №5, მგელადის სახლი, ჩემზე.

ტიციან ტაბიძე – იოსებ ტაბიძეს

ძვირფასო ძმაო იოსებ,

წერილი მოგწერე ბათომიდან – ეხლაც შენი იმედი მაქვს, რომ ხანდისხან სახლში შეიარ და ბარათსაც მომწერ. გაგრა – პირდაპირ ფანტასტიური ლამაზია, ასე რომ, ოცამდე უთუოდ დავრჩები – ჯერ კი წერით ვერ ვსწერ, მაგრამ – სამაგიეროთ ვისვენებ: მაინც რამდენი ხანია არ დამისვენია – ეხლა ვგრძნობ დაღლილობას. იყავი კარგად და ყოჩაღათ.

შენი ძმა ტიციანი

[გაგრა, აპრილი, 1930]

ტიციან ტაბიძე – იოსებ ტაბიძეს

ძმაო იოსებ,

უკვე მესამე კვირაა აქ ვარ, შავი ზღვის სანაპიროებზე და ნამდვილი სამოთხეა. როგორც მიიღებ შენ შვებულებას, უთუოდ ამ ზღვაზე წამოდი, ამის უკეთესს ვერაფერს ნახავს კაცის თვალი. მაქვს შენი იმედი, რომ სახლს მიხედავ. სალამი პლატონს. მაგან იცის გაგრის ამბავი.

შენი ძმა ტიციან ტაბიძე

[გაგრა, აპრილი, 1930]

ტიციან ტაბიძე – ნიტა ტაბიძეს

ჩემო ლამაზო გოგონა ნიტაკო!

როგორა ხარ, გენაცვალე. თურმე მემდური, რომ ვერაფერი გამოგიგზავნე. ჩამოგიტან ფუტბოლის ტუფლებს, ტრუსიკებს საბანაოს და ბევრ ყვავილებს. გაკოცებ ბევრს, შენ იცი, თუ ჭკუით იქნები და ბებოს არ გააჯავრებ.

შენი მამიკო ტიციან ტ.

[გაგრა, აპრილი, 1930]

ტიციან ტაბიძე – არჩილ, რაისა და გუგა მიქაძეებს

Апрель, 1930 г.

Дорогие Арчил, Раиса, прелестная Гуга.

Это гостиница „Гагрипши“ в Гаграх, где мы живем. Если бы не однообразие жизни, то вокруг такая красота, что сердце может разорваться от радости.

Часто вспоминаем вас всех и ждем обещанной красивой бумажки. Ваших в Тбилиси вижу часто. Позавчера брат Раисы был в Сухуми.

Тициан Табидзе

[გაგრა]

ტიციან ტაბიძე – სანდრო შანშიაშვილს

ძვირფასო ძმაო სანდრო,

სალამი და გამარჯვება აფხაზეთიდან ამ შენი ოქროს ვერძისა და იაზონ და რუნოს ქვეყნიდან.

აქ ყველაფერი დიდებულია – მაგრამ თქვენი ხმა რომ არ მომდის, ძალიან ვსწუხვარ – არ მაქვს კი იმედი, რომ ეს წერილი ტფილისში ჩამოგისწრებს. სასტუმრო „გაგრიპში“, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, დიდებულია, ასეთი მონყობილი ოტელი მე ვერც კი წარმომედგინა, რომ საქართველოში იქნებოდა.

ვიხროჩობი პირდაპირ ლანშაფტებით, ვაგროვებ მასალებს ჩემი სუბტროპიკული პოემისთვის.

წუხელის აქ დიდი ბანკეტი იყო კურზალში, ჩვენი კოლონიის ორმოცამდე კაცი ვიყავით და დიდებულათ ვსვით და ავიკელით ყველაფერი, ისე რომ, ჩვენი აქ ყოფნა არც ისე უფერულია, თუმცა ქართველები ძალიან ცოტანი ვართ, მაინც რომ სთოვა და წვიმა ამდენი ხალხი, ბინას რომ ვერ პოულობენ, პირდაპირ პარკში სძინავთ. ბევრს უნახავს რუსთაველის თეატრი მოსკოვში და აღტაცებული არიან. განსაკუთრებით „ანზორით“ – სხვა რას შვება ჩვენი ლევ ნიკალაიჩი – გიორგი ლეონიძე, როგორ გათავდა მაგის სახლის ეპოპეა,

ნუ თუ ისევ მოლაპარაკების პროცესშია?! ალბად მანდ არ იქნება, თავის გოროვანში წავიდოდა.

თუ ძმა ხარ, ნუ დამივინწყებთ, მასხენეთ თუ ჩახვიდეთ „სამსონში“ – ჟულ იაშასთან. იმ დღეს ღმერთივით ვსვით, აქ მასეთი ღვინო და საჭმელები იშვიათია და ტფილისზე სული მხდება.

თუ შეგხვდეს სოსო დაროშვილი, თუ ძმა ხარ, იმ არჩილას გადააწერიოს ის ხევსურული ლექსი; ვკითხულობ ვაჟა-ფშაველას და გარსია კალდერონის პერუს მოთხრობებს.

გაკოცებთ ბევრს და მალე გავჩნდები ტფილისში.

შენი ერთგული ძმა ტიცციან ტაბიძე

[გაგრა, აპრილი, 1930]

ტიცციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

Тифлис, редакция „Заря Востока“.

Валериану Гаприндашвили.

ძვირფასო ვალერიან,

მაიაკოვსკის სიკვდილმა სულ მომიშხამა ყველაფერი. ნეტავი თქვენთან ვიყო, ერთად გველაპარაკა ამის შესახებ.

ისე, პუშკინი დავიპყარი, ამ შავი ზღვის სანაპიროზე დავქრევიარ, როგორც სიკვდილის ანგელოსი.

სალამი ირას და ნანას.

შენი ტიცციან ტაბიძე

[გაგრა, აპრილი, 1930]

ტიცციან ტაბიძე – არჩილ მიქაძეს

Апрель, 1930 г.

Дорогой Арчил!

Только что совершили субтропический рейс по побережью черного моря. Я представил в Госкинопром киносценарий „Новая Колхида“.

Субтропический комбинат – агроиндустриальный – но начинается с Аргонавтов – золотого руна и малярии Гиппокрита. Картину ставит Нуца, за две недели объездили Рион-порт и Черное море.

Настоящий пробег автодора.

Вспоминаем вас ежеминутно.

Здесь узнали вчера о самоубийстве Маяковского... Заплакал и Георгий Курулашвили.. Если получишь это письмецо, пришлю более подробное.

Моя страна в апреле действительно рай...

Привет Раисе. Пусть не забывает об обещании красивой бумаге.

Знаю Байрона – Омар-Хаям по англиски – отплату грузинской натурой. Поцелуй Гугу. Помнит она в прошлом году Тициана Табидзе в Коджоре? Ждем, что вспомнишь о нас.

Твой Тициан Табидзе

Америка чарует. Читал твою статью в „Комунисти“. Ждем, ждем писем, статьей.

Т. Т.

ტიციან ტაბიძე – სანდრო შანშიაშვილს

ძმაო ძვირფასო სანდრო და იარალი!

თუ ძმა ხართ, არ დამივინყოთ, ამნიეთ ქეიფში სუფრაზე. მე თქვენი წინადადებები არ მასვენებენ: მაიაკოვსკის სიკვდილმა თავზარი დამცა. მალე ტფილისში ვარ. მომიკითხე: გერონტი, დავით ლიხელი და გიორგი ლეონიძე – ლომის ძე.

შენი ტიციან

[გაგრა, აპრილი, 1930]

ტიციან ტაბიძე – ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს

სოხუმი, 930 წ., 14 აპრილი.

ძვირფასო ნინელი, ეს ეს არი ჩამოვედი სოხუმში ზუგდიდი-

დან, გზაში ბევრი რამ იყო საინტერესო, მაგრამ ყველაფერი მოგვინამლა იმ მამაძალმა ურიამ, ასე რომ, არ ვიცით, ეს-
ლა როგორ ნავა საქმე. ლამის განყდა, არ მოვკალი, ისეთი
ტუტუცია. ნუცაც ძალიან სწუხს, ამ დილას მოელაპარაკე-
ბა გიორგი ყურულაშვილს, უნდა როგორმე მოაგვაროს ეს
საქმე. ეს რომ არ აფუჭებდეს ხასიათს, ისე აქ ყველაფერი
კარგადაა. ჯერ თამარა არ მინახავს, ალბად ვიქნები დღეს
გულრიპში – აქ არის თინა ლალიძე. მოგწერ ყველაფერს ან
დაგელაპარაკები ტელეფონით. შენი მხოლოდ ორი ბარათი
მივიღე ქუთაისში. სალამი ჩვენებისაგან.

შენი ტიცია

ტიციან ტაბიძე – ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს

ძვირფასო ნინა!

გიგონებ ბევრს: სოხუმი ჯერ მაინც საოცნებოა: ესლა ყრი-
ლობა პარტიისა და სასტუმროში ადგილები არ იშოვება
– მაგრამ თუ კარგად ნავიდა ჩვენი საქმე – უთუოდ უნდა
ჩამოხვიდე – ერთი რომ დავისვენო, თორემ ნერვები ამი-
შალა ამ მგზავრობამ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ
საუცხოვო და დაუფინყარი წამები განვიცადე. ოქროყანას
მიხედე, ფული ორივე ადგილას მიიღე: და თუ წამოსვლა
გინდა, ნუ გაანიავებ. დედა და ნიტა დაკოცნე.

შენი ტიცია

[სოხუმი, 14 აპრილი, 1930]

ანდრეი ბელი – ტიცია ტაბიძეს

Кучино. 15 апреля. 30 г.

Дорогой Тициан,

Спасибо Вам за открытку. Письмо Ваше получил; и получил
с благодарностью милую мне память о Тифлисе. Давно соби-
раюсь писать. Но попал в мертвую полосу с „Масками Москвы“,
когда сидишь с утра до-ночи, бьешься; и – ничего не получается,

это напоминает воздушные ямы, о которых упоминают пилоты; летишь, молча и нужно все напряжение воли, чтобы аэроплан не разбился. Так, Ваше письмо пришло в проклятый рабочий момент, который грозил слому всего романа; я вообще этой зимой теряю голову; и иногда так влезая в работу, что на недели, на месяц делаюсь невменяемый. Так вот я и ждал, когда поставлю точку над „Москвой“, чтобы ответить.

Часто говорим с К. Н. о Вас и Нине Александровне. Бедная – лечите ее: а то, болезнь измором берет. Пишу это под свежим впечатлением письма Н. А. к К. Н., которое К. Н. мне прочитала; К. Н. сердечно приветствует Н. А. и Вас, скоро напишет Н. А. и благодарим за добрую память. Она, бедненькая, в этом году как то слаба; и в особенных хлопотах; много грустного.

Средь разных грустей искренняя радость: возможность Вас и Н. А. увидеть в начале мая; слушайте: приежайте; если уж ехать в Москву, то либо в мае, либо серебряной зимой; и надеюсь, не раз увидиться в Кучине; заранее переживаем с К. Н. уютность Кучинского посада за чаем у нас (забыл, – Вы не „чайники“!).

Очень ждем, очень!

Сердечная благодарность за добрый зов на лето в милую Грузию. Но и – стыдно откликнуться: я считаю, что за эти 3 года мы доставили Вам, Паоло, и иным из ваших друзей такое количество хлопот, неприятностей, что откликаться на добрый зов – как то неловко. Знаю, верю Вашему доброму зову; но одно дело приятный посид вместе, а другое дело тот „скандал“, который в прошлом году 2 раза случился со мной: 2 болезни; и обе – у Вас на квартире. У меня впечатление, что какая то судьба играет дурную шутку со мной; едет человек с радостью повидаться с другом, с друзьями, а впереди него на друзей катится тяжелый камень: в виде роя хлопот, который обрушивается часто без нашей воли с нашим приездом.

Уже позапрошлым годом мы были напуганы теми заботами, которые доставили Вам и Паоло с Сачхери, с Коджорами, с Кутаисом; и чувствуя неловкость, мы хотели в прошлом году, сами себя устроив в Грузии, с Шови, уже потом появиться к Вам, чтобы снять с Вас бремя „мелких хлопотливостей и дум о

нас“. И что же случилось? То, что мы 2 раза просто сели к Вам на шею: ко всем – не говоря уже о Вас, Н. А., с которыми так хорошо (и у вас было так хорошо).

С Грузией у меня какой то рок: нежная любовь к природе, местам, людям; и – ряд шишек на лбу, отраженно, рикошетом бьющих друзей.

Очень радуемся Вашему приезду в мае: хотелось бы лично с Вами поговорить и между прочим о Кавказе: о Грузии, да же... о Каджорах. В письме всего не скажешь.

И, все же скажу – кое что.

Конечно: вырыв из Кучина, а К. Н. из Москвы, просто необходимо; я никогда так интенсивно не работал, а К. Н. никогда так не утомлялась, как в этом сезоне: с сентября до сего дня она в хлопотах; с сентября до сего дня я, нигде не бывая, сосредоточенно работаю над ответственной худ. производением. Усталость – колоссальная, и головная, и моральная. Переменить воздух – необходимо.

Куда ехать? И – конечно: встает огромный, манящий, уже родной, хотя иногда и как то душу мучающий Кавказ (но ведь такие муки испытывает влюбленный, когда не уверен в любимой женщине); мои муки: я влюблен в горы Кавказа; мое подозрение: горы Кавказа – меня не любят.

И – тем не менее: мы всю зиму подумывали – как быть с летом: надо отдохнуть – в Красной Поляне (июнь-июль), потом поехать либо по Военно-грузинской; попасть в Теберде, или Сиони, или около Казбека; и уже к осени навестить друзей.

Но – в этом году не знаешь, как в Поляне обстоит дело с многим: между прочим с продуктами. Был и еще ряд сомнений и неизвестностей; Поляна и до сей поры висит в воздухе. Видите ли – в чем наша трудность: Вам, грузинам, имея центром Тифлис – всюду близко; Вы знаете, где в какой сезон можно жить (в Батуме нам нельзя жить в июле, то же о Кахетии, где нельзя жить уже в июне – малярия, в Каджорах – нельзя до июля и т. д.); Между тем: едешь из Москвы за 3000–4000 верст с мыслями прожить 3-4 месяца; и оказывается: в одном месте не проживешь; и приходится метаться; месяц там, ме-

сяц там; так мучительно выхлопатывать места; а „на ура“ ехать – ничего не знаешь: в одном месте – все забронировано; в другом – малярия; в третьем – нет продуктов; в четвертом – все великолепно, а нет комнат. И поневоле в поисках мест, как распределить ассигнованное время (3-4 месяца), попадаешь в Тифлис; и тут – новый цикл забот; радость видеть друзей, но стыд оказаться вдруг у Вас на квартире; летом в Тифлисе жарко, в гостиницах неудобно. Вот в чем наши неуверенности.

И потому был у нас план с Красной Поляной: пожить там 2 месяца; около месяца поездить или пожить при великих горных дорогах; и лишь к 2-ой половине августа спуститься в Тифлис. Был план в этом году провести где-нибудь сентябрь, чтобы осень встретить на Кавказе.

Был еще план: узнать от Вас – нельзя ли на июль или август устроиться в Каджорах, но не как в прошлом году, а как скажем, в позапрошлом: с известной льготой, но не задаром.

В этом году я беру с собой работу; в этом году мы могли бы не возвращаться в Кучино до октября; но все эти – „бы“; оно наталкивается на неизвестность: с каждым годом участникам (туристам) – туже; с продуктами, питанием – хуже; боишься мытарств. А я хотел бы где-нибудь месяца два пожить с работой; мне заказан 2-ой том „Воспоминаний“; их придется писать.

И вот перебираешь места, и не знаешь, куда ехать: на побережье летом все будет для экскурсантов, но не для нас; в ряде мест – нельзя жить; в ряд мест нельзя до июля.

Так и сложился наш план, до сих пор висящий в воздухе, ехать в Красную Поляну, где дешево, не набито, чудный воздух, знакомые хозяева; и где я мог бы отдаться писанию. Но – в виду отрезанности от берега, уединенности, бедности населения, там трудно с продуктами; вообще частные возможности (столовые и т. д. минимальны); санаторий для рабочих с забронированными местами; посадят тебя в комнату с четырьмя „дядями“, разлучат с К. Н. Нет – лучше уж в Кучине!

А ехать по путеводителю в ряд мест, это – ехать на сюрпризы. Если приедете в мае, мы изложим с К. Н. и наши опасения ехать на Кавказ и наше горячее желание там быть, ибо вырваться из Кучина – необходимо.

А – куда?

Ну – да не буду продолжать. До 16 мая, до 26 мая все равно никуда не уедем; куда поедем – точно не знаю.

Очень хочется увидеть дорогих друзей – Паоло, Леонидзе, Григория Титовича и Николая Саввича; и ряд других, ставших нам близкими. Так о многом хочется спросить: о Тамаре Георгиевне, о самочувствии Паоло, о том, как себя чувствует жена Григория Титовича и т. д.

Да всего не расспросишь. Надеемся скоро увидится в Кучине.

Приезжайте же!

Еще раз спасибо за память. Сердечный привет от нас с К. Н. Вашим, Тамаре Георгиевне, Нине Александровне, ее матушке, Ниточке: поцелуйте ее – милая девочка: удивительная она у Вас! Братский привет милому Паоло.

Остаюсь сердечно любящий и преданный Борис Бугаев

А... Маяковский то?

ტიციან ტაბიძე – ბარბარე ყარალაშვილ-მაყაშვილს

ძვირფასო დედა!

მოგიკითხავთ ბევრს და ბოდიშს ვიხდით, რომ ამდენს გაწახეხებთ. აქ ეხლა ნამდვილი სამოთხეა. თუ მოეწყო კარგად საქმე, ნინას დავტოვებ ათი დღით, მე კი მალე ჩამოვალ.

აკოცეთ ნიტას ჩემ მაგიერ და გადაეცით, რომ ბევრ ყვავილებს ჩამოუტან.

თქვენი ტიციან ტაბიძე

[გაგრა, აპრილი, 1930]

ტიციან ტაბიძე – იოსებ ტაბიძეს

ძვირფასო ძმაო იოსებ,

შენი ბარათი მივიღე სოხუმში: მე უკვე მოვლე გაგრი და სოჭი – ეხლა ცოტა ხნით აფხაზეთში ვარ: და რამდენიმე დღის

შემდეგ წამოვალ ტფილისისკენ... გზაში ვეცდები, უთუოდ დედასთან გავიარო: წინათაც მინდოდა, მაგრამ არ მომიხერხდა: ეხლა შენი იმედი მაქვს. ნიტასთან გაიარ და ოჯახზე თვალი გექნება.

შენი ძმა ტიცვიან ტაბიძე
[სოხუმი, აპრილი, 1930]

ტიცვიან ტაბიძე – სანდრო შანშიაშვილს

ძვირფასო სანდრო!

მოკითხვა და სალამი – სიყვარული და ამერ-იმიერ: თქვენი წერილი არ მომდის და ძალიან მწყინს: ასე როგორ დაგავიწყდით, მაგრამ აქ ოცნებაა ნამდვილი და ჩამოვიტან გემებით ლექსებს. მაროს სალამი და შენი გოგონები დამიკოცნე.

შენი ტიცვიან ტაბიძე
19/IV, 1930 წ.
[სოხუმი]

ტიცვიან ტაბიძე – რაჟდენ გვეტაძეს

ძვირფასო ძმაო რაჟდენ,

სალამი და გამარჯვება აფხაზეთიდან. ყველაფერი დიდებულთა, მაგრამ უბედურება ეს არი: „მე აქ რა გამაძლებიებს, თქვენი ხმა არ მომდის“.

ვეცდები, მალე ვიყო ტფილისში, რომელსაც ალბათ უკვე დავავიწყდი, ლექსებს და წერილებს კი გემებით ჩამოვიტან. სალამი წინას და შენ რწყვილ ვაჟკაცებს.

შენი ტიცვიან ტაბიძე
[სოხუმი, 22 აპრილი, 1930]

სოფია ტოლსტაია-ესენინა – ტიცვიან ტაბიძეს

25/IV.

Дорогой Тициан, очень, очень рада вести от Вас. Приезжайте в Москву непременно, приходите ко мне, пожалуйста. Хочется повидать Вас и поговорить о многом.

Спасибо Вам, что Вы думали обо мне, когда узнали о смерти М. Мне было ужасно грустно, до сих пор не могу встряхнуться и хожу вся кислая и думаю мрачные вещи. Слишком многое соединилось в этом.

Очень сердечно кланяюсь Вам и Нине Александровне.

С. Есенина

25. IV, [მოსკოვი, 1930]

ნიკოლო მინიშვილი – შალვა სოსლანს

შალვა!

ვრცელი წერილი გამოგიგზავნე შენი პირველი ბარათის მიღებისთანავე, ალბათ, მიიღებ.

ნ. მინიშვილი

2. V. 30.

ტიციან ტაბიძე – ანდრეი ბელის

3 мая, 1930 г.

Тифлис.

Получили Ваши книги: „Пепел“ и „На Рубеже Двух Столетий“. Большое спасибо, что заставили пережить мою московскую юность. При чтении книг я был в Москве и мысленно переживал свои университетские годы и собственный „пепел“ чувств. Очень интересует нас судьба Ваших новых книг. Читали, что будете писать в „Кр. Нови“.

...Нас радует, что Вы, несмотря на прошлогодние неудачи, все же не разлюбили Грузию, и в это лето мы с Вами проведем несколько дней, которыми мы привыкли дорожить. Я за этот месяц объехал всё побережье с Батума до Сочи, очень хотелось заехать в Красную Поляну, но это удлиняло нашу дорогу... Мне после Ваших слов в прошлом году особенно хотелось видеть эти места. Жил я по несколько дней: в Сухуме, Гаграх, Сочи, Новый Афон совершенно очаровал. Было ещё рано, не было обычных дачников и все напоминало Ин. Аненского, „Тоску белого камня в Симферополе“....

...На счёт Коджор: с Паоло уже говорили с завед. курортным отделом Тифлисполкома. Он обещал всё сделать. Так что в любое время за неделю раньше предупредив, можно рассчитывать устроится в Коджорах как угодно.

...Боюсь только, чтобы мы не разъехались.

Я должен быть в Москве в мае, не знаю ещё, в каких числах: я написал для кино сценарий „Новая Колхида“ – о субтропической культуре. Ставит картину реж. Нина В. Гогоберидзе (жена Левана Давидовича). В Москве нам нужно оформить сценарий и найти оператора. Кроме того, там будут гастроли грузинского драмтеатра и к этому имею некоторое отношение. Буду ужасно рад, если Вас застану в Кучино, но если мы разъедемся, Вас встретит в Тифлисе Паоло и всё устроит, и Нина Алекс. Вас будет ждать...

У Паоло и у меня в этом году настроение много лучше...

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

შვილო სერგო! შენი წერილი მივიღე პირველ მაისს, ორი წერილი ერთათ. მწერდი, სამასი მანეთი გამოგიგზავნე დეპეშითო. დეპეშით ფული მე არ მომსვლია, სოსიკომ კი ჩამოიტანა (250 მ.), სხვა არ ვიცი. შენმა წერილმა დამამიედა, თორემ ჯავრით აღარ ვიყავი. სოსიკოს ამბავი ვერაფელი გავიგე. მაგან რომ აიარა, იმ დღეს მატარებელი დაიმსხვრა

და დაილუპენ. ვიფიქრე, სოსიკო დამელუპა, სულ ვტიროდი. ის იყო, კაცს ვაგზავნიდი სვირში და დეპეშა უნდა გამო-მეგზავნა, იმ დროს შენი წერილები მომივიდა, დავწყნარდი; მწერდი, სოსიკომ მიამბო თქვენი ამბავიო. სონიას საქმემ ძალიან შემანუხა. ვმადლობ ღმერთს, ეხლა კარგათ ყოფილა. მომწერე, ჩემო დედა, ეხლა როგორ არის. სხვა, სერგოს ჭირიმე, მამაშენის საქმე რალა საკითხავია, ვერ აგინერ. წევს, ზეზე არ დგება. რა უყო, არ ვიცი. დალევს ჩაის, ცოტა ხანს შემდეგ იყვირებს, რატომ დილას ჩაი არ დამალევინეთო. თუ უთხარით, დილას დალიეო, ვაი ჩვენს ყოფნას, თორემ ისევ უნდა გაუკეთოთ. დალევს კიდო ორს. სადილს ჭამს, ცოტა ხანს შემდეგ გვეტყვის, რატომ სადილი არ მაჭამეთ, აყვირდება. ვზივარ კრუხივით და უცდი, რა მოითხოვოს, რა უყო. ასე რომ ვიტანჯები. არ ვიცი, არევის არ იკარებს, არევენ არ შედის მასთან, ყველას ეშინია. აბესალოს იხმობს ხანდახან და იმას დაუნწყებს ლაპარაკს, ისე არავის ხმას არ სცემს. აბესალოს უთხრა, ჩემი იუბილელი ყოფილა ექვს მაისო, ჩემთვის არაფელი არ უცნობებიათ, ტანზე არაფელი არ მაცვია და მასხრათ მე არ გამოვალ ხალხშიო; რატომ სერგო არ მწერს, ან ადრე არ მოდის, თუ მართლა ექვს არისო. აბესალოს უთხრა, მისწერე, მე არ მსურს, იქნეს იუბილელი და თავი დაანებონო. სულ აღარ არის. თუ მართლა იქნეს, შენ დროზე ჩამოდი, რომ ბლუზა მაინც მოუსწროთ, სირცხვილი არის.

სოსიკოს უთხარი, მისი ამბავი მოიწეროს ყორიფელი. პოლიკარტე თავისთვის მუშაობს, ნოეც. მე ჯერ არავინ მცემს ხმას და ანი არ ვიცი. საყვედურს მწერ, წერილს რათა არ იწერებო; რა მოგწერო, ასეთი წერილი რა სასიამოვნო არის. სერგო, გოგის მიეცი, თუ დაგიჯეროს დღეში, თორემ ერთი თვის ან ორი კვირის მიეცი ჯერ და მეორე ორი კვირის შემდეგ. ფული სოსიკომ რომ ჩამოიტანა, ჯერ გვაქვს. თუ წამოხვიდე, სუხარი წამოუღე, გენაცვალე.

ვაკოცებ სონიას ბევრს და ლიალიას ენაცვალოს ბებია.

შენი დედა გააკოცებს

4 მაისი [1930, სიმონეთი]

ტიციან ტაბიძე – დავით მესხს*

ტფილისი, 930 წ. 8 მაისი.

ღრმად პატივცემულო, ძვირფასო ბატონო დავით, თქვენი ბარათი გუშინ გადმომცეს. სამწუხაროდ, მოკლებული ვარ საშუალებას სიამოვნებით გავაკეთო ის, რასაც ბარათში მთხოვთ, რადგან 10 მაისს მივდივარ მოსკოვში სამი კვირით და მანამდე კი ფიზიკურათ მოუხერხებელია ამ საქმის მოგვარება.

თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ მე და ჩემი ამხანაგები ვაფასებთ თქვენ დამსახურებას ქართულ მწრლობის წინაშე და თქვენი მოგონებები იშვიათ ისტორიულ მასალათ მიგვაჩნია ღარიბ ქართულ ინტელიგენციისთვის: პირადათ მე ვიცნობ ამ მოგონებებს, მე და შანშიაშვილს გადმოგვცა ვუკოლ ბერიძემ და ჩვენ გადავეცით ქართული მწერლობის რედაქციას.

ამ ჟამათ, როგორც თქვენ უკვე გცოდნიათ, „ქართული მწერლობა“ ვერ გამოდის რეგულარულად, მაგრამ, იმედია, ამ მოკლე ხანში მწერალთა ფედერაციას ექნება თავისი ორგანო, ესეც არ იყოს, ვეცდებით ეს წერილები სადმე მოვათავსოთ, ან ცალკე წიგნათ გამოვაცემიოთ რომელიმე გამომცემლობას.

ყოველ შემთხვევაში, ამხანაგების წრეში წავიკითხამთ და კოლექტიურ ბარათს მოგწერთ: ყოველ შემთხვევაში, თქვენ ჩვენი განაჩენი ყოველთვის უნდა იცოდეთ, ვისაც გაუვლია ქართველ მწერალის გზა და იცის მესხების დამსახურება ქართველ ერის წინაშე, თქვენ პირადადაც რომ არ გიცნობდეთ, მაინც პატივს გცემთ, ჩვენ კი გვემატება თქვენი პირადი სიყვარული და პატივისცემა: დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველაფერს მოვაგვარებთ და ამ სიბერეში გულს არ დაგწყვეტთ.

თქვენი პატივისმცემელი და ერთგული ტიციან ტაბიძე

* დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში.

ტიციან ტაბიძე – ტფილისის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის გამგეს

ტფილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის გამგეს.

ტფილისი მთელ საბჭოთა კავშირში მიჩნეულია ერთ-ერთ ისტორიულ და არქეოლოგიურ ნაშთებით მდიდარ ქალაქათ. მდებარეობის გარდა ტფილისი კულტურულ ინტერესითაც იზიდავს მრავალ ტურისტებს და ექსკურსანტებს, როგორც საკავშირო რესპუბლიკიდან, ისე უცხოეთიდანაც.

უკანასკნელ წლებში მთელ რიგ ტურისტულ საზოგადოებათა დაარსებით (საბჭოთა ტურისტი, უცხოეთის ტურისტი) მხარეთ მცოდნეობის საკითხები ინვევენ ფართო მასსების ინტერესს და ცხადია, ტფილისი ხდება ყურადღების ცენტრად. მთელ რიგ სხვა იშვიათ სანახაობათა გარდა ტფილისის სილამაზეს შეადგენს ფუნიკულიორი და მთანმინდა, უფრო მთანმინდა, როგორც საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა მთავარი და ნამდვილი პანთეონი. არავინ ისე არ ჩამოვა ტფილისში, რომ მთანმინდა არ ინახულოს. ეს ადგილი ყველაზე უფრო პოპულიარულია მთელ ტფილისში. აქ არიან დასაფლავებული: აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ალ. გრიბოედოვი, სახ. არტისტი ვასო აბაშიძე, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, პროფ. ალ. ცაგარელი.

ყოველი ამათგანი ცალკე მუზეუმის ღირსია, იმდენათ დიდია მათი ღვაწლი მშრომელი ხალხის წინაშე.

ტფილისის აღმასკომს გადანყვეტილი აქვს და კიდევ სწარმოებს მუშაობა მთანმიდის ახლო ალ. გრიბოედოვის მუზეუმის შექმნისათვის. თავისთავად ეს გადანყვეტილება მეტად სიმპატიურია – ალ. გრიბოედოვი ბევრით არის დაკავშირებული საქართველოსთან და თავისთავად წარმოადგენს მნიშვნელოვან ფიგურას სათეატრო ხელოვნებაში და მწერლობაში, მაგრამ მარტო მისი მუზეუმის გამოყოფა არ არის მიზანშეწონილი. ბევრათ უფრო საინტერესო იქნება და მშრომელ მასებისათვის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება, თუ მთანმიდაზე მოეწყობა ყველა მთანმიდაზე დასაფლავებულ მოღვაწეთა და მწერალთა მუზეუმი. სწო-

რეთ იმ სახლში, სადაც განზრახულია ალ. გრიბოედოვის სახელობის მუზეუმი – შეიძლება მოენყოს დანარჩენ მოღვაწეთა და მწერალთა ოთახებიც და ამით მუზეუმს მიეცემა მთლიანი ხასიათი. მთანმიდის მუზეუმის საშუალებით აუარებელი ექსკურსანტები და ტურისტები გაეცნობიან ქართულ კულტურის უდიდეს მუშაკთა ცხოვრებას და მოღვაწეობას. გარდა საფლავების დათვალიერებისა, რომელსაც ზოგჯერ ზედ არაფერი არც კი აწერია – ყოველი მნახველი მოგზაური წაიღებს მთლიან შთაბეჭდილებას აქ დამარხულ მოღვაწეთა შესახებ.

ამ მუზეუმში იქნება გამოფენილი: სურათები, პორტრეტები, გრაფიურები, წერილები და ხელნაწერები, წიგნები ამ მწერალთა სხვა და სხვა დროს გამოსული ყველა ენებზე, მათი ბიოგრაფიები და ბიბლიოგრაფიული მასალები და საერთოდ ყველა სამუზეუმო ნივთები.

მთანმიდის მუზეუმს შეუძლია გასწიოს საქ. სალიტერატურო მუზეუმის მაგიერობა, სალიტერატურო მუზეუმი კი აქამდე არ არსებობს ტფილისში, როცა სხვა კულტცენტრებში თითქმის ყველა ასე თუ ისე ცნობილი მწერლისა და მსახიობის ცალკე მუზეუმებია. სალიტერატურო მუზეუმის ექსპონატები ეხლა სხვა და სხვა ადგილას არის გაბნეული.

ქალაქს ამ მუზეუმის მოწყობა ძვირი არ დაუჯდება, რადგან უმთავრესი მასალები უკვე შეგროვილია, საჭიროა მათი თავის მოყრა, სახლის გამოყენებაც ადვილია, საჭიროა მხოლოდ მცირე რემონტი.

ამიტომ შემომაქვს წინადადება – აღმასკომის კომუნ. მეურნეობამ აიღოს ამ მუზეუმის დაარსების თაოსნობა; თუ საკითხი პრინციპიალურად გადაწყდება და მუზეუმის საჭიროება გამოირკვევა, მაშინ ქალაქის კეთილ-მომწყობ განყოფილებამ გამოჰყოს ტექნიკური კომისია, რომელშიც შევალ მეც და ამ კომისიას წარუდგენ დანვრილებით გეგმას.

მთანმიდის მუზეუმის დაარსებით ქალაქი შეიძენს ერთ იშვიათ კულტურულ დანესებულებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქართულ კლასიკურ პერიოდის მწერლობის შესწავლისათვის და საერთოდ, ფართო მშრომელთა

მასების გათვითცნობიერებისათვის და ეს იქნება ქალაქის საბჭოს გამარჯვება კულტურულ რევოლუციის ფრონტზე.

ტიციან ტაბიძე

8 მაისი, 1930 წ.

ქ. ტფილისი

ნიკოლო მინიშვილი – შალვა სოსლანს

ამხ. შალვა!

პასუხი დამიგვიანდა, მაგრამ ჩემი ბრალი არაა: ბევრი დავი-
დარაბა მაქ ამ გოსიზდატში. გწერ „ლოზუნგოვ“:

1. „ეპოპეას“ უნდა დაერქვას „Тень и дым“.
2. რედაქციას ალბათ გაუკეთებს გოსიზდატი. რედაქცია ალბათ საჭირო იქნება.
3. შენ რომ თარგმნას გაათავებ და გადაბეჭდავ, ორი ცალი დააბეჭდვინე – ერთი ჩემთვის და ერთიც გოსიზდატითვის. გადაბეჭდვის ხარჯი – ჩემია, რაც მოუწევს.
4. რას ფიქრობ რედაქტორის შესახებ. ვინ იკისრებს და ვინ აჯობებს. „ისტინო-რუსკი“ რედაქტორი არ მინდა, რადგან წიგნს გამირუსებს.
5. თებერვალზე უნდა დაერთოს „ეპოპეას“. ყოველ შემთხვევაში, შეთანხმება ასეთი იყო. რავინმა იცის. ასე რომ, ვინც „ეპოპეას“ გაასწორებს, იგივე გააკეთებს თებერვლის რედაქციას.
6. ორბელიანის ლექსის თარგმნა „დასავლეთის ქრისტეს ერებზე“ თუ გაძნელდეს – არ იქნება საჭირო. ყოველ შემთხვევაში – შენ იცი, როგორც აჯობოს.
7. წინასიტყვაობის თარგმნა არაა საჭირო. მაგ წინასიტყვაობა უფრო ადგილობრივი ხასიათისაა და რუსეთში არ მინდა. შეიძლება, რამე კერძოდ დაუწერო რუსულს.
8. გთხოვ: დააჩქარო თარგმნა. და მაცნობო, როდის უნდა იფიქროს კაცმა თარგმანის მოთავება. ეს მე მაინტერესებს ფრიად. გარდა ყველაფრისა ვარდისაც უნდა გაუგზავნო წინასიტყვაობისათვის და ესეც დროს მოითხოვს. შემატყობინე.

9. მეორე ნაწილს მაგ წიგნისას მოვათავებ ამ ზაფხულში და ალბათ იმავე გზით წამოვა შენთან.

ველი პასუხს და გისურვებ მრავალსა და მრავალ სიკეთეს.

მეგობრული სალმით ნ. მინიშვილი

24. V. 30, [თბილისი]

ანდრეი ბელი – ტიციან ტაბიძეს

Судак, 30 июня 1930 года.

Дорогой, милый Тициан,

Вы простите меня, что так долго не отвечал на Ваше доброе, хорошее письмо. Оно застало меня в угаре работы; истекал последний срок отсрочки для сдачи „Федерации“ второго тома „Москвы“; Вы знаете, что такое работа под „финиш“; это нечто в роде государственного экзамена; подумайте: с 10 сентября и до первого июня безперерывная ковка строк, раскаленность сознания, ряд новых лабораторных опытов: к концу так изнемог, что мог кончить лишь потому, что выключил себя из всех сфер, посадил на цепь; и часто не мог ответить на спешное деловое письмо целый месяц; а тут к концу мая – еще: ангина, отъездные сборы, приезд Р. В. Иванова в Кучино. К тому же: с нетерпением ждали с К. Н. Вас весь май; и думали лично Вас поблагодарить за доброе приглашение приехать, за предложение пожить в Каджорах; и кроме того: не в письме, а в личных переговорах хотел я Вас кое что распросить в связи с приездом на Кавказ.

Нам и хотелось на Кавказ; был план: приехать в Красную Поляну с мая, пожить там месяца два, оттуда побродить в горах (Теберда, Цей и, как знать, Военно-Осетинская). Тогда бы увиделись в Тифлисе, или на побережье. Даже списались с Краснополянскими хозяевами. Но продовольственный вопрос и некоторые другие заставили нас отказаться от Кавказа (пока). И вот мы в Судаке: пока прекрасно устроились с помещением, питанием, отдыхом. И так удачно устроились, уже решили

ერთი გულით შენ შეგნატრი, რომ ხარ შენთვის, მოცილებული ამ ამბებს და მუშაობ.

შენი „ქეთო და ცხენი“ ითარგმნება. ის ყმანვილი შემპირდა ნიმუშის მოტანას ამ დღეებში. მე მგონი, საჭირო იქნება თარგმანი ჯერ გადაიკითხო და რედაქცია გაუკეთო.

ერთი სიტყვით, როგორც მოინერები.

იყავი კარგად.

მოკითხვა რძალს.

მოგიკითხათ ნინამ.

წერილის მონერას ნუ დაიზარებ.

მართალია, თუ შენთვის საძნელო არ იქნება, როგორმე ეს პატარა ბარათი მიანოდე ვ. გოლცევის. „მახრას“ თარგმანს ველი შენს წერილთან ერთად.

ძმური სიყვარულით რაჟდენ გვეტაძე

16/IV

[1931, თბილისი]

კუმბა პეტროვ-ვოდკინ – ტიციან ტაბიძეს

20-го выиду.

Абастуман

Петров-Водкин

[აპრილი, 1931]

ანდრეი ბული – ტიციან ტაბიძეს

Дорогой, милый Тициан (и Вы, дорогая Нина Александровна), Спасибо Вам за хорошее, доброе письмо, которое так под-держало нас с Клавдей Николаевной, на которое Вам хотел ответить тотчас же, а прошло 11 дней, прежде чем мог сесть ответить; не верите, а моя кучинская жизнь сложилась так, что иногда неделями все время уходит на выбарахтывание из маленьких преодолеваемых неприятностей, если смотреть философски; но каждая – сюрприз дня и едкий укус, заставляющий горько вскрикивать. Сил же физических и у меня, и у К. Н. все меньше и меньше. Паоло нашел нас хорошо вы-глядящими; это – иллюзия, нервный взбодр (я в пол часа меняюсь лицом). Да, милый друг – хлопнула нас К. Н. жизнь в этом году именно вавилонской башней маленьких гадостей, сумма которых – не мала; ведь и атом строящий гранитные препятствия, в отдельности взятый – маленький, а тем не менее – Эльбрус гигант; так из каждодневных сюрпризов (сегодня то, завтра другое) за эту зиму выросла гора, взби-раясь на которую мы сломали здоровье, силы (не говоря о нервах); и все это в спину, со спины, ибо я работая до 20-го февраля, упорно переделывая и редактируя первый том сво-их стихов (готовясь к смерти, ибо есть ощущение, что если будет так еще с 1½ года, то – не выдержу); Вы спросите, что так? А вот пример (1/100 из маленьких преодолеваемых па-костей в спину, сумма которых непреодолеваема); кончал ра-боту 20-го и радовался, что вечером смогу написать Вам и ряд деловых писем, которым не мог отдался; прошу налить лампу

керосином; Мне говорят: „Керосина – ни капли!“ Электрчества – нет, свечей – нет, керосина – нет; не умею проснуться ранее 4 утра; стало быть: перспектива отныне с 7 часов вечера до 6 утра сидеть в кучинском мраке и видеть как сырость (жилые стены) с углов подвигается до потолка; К. Н. – в Москве; хозяйки – нет (ее никогда не бывает); девушка (должна завтра родить) почти неизвестная, которую едва умолили носить (у хозяйки – грудная жаба, мы – едва таскаем ноги), уходит...

Я вскочил, схватил шапку в охапку и бежал в Москву (хлопотать о керосинной бумажке: нам выдавали ½ литра керосина на 2 недели); в конце концов кризис керосинный, кажется, исжит, а в первый же день приезда в Кучино – новый инцидент; и это длится 3 месяца: не то, так другое; присоедините к этому: 1) мы с К. Н. все время едва таскаем ноги, 2) я переутомлен до ужаса работой; и топим и таскаем дрова, и сторожим дом, и воюем с хозяйкой за право топить, проверять комнаты и т. д.

Сил, дорогие друзья – н-е-т!

Дорогой друг, не думайте, что это жалобы, я бодр и крепок духом; но дух – моменты, вспыхивающие как звезда: воспоминание о которых помогает усталому телу кое как цепляться за бытие; и дух – впечатление Паоло, что хорошо <...>; дорогой, дух, это – редко посещаемый момент, а 24 часа в сутки наполнены душой и телом; душа – разорвана в клочки; она, как калека опирается на тело, свои костыли; а костыли – надломлены. И – вот: все же я не жалею; я констатирую, что, очень, очень родной, мы устали. И это пишу в связи с одной из тем разговоров с Паоло; Паоло нас обрадовал возможностью устроиться на зиму, гденибудь около Тифлиса (указывая на Авчалы); нам с лета деваться некуда; в Кучине жить нельзя; слабое здоровье, теплая зима в Тифлисе и сухой климат (не говоря о друзьях), вот – повод нашего выбора Грузии для временного (на год, два переселения); теперь веду переговоры с „Зифом“ о командировке в Грузии для написания книги „Советская Грузия“; мотив здоровья подкреплён и работой; близость к Тифлису нужна (музеи и прочее), оттуда

буду вылетать туда-сюда (производства, памятники, фрески, природа, быт и т. д.),

Все это – так: но уже после отъезда Паоло мы сообразили с К. Н., что опустили одну существ. подробность; мысль о возможности укрепиться в Авчалах (если нельзя в Тифлисе) – радует; но это – не ранее конца лета.

Сейчас наш приезд (март-июнь) месяца 2-3 – иной: 1) очухаться от ужасной кучинской зимы и поправить силы; 2) кстати: ориентироваться на месте; и отдохнуть с месяц, приняться за реальные поиски постоянного жилища; Л. П. пишет К. Н., что можно найти в Тифлисе комнаты 2 (ценой около 100 рублей в месяц каждая); нам это очень важно, хоть и дорогавато; но месяца полтора, два – можно. И именно для поправки здоровья; всю зиму не только хозяйство, но и чужое хозяйство свалилось на нас: К. Н. изнемогла от топки печей, приготовления кушанья и всего того, за что мы платим 30 рублей в месяц (вместо услуг – сами все делали, да еще оказывали услуги); и вот: сейчас начинать в Авчалах жизнь – т. е. с места в карьер проблема питания, приготовление кушаний, обзаведения, вопрос о прислуге – не-во-з-мо-жен, ибо мы больны от этой перегрузки в Кучине; лишь отдохнув, можем мы вернуться во все это.

Это значит: ни в коем случае сейчас мы не можем сесть в Авчалы.

Нам хочется разгрузиться хоть на месяц; более всего хочется в Тифлисе снять комнаты на 1 месяц (1½), питаться в столовой, жить в городе, видеть друзей: рассеяться от деревенского Кучинского ледака, который нас доконал с ноября. Если этого нельзя – мы прямо из Тифлиса едем на курорт (сколько бы это ни стоило) поправлять здоровье (К. Н. лечится от сердца, я – измучен рядом гриппов).

План наш таков: месяц отдыха в Тифлисе; и кстати: нащупывание почвы о помещении, потом, если время позволит, – отдых на море: апрель-май; в мае, июне (июле?) окончательное снятие помещения, где бы ни были (если в Авчалах – прекрасно); тотчас отказ от Кучина, которое мы, пока не сняли помещение, мы сохраняем за собой; и – возвращение

в Москву для окончательного переезда (когда это будет – в конце ли лета, в начале ли осени – не знаю). С „Зифом“ если это дело наладится, я обмениваюсь письмом о моем намерении дать книгу „Советская Грузия“, в случае, если мне удастся переселиться в Грузию; книга – не договор; „Зиф“, кажется, хочет мне командировкой оказать помощь: поправиться и устроиться.

Сейчас мы – только больные; первые 1½ месяца – санаторий, который заключается в разгрузке от печей, хозяйств и т. д. А потом – самое решительное устройство жизни (и тогда радуемся Авчалам); сейчас мысль о том, что с места в карьер выплывет вопрос о столовой, кухне, прислуги и т. д. – приведет в ужас.

Между тем из слов Паоло, кажется, вытекало, что он хотел нам помочь устроиться прочно тотчас же; это – невозможно, ибо мы не в силах и К. Н. надо подготовить еще своих к переезду.

Кучинская жизнь при Москве – сломила К. Н. (бедняжка, таскает на себе корм из Москвы). Это то и довело ее до сердечной болезни. Когда нервы окрепнут немного именно в пансионской ли, курортной ли, комнатной ли жизни (в Тифлисе, Сухуме, или Новом Афоне), тогда сможем мы произвести операцию окончательного переселения туда, где судьба положит нам жить; тогда и я серьезно примусь за работу о Грузии. Понятно ли я пишу?

Намерение наше окончательно: переехать; но чем оно серьезней, тем и ответственней (для К. Н. это – невыразимо трудная технически) операция, а она, бедненькая – очень, очень слаба!

Милый друг, до скорого свидания. Откладываю все сердечное. Это письмо лишь деловое. В Кучине высидеть до 15 марта трудно. Тем не менее, ранее не управимся; но и позднее не удобно (конец дровам, а до июня – холод); и так: кладем себе решительно время отъезда пятнадцатого числа (не поздней 20-го); и независимо от возможности устроиться в Тифл. или нет с комнатами – едем; если нельзя, то – прямо к морю (с остановкой на 1-2 дня, если есть где, в Тифлисе). Но очень хотелось бы от Вас или Паоло весточки, ориентирующей нас (он обещал): письмом или телеграммой.

Дорогой друг, еще раз сердечнейшее спасибо за Ваше письмо; и милой Нине Александровне тоже.

Паоло и Вашим сердечный привет от нас с К. Н. С Григ. Тит. рассчитываю увидеться в Москве до получения Вами этого письма. Остаюсь сердечно любящий.

Борис Бугаев

[კუჩხიბო, 1931]

სერგო კლდიაშვილი – სეთი დევდარიანს

დიდათ პატივცემულო ბ-ნო სეთი!

ბოდიშს ვიხდი შენუხებისათვის. გნერთ მწერალ დავით კლდიაშვილის შესახებ.

დავითი სოფელში არის. შარშან ივლისის აქეთ ლოგინში წევს აუდგომლათ. ძალიან ცუდათ არის. რამოდენიმე თვე თუ იცოცხლა კიდევ, ესეც დიდია. შეიძლება არც ღირდა არავის შენუხება ამ მომაკვდავი ადამიანის გულისათვის, მაგრამ ის იმდენათ ცუდ პირობებშია, რომ შეუძლებელია, ჩვენის მხრივ მაინც უყურადღებოთ იქნეს მიტოვებული.

თუ გახსოვთ, შარშან მისი იუბილე იყო. იუბილეზე მრავალი დაპირებები მისცეს იმის შესახებ, რომ ნივთიერად უზრუნველყოფდენ, პენსიას გაუდიდებდენ და სხვა. გაზეთებში რამოდენიმეჯერ დაიბეჭდა ცნობა, რომ განათლების კომისარიატის შუამდგომლობით სახკომსაბჭომ პერსონალური პენსია (250) უნდა მისცეს და სხვ. ყველაფერი ცალიერ დაპირებათ დარჩა.

ამჟამად დავითი ასეთ მდგომარეობაშია: აქვს ტვინის სკლეროზი, ქრონიკული რევმატიზმი, ნაწლავების კატარი, შარდსველარ იკავებს და ხშირად გრძნობა ეკარგება. ერთადერთი მისი მომვლელია ცოლი, თითონაც მოხუცი და ავადმყოფი.

ვინაიდან სხვა საშუალება არ არის, კატარით დაავადებული სჭამს ლობიოსა და ჭადს, რაც კიდევ უფრო უმძაფრებს ტკივილს. ავადმყოფს არა აქვს საცვალი და თბილი საბანიც კი. მთელი ზამთარი ასეთ მდგომარეობაში გაატარა. გარდა ამისა,

შემაც არ ჰქონდათ ოთახის გასათბობათ. დავითს სოფელში პატარა ტყე ჰქონდა. რამოდენიმე წლის წინად ტყე ჩამოართვეს. ითხოვა დედამ სოფლის საბჭოში, შემა მიეცათ, მაგრამ უარი მიიღო. საერთოდ, სოფლის ხელისუფლება რატომღაც ცუდათ ეპყრობა (მიზეზათ ის მოჰყავთ, რომ აფიცერი იყო). ერთხანს შავ სიაში მოთავსებაც კი დაუპირეს და ალბად ასე მოიქცეოდნენ, რომ ქუთაისის პარტკომისათვის არ გვეცნობებია.

დავითს პენსია აქვს 150 მ., მაგრამ ამ ფულიდან ნახევარს აძლევს თავის უმცროს ვაჟს, თბილისის შრომის სკოლის მოსწავლეს. წინად ცოტაოდნათ მე ვეხმარებოდი იმით, რომ უმცროს ძმას ხელს ვუნყობდი, მაგრამ ეხლა აღარ შემიძლია დახმარება გაუნოო, ვინაიდან მეშვიდე თვეა, უმუშევარი ვარ. ძალიან გთხოვთ, თუ ეს თქვენი შემანუხებელი არ იქნება, სთხოვთ ლავრენტი ქართველიშვილს, სამსონ მამულიას, ან სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, დავითს დახმარება გაუნოონ. მინდოდა ლავრენტი ქართველიშვილთან მისვლა, მენახა პირადათ და შეამბნა მისთვის ყველაფერი. ქართველიშვილი წინად ყოველთვის დიდი ყურადღებით ექცეოდა დავითს. მაგრამ მე მიმიღებს კი?

მრცხვენია, ამ თხოვნით მოგმართოთ, მაგრამ მეცოდება მოხუცი, მე კი უღონო ვარ, დავეხმარო რამეთი. იმდენი სიკეთე ქნან, რომ მუშკოპიდან ან „გრუზგოსტორგიდან“ საცვლების და საბნის გამოტანის ნებართვა მისცენ.

გარდა ამისა, განა არ შეიძლება, მთავრობამ მიიღოს ზომები, რომ სოფლის მთავრობა დავითს აღარ ავინროებდეს? რას ერჩიან, არ ვიცი. შარშან სოფელში მამასთან იყო რაიონული პარტკომის (ჩხარის) მდივანი, პირობა მისცა, რომ სოფლის აღმასკომი თავის შეცდომას გამოასწორობდა. დასტუქსა კიდევ დავითის წინააღმდეგ ინტრიგის მეთაური, მაგრამ გაიარა ხანმა და ისევ დაუნყეს ჩხიკინი.

ცხადია, დავითის გამომრთელება აღარ შეიძლება. მისი სიცოცხლის დღეები დათვლილია, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მაინც, მახლობლებმა, არ ვიზრუნოთ იმაზე, რომ დარჩენილი დღეები ცოტაოდნათ ადამიანურ პირობებში გაატაროს?

დავითისთვის ზედმეტს არაფერს ვითხოვთ. მის მომვლელ

ცოლისათვის, დედასთვის, სრულიად არაფერს ვითხოვთ, თუმცა მისი მდგომარეობა ცუდია. მხოლოდ დავითს მიხედონ. არც იმას ვითხოვთ, რომ ყოველგვარად უზრუნველყონ. ვითხოვთ მხოლოდ იმას, რომ გაჭირვება შეუმსუბუქონ.

თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, დაეხმარეთ დავითს. აუხსენით მისი მდგომარეობა პარტიის ან მთავრობის სათავეში მდგომთ.

დიდ ბოდიშს ვიხდი შენუხებისათვის.

თქვენი პატივისმცემელი

სერგო დავითის ძე კლდიაშვილი

[თბილისი, 24 აპრილამდე, 1931]

შალვა აფხაიძე – სერგო კლდიაშვილს

ჩემო სერგუშა!

თქვენი მოლოდინი ვერ გავამართლე, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის. სწორედ კვირით დანიშნეს ახალი გამგეობის სხდომა. მეც სასწრაფოდ წავედი სურამში შაბათს და დილით უკვე აქ ვიყავი... კრება კი აღარ შესდგა. წერილის გამოგზავნა მინდოდა, მაგრამ მისამართი არ ვიცოდი. არც ერთ წერილში კი არ მატყობინებდი. ვერ წარმოიდგენ, სერგუშ, როგორ მომეწყინა უშენოდ. ეხლა მაინც სრულიად არაფერი საქმე არ მაქვს და ისე ვირთობ თავს პანაევას კითხვით.

სერგო შენ სულ წაღებულნი გქონია 516 მ. 90 კაპ. ასეთია ბუხჰალტერის ცნობა. გერგებოდა 525 მანეთი. ავიღე დანარჩენი, ზედ დაუმატე კორექტურას და გიგზავნი 30 მანეთს. მართლა, სერგო, სახლიდან ყოფილა დეპეშა (დათიკომ მითხრა), რომ დავითი ძლიერ ცუდათ არისო და შენ ჩასვლას უცდიან. აგრედვე ითხოვდენ თურმე მოსკოვში შეტყობინებას. შენ მაქედან უნდა ნახვიდე სოფელში აუცილებლად. სონია გამოუშვი აქედ და დავეხმარები მე შენ მოსვლამდე, ხომ გაიგე.

შენი შალიკო

ავიღე სულ 70 მანეთი. 10 მანეთი ერთ ისეთ ბიჭს მივეცი,

რომ... სხვა გავყევი ძმურად... სერგო, მალე ჩამოდი, იცოდე, თორემ ამ მოწყენილობას ველარ გავუძელი. ჩამოვიდა ნინა ტაბ. მომივიდა სურათები ნინასი: მშვენივრად არის. გასუქებულია და გაკეთებულია.

მოკითხვა სონიას და კოცნა მელიტას. მითხრეს, სონია ისეთი ინტერესნი გახდა, რომ ველარ იცნობო. მეორედ ხომ არ შეგიყვარდა?

[თბილისი, 24 აპრილამდე, 1931 წელი]

სერგო კლდიაშვილი – შალვა რადიანს

ამხ. შალვა!

24 აპრილს დავითი გარდაიცვალა. იმ დღესვე დეპეშა გამოვაგზავნი და შეგატყობიეთ. ეხლა სპეციალურად კაცს ვაგზავნი და საჩქაროდ გთხოვთ პასუხს: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? სოფელში არაფერი იშოვება დასაფლავებისთვის საჭირო. შეიძლება მხოლოდ ქუთაისიდან კუბოს ჩამოტანა. გვეშინია, ცხედარი არ გაფუჭდეს. აქ ყინული არ იშოვება. სასურველი იყო მასკის გადაღება. ჩვენ ფული არა გვაქვს დაკრძალვის ხარჯის დასაფარად. თუ კავშირი ან მთავრობა იკისრებს, გთხოვთ, შეგვატყობიეთ. მად უნდა იქნეს შესვენებული, თუ ადგილობრივად დასაფლავდეს? თქვენგან პასუხის მიღებამდე ვიცდით.

ერთი სათხოვარი კიდევ: დავითის მეუღლეს ტანსაცმელი არა აქვს. თუ შეიძლება, სრულიად უბრალო შავი რამე მატერია გამოატანიეთ და გამოუგზავნეთ.

თქვენგან პასუხის მიღებამდე გაჩერებული ვართ. ამ წერილის მომტანი დღესვე უკან ბრუნდება და პასუხი მას გამოატანეთ.

მისამართი სოფლის: სადგური სვირი, სოფელი ზედა-სიმონეთი. აქედან შეიძლება ურმების გამოგზავნა, სადგურზე კი ცხენები ქირავდება.

პატივისცემით სერგო კლდიაშვილი

25/IV. 1931 წ. სოფ. სიმონეთი

დავით კლდიაშვილის დამკრძალავი კომისია – გიორგი ლეონიძეს

ამხ. გ. ლეონიძეს

სამშაბათს, დილის 8 საათზე მოასვენებენ სახალხო მწერლის, დავით კლდიაშვილის ნეშტს. გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა შეხვედრაში და მოხვიდეთ სადგურზე ამ დროსათვის.

დამკრძალავი კომისია

[25–27 აპრილი, 1931 წელი]

ქეთევან კლდიაშვილი – სერგო კლდიაშვილს

საყვარელო ძმაო სერგო!

შენ დაგვრჩი მამის მაგიერი, ჩემო სერგო, შენ გადაგწყდა ყველაფერი. წარმოდგენილი მაქვს შენი მწუხარება, შენ რომ თავგადადებული იყავი მამასთვის. ჩვენსავით კი არა, აბა, მივატოვეთ და გადმოვარდით ამ ქვეყანაში, საიდანაც ვერ მოაწევ. ჩვენთვის გაორკეცდა მწუხარება – ჯერ ერთი, დავკარგეთ საყვარელი მამიკო, რომელსაც ჩვენ სიცოცხლეში ვერ მოვინელებთ, მეორე ის, რომ ვერ დავესწარიტ, უკანასკნელად გამოვთხოვებოდით ჩვენ საამაყო მამას. ამისთვის გაგვზარდა, რომ მიგვეტოვებია?

ძალიან გთხოვ, სერგო, ამ მოკლე ხანში გამომიგზავნო იმ გაზეთის ყველა ნომრები, სადაც კი მამის შესახებ იყო, რუსული გაზეთიც. ვერ ვისვენებ, ძალიან ცუდათ ვარ. დედის ჯავრი ცალკე მანუხებს, თუმცა თქვენ კი არაფერს გაუჭირვებთ, მაგრამ მეცოდება სანყალი.

ჩვენ ბილეთებით ხელში დავრჩით, რადგან მივიღეთ დეპეშა, რომ დასაფლავება 29/IV-შიაო. დეპეშა გამოგიგზავნე შალვას სახელზე, რომელშიდაც გთხოვდი, 3/V-ისთვის გადაგედვათ. მერე გაგვახსენდა, რომ მაისის უქმეები იყო. ჭკუაზე კინალამ შევიშალე, ისე ვიყავი იმ დროს.

მოინერე, ჩემო სერგო, შენი ამბავიც. ჩვენ მალე წამოვალთ, აკბარს უცდი, ჯერ არ დაბრუნებულა. სონია და ლიალია როგორ არიან. ვკოცნი ორივეს.

გაკოცებთ მე და თემური.

შენი ქეთო

1/V-31 წ.

[ტაშკენტი]

გიორგი ლეონიძე – შალვა რადიანს

ამხ. შალვა!

ვაჟა-ფშაველას შვილმა ჩვენ მუზეუმში შემოიტანა განცხადება, რომელშიც გვთხოვდა შეგვეძინა ვაჟას მემორიალური ნივთები.

რადგან ჩვენი მუზეუმის ამოცანას შეადგენს მხოლოდ მთან-მინდაში დასაფლავებულ მწერალთა მასალების შემოკრება, ამისათვის ჩვენ არ გვაქვს იურიდიული უფლება ხსენებული ქონების შეძენისა.

მაშასადამე, ნივთები უნდა შეიძინოს ისევ ფედერაციამ.

მაგრამ ერთი გამოსავალი კიდევ არის. თუ ფედერაციამ ვერ მოახერხა ეს ამბავი, მაშინ მან უნდა იშუამდგომლოს ტფილისის საბჭოს კომუნალურ მეურნეობისადმი, რათა მან შეიძინოს მთანმინდის მუზეუმისათვის. მაშინ, თქვენი შუამდგომლობის შემდეგ კომუნალურ მეურნეობას ექნება საფუძველი ანუ გასამართლებელი საბუთი მათ შესაძენად.

ვფიქრობ, ეს საქმე ხელიდან არ უნდა გაუშვათ, სანამ დროა და ამ ერთ-ერთი გზით უნდა დავაბინაოთ.

გიორგი ლეონიძე

18. VI. 1931

[თბილისი]

ვალერიან გაფრინდაშვილი – შალვა რადიანს

პატივცემულო ამხ. შალვა!

მივიღე უკრაინული ჟურნალები. ვეცდები, გადავთარგმნო, რაც შეიძლება მალე.

ვალერიან გაფრინდაშვილი

29/VI – 31 წ.

[თბილისი]

სერგო კლდიაშვილი – ალიო მაშაშვილს

საუდის დირექტორს – ამხ. ა. მაშაშვილს

პატივცემულო ამხანაგო!

მე ავად ვარ და ამიტომ წერილს გიგზავნით. ჩემი თხოვნა შემდეგია: მარჯანიშვილის თეატრიდან, სადაც „სამანიშვილის დედინაცვალი“ იდგმება, ჩემს ძმასა და დას ერგებათ ჰონორარი. ნოტარიუსთან საქმე გადაცმულია, წესის მიხედვით მხოლოდ ორი თვის შემდეგ დავიმტკიცებთ მემკვიდრეობას (4 თვე უკვე გავიდა, რაც ქალაქდები გადავეცით, დარჩა კიდევ 2). ეჭვს გარეშეა, რომ დავით კლდიაშვილის მემკვიდრენი მე და ჩემი და-ძმა არის და არა სხვა ვინმე. თქვენ ერთხელ მითხარით, მომეტანა მათი მინდობილობა. მინდობილობა უკვე წარმოგიდგინეთ. ჩემს დასა და ძმას ფული უჭირთ, მანდ კი არის თანხა. გთხოვთ, იმ ჰონორარიდან დღეს ნაწილი მაინც მისცეთ ამ წერილის მომტანს, ჩემს ძმას – გიორგი კლდიაშვილს.

პატ-მით სერგო კლდიაშვილი

[თბილისი, ივნისის შემდეგ, 1931]

სერგო კლდიაშვილი – შალვა აფხაიძეს

ჩემო კარგო შალვა!

სალამ-მალამი სიმონეთიდან. რომ ჩამოვედი, იმ დღიდან სულ წვიმს. სული შემიხუთა ავდარმა. დღეს მესამე დღეა აქ ვარ და მზე მხოლოდ ერთი საათით დავინახე. ევგენი მოგიტანდა ჩემ წერილს. განუხებ, მაგრამ რა ვქნა. მეტი იმედი ვილასი მექნეს? შენი ჭირიმე, მიდი სახელგამში და გამოართვი ფული როგორც თარგმანის (შენ სახელზე რომ არის – უკრაინულიდან, ავტორია პერვომასკი „пята на солнце“, 10 ფორმა), ისე ორიგინალის. ორიგინალის ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული, რამდენი ფორმა უნდა იქნეს. სთხოვე კოლია მინიშვილს, 8 ფორმაზე ნაკლები არ ჩასწეროს, ხოლო თუ 10-მდე ასწევს, ეს ხომ კარგი იქნება. ჩაბარების ვადა, რომელიც უნდა, ის იყოს – მე უკვე მზად მაქვს, მხოლოდ გადაწერა უნდა. ფული არა მაქვს და ძალიან მანუხებს ეს მდგომარეობა. სტეფანე კაიტანჯიანს სთხოვე (ან და გლავუხს, ილიკო ცინცაძეს) რიგის გარეშე მომცეს ფული. შეაბრალე ჩემი თავი, დამმართე სკარატეჩინი ჭლექი, შავი ჭირი, ხოლერა და ათასი სხვა მამაძაღლობა, ოღონდ მომიხერხე ფული. მერე კი ასეთი მისამართით მდღლიზე: ჩხარი, სოფელი ზედა-სიმონეთი, მირიან გვენეტაძეს მარიამ კლდიაშვილისათვის, სერგოს. ვიცი, ბევრი საქმე გაქვს, მაგრამ ძალიან გთხოვ, მონახე დრო, გენაცვალე ჭანჭლებში. სონია ავად დამხვდა. ყური სტკივა სასტიკად. დედამისი ნახე? ვაი თუ დაგეზარა მასთან ჩასვლა. არ დამლუპო, არ გამოასახლებიო ჩემი თავი აღმასკომს! აკაკი ვასაძეს რალაც დაუწერე და აქ გამომყოლია. იმ საღამოს უნდა გადმომეცა შენთვის, მაგრამ ღვინისგან გაბითურებული ვიყავი. გამოუგზავნი ზაკაზნოით. ყანების კულაკობა მლანძღავს? თუ იშოვონ ტფილისში ცივი წყალი, გაგრილდენ და გული დაიმშვიდონ. უკაცრავად პასუხია, ფეხებზე მკიდია მათი ყოველი სიტყვა. დიდი დურაკი ვიყავი, აქამდე რომ ანგარიშს ვუწევდი მათ. მე კი, ყოველ შემთხვევაში, ღმერთმა და ყველა მისმა ნიჟინი ჩინებმა ამაშოროს ვინმე „ლიტერატურულ მეგობრად“ გავიხადო. მეგობრობა ცხოვრებაში უნდა. თუ აქ არ არის, სხვაგან რალა საქმეში იქნება.

რომელი იდეური და პატიოსნებით სავსე ხალხი ისინია, რომ მათ რამეში ენდო?

ნინა ალექსანდროვნა როგორ მყავს? კიდევ ბუღბუღობს კლუბებში? ოპერაში საქმე როგორ წავიდა? მომიკითხე ნინა და ოლღაია. სონიასგან სალამი. მომწერე. ველი შენგან წერილს და მასთან ერთად ჩერვონცების დასტას. ბორისა ჩამოვიდა? დაპირება შეასრულა? წინდანიწვე მაღლობას ვუთვლი. თუ ჩამოიტანა, მიეცი, სახელგამიდან აღებული ფულიდან რაც ერგება და მოგწერ, როგორ გამომიგზავნო. მგონი, გამოვიქცე სოფლიდან. ნამეტანი სიმშვიდე და უხმაურობაა, აღარ შემიძლია. მოკითხვა ვანო ნაცვლიშვილს. შენი იმედით ვარ, ჩემო შალუშ.

ზედა-სიმონეთური სალამით სეროჟ კლდიევი
16/VII. 1931 წ.

შალვა! შენი ჭირიმე, ფული მომაშველე. ხუთი თუმანიც რომ მოგცენ, გამომიგზავნე. არ დაიზარო, ჩემო შალვა.

სერგო

მ. როზენტალ – ტიციან ტაბიძეს

31/VII – 31 გ.

Дорогой тов. Табидзе!

Ближайший номер журнала „Литературное Обозрение“ будет посвящен книге Шота Руставели „Витязь в тигровой шкуре“, выпущенной издательством „Academia“. Основное место в этом номере будут занимать отзывы поэтов. Очень хотелось бы, чтобы Вы высказались на страницах нашего журнала как о самой поэме, так и о качестве перевода, о полиграфическом оформлении книги.

Размер статьи мы никак не ограничиваем. Срок получения от Вас статьи 15 августа.

Всего доброго.

Отв. редактор „Литературного Обозрения“ М. Розенталь
[მოსკოვი]

შალვა აფხაიძე – სერგო კლდიაშვილს

ჩხარი, სოფელი ზედა-სიმონეთი.

დიომიდე გვენეტაძეს, მარიამ კლდიაშვილზე გადასაცემად, სერგოსთვის

სეროჟ კლდევს სალამი!

სეროჟ, რა გიყო ბიჭო, რომ ფული ვერ გამოგიგზავნე. ყოველ დღე დავდივარ სახელგამში. ვნახე რამოდენიმეჯერ სტეფანე, მითხრა – ვალი ყოფილა მასზეო. მივიღე ცნობა ილიკოდან, რომლითაც შენზე ირიცხება 165 მანეთი, მგონი. მივედი სტეფანესთან. ჰონორარს სიმონი ანანილებსო. მივედი სიმონთან. არაფერი არ ვიცის, იძახის. ხელშეკრულებაზე ხელი არ მომიწერია და ვინც მოაწერა, იმან გადაიხადოსო. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლება მას არ აქვს და მე ვერ მოგცემო. და ისევ ძველ, დავითის ანგარიშში, თანებზე ლაპარაკობს. ცხვირწინ 4000 მანეთი გაიტანა ისე, რომ ვერაფერი ვერ გავიგეო და სხვ. ერთი სიტყვით, მდგომარეობა უნუგემოა. მით უმეტესად, რომ სიმონი ახლა გამგედაც დანიშნეს. მისი დამოკიდებულება კოლიასთან შენ იცი. ველარც კოლიას შევხვდი – როცა მივედი, ან სტამბაში, ან კოჯორში. ერთი სიტყვით, სასწაულებო ამ მხრივ ვერაფერს გნერ. არც სიმონ წვერავა არის აქ და არც რადიანი, რომ ვუთხრა. ისედაც ქრისტეს ტირილი არის მათთან ფულის გამო. ვნახოთ, იქნებ კოლიამ გააწყოს რამე. ჯერჯერობით არაფერი გამომიდის. შენ რათ არაფერს იწერები, სეროჟ! ზიხარ ნიგვზის ძირში და თავისთვად იწერება ალბად რომანები. რა ბედნიერი ხარ, რომ არ იხარშები ამ სიტყვებში და თავისუფლად გრძნობ თავს! ჩვენი აგონია კიდევ არ დასრულებულა. მიდის აღწერა და როდის გათავდება, არ ვიცი. ძლიერ მინდოდა ამოსვლა 15-ისთვის, მაგრამ ვერ ვახერხებ. შემდეგში მაინც ამოვალ ერთი ორი დღით და დავისვენებ. ვაი თუ წითელი აღარ დამხვდა. მაინცდამაინც ნუ მოუხშირებ ჭურის მოხდას. ცოტა ეკონომია დაიჭირე. თუმცა, სადღა შემიძლია დავლიო. ღვიძლი მტკივა და მეშინია. ნაენყო ეს დღეები და მინია. ეს გამოსათხოვარიო, ეს შესახვედრიო, ეს ისო, ეს ესო და მეტი მე აღარ

შემიძლია. მაგრამ ფული თუ ვერ მივიღე შენი, ისე ვერ ამოვალ, რა პირით გეჩვენო, სეროჟ. რომ ვეცდები, ამის იმედი გქონდეს. ახლა არც სიმონი არის აქ თვითონ. ჩამოვა ამ ორ დღეში და ვნახოთ.

ჩემი საქმე არ არის ჯერ გამორკვეული: სახელგამში ვიქნები თუ მუშასთან. მინდა, უკანასკნელთან დავრჩე და მოვანყო ისეთივე გამომცემლობა, როგორც აქ იყო. სახელი შეიცვლება, მეტი არაფერი. მაგრამ ჯერ აქ არავინ არ არის და ამიტომ საკითხი გაურკვეველია. ჩვენებიდან ვერავის ვერ ვხედავ. ტიციანი სატახტო სოფელშია, პაოლო კიდეც სოფელში, ჭიჭიკო ხან არის, ხან არა და სხვ. იმ საქმის არაფერი არ გაკეთებულა და თურმე კითხულობენ – რას შვებითო. ოღლაია კარგად არის. ნინაც გამოკეთდა იმ ავთიმყოფობისაგან. ერთი ცუდი ამბავი მოხდა: აკაკი ხორავას მოუკვდა ბავში ნაწლავის გადანასკვიდან. სხვა ახალი არაფერია. ცხელა და ჩვენც ვთვლემთ, თუ არ ვსვამთ ცივ წყალს. ერთი შენი წყალი მომცა ნეტავი და მეტს არაფერს ვინატრებდი.

სეროჟ, სალამი პატივისცემით დედას, სონიას, ქეთოს, ნუცას და პატარეებს. ქეთოს უთხარი, თიმურთან უნდა ვიქეიფოთო. მანამდე ავარჯიშოს სმაში.

შენი შალუშ

ჩემი მხრით ერთი საქმის გაკეთება მოგიხერხე: შენი წიგნები, აქ რომ იყო, ვიყიდე, რომ დავალიანებიდან დავფარო რამე, თორემ სახელგამში ერთიანად დაგიკავებენ და მისაღები არაფერი დაგრჩებოდა.

[თბილისი, 13 აგვისტო, 1931]

პაოლო იაშვილი – შალვა სოსლანს

ძმაო შალვა!

გუშინ მე და ბ. პასტიერნაკი დავბრუნდით ხანგრძლივი მოგზაურობიდან (ბორჯომი, ბაკურიანი, აბასთუმანი, კავკავი, კახეთი) და დამხვდა თქვენი ბარათი – სამს ჟურნალთან

(Кр. Н. 280) ერთად. წერილმა ძალიან გამახარა, პასტერნაკს გავაცანი. დიდად კმაყოფილი ვარ, რომ რამდენიმედ ჩემი დახმარებით დაგიბეჭდავსთ მოთხრობა. ეს მოთხრობა მანამდე მიქო პასტერნაკმა, ნაწილი წაეკითხა. მეც წუხელი დავინყე, თავი მომეწონა როგორც პოეტიური, კარგი პეიზაჟებით და თუმცა არა სავსებით ძლეული, მაგრამ ნოყიერი და კარგი რეალიზმი. რაც წავიკითხე, იქიდანაც სჩანს, რომ ჯერ კიდევ ბავში რომ იყავით, სწორე ინტუიციით ვიგრძენი თქვენი ცოცხალი და ადამიანური ნიჭი. მომილოცავს. ქართულად წამეკითხა მერჩია, ცუდი პროზა გვაქვს ქართული, ეს სიხალისეს შეიტანდა. ორ სამ დღეში წავიკითხავ ბოლომდე. ქვევით და ქვევით უფრო ცუდიც რომ იქნეს, არ შევშინდები, მეყოფა ის რწმენაც, რაც მოთხრობის დასაწყისში ჩავინერგე.

რას აპირობთ?

რუსულად გინდათ სწეროთ?

აქ ყოველნაირად დაგეხმარებით.

თუ რამ ახალი გაქვთ პირდაპირ მე გამომიგზავნეთ. უთუოდ დავბეჭდავთ „მნათობში“.

ოქტომბერში მოსკოვში ვიქნები, ხშირად შევხვდებით. მომწერეთ რამე ახალი, ლიტერატურის ამინდებზე. მე ბევრს ვსწერ. სულ ლირიკაა. დეკემბერში გამოვა პირველი ტომი 100 დაუბეჭდავი ლექსი.

პასტერნაკმა კარგათ მოგიკითხათ, ხშირად ახსოვხართ. ბევრი ლექსები დასწერა, ჩვენ გვთარგმნის, ამბობს, პოეზია მხოლოდ საქართველოში ყოფილაო. პ. ქავთარაძე ერთგულად მომიკითხეთ.

ძმურად გაკოცებთ და სიხარულით გიგონებთ

თქვენი პაოლო იაშვილი

[თბილისი, სექტემბრამდე, 1931]

ტიციან ტაბიძე – კოლაუ ნადირაძეს

ძვირფასო ძმაო კოლაუ!

ჩვენ უკვე ოთხი დღეა მოსკოვში ვართ. მოსკოვი ფანტასტიურია და ძალიან ჰგავს ჩვენი დროის მოსკოვს. სულ გამოცვლილა ამ დღეებში და აფრიალებულია სანოვაგითა და ყველაფერი კარგი ამბებით, მაგრამ საჭიროა ფული და ფული. ეტყობა, ამასაც დავითვინიერებთ – ეხლა კი ვართ სტუმრად რუსის პოეტებთან და მათ არაყს ვაყოლებთ ჩვენ ღვინოს. პასტერნაკები ხშირათ გიგონებენ. პაოლოს ხასიათი მაინც არ გამოეცვალა, ძალიან მონყენილია და ჩემთან ლაპარაკსაც ერიდება. ეხლა, კოლაუ, თუ ძმა ხარ, მოიწერე ყველაფერი, როგორ არის მანდ საქმე და ნურაფერს ნუ დაგვიმალავ – ხომ იცი, რა მდგომარეობაა. შენი იმედი ჩვენ ორივეს ძალიან გვაქვს და შენი მანდ ყოფნა გვამხნევეს.

მოიწერე, როგორ არის თამარი? როგორ არის ბავში?

ხომ არაფერში ავინროებენ დაწყებული ჟაკტიდან.

ერთი სიტყვით, შენგან ველით ყველაფერზე დანვრილებით პასუხს და იმედი გვაქვს, წერილს ხშირად მოგვწერ. მე დარწმუნებული ვარ, პაოლოც მოგწერს წერილს, მაგრამ ჯერ ძალიან ცუდ ხასიათზეა კიდევ. ლიტერატურულ მოსკოვზე შემდეგ მოგწერ დანვრილებით – როცა უფრო კარგად გავეცნობი, ეხლა მხოლოდ შესავალია.

სახლი გვაქვს დაბრმავების, მთელი ოსობნიაკი ჩვენ განკარგულებაშია და ჩვენი ძალლი ამირანი ისე დადის, როგორც ჰერედიას ლომი.

პაოლოს კოსტიუმი არ აქვს და ესსაც ანუხებს, მაგრამ დღესხვალ გამოირკვევა. მაგის ტანის მოსარგო არსად არ იყო გუშინ, თუმცა ორდერი გვაქვს.

კოლაუ, თუ ნინას მანდ რამე დაჭირდეს და მოგმართოს, შენი იმედი მაქვს.

სალამი შენ ნინას და ნელის, სალამი ყველას პაოლოსგან.

გკოცნი ბევრს.

შენი ძმა ტიციან ტაბიძე

[მოსკოვი, 6 ნოემბრამდე, 1931]

პაოლო იაშვილი – ვალერიან გაფრინდაშვილს, კოლაუ ნადირაძეს, გიორგი ლეონიძეს

ჩემო ძვირფასო, დაუფინყარო მეგობრებო და ძმებო ვალერიან, კოლაუ, გოგლა!

ვნერ ღამის ოთხ საათზე, ლევანის ბინაში. ეს სახლია ქართველების და ქართული პოეზიის ბუდე. ყოველ საღამოს გაისმის ვაჟას და ხალხური ლექსები და არასოდეს ლევანი არ ყოფილა ჩემთვის ასე ნამდვილი და საყვარელი როგორც მოსკოვში. ტიცციანი და ლევანი ხვალ მოდიან ტფილისში, და უნდა მოგწეროთ, რასაც ვფიქრობ ეს დღეები: ბედნიერები ხართ, რომ ჩემზე უფრო მეტს იცოცხლებთ ტფილისში და საქართველოს მიწაზე. ალბად ხვალიდან ყველაფერი უარესად გამოიცვლება; მოსკოვი მიჩვეულია გახიზნულ ქართველების ცრემლებს, მაგრამ შეიძლება არავის არ გამოყოლოდეს თქვენი და სამშობლოს სევდა როგორც მე. მაგრამ მე ეს მჭირდებოდა, და თუ ჩემი ხმა ძვირად გესმოდათ, შორიდან შევეცდები უფრო დავატკბო თქვენი იმედი, თქვენი ფიქრი – რომ ერთად ერთი გზა დამრჩენია, ვიმღერო და ვიმღერო, შეიძლება გატეხილი, მაგრამ ნამდვილი ხმით. ტრადიცია გრძელდება, და თუმცა ბატონიშვილი არა ვარ, მაგრამ გულუხვ ღმერთს ბატონიშვილებზე ნაკლები ძალა არ მოუცია ჩემთვის სამშობლოსა და პოეზიის სიყვარულისთვის. რაც უფრო სხვანაირი იქნება ჩემი ხმა, უფრო ახალი და მოულოდნელი იქნება ის თქვენთვის. არც თანამგზავრი ვარ, არც მოკავშირე, ვარ ერთი გზა აცდენილი კაცი, ასეთ მდგომარეობაში სისუსტეც მეპატიება. ვფიქრობ თქვენზე, ვფიქრობ მედღეაზე, და თქვენი სიცოცხლე მაძლევს იარაღს – მის მოხმარებას არ გადავჩვეულვარ. ნუ დამივიწყებთ, მოსკოვის სიცივით ატანილს. ერთი თვეა თქვენი ხმა არ მომსმენია. ტიცციანის ჩემთან ყოფნა ამას ნაკლებად მაგრძნობინებდა, ახლი კი თქვენი წერილების, ლექსების, დეპეშების და სადღეგრძელოების იმედი მაქვს. კარგად იყავით, ჩემო საყვარლებო. მომიკითხეთ სერგო და შალვა და ყველა თქვენები.

თქვენი მარად მოყვარული პაოლო იაშვილი

6. XI. 31

[მოსკოვი]

ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს

21 ნოემბერი, 931 წ. ლენინგრადი.

ძვირფასო ვალერიან,

სამი დღეა მე და პაოლო ვართ ლენინგრადში – რალაც წარმოუდგენელი ჭანტასმაგორიაა და ბედნიერება – პაოლო ხშირად გიგონებს და უშენობა ანუხებს. ვცხოვრობთ ინტურისტის სასტუმროში, შეხერაზადას გარემოცვაში და ჯასბანდებში. ჩვენთან არის ბ. პასტერნაკი – დღეში ორი სამი წვეულება მაინც არის – პაოლო იყო ამ პოეტებში, როგორც პარიზში – დიდებული იყო შეხვედრა ანა ახმატოვასთან, ვიყავით ტიხონოვთან. ამაღამ ვართ რადლოვებთან, სადაც იქნება კუზმინი. ხვალ მივდივართ „Детское Село“-ში ბორის ნიკოლაევიჩთან. რაც მე ვნახე, რომ მოგიყვე, არ მეყოფა სამი თვე, განსაკუთრებით შენთან. ველი შენ წერილს მოსკოვში და ტფილისის ამბებს.

სალამი ირას და ნანას.

შენი ტიციან ტაბიძე

Над омраченным Петроградом

Дышал ноябрь осенним хладом.

А. П.

ტიციან ტაბიძე – შალვა აფხაიძეს

21 ნოემბერი, 931 წ. ქ. ლენინგრადი.

ძვირფასო ძმაო შალვა,

ვარ შენ დიდებულ ლენინგრადში – რალაც ზღაპრული ჩვენებაა – ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ აქ პირველათ ვარ ამ ათ წელში და ეხლაც მხოლოდ ხუთი დღე ვრჩები.

ჩამოსვლისას მოგიყვები ამბებს – შიგ ლიტერატურის შუა გულში ვართ და ვტრიალობთ. საერთოდ ყველაფერში შენი იმედი მაქვს, ჩამოვალ და ყველაფერს მოგიყვები.

შენი ტიციან ტაბიძე

ბორის პასტერნაკ – ტიციან და ნინო ტაბიძეებს

Дорогие Тициан и Нина Александровна, привет, привет Вам обоим; привет и поздравление с вероятной победы на жилищном фронте! Дорогой Тициан, как ни следовало бы радоваться за Вас (Вы ведь основательно скучали по своим и о Тифлису) – грустно без Вас. Георгий Ив. Чулков направляется в гости к Е. Е. Лансере и просил Ваш адрес: не заручась в разрешении, дал его. Вероятно, будет с визитом к Вам и передаст поклоны. Тагер, Ел. Мих., передает, что оба Вы, и Вы в особенности (я даже принялся доказывать об достоинства Паоло) оставили петербуржцев совершенно очарованными и они долго потом и часто возвращались памятью к вечеру и к Вам, после нашего отъезда в Лусе открылось нечто вроде недели груз. поэзии. Вас поняли и оценили: проверил моей любовью к Вам – характеризовали правильно. На прениях по Асеевскому докладу Паоло говорил ярче и смелее всех, – общее мнение. Я опоздал, проспал доклад, пришел к концу и сделал ошибку, воспользовавшись – мне первому данным словом. Доклада не слышал, не от чего было отталкиваться и, говоря, был похож не на Вас, а как Вас Ниточка изображает. Ничего не поняли, похлопали, простили. Сейчас едем вновь, на продолжение прений. М. б. поправлюсь и реабилитируюсь. Обнимаю Вас. Всем привет.

Зина целует Н. А. и Ниту и кланяется Вам.

[მოსკოვი, 14 დეკემბერი, 1931]

პაოლო იაშვილი – გიორგი ლეონიძეს*

ჩემო ვაჟკაცო ბიჭო!

შენ მართლა „დამკარგე როგორც ჩერქეზმა ისარი“. ბარათების წერა არ გიყვარს, მაგრამ ჩემთვის გაიმეტებდი მეგონა ორ სიტყვას. საბას საფლავივით ჯერ დაკარგული არა ვარ. ჯერ კიდევ მისამართით ვცხოვრობ. ენიკოლოპოვმა ასე როგორ ჩამოგამორა მოყვარულ მეგობრებს. მაინც და მაინც

* დაცულია გიორგი ლეონიძის საოჯახო არქივში.

მთანმინდის საფლავი უნდა ვიყო, პატივი რომ მცე? რა ამბავია ტფილისში. როგორ არი ფეფუცი, ლევანი, შენი გარეკახელი მზეთუნახავები. ფეფუცას უთხარი, მედეიას მიხედოს ხანდახან, ფისოს და თინას ხშირად შეახვედროს. რა დაემართა ვართანს, უთუოდ მომწერე, აღმასკომში რა ამბებია.

ლექსებს თუ გაუკვლიე სამგორის არხი?

მე ცოტას ვცხოვრობ, ცოტას ვმუშაობ, რაღაც იმედი მაქვს. <...> დედას ვაგინებ, და ჩემთვის ესეც საქმეა. „ნუ დაერიდები ფერუმარილებს“, მომწერე, ისტორიაში ჩავარდები. ბევრს გკოცნით ყველას.

შენი მარად პაოლო

18. XII. 31

პაოლო იაშვილი – ვალერიან გაფრინდაშვილს

Тифлис, ССР Грузии, აღმასკომის (ყოფ. სოლოლაკის) ქუჩა. სახელგამი. ვალერიან გაფრინდაშვილს.

18. XII. 31.

ჩემო ძვირფასო ვალერიან!

„შენი ხმა არა მსმენია, გასჭერ გამიშვი ნინაო“. რად დამივინყე. შენ ძალიან მორიდებული კაცი ხარ, მაგრამ საჩემოდ მაინც მონახავ სიტყვებს – სიტყვების ოსტატი. მოსკოვში მარტოობა შენ გამოცდილი გაქვს, ამიტომ მწყინს შენი სიჩუმე. მე ჯერ დაბნეული ვარ, მაგრამ იმედი ბევრი მაქვს. რასაც ვფიქრობ, თუ მისი დანერა შევძელი, ჩემი წამოსვლა არ გამტყუნდება. ფიქრი მარტოობაზე და თქვენ სიშორეზე, ძალიან მალონებს, მაგრამ გაჭივრების აღარ მეშინია, არც იმისი მეშინია, რომ საქართველოში ახლა მე „საწყალს“ მეძახიან. დამშვიდებისთვის მე ღმერთი არ მომაცლის, და სულ ერთია, რომელი ზღვა დამალრჩობს. მოსკოვის სიზღაპრე ჯერჯერობით მე ვერ გავიგე, და ის ჩემთვის მხოლოდ ტერიტორია არი. პოეტებში და მწერლებში ჩვენებური ელვარება შევიტანე და ახლა ჩემთვის უფრო გასაგებია მაიაკოვსკის უპირატესობა. ყანწელებისთვის გასაკვირი არაფერია და

ჩვენი ფასი შემდეგ გამომჟღავნდება. ტიცინანს მოვწერე ამის შესახებ. ნუ დამივიწყებ ვალერიან, შენი ჩემთვის საყვარელი ღიმილი ღია ბარათშიდაც გამოჩნდება, და ყოველი სტრიქონი მდინარე რიონივით ამაღელვებს. „სვოდკები“ პოეზიის შესახებ ტიცინანის სახელზე გამოიგზავნება, საერთო ნასაკითხად. დიდი მოკითხვა ირას, შენ და ნანას გააკოცებთ.

შენი მოყვარული და მონატრული [პაოლო]

როგორ არი ალი, მომწერე ამის შესახებაც.

Москва, Страстной Бульвар, д. №10, кв. II. Шалва Сослани.

პაოლო იაშვილი – კოლაუ ნადირაძეს

ჩემო ძვირფასო, უსაყვარლესო ძმაო კოლაუ!

არასდროს არ მომნატრებია ისე შენი ნახვა, როგორც ახლა, ამ წუთში, და შენ რომ ახლა ჩემ გვერდით იყო, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი. არ მეგონა, თუ შენ ასეთი გულჩახვეული კაცი იყავი. არც კი ვიცი, როგორ მოგწერო, როგორ აგიხსნა რისი თქმა მინდა ახლა შენთვის. მოსკოვში მე კვირაში სამჯერ მაინც ვარ გალპერინებთან. ერთად ერთი კაცი რომელიც ყანწელობას მიწევს აქ, თავზე მაკვდება, დღეში 3-4ჯერ მირეკავს, ყოველ დღე მიძახის სახლში არის ლიუსიას ქმარი. შემაყვარა თავი, და მთელ მოსკოვს მოარხია ხმა, რომ მე ვითომ ისეთი კაცი ვარ, რომლის მსგავსი მას არასდროს არ უნახავს, გენიალური, ვაჟკაცი, რაინდი და არ ვიცი რამდენი ასეთი. პირველად მე ვფიქრობდი, რომ ეს იყო ლიუსიას გავლენით, ლიუსიას უთქვამს მისთვის, რომ პაოლო მიყვარდა ყველაზე მეტად და ახლაც მიყვარსო. მეგონა, რომ ლიუსიას გულის მოსაგებად მეველებოდა თავზე, მაგრამ მე ყოველთვის მჯეროდა ლიუსიას სიმართლის თქმის და არ შემეძლია, ახლაც არ დაუჯერო. მან მითხრა „Лев Борисович безумно в Вас влюбился, когда Вы не приходите он мечется из угла в угол, я никак не предполагала, что Вы могли так его влюбить в себя“ – ეტყობა, გალპერინი ძალიან ჭკვიანი კაცია, მაგრამ არ მგონია მისი ჩემდამი დამოკიდებულება დიპლომატია იყოს. ერთი სიტყვით, მე მათთან ხშირად ვარ და თავს კარგად ვგრძნობ

მათთან. ჩემთვის უხერხულია ახლა ლიუსიასთან დაბრუნება – მეორე მხრივ ძნელია იმ ბავშური გრძნობების ჩაქრობა, რომელიც ხან და ხან გამკრავს და მაბრუებს. ყოველ შემთხვევაში, მე ვეცდები მათი ერთობა არ დავარღვიო, ლიუსია ძალიან კარგად არის მოწყობილი, ნამდვილი ღმერთია, ძალიან გალამაზებული, კიდეც უფრო გულითადი და საყვარელი. მისი ტანჯვა ის არი, რომ ქმარი არ უყვარს და ერთ საღამოს ბევრი იტირა ჩემთან. ნუხელ ვიყავი მათთან. სამი დღე ძალიან ავად ვიყავი, ცოტა გამოვრჩი. ვერ ავიტანე მარტოობა, და რადგან ახლა ავტომობილი გვყავს, გავბედე წასვლა. სჯობდა, არ წავსულიყავი. სრულიად მოულოდნელად, ლიუსიამ მიაგმო ერთი ამბავი, რომელიც ჩემგან 15 წელი დაფიცული იყო. ჩემო საყვარელო შესანიშნავო ძამიკო! წერილში არაფერს მოგწერ, გეტყვი მხოლოდ, შენ ჭკვიანი ბიჭი იყავი ყოველთვის და როგორ დაუფერეთ შენ და ლიუსიამ გათახსირებულ მიშა გელოვანს და ერთ გათახსირებულ გომბიოს. ჩემი ტკივილები უკანასკნელ დღეებში ცოტა დაშუმდა, მაგრამ ნუხანდელმა ამბავმა სრულებით გამანადგურა, იმდენი შენს ბავშებს სიცოცხლე, რამდენი ნუხელ ლიუსიამ იტირა, როდესაც გაიგო რომ ყველაფერი მოჭორილი ყოფილა. კოლაუ, გემუდარებით მეც და ლიუსიაც დაუყონებლივ ჩამოდი მოსკოვში, ჩამოდი თუნდაც 5 დღით, არაფერი არ გინდა. ახალგაზრდა კომუნისტის რედაქტორი ახლა ვ. მიქაძეა, უთუოდ გამოგიშვებს, შეიძლება მივლინებაც მოგცეს მოსკოვში, მადედან ტიცინი ბილეთს მოგიხერხებს, აქედან მე გავანყო. ფულიც სულ ცოტა გჭირდება, თუ საყიდლები არაფერი გაქვს, გემუდარები, დაუყონებლივ წამოდი. შენი არ ჩამოსვლა სრულებით გამიმწარებს დღეებს. გაიხსენე ყველაზე უფრო ტკბილი დღეები ჩვენი მეგობრობის და გახსოვდეს ჩვენი ახლა შეხვედრა ყველაფერს დაფარავს. დაუვინყარი დღეები იქნება ორივესათვის. სრულებით უძინარი ვარ, და აბნეული გწერ, მაგრამ მაინც დამაჯერებელი უნდა იყოს ჩემი თხოვნა. ბევრს გაკოცებ, ჩემო საყვარელო ძმამო და პოეტო, ძალიან მომიკითხე ნინა, სთხოვე, მედეას მიხედოს, თამარსაც ნუ გარიყავს, ნელის ვაკოცებ.

შენი მარად მოყვარული ძმა პაოლო

18. XII. 31

[მოსკოვი]

ტიციან ტაბიძე – შალვა სოსლანს

25 დეკემბერი, 1931 წ. ქ. ტფილისი.

საყვარელო ძმაო შალვა!

ძალიან მადლობელი ვარ, რომ გამიხსენე და მომწერე წერილი – ისიც ასე საინტერესო საღამოზე, როგორც ყოფილა წ. ასევეის მოხსენება და შემდეგ გამართული დისკუსიები, როგორც ამაზე მწერენ პაოლო და ბორის პასტენაკი და რაზეც ამდენს ვკითხულობ გაზეთებში. მხოლოდ ეს არი, რომ შენი ინფორმაცია უფრო ვრცელია და ამიტომ ჩემთვის ძვირფასი. გასაგებია, როგორ მაინტერესებს მე ყველაფერი წვრილმანი მოსკოვის მწერლობისა და მწერალთა ყოფისა, განსაკუთრებით პაოლოს მანდ ყოფნის დროს – მართალია, პაოლო მე ხშირად მწერს ვრცელ წერილებს, მაგრამ ჩემთვის საჭიროა მესამე კაცის ინფორმაცია, რომელიც უფრო სხვა დეტალებს აქცევს ყურადღებას. ამიტომ, თუ ძმა ხარ, ნუ დაიზარებ ხოლმე, შემდეგმიც მომწერო ამბები, მით უმეტეს, რომ შენ ხშირად მოგიხდება პაოლოსთან ერთად ყოფნა მანდ საღამოებზე და მწერლებთან. აგრეთვე, თუ რამე გამოვიდეს სასიკეთო წიგნი ან წერილი – რასაც უეჭველად მანდ უფრო ადრე გაიგებენ და დააფასებენ არაოფიციალურ წრეებში – რაც შეეხება აქაურ ჟურნალებსა და გაზეთებს – ამას მე პირველ იანვრიდან გამოუგზავნი პაოლოს და იმისგან შენ ყოველთვის შეგიძლია მიიღო. მასვე გამოუგზავნი „სალიტერატურო გაზეთს“, რომელსაც ამ დღეებში რედაქტორიც ეცვლება და რედაქციაც, და უფრო საინტერესო გახდება – მეც მიწვევს ახლო ვიყო რედაქციასთან და შენ წერილებს, რომელნიც დარწმუნებული ვარ, საინტერესონი იქნებიან, უეჭველათ დავბეჭდავთ – საერთოდ შეგიძლიათ, ჩაიბაროთ მოსკოვის ინფორმაცია.

სხვა, ჩემო შალვა, აქ ჯერჯერობით არაფერია საინტერესო, იწყება გადაჯგუფება და გადახალისება რაპებისა და ფედერაციისა, მაგრამ საეჭვოა ისე დაეწყოს ეს ორკესტრი, რომ ჭეშმარიტ პოეტს შეეძლოს თამაში, სიმღერა და ლექსობა – ყოველ შემთხვევაში, ეს კია, რომ ძალიან შეუტიეს ზოგიერთებს ადმინისტრაციულობისთვის და „ЗАМИМ“-ებისთვის.

მალე იქნება პლენუმი და ყველაფერი გამოირკვევა – ზოგი რამე „სალიტ. გაზეთ“-შიც დაიბეჭდება და იქედან გაიგებ. ეხლა კიდევ გიხდის მადლობას წერილისთვის და გთხოვ, უეჭველათ მომწერო ხშირად და ვრცლათ მანდაური ამბები. სალამი პაოლო იაშვილს და ბორის პასტერნაკს.

შენი ტიცციან ტაბიძე

პაოლო იაშვილი – კოლაუ ნადირაძეს

Москва. 27/XII. [1931].

Тифлис, Ртишевская 7, Надирадзе.

Телеграф – ответ письмо. Настоятельно прошу приехать.

Паоло

გიორგი ჩულკოვ – ტიცციან ტაბიძეს

29 декабря 1931.

Уважаемый товарищ!

Не знаю, знакомо ли Вам мое имя, но все таки решаюсь писать Вам. Я слышал о Вас от Пастернака и Бугаева. Дело вот в чем.

Проездом из Москвы в Батум я хотел остановиться в Тифлисе дня на два или три, но мне это не удалось, потому что, несмотря на то, что я послал срочную телеграмму, ни одна гостиница не могла предоставить мне номера. Я едва нашел себе ночлег благодаря любезности художника Татевосяна. Я заходил в Дворец Искусств, но товарищ комендант был, кажется, очень смущен моим появлением и решительно не знал, что со мною делать.

Неужели в Тифлисе нет учреждения, которое могло бы дня на три дать приют странствующему писателю (конечно, не безвозмездно)? У меня нет, правда, никаких „командировок“, но у меня есть следующие документы: 1) Билет Со-

юза Советских Писателей; 2) Удостоверение Секции Научных Работников; 3) Профсоюзный билет рабочих полиграфического производства.

Мне очень не хотелось бы одолжения частному лицу, но я был бы очень рад, если бы кто-нибудь сдал за плату комнату дня на три, если нет подходящего учреждения странноприемного. Но где такого благодетеля найти? Боюсь, что мне придется проехать прямо в Москву, так и не увидев Тифлиса. Простите, что беспокою Вас вопросами. Мой адрес: Батум, почтов. ящик 52, Э. Н. Жуберу для Георг. Иван. Чулкова.

С товарищеским приветом

Георгий Чулков

Я остаюсь под Батумом до 12 января. Между 12–15 январ. я хотел бы посетить Тифлис.

Еще раз простите великодушно, что беспокою Вас.

Г. Ч.

პაოლო იაშვილი – ვალერიან გაფრინდაშვილს

ძმაო ვალერიან!

გიგზავნი თარგმანებს, თუ ძმა ხარ, დამდევი ვალი და უკარნახე მანქანაზე. გაასწორე კორექტურა. ერთი გადაეცი ბაჟანს, მეორე ლატიშელ პოეტს კიკტუს. მაქვს შენი იმედი.

შენი პაოლო

[მოსკოვი, 1931]

პაოლო იაშვილი – კოლაუ ნადირაძეს

ჩემო კოლაუ!

ლიუსია გიგზავნის თავის საყვარელ პაპიროსებს, რომელსაც არავის არ აწვევინებს აქ. ჩვენი ლაპარაკის დროს ხშირად გიხსენებთ, და მოსკოვში მე არ ვიცი სხვა სიხარუ-

ლი, რომელიც შეეძარებოდა შენს აქ ჩამოსვლას. მაგრამ ეს როგორც სჩანს, არ მოხერხდება. ზაფხულზე მაინც მექნება იმედი. მოგწერ მალე ლექსის გაგრძელებას და წერილს.

შენი პაოლო

ლიუსია ისე დაამინეს ჩვენმა ქალებმა, რომ წერილსაც ვე-
ლარ გწერს, მაგრამ კოცნით კი გიგონებს.

[მოსკოვი, 1931]

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

შვილო სერგო!

ჩემო დედა, ერთი შენი ამბავი არ მაცნობე, რატომ ქენი. ნუ-
ცას დედამთილი გეტყვის ჩემს ამბავს. ჩემო სერგო, იქნებ
წამალი ვენახის მალე მომაშველო, ისე დავიმუშავე ყორი-
ფელი, დახვნაში მივეცი რვა თუმანი, გავათავე ყორიფელი.
იქნებ ეცადო, მალე ფული მომაშველოთ, თორემ არაფელი
არა მაქვს. ვაკოცებ სონიას და ლიალიას.

შენი დედა მაშო

[სიმონეთი, 1931 წლის შემდეგ]

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

სერგო! გენაცვალე, რაცხა იქნებ მომიხერხო, აქ სად ვიშო-
ვიდი შავ მატერიას, იქნებ პავლომ მოგიხერხოს; არც ჩუსტი
მაცვია, ასე დავიარები. ჩემო სერგო, გოგის მიაქციე ყუ-
რადლება. სონიამ, ჩვენი კნიშკით შაქარი და ჩაი გამოიტა-
ნეო. სარწყავი არ დაგრჩეს, წამოიღე. ხუთშაფათს ცხენს
გამოვგზავნი სვირში, როგორც მწერ. ფულის საქმეს ეცა-
დე, თორემ ეს რას იზავს, შვილო, შენ თითონ იცი. ხურჯინს
გიგზავნი. ლიალია ძალიან კარგათ არის.

შენი დედა გაკოცებს

[სიმონეთი, 1931 წლის შემდეგ]

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

სერგოს ჭირიმე!

ნუცამ დეპეშა გამოგიგზავნა და უთუოდ მიღებული გექნება. ეს კაცი ასე გვპირდება და თუ შენ ჩამოხვალ, ყორიფელი იქნება. ნუ დაიგვიანებ, შენ გენაცვალე, როგორც ჯობდეს, ისე მოაწყვე, ჩემო სერგო. ჩემო დედა, რომ იცოდე, რა დღეში ვართ; ღორი აღარ დაიდგომება ჩვენ სახლში. მე კუჭი კარგათ მაქვს და ფეხები კი ძალიან მანუხებს. ეცადე, გენაცვალე, იქნებ პუტიოვკა მომიხერხო, თორემ მე დავრჩები წაუსვლელათ. სიმონიკაც ნახე და ყურულაშვილი.

სერგო, გულშენუხებული ვარ, ყურძნის გადასახადი მომივიდა ქალაღდი, ათი ფუთი უნდა ჩავაბარო. თუ ყურძენი გადამახთევენეს, სხვასაც გადამახთევენებენ ყორიფელს. იქნებ მომიხერხო, მომიხსნან; თუ არ დაიზარებ, შენ მომიხერხებ, იქნებ მომიხსნან. ათი ფუთი სულ არ იქნება იმ ვენახში. მერე კიდო სიმიდი ერთი დაქფა მაქვს და იქნებ მომიხერხო რაიონიდან, თორემ ყიდვის თავი არა მაქვს. პური ამ ორ დღეში უნდა მოვჭრა.

მე მეშინია, თუ სვირში ყავარი მოვიდა და შენ დაიგვიანე, ვინ იქნება პატრონი და როგორ იქნება ნეტავი.

ლიაღიას ამბავი რა მოგდის, ხომ კარგათ არის, სონია სად არის? აკოცე ბევრი.

ჩემო დედა, ყურძნის საქმე მომიხერხე, შენი ჭირიმე. ქალაღდი იქნებ მოგცენ განთავისუფლების, თორემ მივატოვებ აქაურობას, აღარ ეღირება აქ ცხოვრება.

შენი დედა

9 ივღისი

[სიმონეთი, 1931 წღის შემდეგ]

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

შვიღო სერგო! შენი წერიღი მივიღე, რომელმაც დიღათ გამახარა. მე კი ძალიან ნაწყენი ვიყავი, ვიფიქრე, სერგოს დავავინწყღითქო, თუმცა რამოდენიმეთი მართაღი. თელი

ზაფხული გავიდა და არცეთი არ ჩამოდით, ეხლა კი მაქვს იმედი, ამ შემოდგომისთვის ჩამოხვალთ. შამომითვალეთ და ცხენს გამოგიგზავნით. სერგოს ენაცვალოს დედამისი, შენით ვარ და აქამდისაც შენით ვიყავით. რასაც მწერ, თუ ასრულდება, დიდი მადლობელი ვარ, ჩემო დედა. შენ რომ იცოდე, რა გაჭივრებაში ეხლა მე ვარ, შემობრალე, თელი ზაფხული ერთი მანეთი, მანეთი არ მქონია, ასე უფულოთ ვარ და ნიადაგ კი საჭირო არის; ერთი ქათამი ჩემს სახლში არ არის, სულ ლობიოზე ვართ, მომკლა ლობიომ. ჩემო დედა, მწერ, შემომითვალე, რა გიყიდოვო; სხვას რას დავეძებ, ლამეში ვართ, ფიტილი და შეშები ვერსად ვიშოვე, მიყიდე №15 ლამპისათვის ფიტილი და შეშები და იქნებ ბანრები მიშოვო, შენ გენაცვალე. რატომ არ იწერები, ლიალიას მოუხთა თუ არა სურამი. როდის აპირებ აქეთ წამოსვლას? სონიას უთხარი, ცოტა ხნით მაინც ჩამოვიდეს. სერგო, გადასახადი მაქვს გადასახადი სამეურნეო, ცოტა არის, მაგრამ ეხლავე მანუხებენ, მოგვეციო და სადა მაქვს, 12 მანეთია, მომაშველე რამე, პენსია სად არის, არ ვიცი; ის ფული უნდა მივსცე სულ ნოე ფანჩულიძეს, ცხრა თუმანი მართებს მისი, იმასაც გადასახადს სთხოვენ, 12 თუმანი აქვს გადასახადი. ასე ჩემო სერგო, განუხებ, მაგრამ რა ვქნა, შვილო. ბევრს ვაკოცებ სონიას და ლიალიას, ენაცვალოს ბებია.

თემური კარგათ არის, არაფელი არ სტკივა. კარგათ არის ძალიან. ქეთო მად იქნება 20 ან 21, ასე მწერს. აბესალო მოდის კვირეს მად. იმის ხელით გამომიგზავნე, ქათამს ვიყიდი, გენაცვალე.

შენი დედა გააკოცებს

16 სექტემბერი

წყალტუბოს წასვლა კი ძალიან მჭირია, თუ მოხერხდა. ნუცა მალე ჩამოვა.

გრიშა გთხოვს, იქნებ საშარვალე სუკნო იშოვო; იყიდე ერთი მეტრიო და ეხლა ფული აქვს და აქ მივსცემო.

[სიმონეთი, 1931 წლის შემდეგ]

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

შვილო სერგო! ძალიან მოგელოდი და გამიცრუვდა იმედი. ინერები ყავრის საქმეს, ჩემო დედა, გული გამიკეთდა ცოტა, თუ არ მოვტყუვდით კიდო. სერგოს ჭირიმე, შენგან გამოგზავნილი ოთხასი მანეთი მივიღე და აბრეშუმი კარგია, მაგრამ თუ ასეთი ძვირი იყო, რას დავეძებდი. მე ეხლა უკეთ ვარ, კუჭი სრულებით კარგათ მაქვს, მხოლოდ ფეხები ძალიან მანუხებს, ძალიან მიჭირს სიარული; თუ მომიხერხებ აბანოს, კარგი იქნება გენაცვალე, როგორც ინერები, ისე.

მკლავენ თხოვნით კოლექტივი, ქალაღდს თხოულობენ, გენაცვალე, გამოუგზავნე. თუ ყავარი მოვიდა, იმათ უნდა ამოვატანიო, მომეხმარებიან; თუ გიყვარდე, რამდღონიც შეიძლება, უშოვე. სერგო, მიდი ყურულაშვილთან და გაახსენე პენსიის შესახებ, თორემ იმას რად გაახსენდება, ათასი საქმე აქვს. სიმონიკას კი საყვედური უთხარი, რა იქნებოდა, მაგალობლიშვილთან შეეტანა ჩემი განცხადება დახმარების შესახებ. თუ სახლის კეთებას შეუდგეით, ბევრი ხარჯი არის საჭირო და ცოტას მაინც ნაგვეხმარებოდა. შენს წერილს ნუცა ნაუღებს მახათაძეს და მოგწერ ყორიფელს. ისე, აქეთ კარგათ არის ყორიფელი. მიხაილის შესახებ პოკოც გეტყვის, რაცხა ისეთი აღარ არის, რომ იყო, ფული უნდა მივცე, მთხოვს; ივნისის დარჩება მისაცემი, ისე მიანგარიშა თბილისის გზის და თოხი უყიდა; სულ უნდა მივცე 185 მანეთი, ივნისის კიდო ცალკე. გადავყევი ამათ მე. როდის ჩამოხვალ, მეჩქარება, იქნებ სხვანაირათ მოვანყო საქმე.

ლიალიას ვენაცვალე, მე ვჯავრობდი, ეხლა თბილისში არის ბავშითქო და ის კი კარგ ადგილას ნაგიყვანია. სონიას ვაკოცებ და მადლობა, კარგია აბრეშუმი. აბესალო აქ იყო, პოკო რომ მოვიდა და გადავეცით ბავშების სათამაშოები, ბევრი იცინა.

გენაცვალე, ნახე ყურულაშვილი, უთუოდ გაახსენე.

შენი დედა გოცნის

[სიმონეთი, 1931 წლის შემდეგ]

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

შვილო სერგო! შენ გენაცვალოს შენი დედა, რატომ აღარაფელს არ იწერები, როგორ ხართ? რათ მოიძულეთ სახლი, აქეთ აღარ იფიქრე ჩამოსვლა. ლიალია სადა გყავს ამ სიცხეში? აქაურ ამბავს გოგიც გეტყვის. მე ძალიან ცუდათა ვარ, კიდო გასივებული ვარ, რა მეშველება, არ ვიცი – არც ვკვდები და ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, შვილო. ყორიფელს გაკეთება უნდა და ღონე არ არის. იესე ძალიან დაბერდა, აღარაფელი აღარ შეუძლია, ისევ რუსი დავიქირავე, ის კი ძალიან მუშაობს, მაგრამ შიშში ვარ, თუმცა ეტყობა, პატიოსანი კაცია. სერგოს ჭირიმე, როგორ არის წყალტუბოს საქმე, თუ არის ეხლა სეზონი, იკითხე და ეხლა წავიდეთ; თუ არა და, აგვისტოში წავიდეთ, ჩემთვის აუცილებელი არის, რომ არ დავარდე, გენაცვალე. ფულის საქმე როგორ არის? უფულოთ დიდ გაჭირვებაში ვარ, ეს რუსი ორ კვირაში გასასტუმრებელი მეყოლება, უნდა მივსცე 80 მ. სახლში რამდონი რა არის საჭირო, ვინ იცის. რადგან სახლში არაფელი არ არის საჭმელი, გოგიც გეტყვის. ისე ნუ მომკლავთ, დამენახეთ თვალით, შვილო, ცოტა ხნით მაინც. ჩემი გოგო გამოგეგზავნა, რა იქნებოდა. შენ რამ გაგაჩერა ამდენ ხანს მად, სერგოს ენაცვალოს მისი დედა. გოგის ვაგზავნი, მითხრეს, რომ მოწმობები უნდა ეხლავე წარადგინო უნივერსიტეშიო, თორემ მერე დაგვიანდებაო, რადგან ეხლა დაიწყოვო. ჩემო დედა, მოუწყვე ხელი, იქნებ რამე ეშველოს საწყალს და მე ნუ ჩამატან ჯავრად ამის ასეთ ჩამორჩენას. დედაშვილობას, ძალიან გთხოვ, ჩემო სერგო, ცოდო არის ეს საცოდავი. რაც კი რამე მოუხერხო, შეინუხე თავი, მადლია. შენ ხარ მამის მაგიორი, აბა, ვინ ყავს საწყალს მეტი შემწე. ასე, ჩემო დედა, იქნებ გავიხარო და ველირსო ამის გზაზე დადგომას.

ვაკოცებ ბევრს სონიას და ლიალიას.

შენი დედა გაკოცებს

[სიმონეთი, 1931 წლის შემდეგ]

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, 2018

Tsisperkantsebi (the Blue Horns). Correspondence, I

© Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature
Tbilisi 2018

მისამართი: გიორგი ჭანტურიას ქუჩა 8
ტელ.: +995 32 293 20 45

www.literaturemuseum.ge
info@literaturemuseum.ge

ყდაზე: ლადო გუდიაშვილი, *ცისფერი ყანნები*, 1919

ფორზაცზე: ვლადიმერ ჯაფარიძე, *ცისფერი ყანნები*, 1916

გამომცემელი: **ლაშა ბაქრაძე**
რედაქტორ-შემდგენელი: **თეა თვალავაძე**
ტექსტი მოამზადეს: **ნანა კიკნაძე, ია ლაღუა**
დაკაბადონება და დიზაინი: **ფატი გაგუღია**
ამკრეფები: **ელისო კალმახელიძე, ლიანა ქიტიაშვილი**

პროექტი (N216788) განხორციელდა
შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის ფინანსური
მხარდაჭერით.



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება ეკუთვნის
ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს

This project (AR/109/1-20/14) been made possible by financial support
from the Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed
herewith are those of number, and may not represent the opinion
of the Foundation itself

დაიბეჭდა სტამბაში *კოლორი*

ISBN 978-9941-9480-7-7 (ყველა ნიგნი)
ISBN 978-9941-9480-9-1 (პირველი ნიგნი)

